

პირადი აკაქონებრივი უფლებები და ინტელექტუალური სპარტილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2017, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2017, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2017, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2017, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. პირადი არაქონებრივი უფლებები
პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების
უარყოფა

განჩინება

№ას-1304-1242-2014

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ქ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ თბილისის იუსტიციის სახლის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №...../კ ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დავალება, იძულებით მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრება თვეში 660 ლარის ოდენობითა და პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე 2012 წლიდან 2013 წლის 31 იანვრამდე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის პოზიციაზე. 2013 წლის 31 იანვრის №...../კ ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველით. სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოახდინა იუსტიციის სახლის თანამშრომელთა ორგანიზება და ღია წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს სისტემაში არსებული შრომითი პრობლემების შესახებ, რამაც იუსტიციის სახლის სხვადასხვა რგოლის თანამდებობის პირთა უკმა-

ყოფილება გამოიწვია. ი. ქ-ის მიმართ დაინყო დისციპლინური დევნა, თვალთვალი და ინფორმაციის შეგროვება. საქმე გადაეგზავნა უწყების შიდა აუდიტის სამსახურს, რომლის დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს არ დაუმტკიცდა ხელმძღვანელ პირთა მიერ წაყენებული ბრალდებები. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს 2013 წლის 31 იანვარიდან აღარ გაუგრძელეს შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია განსხვავებული აზრის გამო. ამასთან, შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა და მოსარჩელის მიერ იუსტიციის სამინისტროსადმი ღია წერილის მიწერის გამო, რაიმე სახის დისკრიმინაციას მის მიმართ ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებით მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა. მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათის საფუძველზე დაინყო დისციპლინური წარმოება ი. ქ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად, მოსარჩელის გარკვეული ქმედებებით დაირღვა სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარის 2009 წლის 13 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებული მოქალაქეთა მომსახურების სტანდარტები, რაც უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად. გარდა ამისა, 2011 წლის 20 აპრილის №...../კ ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელე დაინიშნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მთავარ სპეციალისტად. აღნიშნულ პოზიციაზე ყოფინასა, 2011 წლის 11 სექტემბერს მას მიეცა შენიშვნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულებისა და „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო“ მოთხოვნათა დარღვევისათვის. მოგვიანებით, 2012 წლის 13 თებერვალს, ი. ქ-ეს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომისთვის გამოეცხადა საყვედური. 2012 წლის 28 თებერვალს შიდა კონტროლის სამსახურის დასკვნისა და 2012 წლის 29 თებერვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, მოსარჩელეს გაუგრძელდა დისციპლინური სასჯელის ვადა სამი თვით.

მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელეს კანონის დაცვით ეთქვა უარი შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებ

ბაზე და განემარტა მიზეზები. მოსარჩელის მიმართ არსებობდა პრეტენზიები მის მიერ შრომითი დისციპლინის დარღვევის საკითხებზე, რომელთა ნაწილი დადასტურდა აუდიტის დასკვნით. ამასთან, იუსტიციის სახლისათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებების დელეგირების ფაქტიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე არ არსებობდა შესაბამისი თავისუფალი პოზიცია, რომელზე მუშაობის გაგრძელებასაც მოსარჩელე შეძლებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ი. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელსა“ და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა

შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 01 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავო გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-ემ რეაგირების მიზნით, მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ.-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემონიშნების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტების გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების შესახებ და მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ და მე-13 მუხლებზე, რომლის თანახმად, სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელიც ვალდებული იყო ემტკიცებინა, რომ: ა) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შესაბამებოდა სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველი იყო; გ) სადავო განცხადება ლახავდა მის პატივსა და ღირსებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადავოდ გამხდარი განცხადებების გავრცელების ფაქტს დაადასტურებდა, ხოლო გ. ჭ-ის მოხსენები-

თი ბარათი, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევდა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებად, წარმოადგენდა შიდასამსახურებრივ მოხსენებით ბარათს, შედგენილი იყო სწორედ ამ დანიშნულებით და არ იყო გამიზნული პირთა ფართო წრის ინფორმირებისათვის. როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა სწორედ აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე აწარმოა კვლევა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა და 2013 წლის 23 იანვარს შედგენილი დასკვნით არ გაიზიარა მოხსენებით ბარათში მოცემული კონკრეტული დარღვევების არსებობის ფაქტი, ხოლო, რიგი დარღვევების არსებობის ფაქტის დადგენის გამო, მიზანშეწონილად მიიჩნია ი. ქ-ისათვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი მოვალეობების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2013 წლის 31 იანვარს გამოცემულ ბრძანებას საფუძველად არ დადებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმისათვის, რომ სასამართლოს გზით განხორციელდეს პირის პატივისა და ღირსების შესაბამისი დაცვა, უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებანი: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა;

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება (და არა კომენტარი, აზრი, ვარაუდი, მოსაზრება, შეფასება).

ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ უშუალოდ მის შესახებ მო-

პასუხემ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადავო განცხადებების გავრცელებას დაადასტურებდა. შესაბამისად, არ არსებობდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. ქ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში, საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ ი. ქ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით დამსაქმებელმა ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება, რითაც უგულვებელყო მოქმედი კანონმდებლობა და შელახა კასატორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კერძოდ, თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით ილახება ი. ქ-ის პატივი და ღირსება, ვინაიდან, იგი ხელმისაწვდომი გახდა უწყების თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგულვებელყოფილი იქნა კასატორის შრომითი დისციპლინა და მომსახურების სტანდარტი. მისი, როგორც დამსაქმებულის ქმედებები შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“. მოხსენებითი ბარათის ავტორის ფუნქციური და იურიდიული სტატუსის, ბარათის ადრესატის, შეფასების არაკორექტულობისა და ფაქტების მცდარობის გათვალისწინებით, კასატორისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა, აღნიშნული ბარათი მიჩნეულიყო უბრალო, სუბიექტურ შეფასებად გადაჭარბების გარეშე. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გ. ჭ-ე მხარეს არ წარმოადგენს, რაც მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათს კიდევ უფრო სუბიექტურს ხდის. კასატორი განმარტავს, რომ გ. ჭ-ე არის თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფაგლებში განხორციელებული ქმედებებისას იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, ოფიციალური დოკუმენტით შედგენილი მისი შეფასებითი მსჯელობა, გამოხატავს დამსაქმებლის ნებას.

კასატორმა მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტები ყოველთვის ეყრდნობოდნენ მტკიცებულებებს, შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამიჯვნა, ერთი მხრივ, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, მეორე მხრივ კი, პატივისა და ღირსების უფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს.

კასატორი მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზეც და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მას უთხრა სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტების მტკიცებულების სახით დაშვებაზე, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 380-ე და 215-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განჩინებით ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №.../კ ბრძანების ბათილად ცნობის, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დაავალებისა და იძულებითი მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, ხოლო საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განხილვის საგანია ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში.

კასატორის პრეტენზიების (კასაციის მიზეზების) დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ რეგულირებაზე, რადგან მატერიალური ნორმების შემადგენლობის ნიშნების არსებობა განაპირობებს სარჩელის საფუძვლიანობას.

განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შე-

საძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოიცავს დათქმას სპეციალურ კანონზე, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან, ესაა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და დასადგენად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით, რომელიც წარმოადგენს ღირსების და პატივის სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმას და საბოლოოდ, ქმნის საკითხის სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტის წინაპირობას.

კასატორის პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით შეილახა მისი პატივი და ღირსება, რომელსაც საქმის განმხილველმა სასამართლომ არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის არსებობის დადასტურების მტკიცების ტვირთს მატერიალური ნორმა აკისრებს „რეპუტაცია შელახულ პირს“. შესაბამისად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი) თანხვედრაშია, რაც ნიშნავს სწორედ იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს, რომ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ, იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემ-

დეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელს“ და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 01 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 01 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავო გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-ემ რეაგირების მიზნით მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაც-

დომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტებების გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთაღგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია და ამდენად, მას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია.

კასატორის ძირითადი პრეტენზია (კასაციის საფუძველები) საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორ კვალიფიკაციას ეფუძნება, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათს, რომელიც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებას – ფაქტს, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა უწყების სხვა თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგულებელყოფილი იქნა კასატორის შრომითი დისციპლინა და მომსახურების სტანდარტი. მისი, როგორც დასაქმებულის ქმედებები შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო მოხსენებითი ბარათის გ. ჭ-ის მიერ შედგენის ფაქტი სადავო არაა, მაგრამ მოპასუხის (კასატორის მონინააღმდეგე მხარის) განმარტებით „მოხსენებითი ბარათი არ შეიცავდა დასაქმებულის პატივისა და ღირსების შემლახველ ინფორმაციას, არამედ წარმოადგენდა შიდასამსახურებრივ დოკუმენტს და განკუთვნილი იყო იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ.-სათვის, რომელსაც ამ ბარათით ეცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი“.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიის (კასაციის საფუძველების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს შეიცავდა თუ არა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ ინფორმაციას,

რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისათვის.

პირველ რიგში, დავის სწორად გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოხსენებით ბარათში სადავო გამონათქვამები („დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“) მიეკუთვნება ფაქტებს თუ, შეფასებით მსჯელობას (აზრს). საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული აუცილებელი პირობაა გავრცელებული განცხადების შეფასებისთვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი დადგენილ აზრის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძალზე ფართოდ განმარტავს. თავისი პრინციპული პოზიცია მან ასახა ერთ-ერთ პრეცედენტულ გადანაცვებულ საქმეში (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82), რომელშიც განმარტა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა შეფასდეს „ფაქტები“ და „მოსაზრება“ / „მსჯელობა“. თავის მხრივ, „ფაქტების“ არსებობა დასაშვებად მიიჩნევა მათ დადასტურებას, მაშინ როდესაც „მოსაზრების“ / „შეხედულების“ დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, იგი განეკუთვნება შეხედულებათა თავისუფლების სფეროს და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, „ფაქტისა“ და „აზრის“ გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. ამისათვის უნდა მივმართოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს, რომელიც მინიმალურ სტანდარტს აწესებს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანაცვდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინი-

ჭების სასარგებლოდ“.

თავად აზრის დეფინიცია მოცემულია ზემოხსენებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, „აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა, ხოლო „აზრის“ შემოწმება შეუძლებელია, რამდენადაც იგი განეკუთვნება „გონების სფეროს“, წარმოადგენს აბსოლუტურად დაცულ უფლებას, რომელში ჩარევასაც კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს და მისი მართებულობის კვლევას დღის წესრიგში არ აყენებს. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო მოხსენებით ბარათში გ. ჭ-ის მითითებები, (გამო-

ნათქვამები), როგორცაა „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გაგს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“, წარმოადგენს მხოლოდ მისი ავტორის – გ. ჭ-ის მოსაზრებას, შეხედულებას დასაქმებულის (ი. ქ-ის) ქცევის სტანდარტთან მიმართებაში და თავისი შინაარსით, ემსახურება არა მის გავრცელებას და მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობას, არამედ როგორც წინამდებარე საქმის მასალებითაა დადასტურებული მიზნად ისახავდა შიდასამსახურებრივ რეაგირებას. ამ მიზნითვე გადაეცა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომელმაც გადასცა იგი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურს შესასწავლად და შესაძლო დარღვევების გამოსავლენად. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათის საერთო ტონალობა, მისი შინაარსი და შედეგის მიზანი არ იყო გამიზნული ადრესატის ცილისწამებისაკენ. სადავო მოხსენებით ბარათით მოპასუხეს არ გაუვრცელებია მოსარჩელის მიმართ ცილისწამებულური ინფორმაცია, გამომდინარე იქიდან, რომ მასში მითითებული გამონათქვამები არ წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომლის დანაწესით, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, არამედ მოხსენებით ბარათში დაფიქსირებული გამონათქვამები წარმოადგენს მოპასუხის შეფასებით მსჯელობას, მის შეხედულებას, დამოკიდებულებას პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ დეფინიციაში, რომელიც თავის მხრივ, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში არაერთხელ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და თითოეული ინდივიდის განვითარების უმთავრეს საფუძველს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაშვებული ჩარევის აუცილებლობის არარასებობისას, ნორმით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ „უწყინარი“, „უვნებელი“ გამონათქვამები, არამედ „შეურაცხმყოფელი“, აღმაშფოთებელი“, „შოკისმომგვრელი“ მოსაზრებები. ეს არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები,

რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა (იხ., OTTO PREMINGER INSTITUTE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 20 სექტემბერი, 1994 წელი, განაცხადის №13470/87). ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი პრინციპული პოზიცია სასამართლომ უფრო ადრე დააფიქსირა საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (HANDYSIDE v. UNITED KINGDOM, სტრასბურგი, 07 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72).

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ ბარათში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახულია მხოლოდ მოპასუხის აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის მიზანი, რომელმაც განაპირობა ამგვარი შინაარსის მოხსენებითი ბარათის შედეგენა, რომელსაც ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა არა დასაქმებულ ი. ქ-ის დისკრედიტაცია, არამედ – დასაქმებულის მიერ კომუნიკაციის სტანდარტების დარღვევისადმი შიდასამსახურებრივი რეაგირება, რაც დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე ეკისრებოდა კიდევაც მენეჯერს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათში გამოთქმული მოსაზრებები ვერ შეფასდება ი. ქ-ის პატივისა და ღირსების შემლახველად. უფრო მეტიც, 2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა რა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს, ზოგიერთი მათგანი გაიზიარა, ზოგიერთი კი, – არა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, არ არსებობს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სსიპ იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით შეილახა მისი პატივი და ღირსება, მოხდა მისი დისკრედიტაცია საფუძველს მოკლებულია. მით უფრო

იმ პირობებში, როდესაც ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას საფუძვლად დაედო არა გ. ჭ-ის მიერ შედგენილი სადავო მოხსენებითი ბარათი, არამედ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ხელშეკრულების ვადის გასვლა).

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს თუ აზრს სამართლის საკითხს წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი კვალიფიკაციაც სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. როგორც უკვე აღინიშნა, გავრცელებული განცხადება არ წარმოადგენდა რა ცილისწამებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ არ არსებობს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა

განჩინება

№ას-53-49-2017

7 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების
უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 03 აპრილს სსიპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – თ-ის ნ. ს-ის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივმა (სულ 33 პირი) (შემდეგში: კოლექტივი) ერთობლივი განცხადებით (შემდეგში წერილი) მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდეგში: სამინისტრო).

2. წერილის შინაარსის მიხედვით, მისი წარდგენა განპირობებულია სასწავლებლის ყოფილი დირექტორის – ვ. კ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) პროვოკაციული ქმედებით, რაც მიმართული იყო სასწავლებლის მოქმედი დირექტორის წინააღმდეგ. პროვოკაციის მიზანი იყო აგრეთვე დესტაბილიზაციის და არეულობის შექმნა კოლექტივში. მოსარჩელემ სასწავლებლის დირექტორად დანიშვნის დღიდან რეორგანიზაციის მოტივით სამსახურიდან გაათავისუფლა ყველა თანამშრომელი. მან თავიდანვე აიღო გეზი, რომ კოლექტივი გამოეყენებინა პირადი მიზნებისათვის. 2007 წელს სასწავლებლის სუბსიდიებიდან შეიძინა 5176 ლარად ღირებული ხმის ჩამწერი აპარატურა, როდესაც სასწავლებლის ფუნქციონირებისთვის მისი შეძენა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. აღნიშნული აპარატურა მან გადაიტანა და ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში თანამშრომლების მხრიდან პროტესტის გამოთქმამდე, რასაც დირექტორის მხრიდან მოჰყვა რეპრესიები, რეორგანიზაციის სახით. ამასთან, ის არაკეთილგანწყობას იჩენდა თანამშრომლების მიმართ და მათ აყენებდა შეურაცხყოფას. იმუქრებოდა სამსახურიდან განთავისუფლებით. წერილში გა-

მოთქმულია ეჭვები მისი დირექტორობის პერიოდში შესაძლო ფინანსურ დარღვევებზე. წერილში მითითებულია, რომ 2009 წლიდან ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ ყოფილმა დირექტორმა დაიწყო ინტრიგები მის მიმართ და პროვოკაციული ქმედებები. თავიდან მის ქმედებებს არ ექცეოდა ყურადღება, თუმცა ბოლო დროს მის დაუმთავრებელ პროვოკაციებს მოჰყვა კოლექტივის აღშფოთება, რამაც ასევე შეაფერხა სასწავლებლის საქმიანობა. კოლექტივი გმობს ყოფილი დირექტორის ქმედებებს და ითხოვენ გამოინახოს შესაბამისი მექანიზმი ამ შემოტევების დაუყოვნებლივ აღსაკვეთავად.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ წერილში მითითებული ცილისმწამებლური ფაქტებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით.

4. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე მისი პატივისა და ღირსებისა შელახვად მიიჩნევს წერილში აღნიშნულ ცილისმწამებლურ შემდეგ გამონათქვამებს: 1) „მან თავიდანვე აიღო გეზი, რომ კოლეჯი გამოეყენებინა პირადი მიზნებისათვის“; „საინტერესოა, რომ მან ეს აპარატურა 2007 წლის 05 მაისს გადაიტანა თავის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ინახებოდა 2007 წლის 10 დეკემბრამდე. როდესაც თანამშრომლების მხრიდან გამოითქვა პროტესტი, რადგანაც ამ აპარატურის შექმნის გამო ეჭვქვეშ დადგა საშვებულებოს ანაზღაურება, დირექტორის მხრიდან კოლექტივის მიმართ დაიწყო რეპრესიები“; 3) „საგუნდო კაპელა, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სასწავლებელს, კ-ის უკანონო ქმედებების გამო გადავიდა თ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში“; 4) „ყველა „სიკეთესთან“ ერთად ყოფილი დირექტორი შეურაცხყოფას გვაყენებდა თანამშრომლებს, გვინოდებდა „დაქირავებულებს“ და ხმის ამოდების შემთხვევაში გვემუქრებოდა სამსახურიდან გათავისუფლებით“; 5) „ცალკე შესწავლის საგანია მისი ამორალური ქმედებები კოლეჯის მოსწავლეებთან“; „ეს არის მხოლოდ მოკლე ჩამონათვალი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც მოსარჩელის დირექტორობის წლებში ხდებოდა“.

5. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხავ შედავებაში მიუთითეს, რომ ერთობლივ განცხადებაში მოყვანილი გამონათქვამები წარმოადგენს მის ავტორთა მოსაზრებებს, შეფასებას.

6. თ-ის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 მარტის განწყვეტილებით სარჩელი პატივისა და ღირსების შემლახავი ცილისმწამებლური ფაქტების უარყოფის შესახებ არ დაკმაყოფილებულა.

ფილდა. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა.

8. განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად კასატორი ასახელებს საქმის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ. სახელდობრ, კასატორი მიუთითებს, რომ მან მოითხოვა განსჯადობის დაცვით საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა, რაზედაც უარი ეთქვა, როგორც რაიონულ ისე, სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვის დროს. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ წერილი შედგენილია ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების – თ-ის ნ. ს-ის სახელობის სამუშაო სასწავლებლის ხელმძღვანელისა და მისი თანამშრომლების მიერ, რითაც სასამართლომ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემას, თუმცა, მისი მოსაზრებით, გაუგებარია თუ რატომ ეთქვა მას უარი საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვაზე.

9. თავისი პოზიციის გასამყარებლად კასატორი უთითებს სუს 2009 წლის 22 ოქტომბრის №ას-711-1012-09 განჩინებაზე, რომელშიც საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „თუ მხარე ედავება გ. გ-ს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელს და არა როგორც ფიზიკურ პირს. გ. გ-ი არ შეიძლება გამოდიოდეს მხარედ როგორც ფიზიკური პირი და შესაბამისად საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ.“

10. კასატორის შემდეგი პრეტენზია დავის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენებაში მდგომარეობს, სახელდობრ, სასამართლომ არასწორად გამოიყენა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული „აზრისა“ და „ფაქტის“ გამიჯვნისათვის მინიმალური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი გონივ-

რული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ და არ გამოიყენა ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს სიტყვის გამოხატვის თავისუფლებაზე.

11. სასამართლომ მართალია გამოიყენა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, მაგრამ სრულყოფილად არ დაადგინა და არ შეაფასა მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, დადგენილი უნდა ყოფილიყო ცილისწამებისათვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის არსებობა, სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიული საზოგადოებაში, სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდეგში: კონვენციის) მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული მიზნების მიღწევისათვის სარჩელის მიზანი სწორედ ამ ნორმით აღიარებული პირის პატივისა და ღირსების დაცვაა.

12. სასამართლოს არ დაუდგენია სადავო შინაარსის წერილის წარდგენა ემსახურებოდა თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სიკეთეების დასაცავად ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს ან ემსახურებოდა თუ არა იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა სხვა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა.

13. სასამართლოს არ დაუდგენია რომელი ფაქტების შესწავლას ითხოვენ წერილის ავტორები სამინისტროსგან: ეს არის მოსარჩელის კოლეჯში მუშაობის პერიოდში მითითებული ფაქტები, თუ მოსარჩელის კოლეჯიდან წამოსვლის შემდეგი პერიოდი (19/09/2009წ.).

14. კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს წერილის შემდეგი სადაო გამონათქვამების მიმართ: ა) „მან თავიდანვე აიღო გეზი, რომ კოლეჯი გამოეყენებინა პირადი მიზნებისათვის; ბ) „საინტერესოა, რომ მან ეს აპარატურა 2007 წლის 05 მაისს გადაიტანა თავის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ინახებოდა 2007 წლის 10 დეკემბრამდე. როდესაც თანამშრომლების მხრიდან გამოითქვა პროტესტი, რადგანაც ამ აპარატურის შეძენის გამო ეჭვქვეშ დადგა საშვებულებოს ანაზღაურება, დირექტორის მხრი-

დან ჩვენს მიმართ დაიწყო რეპრესიები; გ) „საგუნდო კაპელა, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სასწავლებელს, კ-ის უკანონო ქმედებების გამო გადავიდა თ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში“; დ) „ყველა „სიკეთესთან“ ერთად კ-ი შეურაცხყოფას გვაყენებდა თანამშრომლებს, გვიწოდებდა „დაქირავებულებს“ და ხმის ამოდების შემთხვევაში გვემუქრებოდა სამსახურიდან განთავისუფლებით“; ე) „ცალკე შესწავლის საგანია ის ამორალური ქმედებები კოლეჯის მოსწავლეებთან“; ვ) „ეს არის მხოლოდ მოკლე ჩამონათვალი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც კ-ის დირექტორობის წლებში ხდებოდა“.

15. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ურთიერთნინაალმდგობრივია, სახელდობრ, ერთს მხრივ, გაზიარებულია პირველი ინსტანციის მიერ პ: 3.2-ში დადგენილ გარემოება, რომელიც ეფუძნება თელავის რაიონული სასამართლოს არასწორად გადმოცემულ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დაფიქსირებულ მოპასუხეთა პოზიციას, თითქოს 2013 წლის 03 აპრილის №20 წერილის ავტორები სამინისტროსაგან ითხოვენ დახმარებას, რომ სამინისტრომ შეისწავლოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და დაეხმაროს მათ სასწავლებელში არსებული პრობლემის მოგვარებაში, თუმცა არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს აღნიშნულთან დაკავშირებით არ დაუდგენია რომელი პერიოდის ფაქტების შესწავლაზეა საუბარი. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლო განჩინების 4.1 ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებაში დადგენილად მიიჩნევს, რომ კოლექტივმა (33 პირი) 2013 წლის 03 აპრილის წერილით მიმართა მინისტრს, რომლის მოთხოვნა არის გამოინახოს შესაბამისი მექანიზმი მოსარჩელის შემოტყვევების დაუყოვნებლივ აღსაკვეთად, რაც უკვე წარმოადგენს სინამდვილეს და ვეთანხმებით, რადგან ეს დასტურდება 2013 წლის 03 აპრილის №20 წერილის მოთხოვნით, ციტატის დასაწყისი „ვფიქრობთ, რომ სასწრაფოდ უნდა გამოინახოს რაიმე მექანიზმი, რათა დაუყოვნებლივ იქნას შეჩერებული მოსარჩელის შემოტყვევები“ – ციტატის დასასრული. აღნიშნულით დადასტურა სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელის პოზიცია, რომ სადაო განცხადების ავტორები ითხოვდნენ არა მოსარჩელის კოლეჯში მუშაობის პერიოდზე განხორციელებული ფაქტების შესწავლას, არამედ მოსარჩელის კოლეჯიდან წამოსვლის შემდეგ (19/09/2009წ) განვითარებული მოვლენების შესწავლას. ორი პუნქტის ნინაალმდგობა განპირობებულია იმ საფუძვლით, რომ თუ ერთი მხრივ, სააპელაციო სა-

სამართლომ გამოიკვლია კოლექტივის მოთხოვნა და დაადგინა, რომ მათი მოთხოვნა არა მოსარჩელის კოლექში მუშაობის პერიოდზე განხორციელებული ფაქტების შესწავლა, არამედ მისი კოლექტივიდან წამოსვლის შემდეგ (19/09/2009წ) განვითარებული მოვლენების შესწავლა და სასწრაფოდ იმ მექანიზმის გამოწახვა, რითაც შეჩერებული იქნება მოსარჩელის შემოტყვევები, მაშინ რომელ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით ადგენს სააპელაციო სასამართლო იმ სადავო ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს თავად არ გაუმიჯნავს და დაუდგენელია თუ რომელი პერიოდის ფაქტების შესწავლას ითხოვს კოლექტივი.

16. სააპელაციო სასამართლო პ:4.1-ით თავად ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ გარემოებას, რომ სადაოდ ქცეული გამონათქვამები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას (აზრს), ვინაიდან თვითონვე ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე (და არა მოსაზრებაზე), რომ ციტატის დასაწყისი: „საგულისხმოა, რომ ხმის ჩამწერი სტუდიური აპარატურის საკუთარ სახლში დროებით შენახვის ფაქტს არ უარყოფს აპელანტი“. იმავდროულად, კასატორი მიუთითებს, რომ სადაოდ იქცა არა სახლში შენახვის ფაქტი, არამედ ამ აპარატურის სახლში შენახვის ვადის ხანგრძლივობაზე გავრცელებული არასწორი ცნობა.

17. სადავო გამონათქვამების „აზრის“/„შეფასების“ სფეროსა თუ „ფაქტების“/„განცხადების“ სფეროსადმი მიკუთვნების ნაწილში არასწორი სამართლებრივი შეფასების გასამყარებლად, კასატორი მიუთითებს სუსგ №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი; საქმე №ას-1332-1258-2012, 23 აპრილი, 2014 წელი. აგრეთვე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგ გადაწყვეტილებებზე: ჯერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ; ალვეს კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ; დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო პალატის ქვემოთ მითითებული მოსაზრებებითა და სამართლებრივი საფუძ-

ვლებით:

20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უზინარეს საფუძველს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოფლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოაწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა ნანამდღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ ნანამდღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

21. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

22. სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძველად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იძლევა დასკვნის შესაძლებლობას მასზედ, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოიცავს დათქმას სპეციალურ კანონზე [ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან] – „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონზე (შემდეგში: სპეციალური კანონი). სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვი-

ხელმძღვანელოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით, რომელიც წარმოადგენს პატივისა და ღირსების სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმას და საბოლოოდ, ქმნის საკითხის სამოქალაქო კოდექსით განწყვეტის წინაპირობას.

23. რაც შეეხება საკვლევ საკითხს ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, საგულისხმოა, რომ ფაქტის ნაწილის კვლევისას საქმის განმხილველმა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ შეისწავლა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება (განჩინების პ:4) – სამუსიკო სკოლის თანამშრომლების (მოპასუხეები) ერთობლივი წერილი, რომელიც მოპასუხეთა მიერ გაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და რომლის შინაარსიც მოსარჩელის მოსაზრებით, ლახავს მის პატივსა და ღირსებას (განჩინების პ:3).

24. საკასაციო საჩივრის შინაარსის ძირითად პრეტენზიასაც სწორედ ზემოაღნიშნული მტკიცებულების – წერილის შინაარსის არასწორი სამართლებრივი შეფასება წარმოადგენს. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მიაკუთვნა რა წერილში მითითებული ინფორმაცია მის ავტორთა „აზრის“, „შეფასებითი მსჯელობის“ სფეროს, ხელოვნურად გამოიყვანა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის დაცვის სფეროდან (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

25. ზოგადი წესის მიხედვით, მოთხოვნის დასაბუთებულობის შემოწმებას, სასამართლო იწყებს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენელ სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გადანაწილებით. საგულისხმოა, რომ დიფამაციის საქმეებში მტკიცების ტვირთი რეპუტაციაშელახული პირის მხარეზეა [მტკიცების სტანდარტი]. თუმცა, განსახილველი დავის თავისებურების გათვალისწინებით, პირველყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ფაქტების მითითების ტვირთზე და იმის მიხედვით, იძლევა თუ არა დასადგენი გარემოებების წრე, თუნდაც თეორიული თვალსაზრისით, დადასტურების შესაძლებლობას, გადანაწილდეს მხარეთა შორის მათი დამტკიცების ტვირთი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევს სადავო წერილის შინაარსს, მასში მითითებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობას, აღნიშნულს აფასებს ცილისწამედ. ყოველივე აღნიშნული კი, ეროვნული თუ პრეცედენტული სამართლის მიხედვით საჭიროებს იდენტიფიკაციას იმის მიხედვით, განეკუთვნებიან ისინი „ფაქტის“/ „განცხადების“ სფეროს, თუ წარმოადგენს მარტოოდენ მათ ავტორთა „აზრის“/„შეფა-

სებითი მსჯელობის“ ნაწილს. სპეციალური კანონი, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა“ (პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა [მე-13 მუხლი],

26. ვინაიდან დამტკიცების თვალსაზრისით სპეციალური კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს „აზრისა“ და „ფაქტის“ სფეროს, და აზრს, როგორც გონებითი სფეროს რეზულტატს/ შედეგს დამტკიცებასავალდებულო ფაქტობრივ გარემოებათა წრიდან გამორიცხავს, ამიტომ, ვიდრე სადავო წერილის შინაარსის სინამდვილესთან შეუსაბამობის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისა და მათი დამტკიცების ვალდებულებაზე იმსჯელებს საკასაციო პალატა უნდა გაირკვეს სადავო წერილის შინაარსის – სადავო გამონათქვამების ფაქტის სფეროსთან რელევანტურობა და მაშასადამე, მათი დამტკიცების პროცესუალური სავალდებულობა.

27. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე მისი პატივისა და ღირსებისა შელახვად მიიჩნევს წერილში აღნიშნულ ცილისმწამებლურ შემდეგ გამონათქვამებს : 1) „მან თავიდანვე აიღო გეზი, რომ კოლეჯი გამოეყენებინა პირადი მიზნებისათვის»; „საინტერესოა, რომ მან ეს აპარატურა 2007 წლის 05 მაისს გადაიტანა თავის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ინახებოდა 2007 წლის 10 დეკემბრამდე. როდესაც თანამშრომლების მხრიდან გამოითქვა პროტესტი, რადგანაც ამ აპარატურის შექმნის გამო ეჭვქვეშ დადგა სამკვებულებოს ანაზღაურება, დირექტორის მხრიდან კოლექტივის მიმართ დაიწყო რეპრესიები“; 3) „საგუნდო კაპელა, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სასწავლებელს, კ-ის უკანონო ქმედებების გამო გადავიდა თ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში“; 4) „ყველა „სიკეთესთან“ ერთად ყოფილი დირექტორი შეურაცხყოფას გვაყენებდა თანამშრომლებს, გვინოდებდა „დაქირავებულებს“ და ხმის ამოღე-

ბის შემთხვევაში გვემუქრებოდა სამსახურიდან გათავისუფლებით“; 5) „ცალკე შესწავლის საგანია მისი ამორალური ქმედებები კოლექჯის მოსწავლეებთან“; „ეს არის მხოლოდ მოკლე ჩამონათვალო იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც მოსარჩელის დირექტორობის წლებში ხდებოდა“.

28. იმის გასარკვევად მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში: ევროსასამართლო) პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე: ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობათან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1304-1242-2014, 27 მაისი, 2015 წელი; სუსგ №ას-103-98-2014, 28 ივლისი, 2016 წელი, სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.);

29. საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობა ეხმიანება და სრულ შესაბამისობაშია ე.წ. Case Law- თან. ევროსასამართლომ არაერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში განმარტა თუ რას მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდეგში: კონვენცია) მე-10 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი აზრის გამოხატვის თავისუფლების მასშტაბები და როგორია თავისუფლების ამ სფეროში ჩარევის ობიექტურად და გონივრულად დასაშვები და გამართლებადი ფარგლები. ევროსასამართლომ თავისი პრინციპული პოზიცია ასახა არაერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, რომელშიც განმარტა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა შეფასდეს „ფაქტები“ და „მოსაზრება“/ „მსჯელობა“. თავის მხრივ, „ფაქტების“ არსებობა დასაშვებად მიიჩნევა მათ დადასტურებას, მაშინ როდესაც „მოსაზრების“/„შეხედულების“ დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, იგი განეკუთვნება შეხედულებათა თავისუფლების სფეროს და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82; OBERSCHLICK v. AUSTRIA, სტრასბურგი, 01 ივლისი, 1997 წელი, განაცხადის №20834/92).

30. პრეცედენტული სამართალი მტკიცებას დაქვემდებარებულ ფაქტად საერთოდ არ მიიჩნევს სადავო გამონათქვამების იმ სფეროს, რომელიც „აზრის“/„შეფასებითი მსჯელობის“ კატეგორიაში ექცევა. ამ თვალსაზრისით, არც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებაა ნორმატიულად დასაშვები.

31. თუმცა საგულისხმოა, რომ აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ლინგენსის საქმეშიც გაესვა ხაზი ფაქტისა და ღირებული მოსაზრებების გამიჯვნის სიფრთხილეს და აღინიშნა, რომ „ფაქტის არსებობის დემონსტრირება შეიძლება, ხოლო ღირებული მოსაზრებების დამტკიცება არ ხერხდება“ (იხ., LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82, პარ:46) შესაბამისად, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მათი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი კომპონენტებს მოიცავს, რა მიზნით იქნა გასაჯაროებული ისინი. როგორც ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია განმარტებული, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითებაა, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო

მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

32. სადავო შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეფასდა რა მოსარჩელის მიერ პატივისა და ღირსების შელახვად მიჩნეული წინამდებარე განჩინების 3:29-ში მითითებული გამონათქვამები, მიჩნეული იქნა, რომ ისინი განეკუთვნებოდნენ „აზრის“ „შეფასებითი მსჯელობის“ სფეროს, რაც დაცვის აბსოლიტური პრივილეგიით სარგებლობდა.

33. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, რომ თანამშრომელთა ერთობლივი წერილში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახულია მხოლოდ მოპასუხეთა აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) მოსარჩელის სამსახურეობრივი საქმიანობის, მისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებისა და ქცევის შესახებ და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები მიზანი, რომელმაც განაპირობა ამგვარი შინაარსის წერილის შედგენა და გაგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რასაც ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს რეაგირება მიდამი დაქვემდებარებული სსიპ-ის ხელმძღვანელის საქმიანობაზე და არა მოსარჩელის პიროვნების, ინდივიდის დისკრედიტაცია და შეურაცხყოფა.

34. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატამ იმსჯელა დასაქმებულზე შედგენილ სამსახურეობრივ ბარათში მითითებული გამონათქვამების რაობაზე და დაადგინა, რომ: „სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი სამსახურეობრივი ბარათი წარმოადგენდა არა დასაქმებულის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობას, არამედ – დასაქმებულის მიერ კომუნიკაციის სტანდარტების დარღვევისადმი შედასამსახურებრივ რეაგირებას, რაც დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე ეკისრებოდა კიდევაც მენეჯერს. შესაბამისად, მასში გამოთქმული მოსაზრებები ვერ შეფასდებოდა პატივისა და ღირსების შემლახველად“ (იხ., სუსგ №ას-1304-1242-2014, 27 მაისი, 2015 წელი).

35. საგულისხმოა რომ მოპასუხეების მიერ გამოხატული მოსაზრებები, მათ მიერ გამოყენებული ენა და აღწერები უნდა შეფასდეს არა აბსტრაქტულად, არამედ იმ მონაცემების კუთხით, რომლებიც საქმის არსს წვედება (იხ., *De Haes and Gijssels v. Belgium* (24 თებერვალი, 1997 წელი, განაცხადის №19983/92);

პ:10). შესაფასებელ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო წერილის შინაარსი იძლევა არგუმენტირებული, ლოგიკური და თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველს მასზე, რომ სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა, და წერილის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები აშკარად ასახავს დასაქმებულების არაპოზიტიურ დამოკიდებულებას მათი ყოფილი დირექტორის (ხელმძღვანელის) მიმართ. იმავდროულად, წერილში მითითებული დასაქმებულების პოზიცია ყოფილ დირექტორზე ძნელია შეფასდეს ფაქტის დამტკიცების მცდელობად, არამედ აღნიშნული შეიძლება აღქმული იქნეს მხოლოდ, როგორც მის ავტორთა სუბიექტური დამოკიდებულება, რეაგირება სკოლის მართვის საკითხთან დაკავშირებით.

36. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამ წერილით მისი შემდგენელი პირები მიზნად ისახავდნენ მისი პიროვნების დისკრედიტაციას განათლების სამინისტროში, მის საქციელს ამორალურად მიიჩნევდნენ, რაც მისთვის მიუღებელი და ცილისწამებლურია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის ეს პოზიცია პატივსაცემი და გასაზიარებელია იმ თვალსაზრისით, რომ არ არის პიროვნებისათვის, მით უფრო, სამსახურის ხელმძღვანელისათვის სასიამოვნო. თუმცა, როდესაც საკითხი შეეხება პატივისა და ღირსების, როგორც კანონით დაცული სიკეთის ხელყოფის ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევას, მაშინ კანონმდებელი აბსოლუტური სიზუსტის დაცვას მოითხოვს. ეს მიდგომები გამოიყენება განსაკუთრებით კონვენციის მე-10 მუხლის მიმართ. ჰენდისაიდის საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოსაზრებები „მორალის“ მოთხოვნის შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს და ხასიათდება სწრაფი ცვალეზადობით, ამიტომ მათი შეფასება ეროვნულ სასამართლოებს უკეთ ხელეწიფებათ თავიანთ ქვეყნასთან უწყვეტი კონტაქტის წყალობით (*Handyside v. The UK*. 07 დეკემბერი, 1976 წელი. განაცხადის №5493/72). ასეთ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების წრე (მტკიცების საგანი) და იმის მიხედვით შეიცავენ ისინი ფაქტის დამტკიცების პრეტენზიას თუ წარმოადგენენ მხოლოდ მის ავტორთა დამოკიდებულებას, მიეცეს კვლევის შესაბამისი მიმართულება. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო წერილის შინაარსის შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მასში მითითებული ინფორმაცია საფუძვლად ვერ დაედება მის გაიგივებას „ფაქტის“ საკითხთან. ვინაიდან, როგორც აღინიშნა, იგი წარმოადგენს დასაქ-

მებუღი პირების, კოლექტივის წევრების დამოკიდებულებას ყოფილი დირექტორის მიმართ. აღნიშნული ვერ იქნება აღქმული ვერც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში სსიპ-ის ყოფილ დირექტორზე ინფორმაციული თავდასხმის მცდელობად, რადგან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს თავადაც ევალება კონტროლი და ზედამხედველობა მისდამი დაქვემდებარებული სსიპ-ისა და მისი ხელმძღვანლობის საქმიანობაზე. შესაბამისად, მხოლოდ სხვა პირთა მიერ ამა თუ იმ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს დირექტორის საქმიანობის შეფასებისათვის იურიდიული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება.

37. კასატორის პრეტენზიის დასაბუთებას ვერ ამყარებს ვერც კასატორის მიერ მოხმობილი სასამართლო პრაქტიკა, სახელდობრ, ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელსაც კასატორი მოიხმობს და რომელშიც, ეროვნულმა სასამართლომ დადგინა პატივისა და ღირსების შელახვა, შეეხებოდა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ პიროვნებას, ცნობილ ქართველ მსახიობს, რომელზედაც საგაზეთო პუბლიკაციაში დაიბეჭდა ცილისმწამებული ფაქტები ამორალურ ქმედებებში მისი ბრალდების შესახებ (იხ., სუსგ №ას-1332-1258-2012, 23 აპრილი, 2014 წელი), რაც კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით შემხებლობაში ამკარად არ არის.

38. ვერც ევროსასამართლოს იმ გადაწყვეტილებებშია შეფასებული განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზედაც კასატორი უთითებს და საკასაციო პრეტენზიის დაკმაყოფილების სამართლებრივ და პრაქტიკულ საფუძვლად მიჩნევს: ერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ; ალვეს კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ; დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

39. ამდენად, კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში *De Haes and Gijssels v. Belgium* (24 თებერვალი, 1997 წელი, განაცხადის №19983/92) მომჩივანებს წარმოადგენდნენ ყოველკვირეული ჟურნალ „ჰუმოს“ რედაქტორები, რომლებმაც მათ მიერ გამოქვეყნებულ 5 სტატიის მიკაცრად გააკრიტიკეს ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, იმ საქმის გამო, რომლის განხილვის შედეგად ბავშვზე მეურვეობა მიანიჭეს მამას. სააპელაციო სასამართლომ მათ დააკისრა სარჩელით მოთხოვნილი ნომინალური ჯარიმა – 1 ფრანკი, დაავალა ცნობების უარყოფა და მიანიჭა სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების უფლება. ამ საქმეში იდგა საკითხი, ჰქონდათ თუ არა უფლება მოპა-

სუხეებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფაქტების საფუძველზე და პრესის თავისუფლების ფარგლებში, გამოექვეყნებინათ სასამართლო ორგანოს ფუნქციონირებისათვის სადავოდ გამხდარი კრიტიკა... სადავო სტატიებში მოპასუხეები ეყრდნობოდნენ კონკრეტულ სამედიცინო დასკვნებს, მხარეების მიერ წარმოდგენილ განცხადებებსა და გარკვეულ პირთა მოხსენებებს. ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით სასამართლო საქმეებში, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორები და საუკეთესო სპეციალისტებიც კი ერთმანეთს არ ეთანხმებიან, მით უფრო დიამტერალურად განსხვავებულია შეხედულება, როდესაც საკითხი შეეხება ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის სფეროს, თუმცა, ჟურნალისტიკა უმჯობესია თავი შეიკავოს არაობიექტურობაში მოსამართლის დადანიშნულებისაგან, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება... მოსამართლის სტატუსი რადიკალურად განსხვავებულია სახელმწიფო მოხელისა და პოლიტიკოსის სტატუსისაგან. პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, მოსამართლე საკუთარი თავის გამართლების მიზნით ვერ გამართავს საჯარო პოლემიკას იმ საქმის შესახებ, რომელიც უნდა განიხილოს (განჩინების პ: 14. განსოფ ვან დერ მერსკის სიტყვა – საკასაციო სასამართლოს ყოფილი მთავარი სამეფო მრჩეველი). ამ საქმეში, ევროსასამართლომ ისმჯელა პრესის თავისუფლების საზღვრებზე და აღნიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლების როლის მიუხედავად, მათ არ უნდა გადააბიჯონ გარკვეულ ფარგლებს, განსაკუთრებით სხვათა უფლებებთან და რეპუტაციასთან დაკავშირებით. მის მოვალეობას წარმოადგენს მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცემა საზოგადოებისათვის ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხზე, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ჩათვლით. სასამართლოები – სამართლის გარანტები, რომლებსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სახელმწიფოში, სადაც კანონის უზენაესობაა, საზოგადოების ნდობით უნდა სარგებლობდნენ. შესაბამისად, ისინი დაცული უნდა იქნენ დესტრუქციული და უსაფუძვლო თავდახმებისაგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს აკისრიათ კეთილგონიერების მოვალეობა, რაც მათ არ აძლევს კრიტიკაზე რეაგირების საშუალებას (De Haes and Gijssels v. Belgium (24 თებერვალი, 1997 წელი, განაცხადის №19983/92), პარაგრაფი 14).

40. იერუსალემის საქმეში, რომელსაც კასატორი თავის არგუმენტის გასამყარებლად ეყრდნობა, მომჩივანი ქალბატონი სუზანა იერუსალემი დავობდა მასზედ, რომ სასამართლოს ბრძა-

ნება უკრძალავდა მას გარკვეული განცხადებების გამეორებას, რითაც ირღვეოდა მისი გამოხატვის თავისუფლება. მუნიციპალურ საბჭოში, დებატებისას, მისი გამოსვლის ტექსტში, რომელიც ეხებოდა ასოციაციებისთვის სახელმწიფო სუბსიდიების გაცემას, განმცხადებელმა მკაცრად გააკრიტიკა ორი ასოციაცია, დაახასიათა რა ისინი, როგორც „სექტები“, რომლებაც ჰქონდათ „ტოტალიტარული ხასიათი“ და „ფაშისტური ტენდენციები“. რეგიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რითაც ქალბატონ იერუსალემს ეკრძალებოდა ამ განცხადებების გამეორება. ევროსასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეულ იქნა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან მომჩივანი იყო არჩეული პოლიტიკოსი და გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების არჩეული წარმომადგენლებისთვის. სადავო განცხადებები გაკეთდა პოლიტიკური დებატების ჩრიაში. ფორუმი შესაძლებელი იყო შედარებოდა პარლამენტს, რადგან საჯარო ინტერესი ეხებოდა მონანილეთა გამოხატვის თავისუფლების დაცვას. სასამართლომ მომჩივანის განცხადებები მიიჩნია, როგორც „შეფასებითი მსჯელობები“ და გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მან წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები, რომელიც რელევანტური იქნებოდა იმის საჩვენებლად, რომ აღნიშნული შეფასებითი მსჯელობები სამართლიან განმარტებებს შეადგენდა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა შეუძლებელია შესასრულებლად და თავისთავად არღვევს აზრის გამოთქმის თავისუფლებას, რომელიც ფუნდამენტური ნაწილია კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლებისა (Jerusalem v. Austria 27 მაისი, 2001 წელი, განაცხადი №26958/95).

41. თვალსაჩინოა, რომ კასატორის მიერ მოხმობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროსასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ანდა მათ მიერ გაკეთებული სამართლებრივი მსჯელობები და დასკვნები არ ეხმიანება კასატორის პოზიციას. პირიქით, იერუსალიმის საქმეში დადგინდა, რომ სადავო გამონათქვამები პოლიტიკოსის მიერ საჯარო დებატებში გამოთქმული აზრის სფეროს განეკუთვნებოდა, რაც დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობდა და მის დადასტურებას შეუძლებლად მიიჩნევდა. დე ჰაესის საქმეში კი, საქმე პრესის თავისუფლებასა და ყურნალისტის კეთილგონიერების მასშტაბებს შეეხებოდა და სასამართლოს არაობიექტურობაში დადანაშაულებისაგან თავის შეკავებისაგან მოუწოდებდა.

42. ზემოაღნიშნულიდან საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს შეფასების კრიტერიუმსა და მეთოდებს, რომელიც ევროსასამართლომ აღნიშნა ლინგენსის საქმეში: „გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელების საზღვრები უნდა გაანალიზირებულ იქნეს მთელი ფაქტობრივი საფუძვლის კონტექსტში, მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარ წერილთან ერთად და იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი დაინერა“ (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82, პ:40). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხეთა წერილის შინაარსი არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, არ არსებობს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული აუცილებელი პირობაა გავრცელებული განცხადების შეფასებისთვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს თუ აზრს სამართლის საკითხს წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი კვალიფიკაციაც სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული. როგორც უკვე აღინიშნა, წერილი არ წარმოადგენდა რა ცილისწამებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ არ არსებობს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

43. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას განსჯადობის (მხე-

დეველოპაშია საგნობრივი განსჯადობა) დარღვევასთან მიმართებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულს არ გააჩნია ვარგისი საპროცესო და მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის დავის საგანია პატივისა და ღირსების შემლახელი ცნობების უარყოფა და გამოსაყენებელი სამართლის ნორმას, როგორც ზემოთ აღინიშნა (განჩინების პ: პ;22), წარმოადგენენ კერძო სამართლის შემდეგი ნორმები: სსკ-ის მე-18 მუხლი და სპეციალურ კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. იმავდროულად, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით დავა განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას და კასატორის არგუმენტი, რომ სადავო წერილი შედგენილია ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი თანამშრომლების მიერ (განჩინების პ:8) ვერ აქცევს მას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯად დავად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის
შემლახავი ცნობების უარყოფა**

განჩინება

№ას-625-593-2014

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაეური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 2 ნოემბერს, დილის 10 საათსა და 38 წუთზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე გავიდა გადაცემის „ბრიფინგის დრო“ ჩანაწერი, რომელიც 2012 წლის 1 ნოემბრით თარიღდებოდა. აღნიშნულ ბრიფინგზე ადვოკატი ზ. თ-ამ (შემდგომში „მოპასუხე“) გააკეთა განცხადება, რომლის სადავო ნაწილი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„... მესამე მოწმე ასევე ძალიან მნიშვნელოვან ჩვენებას მაძლევს ი. დ-ის მიმართ კონკრეტული დაინტერესების ნაწილში. ეს გახლავთ ყოფილი პარლამენტარი პ. ჩ-ი, რომელსაც გამოსცალეს 10 000 დოლარი საადვოკატო კომპანია სპს „გ“-მ, არის ასეთი, რომელიც დაპირდა ი. დ-ის საქმის მოგვარებას ზ. ა-თან. პირდაპირ აცხადებს, რომ ამ კომპანიაში მიიყვანა ნაცნობმა და უთხრა: „ამ საქმეს მოგიგვარებს ეს კომპანია, მხოლოდ ადვოკატი ზ. თ-ა უნდა იქნას საქმიდან ჩახსნილი სასწრაფოდ. მას უნდა გადაუხადო პირველ ეტაპზე 10 000 დოლარი და მოაგვარებს საქმეს ძალიან მალე“. ამ ადამიანმა თავისი ახლობლის მიწის ნაკვეთი იპოთეკით დატვირთა, ისევე ამ კომპანიამ დაატვირთინა სხვათა შორის, გამოატანინა 10 000 დოლარი, ჩაიდეს ეს 10 000 დოლარი ჯიბეში, დაუნიშნეს თავისი ადვოკატი ვინმე გ. ნ-ა და ამის შემდეგ ეს თანხაც გაქრა და ი. დ-იც უკვე წელიწადი და მე-7 თვეა პატიმრობაში იმყოფება, ხოლო ეს ადვოკატი, რომელიც მათ ჩემს ნაცვლად ჩანაცვლეს, ამ ადვოკატისა და პროკურორის ხელმძღვანელობით ი. დ-ი გამოყვანილ იქნა გლდანის საპრობილიდან 2011 წლის 8 ნოემბერს და ყავდათ ფინანსური პოლიციის შენობაში, სამმართველოს უფროსის, მ. ტ-ის

კაბინეტში, სადაც ფსიქოლოგიური ზენოლით აიძულებდნენ, რომ ეთქვა შემდეგი შინაარსის ჩვენება, რომ მან თითქოს 250 000 დოლარი ქრთამის სახით გადასცა აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს, თ. პ-ეს. ამ ადამიანის დასახელებას სთხოვდნენ კონკრეტულად. არ თქვა ადამიანმა არაფრით, მარტო გვარი გამიგია, არანაირი შეხება არ მქონიაო. რომ გავაანალიზოთ ეს, უნდა ითქვას, რომ ი. დ-ის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ დ. ა-ას მარჯვენა ხელია თ. პ-ე. იმ შემთხვევაში, თუ ი. დ-ი ამ ჩვენებას მისცემდა, სასწრაფო ზომებით იქნებოდა თ. პ-ე დაპატიმრებული და დაბომბილი, ასე ვთქვათ. ი. დ-ი კი უნდა მიეყვანათ გლდანის საპრობილეში. ეს გლდანის საპრობილე, იცით, საკუთრება იყო დ. ა-ასი. მეორე დილით, საკნის ტუალეტში იქნებოდა ი. დ-ი ზენრით ჩამოხრჩობილი, თითქოს თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. აი ამ თამაშს თამაშობდნენ ეს თავხედი ბატონები, მაგრამ ღვთის წყალობით, როგორც ი. დ-ი მიყვება დღეს, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დაურეკა ო-ეს და სთხოვა შეენყვიტა საუბარი ი. დ-თან და ამის შემდეგ ჩასვეს ისევ მანქანაში და დააბრუნეს საპრობილეში. ამ საუბარში, განსაკუთრებით აქტიურობდა, როგორც ი. დ-ი მიცხადებს, მისი ადვოკატი გ. წ-ა, რომელიც ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი იყო სულ რამდენიმე თვის წინ მანამ, სანამ დაიწყებდა საადვოკატო საქმიანობას და გახდებოდა ამ სპს „გ“-ს ადვოკატი“.

2. 2013 წლის 11 მარტს სპს-მ „გ“ (შემდგომში „მოსარჩელე“, „აპელანტი“, „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლების საფუძველზე და მოითხოვა მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის იმავე ფორმით [საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის საშუალებით] საჯაროდ უარყოფა. კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე ადვოკატმა განცხადოს, რომ: „2012 წლის 1 ნოემბერს ჩატარებულ ბრიფინგზე, მან არასწორი ინფორმაცია გავრცელა. სრულიად უსაფუძვლოდ მოიხსენია მოსარჩელე იურიდიული კომპანია კლიენტისათვის თანხის გამოძალველად და ამ თანხის მიმთვისებლად. მან უნდა უარყოს მისი სიტყვები და განმარტოს, რომ ეს კომპანია არ ახდენდა კლიენტზე ზენოლას; ფირმას არ გამოუძალავს 10 000 აშშ დოლარი და ეს თანხა წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს, რომ ფირმა არ გამქრალა საქმიდან და კეთილსინდისიერად ასრულებდა მის მოვალეობებს, რომ კომპანია არა-

ნაირ კავშირში არააა ხსენებული პ. ჩ-ის მიერ მიწის დაყადაღების საქმესთან“.

3. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე ადვოკატმა, დაარღვია რა ადვოკატთა პროფესიული ეთიკისა და ზნეობის ნორმები, შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია ისეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, რომლებიც არ არის დადასტურებული, რითაც განზრახ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. მოსარჩელის მითითებით „გამოძალვის“ ფაქტზე საუბრისას მოპასუხეს, როგორც მინიმუმ, ხელთ უნდა ჰქონოდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რითაც დადასტურებული იქნებოდა დანაშაული – გამოძალვის ჩადენა. მოპასუხემ ასევე დაარღვია სამართლის ის ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფიცია ჰქვია.

4. მოსარჩელის განმარტებით, მოსარჩელე და მოპასუხე ერთდროულად იცავდნენ ი. დ-ის (შემდგომში „დაცვის ქვეშე მყოფი პირი“) ინტერესებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში. თანხა, 10 000 აშშ დოლარი, რომელზეც მოპასუხე ბრიფინგზე საუბრობს, წარმოადგენს მოსარჩელე კომპანიის საადვოკატო მომსახურების საზღაურს და არა „გამოძალაულ“ თანხას. აღნიშნული თანხა მითითებულია საადვოკატო მომსახურების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ასევე, არასწორია ინფორმაცია, თითქოს მოსარჩელე იურიდიული კომპანია, თანხის აღების შემდეგ „გაქრა“ საქმიდან, ვინაიდან ფაქტია, რომ მოსარჩელე საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძობდა დაცვის ქვეშე მყოფი პირის ინტერესების დაცვას. აღნიშნულის შესახებ კარგად იცოდა მოპასუხემ, ამიტომ მის მიერ განზრახ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეიცავს არასწორ ფაქტებს მოსარჩელის შესახებ, წარმოადგენს ცილისწამებას.

5. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. მოპასუხემ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ ცილისწამებად აღქმული ინფორმაცია გამოკითხვის ოქმის სახით მოიპოვა მონმე პ. ჩ-ისაგან (შემდგომში „მონმე“). მისი დაცვის ქვეშე მყოფ პირზე განხორციელებული ზეწოლისა და სხვა უკანონო ქმედებების შესახებ მას ბრიფინგის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მიმართული ჰქონდა მთავარი პროკურატურისადმი.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მო-

სარჩელემ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებასთან ერთად საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ:

9.1. ბრიფინგი გაიმართა ადვოკატ ზ. თ-ას მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურისადმი ი. დ-ის საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართვის მეორე დღეს;

9.2. პროკურატურისადმი მიმართულ განცხადებას თან ერთვოდა ბრიფინგისას ზ. თ-ას მიერ მოხსენიებული მოწმე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმი;

9.3. ადვოკატმა ზ. თ-ამ ბრიფინგი ჩაატარა ი. დ-თან შეთანხმებით, მოწმე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმის საფუძველზე, ასევე პ. ჩ-ისა და თ. დ-ის ზეპირი მონათხრობის გათვალისწინებით.

9.4. ბრიფინგის გამართვისას საზოგადოებაში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობდა და ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ მისაღები დადგენილების განხილვის საკითხი.

9.5. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით ი. დ-ი მიჩნეულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად.

10. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ფაქტების დადგენა არ მომხდარა გავრცელებული განცხადებების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის კუთხით, არამედ სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმეში წარმოდგენილ გამოკითხვის ოქმებზე მითითებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ სწორედ იგივე შინაარსის ჩვენებების გადმოცემას ჰქონდა ადგილი სადავო ბრიფინგის გამართვისას.

11. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2-ე, მე-6, 27.5-ე მუხლებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით და აღნიშნა, რომ

როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით, აღიარებულია სიტყვისა და აზრის ნებისმიერი საშუალებით გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში.

12. სასამართლოს მითითებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. იმავე კანონის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, კერძოდ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს, ამიტომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანედეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

13. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული კატეგორიის დავების სწორად გადანყევებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გაირკვეს სადავო გამონათქვამები მიუკუთვნება ფაქტებს, თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს).

14. სასამართლოს განმარტებით, ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ანესებს მინიმალურ სტანდარტს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანედეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

15. სასამართლომ აღნიშნა, რომ ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია განმცხადებლის მიერ ისეთი ფაქტების მითითება, რომელიც რეალობასთან ახლოა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მათი დამტკიცება შესაძლებელია.

16. განსახილველ შემთხვევაში, პალატის აზრით, დადასტურებადი ფაქტის შემცველ, არსებითად მცდარ და, ამასთან, პირისათვის ზიანის მიმყენებელ ინფორმაციად ვერ განიხილება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმესთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ ბრიფინგზე გაჟღერებული მოსაზრებები, ასევე

მისი, როგორც ადვოკატის მიერ საქართველოს პროკურატურაში წარდგენილ განცხადებასა და მოწმეთა ჩვენებებში მოცემული გარემოებების გადმოცემა. რაც შეეხება სადავო განცხადების იმ ნაწილს, რომელსაც აპელანტი დანაშაულებრივი ფაქტების შემცველ ინფორმაციად მიიჩნევს – „...გამოსძალა 10 000 აშშ დოლარი“... – სასამართლოს დასკვნით ეს განცხადება, მისი კონტექსტის გათვალისწინებით („ჩაიდეს ეს 10 000 აშშ დოლარი ჯიბეში.. „დაუნიშნეს ადვოკატი ვინმე გ. ნ-ა და ამის შემდეგ ეს თანხაც გაქრა და ი. დ-ი პატიმრობაშია“), წარმოადგენდა განმცხადებლის სუბიექტურ აზრს – კომპანიის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ხარისხის შეუსაბამო ღირებულებად შეფასებას და არა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტის მტკიცებას.

17. სააპელაციო პალატის განმარტებით, თავისთავად მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრიფინგის მსვლელობისას გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედების აღმნიშვნელი ტერმინი, გამონათქვამების კონტექსტის გათვალისწინებით, ვერ შეფასდება პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. მოსაზრება, თავისი არსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება ასახავდეს პირის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, თუმცა, აღნიშნული ყოველთვის ფაქტად და მითუმეტეს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად არ უნდა დაკვალიფიცირდეს. გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, ყველა შემთხვევაში, ადგილი აქვს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოებისა თუ პირების მიერ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში ანუ მაშინ, როდესაც ინფორმაცია იმ პირებმა გაამჟღავნეს, რომელთა კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა, კვალიფიკაცია და მსჯავრდება.

18. პალატამ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონის განმარტება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სადავო ბრიფინგის არსი არის შეფასებითი მსჯელობა. სა-

სამართლომ დაასკვნა, რომ სადავო განცხადებების გაკეთებისას, მოპასუხე ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმესთან მიმართებით მიღებულ მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით.

20. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის განცხადება არ შეიცავს მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური, მტკიცებადი ფაქტების შესახებ ცნობებს. განცხადებაში მოცემული გამონათქვამები წარმოადგენს მოპასუხისთვის კონკრეტული, მის მიერ დასახელებული პირების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ, მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, კომენტარებსა და შეხედულებებს, აღნიშნული გარემოება კი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გამორიცხავს მოპასუხისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

21. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საკითხის შესაფასებლად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სადავო ბრიფინგი გაიმართა მოპასუხის მიერ საქართველოს პროკურატურისადმი მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართვის მეორე დღეს, რომელსაც თან ერთვის ბრიფინგისას მოპასუხე ადვოკატის მიერ არაერთხელ მოხსენიებული მოწმის გამოკითხვის ოქმი.

22. პალატის აზრით, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ სადავო ბრიფინგის გამართვისას საზოგადოებაში განსაკუთრებული აქტიულობით სარგებლობდა და ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ მისაღები დადგენილების განხილვის საკითხი. შესაბამისად დასაბუთებული იყო ვარაუდი მასზე, რომ მოპასუხე ადვოკატი სწორედ ამ კონტექსტში ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებს შორის მოაზრებულ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმესთან მიმართებით.

23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

24. კასატორის (მოსარჩელის) მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევით არის გამოტანილი, კერძოდ, გან-

ჩინების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მოცემულია, რომ „ ... განსახილველ შემთხვევაში, დადასტურებადი ფაქტის შემცველი, არსებითად მცდარი და ამასთან პირისათვის ზიანის მიმყენებელ ინფორმაციად ვერ განიხილება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმესთან დაკავშირებით ზ. თ-ას მიერ ბრიფინგზე გავრცელებული მოსაზრებები“. კასატორის აზრით, საგულისხმოა ის, რომ აქ სასამართლო ყოველგვარი სამართლებრივი შეფასებისა და მსჯელობის გარეშე იყენებს სიტყვა „მოსაზრებას“ და არა მაგალითად თუნდაც „განცხადებას“. ასევე, სასამართლო ეხება სადავო განცხადების იმ ნაწილს, სადაც მოპასუხე აცხადებს, რომ „ ... გამოსძალა 10 000 აშშ დოლარი და ... „ – სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს განცხადება, მისი კონტექსტის გათვალისწინებით („ ... ჩაიდეს ეს 10 000 აშშ დოლარი ჯიბეში...“ , „ ... დაუნიშნეს ადვოკატი ვინმე გ. წ-ა და ამის შემდეგ ეს თანხაც გაქრა და ი. დ-ი პატიმრობაშია“), წარმოადგენს განმცხადებლის სუბიექტურ აზრს, კომპანიის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ხარისხის შეუსაბამო ღირებულებად შეფასებისა და არა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტს (გამოძალავას), რადგან როგორც ამას სასამართლო განმარტავს, სისხლის სამართლის დანაშაულის დასჯადი ქმედების აღმნიშვნელი ტერმინის გამოყენება მხოლოდ მაშინ ითვლება უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევად, თუ ამას შესაბამისი კომპეტენციის საჯარო ორგანოები ახორციელებენ, ამიტომ კერძო პირის მიერ ასეთი ქმედება ნებისმიერი კონტექსტით – ფაქტად და მითუმეტეს ცილისწამებად არ უნდა ჩაითვალოს. კასატორის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ერთი და იგივე ტერმინის გამოყენება საჯარო და შესაბამისი კომპეტენციის ორგანოს მხრიდან უნდა ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევად და, როგორც სასამართლო განმარტავს, დადასტურებულ ფაქტად, ხოლო კერძო პირის მიერ მსგავსი ქმედების შემთხვევაში ის უნდა იქნას მიჩნეული „აზრად“ ნებისმიერ შემთხვევაში.

25. კასატორის მითითებით, მაშინაც კი, როდესაც განცხადება უთანაბრდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი გავრცელებული სადავო განცხადებისათვის, რამდენადაც თვით შეფასებითი მსჯელობაც კი, რაიმე ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე შეიძლება იყოს გადაჭარბებული. კასატორის აზრით, გავრცელებული ინფორმაციის საფუძველი არის თავად მოპასუხის მიერ გამოკითხული პირების გამოკითხვის ოქმები, რომლებიდანაც ზოგში არ

არის ან ზოგში საერთოდ საპირისპირო ინფორმაციაა მოცემული, აქედან გამომდინარე, მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადების თუნდაც შეფასებითი მსჯელობად შეფასებისას, ის მაინც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. სასამართლო ასევე არასწორად განმარტავს კანონს, როდესაც გავრცელებულ განცხადებებს: „გამოსძალეს“, „დაატვირთინეს“ არ მიიჩნევს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტად და პირიქით აფასებს, როგორც შეფასებით მსჯელობად და ისეთ გამოხატულებად, რომელიც ასახავს რაიმეს მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას.

26. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, „ფაქტი“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური მოვლენა და საგანი, რომელიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რატომ თვლის სასამართლო, რომ გამონათქვამების – „გამოსძალა 10 000 აშშ დოლარი“ და „დაატვირთინა იპოთეკით“ – სისწორე მხოლოდ პიროვნების სუბიექტურ შეხედულებაზეა დამოკიდებული და არ შეიძლება მისი საპირისპირო მტკიცებულებებით დამტკიცება. სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არ მიიჩნია ვინმე ბ-ის მიწის ნაკვეთის ინტერნეტ აუქციონზე გაყიდვის ფაქტი, ასევე 10 000 აშშ დოლარი არ მიიჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იურიდიული მომსახურების საფასურად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება საქმეში დევს და სხდომაზე დაკითხულმა პ. ჩ-მაც დადასტურა მისი გაფორმების ფაქტი.

27. სააპელაციო პალატამ განჩინების ფაქტობრივ დასაბუთებაში არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია, რომ სადავო განცხადებაში მოპასუხის მიერ მოთქმული ციტატები წარმოადგენდა მის მოსაზრებას, რითაც ის ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმესთან დაკავშირებით და მისი განცხადება არ შეიცავს მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური მტკიცებითი ფაქტების შესახებ ცნობებს.

28. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ განცხადებაში გაჟღერებული ინფორმაცია გაავრცელა მის მიერ მიღებული სწორედ იგივე შინაარსის ჩვენებების საფუძველზე. კასატორის განმარტებით, სასამართლოს ამგვარი მსჯელობა დაუსაბუთებელია, რადგან საქმეში მტკიცებულების სახით არსებულ გამოკითხვის ოქმებში, რომლებსაც მიიჩნევს კიდევ სასამართლო მოპასუხის ინფორმაციის წყაროდ, როგორც სადავო განცხადებაში გაჟღერებული ინფორმაციის იდენტურად, არაფერი მსგავ-

სი არ არის მოცემული. კასატორის განმარტებით, სწორედ ამ გამოკითხვის ოქმებზე დაყრდნობით უნდა მიეცა სასამართლოს სამართლებრივი შეფასება სადავო განცხადებაში გადმოცემული ინფორმაციისათვის.

29. განჩინებაში ნათქვამია, რომ „ზ. თ-ა ახდენს პ. ჩ-ის ჩვენების კონსტატაციას იმის შესახებ, რომ „... პ. ჩ-ს 10 000 დოლარი გამოსძალა საადვოკატო ფირმამ სპს „გ“-მ, ამ გარემოებასთან დაკავშირებით, კასატორი აღნიშნავს, რომ კონსტატაცია ნიშნავს ფაქტის არსებობის ან რაიმესთან შესაბამისობის დადგენას, ამ მხრივ სასამართლოს პოზიცია დაუსაბუთებელია, რადგან გამოკითხვის ოქმში არსად არ არის მოცემული, თუნდაც რაიმე მსგავსი ინფორმაცია.

30. განჩინების თანახმად – „საუბრის საერთო კონტექსტით დგინდება, რომ მოპასუხე კვლავ მონმის ჩვენებაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ მონმემ ახლობლის მიწის ნაკვეთი იპოთეკით ისევ „ამ კომპანიამ დაატვირთინა, გამოატანინეს 10 000 აშშ დოლარი“, – ამ გარემოებასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ მონმის გამოკითხვის ოქმში, (რომელზე დაყრდნობითაც თავად მოპასუხის განცხადებით გააფრცვლა მან ინფორმაცია, რაც შემდგომში სასამართლომაც გაიზიარა) არაფერი მსგავსი არ არის ნათქვამი. გამოკითხვის ოქმში მონმე აცხადებს არსებითად სანინალმდეგოს, კერძოდ, მონმის გამოკითხვის ოქმის მე-2 გვერდზე ნათქვამია, რომ „... ვთხოვე ჩემს ნათესავს ა. ბ-ს, რომ გურჯაანის რაიონში არსებული სასოფლო – სამეურნეო მიწა (80 ჰექტარი) გირაოს გარანტიით ჩაგვედო, ამ საქმეში დახმარება აღმიტევა შ. ს-ემ, რომელმაც ძალიან მალე მიშოვა თანხის გამსესხებელი და აღებული ათი ათასი დოლარის გადახდის საფუძველზე, 2011 წლის 31 ოქტომბერს დავდე ხელშეკრულება სპს „გ“-თან.“ ამ გამოკითხვის ოქმის საერთო კონტექსტით ის შეიძლება დადგინდეს, რომ პ. ჩ-ი თავად ეძებდა თანხას და, შესაბამისად, მიწის იპოთეკით დატვირთვასთან და თანხის გამოტანასთან მოსარჩელეს კავშირი არ ჰქონია.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს აუცილებლად უნდა შეეფასებინა სადავო განცხადებასა და მის წყაროდ მოყვანილ გამოკითხვის ოქმებში არსებული წინააღმდეგობა, ის თავისი გამოხატვის ფორმითა და შინაარსით არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მოსაზრება და შეფასება მიღებული ინფორმაციისა, რადგან აშკარაა, რომ მოპასუხე განზრახ ამახინჯებს მიღებულ ინფორმაციას და აქვეყნებს იმ კონტექსტით, რომ ზიანი მიაყენოს კომპანიას.

32. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს განმარტება იმის

შესახებ, რომ რადგან სადავო ბრიფინგის გამართვისას საზოგადოებაში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობდა და ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ მისაღები დადგენილების განხილვის საკითხი, დასაბუთებულია ვარაუდი მასზე, რომ მოპასუხე ამ კონტექსტით ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას. ამ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ამას ახდენს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის დადგენა ევალება, დაუსაბუთებელია ამ კონტექსტის ვარაუდით გავრცელებული ინფორმაციის მოსაზრებად მიჩნევა. მოპასუხეს თავისუფლად შეეძლო საზოგადოების ინფორმირება მოეხდინა ისე, რომ ამით მოსარჩელეზე არ გავრცელებინა მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაცია. მით უმეტეს, რომ როგორც მან სასამართლო პროცესზე არაერთხელ განაცხადა, საგამოძიებო ორგანოებში შეიტანა განცხადება მოსარჩელის წინააღმდეგ გამოძალვის შესახებ, თუმცა სასამართლოს კითხვაზე, მიეთითებინა თუ სად ეწერა მის მიერ პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში მსგავსი რამ, მოპასუხემ ეს ვერ მიუთითა, იმიტომ, რომ განცხადებაში ასეთი რამ არ წერია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამკარაა, რომ მოპასუხემ გამოძალვისა და განცხადებაში მითითებული სხვა ცილისმწამებლური ფაქტების შემცველი ინფორმაციის შესახებ, განგებ ისე გაავრცელა განცხადება, რომ ასეთი ინფორმაცია გამოკითხული პირებისგან არ მიუღია და, შესაბამისად, არც განცხადება შეუტანია სამართალდამცავ ორგანოებში მოსარჩელის წინააღმდეგ.

33. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს სადავო განცხადებაში გავრცელებული ინფორმაცია, პირველ რიგში, სამართლებრივად უნდა შეეფასებინა გავრცელებული ინფორმაციისა და მოპასუხის მითითებით, სასამართლოში მტკიცებულებად წარდგენილი გამოკითხვის ოქმების შედარებითა და ანალიზით და არა მხოლოდ სადავო ინფორმაციის გავრცელებისას საზოგადოებაში არსებული აქტუალური საკითხებით.

34. კასატორის განმარტებით, არცერთი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად არ ცნო და ფაქტობრივ დასაბუთებაში არ მიუთითა დოკუმენტური მტკიცებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია 10 000 აშშ დოლარის გამოძალვის შესახებ იყო არსებითად მცდარი და სინამდვილეში წარმო-

ადგენდა საადვოკატო მომსახურების ღირებულებას. ამ ფაქტის დადგენილად ცნობას კი, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო უფლებაზე მსჯელობისას.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სპს-ის „გ“ საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შემამონმებლად.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებით სპს-ს „გ“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს-ს „გ“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

38. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

39. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია ადვოკატის მიერ სატელევიზიო ბ-ოს საჯაროდ გავრცელებული განცხადება იურიდიული კომპანიის შესახებ, რომელიც წარსულში მომსახურებას უწევდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, წარმოადგენს თუ არა ადვოკატის განცხადება ცილისწამებას, რომელმაც შელახა იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაცია. შესაბამისად, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოსაყენებელი საკანონმდებლო ნორმები

40. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

41. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. იმავე კოდექსის 27.5-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.

42. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას.

43. სიტყვისა და გამოხატვის უფლების დაცვის პარალელურად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, ისევე როგორც, სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლი, იცავს პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას შელახვისაგან. კანონის მე-13 მუხლი კრძალავს ნებისმიერი [კერძო და საჯარო, ფიზიკური და იურიდიული] პირის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელებას. ცილისწამებისათვის (რომელიც განიმარტება, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“), გათვალისწინებულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა (კანონით განსაზღვრული გამოწვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია მისი მე-5, მე-15 და მე-16 მუხლებით).

44. კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძო პირის მიმართ ცილისწამებისათვის მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ეკისრება ტვირთი დამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

45. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ერთის მხრივ, აზრის და, მეორეს მხრივ, ფაქტის შემცველ განცხადებას და განმარტავს, რომ აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულებ-

ბის გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

46. კანონის მე-4.1 მუხლის შესაბამისად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და მისი გამოხატვის ან გავრცელების გამო პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ზოგადად გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით

47. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.

48. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ ის შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებსა და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ პუნქტში მითითებული კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომელთაგან ერთ-ერთია სხვა პირთა რეპუტაციის დაცვა.

49. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) დაადგინა მრავალ საქმეში. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმით მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამოაგნებელი ან შემამოფოთებელია.

50. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე სა-

ზოგადოებრივ საჭიროებას“ (*Handyside v. the United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24), *Stoll v. Switzerland* ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007 V); *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; *Morice v. France* [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).

51. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს (*Arztammer Fur Wien And Dorner v. Austria*, no. 8895/10, § 62, 16 February 2016).

52. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. აღნიშნული კრიტერიუმებია: (ა) ის წვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის – აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ყურნალისტებთან მიმართებაში ნათქვამი აქვს, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და, ყურნალისტური ეთიკის წესების შესაბამისად, საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო და ზუსტ ინფორმაციას (*Axel Springer AG v. Germany* [GC], no. 39954/08, § 93, ECHR 2012).

53. განსაკუთრებით პრობლემურია პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ განცხადება, რომელიც პირის რეპუტაციას ეხება, პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (*Süreç v. Turkey* (no. 1) [GC], no. 26682/95, § 61, ECHR 1999-IV; *Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France* [GC], nos. 21279/02 and 36448/02, § 46, ECHR 2007-IV; and *Axel Springer AG v. Germany* [GC], no. 39954/08, § 90, ECHR

2012). საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას გაკეთებულ განცხადებაში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (E.K. v. Turkey, no. 28496/95, §§ 79-80, 7 February 2002) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (Thoma v. Luxembourg, no. 38432/97, § 57, ECHR 2001-III) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (Paturel v. France, no. 54968/00, § 42, 22 December 2005).

54. თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlick v. Austria (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204) სტრასბურგის სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნას, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს. ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეენინააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (De Haes and Gijssels v. Belgium, 24 February 1997, §42, Reports-I). თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩნეული, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, არსებობს თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“. თუ საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ შეფასება შეიძლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და მიჩნეულ იქნას, როგორც „გადაჭარბებული“ (De Haes and Gijssels, § 47; Oberschlick v. Austria (no. 2), 1 July 1997, § 33, Reports 1997-IV; Brasilier v. France, no. 71343/01, § 36, 11 April 2006; and Lindon, Otchakovsky-Laurens and July, § 55).

55. იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (Brasilier v. France, no. 71343/01, 11 April 2006, §37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (Paturel v. France, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

56. პასუხისმგებლობის მსუბუქ ფორმასაც კი შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს, განსაკუთრებით ადვოკატებთან მიმართებაში, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ მათი კლიენტების ეფექტია-

ნი დაცვა (*Mor v. France*, no. 28198/09, § 61, 15 December 2011). ადვოკატის მიმართ პასუხისმგებლობის მსუბუქი სახის გამოყენებასაც კი შესაძლებელია მოჰყვეს მისთვის პირდაპირი (დისციპლინური დევნის აძღვრა) ან არაპირდაპირი (საზოგადოებრივი იმიჯის შელახვა ან კლიენტების ნდობის დაკარგვა) უარყოფითი შედეგი (*Morice v. France [GC]*, no. 29369/10, § 176, 23 April 2015).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადვოკატის გამოსატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით

57. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები ადვოკატის გამოსატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით. სასამართლომ არაერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში (*Schopfer v. Switzerland*, 20 May 1998, §§ 29-30, Reports 1998-III; *Nikula v. Finland*, no. 31611/96, § 45, ECHR 2002-II; *Amihalachioaie v. Moldova*, no. 60115/00, § 27, ECHR 2004-III; *Kyprianou v. Cyprus [GC]*, no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII; *André and Another v. France*, no. 18603/03, § 42, 24 July 2008; and *Mor v. France*, no. 28198/09, § 42, 15 December 2011), თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ ნდობა გაუჩნდეთ, ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იურიდიული პროფესიის შესაძლებლობაში გასწიოს ეფექტიანი წარმომადგენლობა (*Kyprianou v. Cyprus [GC]*, no. 73797/01, § 175, ECHR 2005-XIII).

58. დამოუკიდებელი პროფესიონალის ეს სპეციალური როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატებს მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს, კონკრეტულად, მათ ქცევასთან მიმართებაში (*Van der Musselle v. Belgium*, 23 November 1983, Series A no. 70; *Casado Coca v. Spain*, 24 February 1994, § 46, Series A no. 285-A; *Steur v. the Netherlands*, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI; *Veraart v. the Netherlands*, no. 10807/04, § 51, 30 November 2006; and *Coutant v. France (dec.)*, no. 17155/03, 24 January 2008). ამ მოვალეობების თანახმად, ადვოკატებს მოეთხოვებათ კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული ქცევა. სანაცვლოდ, ისინი აღჭურვილნი არიან ექსკლუზიური უფლებებითა და პრი-

ვილგეიებით, მათ შორის, თავისუფლებით არგუმენტების წარდგენისას სასამართლო დარბაზში (*Steur v. the Netherlands*, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI).

59. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ ადვოკატებიც, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შეხედულებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ეს ინფორმაცია და შეხედულებები ვრცელდება (*Foglia v Switzerland*, no. 35865/04, § 85, 13 December 2007). კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატებს უფლება აქვთ საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე, თუმცა მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს (*Amihalachioaie v. Moldova*, no. 60115/00, §§ 27-28, ECHR 2004-III; *Foglia v Switzerland*, no. 35865/04, § 86, 13 December 2007; *Mor v. France*, no. 28198/09, § 43, 15 December 2011). ასეთი საზღვრები დაწესებულია ჩვეულებრივი აკრძალვებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადვოკატთა ქცევის კოდექსი სხვადასხვა ქვეყანაში (*Kyprianou v. Cyprus [GC]*, no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადვოკატის „ღირსებას“, „პატივს“, „კეთილსინდისიერებას“ და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ პატივისცემას.

60. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება უკავშირდება ადვოკატის დამოუკიდებლობას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაცვის მხარის ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მიჩნეულ იქნას „აუცილებლად“ დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Nikula v. Finland*, no. 31611/96, § 55, ECHR 2002-II); *Kyprianou v. Cyprus [GC]*, no. 73797/01, § 174, ECHR 2005-XIII; *Mor v. France* (no. 28198/09, § 44, 15 December 2011), თუმცა ის, რაც დასაშვებია ადვოკატისათვის სასამართლო დარბაზში, შესაძლებელია, დაუშვებელი იყოს სასამართლო დარბაზის გარეთ.

61. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის დაცვა განახორციელოს მედიის საშუალებით მართლმსაჯულების პროცესში მიმდინარე დარღვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებით. მაგრამ დაუშვებელია ადვოკატმა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე გააკეთოს განცხადებები, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ სცდება კომენტარისათვის დასაშვებ ფარგლებს, ან მიმართოს შეურაცხყოფას (*Karpetas v. Greece*, no. 6086/10, § 78, 30 October 2012; *A v. Finland (dec.)*, no. 44998/98, 8 January 2004; *Coutant v. France (dec.)*, no. 17155/03, 24 January 2008) საქმეში *Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa portugaliis*

winaaRmdeg (Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, § 48, 29 March 2011) სასამართლომ ადვოკატის ტონი, რომელიც მოსამართლეების მიმართ შეურაცხმყოფელი არ იყო, მაგრამ იყო ცინიკური და სარკასტული, მე-10 მუხლთან შესაბამისად მიიჩნია. სასამართლო ამონმებს განცხადებებს მათ ზოგად კონტექსტში, იმისათვის რომ დაადგინოს შეიძლება თუ არა ისინი შეფასდეს, როგორც შეცდომაში შემყვანი ან გაუმართლებელი პიროვნული თავდასხმის გამომხატველი (Ormanni v. Italy, no. 30278/04, § 73, 17 July 2007; Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, 29 March 2011, § 51) და დარწმუნდეს, ჰქონდა თუ არა განცხადებას საკმარისად ახლო კავშირი საქმის ფაქტებთან (Feldek v. Slovakia, no. 29032/95, § 86, ECHR 2001 VIII, Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, 29 March 2011).

62. საქმეში მორისის საფრანგეთის წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ არ გაიზიარა ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოს (CCBE) მოსაზრება, რომ მათი გამოხატვის თავისუფლების ფარგლების შეფასებისას ადვოკატები უნდა გაუთანაბრდნენ ჟურნალისტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ შეიძლება ადვოკატების ჟურნალისტებთან გათანაბრება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ამ ორი პროფესიის წარმომადგენელთა სრულიად განსხვავებული როლის გამო. ჟურნალისტებს, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად, ევალებათ ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელება საზოგადოების ინტერესის სფეროში არსებულ ყველა საკითხზე, მათ შორის მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მაგრამ ადვოკატები წარმოდგენენ სასამართლო სისტემის პროტაგონისტებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი სასამართლოს ფუნქციონირებასა და მხარის დაცვაში. ამიტომ ისინი არ შეიძლება უბრალოდ გავათანაბროთ გარე დამკვირვებელთან, რომლის მოვალეობაც არის მხოლოდ საზოგადოების ინფორმირება (Morice v. France [GC], no. 29369/10, § 148, 23 April 2015).

63. მორისის საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტი, რომ სადავო განცხადებები ემსახურებოდა მისი კლიენტის დაცვის ამოცანას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვერ ხედავს როგორ შეიძლებოდა სადავო განცხადებებს პირდაპირი წვლილი შეეტანა ადვოკატის კლიენტის ინტერესების დაცვაში, რადგან ადვოკატის განცხადებები მიმართული იყო იმ გამომძიებელი მოსამართლეების მიმართ, რომლებიც უკვე ჩამოშორდნენ გამოძიების პროცესს და აღარ შეეძლოთ გავლენა

ნა მოხდინათ მის მსვლელობაზე [გამოძიებას აწარმოებდა სხვა მოსამართლე, რომელიც არ ყოფილა კრიტიკის ობიექტი] (Morice v. France [GC], no. 29369/10, § 149, 23 April 2015). თუმცა სასამართლომ გაიზიარა, რომ ადვოკატის განცხადებები ემსახურებოდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული დარღვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და შეჰქონდა წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დისკუსიაში, ამიტომ ისინი სარგებლობდა დაცვის მაღალი ხარისხით (Morice v. France [GC], no. 29369/10, § 150-153, 23 April 2015).

ზემოაღნიშნული ნორმებისა და პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის მიმართ

64. მოცემულ საქმეში მოპასუხის განცხადების კონტექსტის შესაფასებლად საკასაციო სასამართლო აუცილებლად თვლის ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომლებიც წინ უძღოდა სადავო განცხადების გაკეთებას.

65. დადგენილია, რომ მოპასუხე არის ადვოკატი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იცავდა ი. დ-ის ინტერესებს მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში. იმავე საქმეში ი. დ-ის ინტერესებს წარმოადგენდა მოსარჩელე იურიდიული კომპანიაც. მოპასუხე ადვოკატი ი. დ-ის წარმომადგენლობას ახორციელებდა საქმეში მოსარჩელე იურიდიული კომპანიის ჩართვამდე. მოსარჩელე იურიდიული კომპანიის ჩართვის შემდეგ მოპასუხე ი. დ-ის საქმეს დროებით გამოეთიშა, თუმცა მოგვიანებით კვლავ ჩაერთო საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო პროცესის მსვლელობისას.

66. მოსარჩელისა და მოპასუხის დაცვის ქვეშ მყოფი ი. დ-ი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახით შეეფარდა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

67. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური გაერთიანების მოსვლის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მუშაობა წინამორბედი ხელისუფლების მმართველობის წლებში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა გათავისუფლების შესახებ დადგენილების მიღების საკითხზე, რამაც, 2012 წლის შემოდგომაზე, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი და ამ საკითხზე ფართო დისკუსია გამოიწვია, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რომელშიც ჩარ-

თულნი იყვნენ როგორც საზოგადოების წარმომადგენლები, ისე საჯარო თანამდებობის პირები.

68. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოპასუხემ სადავო განცხადება გააკეთა 2012 წლის 1 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე, რომელიც ეთერში გადაიცა 2012 წლის 2 ნოემბერს.

69. მოცემული დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია შეფასდეს სადავო განცხადების გაკეთების მომენტში მოპასუხე მოქმედებდა, როგორც ჩვეულებრივი კერძო პირი, თუ როგორც ი. დ-ის ადვოკატი.

70. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხის მიერ ბრიფინგის გამართვის დროს ი. დ-ი იმყოფებოდა პატიმრობაში. მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე გამოტანილი ჰქონდა განაჩენი, თუმცა აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შესული არ იყო. ი. დ-ის განმარტებით, ბრიფინგის გამართვის დროს მოპასუხე მისი წარმომადგენელი იყო და ბრიფინგი გაიმართა მასთან შეთანხმებით (იხ. ი. დ-ის გამოკითხვის ოქმი).

71. მნიშვნელოვანია, შეფასდეს ასევე, რა იყო ზოგადად ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების თემატიკა და შინაარსი. დადგენილია, რომ ბრიფინგი მთლიანობაში ეხებოდა ი. დ-ის მიმართ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მხრიდან შესაძლო პირადი დაინტერესების გამო, მისი სისხლის სამართლებრივი დევნისა და მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მომხდარ სავარაუდო დარღვევებს.

72. მოპასუხემ ბრიფინგი მოაწყო საქართველოს პროკურატურისადმი ი. დ-ის, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის, შესახებ განცხადებით მიმართვის მეორე დღეს. საქმის მასალებში დაცულია მოპასუხე ადვოკატის მიერ 2012 წლის 30 ოქტომბერს პროკურატურაში წარდგენილი განცხადება, რომლის შინაარსიც ეხება ი. დ-ის მიმართ შესაძლო პოლიტიკური დევნისა და მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში განხორციელებული სავარაუდო დარღვევების ფაქტებს. სწორედ აღნიშნული ფაქტების ნაწილი გაჟღერდა ბრიფინგზე გაკეთებულ სადავო განცხადებაში.

73. ამრიგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო განცხადება მოპასუხემ გააკეთა, როგორც ადვოკატმა, რომელიც წარმოადგენდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. განცხადება გაკეთდა მარწმუნებელთან შეთანხმებით და ეხებოდა გარემოებებს, რომლებიც უკავშირდებოდა ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებას.

74. მოპასუხის მითითებით, განცხადების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მიუთითებდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩადენილ დარღვევებზე მსჯავრდებულის პიროვნების მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლთა კონკრეტული დაინტერესების გამო, და ამით ი. დ-ის საქმისადმი საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების ყურადღების უზრუნველყოფა, რათა მომხდარიყო პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად მისი აღიარება.

75. შესაბამისად, განცხადება გაკეთდა ადვოკატის იმ საქმიანობის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო მიეღწია მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ცნობისათვის [ი. დ-ი საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მართლაც იქნა ცნობილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად].

76. დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს, რას ეხებოდა მოპასუხე ადვოკატის განცხადების სადავო ნაწილი და შესაძლებელია თუ არა მისი შეფასება ზემოაღნიშნული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

77. მნიშვნელოვანია ასევე, დადგინდეს, განცხადებაში მოცემული ინფორმაციის გავრცელებისას იყო თუ არა მოპასუხე ადვოკატი ამ ინფორმაციის პირველადი წყარო და თუ არა, მაშინ რომელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა იგი.

78. დადგენილია, რომ განცხადების სადავო ნაწილი ეხებოდა ი. დ-ის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში, ი. დ-ის მეგობარ პ. ჩ-სა და მოსარჩელე იურიდიულ კომპანიას შორის დადებული შეთანხმების შინაარსს ი. დ-ის დაცვის განხორციელების თაობაზე; ასევე ი. დ-ის სისხლის სამართლის დევნის პროცესში მის წარმომადგენლად ყოფნისას მოსარჩელე იურიდიული კომპანიის პროფესიულ საქმიანობას.

79. განცხადების ეს ნაწილი უშუალოდ ეყრდნობოდა მოპასუხე ადვოკატის მიერ მოწმე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმს [განცხადების სადავო ნაწილი იწყება ციტატით: „მესამე მოწმე ასევე ძალიან მნიშვნელოვან ჩვენებას მაძლევს ი. დ-ის მიმართ კონკრეტული დაინტერესების ნაწილში. ეს გახლავთ ყოფილი პარლამენტარი პ. ჩ-ი...“]. აღნიშნული გამოკითხვის ოქმი, რომელიც თარიღდება 2012 წლის 30 ოქტომბრით [ბრიფინგის წინა დღე] დანართის სახით თან ერთვის საქართველოს პროკურატურაში მოპასუხის მიერ წარდგენილ განცხადებას ი. დ-ის საქ-

მესთან დაკავშირებით. იგი პროკურატურაში წარდგენილ იქნა პროკურატურისადმი მიმართულ განცხადებაში მითითებული ისეთი ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებიც გაუღერდა ბრიფინგზე. ადვოკატის მხრიდან პირის ნებაყოფლობით გამოკითხვის ოქმის შედგენის უფლებამოსილება გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 113-ე მუხლით.

80. მოპასუხის განმარტებით, სადავო განცხადებით გავრცელებული ინფორმაციის ნაწილი მან მიიღო, აგრეთვე, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ი. დ-ისაგან.

81. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ საზოგადოებაში არსებობს ლეგიტიმური ინტერესი მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე და განცხადებები, რომლებიც უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას, წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს (*Morice v. France* [GC], no. 29369/10, § 150-153, 23 April 2015).

82. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ რთულია დადგინდეს ადვოკატის განცხადების სადავო ნაწილი [რომელიც ეხებოდა მოსარჩელე იურიდიულ კომპანიას] რა პირდაპირ წვლილს შეიტანდა მისი კლიენტის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობის ამოცანაში, თუმცა მიიჩნევს, რომ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში საქმიანობა, რომელიც უკავშირდება მის დაცვას, მათ შორის, პირის დაცვასთან დაკავშირებული შეთანხმების შინაარსი და პირის დაცვისას იურიდიული კომპანიის ადვოკატების მიერ განხორციელებული პროფესიული ქმედებები, კერძოდ, მათი ურთიერთობა პროკურატურის წარმომადგენლებთან და მათი როლი საპროცესო შეთანხმების პირობების ფორმირებასა და ამ პირობების დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციის პროცესში, წარმოადგენს პირის მიმართ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელ მნიშვნელოვან გარემოებებს (ეფექტიანი წარმომადგენლობა), რომლის მიმართ არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი.

83. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო განცხადება გაკეთდა საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, რის გამოც, იგი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი ხარისხით (როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ასეთ დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელ-

მნიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვინროა) (Floquet and Esménard v. France, no. 29064/08, 10 January 2002; July and SARL Libération judgment (no. 20893/03, ECHR 2008; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 153, 23 April 2015).

განცხადების სადავო ნაწილის შინაარსი

84. კასატორი მიუთითებს, რომ განცხადების სადავო ნაწილი შედგება არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და მისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი რეპუტაციის შემლახველი გამონათქვამებისაგან. იგი წარმოადგენს ცილისწამებას.

85. იმისათვის, რომ დადგინდეს ცილისწამების არსებობა, პირველ რიგში აუცილებელია შეფასდეს სადავო განცხადებაში დაცული გამონათქვამები აზრის, შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

86. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

87. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ განწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გა-

მოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ. ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნას შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

88. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

89. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო განცხადება შედგება როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტებისაგან. შეფასებები ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, შეფასებების საფუძველია. ამიტომ განცხადებაში აზრებისა და ფაქტების იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამების შინაარსის დამახინჯების გარეშე.

90. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-7.5 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განცხადება და მასში მოცემული სადავო გამონათქვამები მთლიანობაში უნდა ჩაითვალოს უფრო აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად, ვიდრე ფაქტების შემცველ განცხადებად, რადგან ისინი უმთავრესად გამოსატყვევებელია მოპა-

სუხის მიერ მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანობის ზოგად შეფასებას ი. დ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მისი დაცვის პროცესში.

91. საკასაციო სასამართლო უფრო დეტალურად იმჯელებს ამ საკითზე ქვემოთ, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა განცხადება აზრი, შეფასებითი მსჯელობაა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი სტანდარტის განმარტების შესაბამისად, უნდა შემოწმდეს არსებობდა თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“, ხოლო ადვოკატს ევალება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საჯარო განცხადებების კეთებისას არ გადალახოს გამოხატვის თავისუფლებით დაშვებული ფარგლები და არ გააკეთოს განცხადებები, რომლებიც გამაგრებული არ არის შესაბამისი ფაქტობრივი საფუძველებით. ამიტომ, საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მოპასუხის განცხადების ფაქტობრივ საფუძველებს.

92. მოცემულ საქმეში კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხის განცხადების საფუძველი გახდა თავად მოპასუხის მიერ გამოკითხული პირების გამოკითხვის ოქმები, რომლებიდანაც ზოგში არ არის ან ზოგში საერთოდ საპირისპირო ინფორმაციაა მოცემული, ამიტომ მისი განცხადება შეფასებით მსჯელობადაც რომ მივიჩნიოთ, იგი მაინც მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძველს.

93. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ განცხადებაში გაჟღერებული ინფორმაცია გაავრცელა მის მიერ მიღებული სწორედ იგივე შინაარსის ჩვენებების საფუძველზე, დაუსაბუთებელია, რადგან საქმეში მტკიცებულების სახით არსებულ გამოკითხვის ოქმებში არაფერი მსგავსი არ არის მოცემული. კასატორის განმარტებით, სწორედ ამ გამოკითხვის ოქმებზე დაყრდნობით უნდა მიეცა სასამართლოს სამართლებრივი შეფასება სადავო განცხადებაში გადმოცემული ინფორმაციისათვის.

94. კასატორის მითითებით, სასამართლოს აუცილებლად უნდა შეეფასებინა სადავო განცხადებასა და მის წყაროდ მოყვანილ გამოკითხვის ოქმებში არსებული წინააღმდეგობა. ის თავისი გამოხატვის ფორმითა და შინაარსით არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მოსაზრება და შეფასება მიღებული ინფორმაციისა, რადგან აშკარაა, რომ მოპასუხე განზრახ ამახინჯებს მიღებულ ინფორმაციას და აქვეყნებს იმ კონტექსტით, რომ ზიანი მიაყენოს კომპანიას. მოპასუხემ გამოძალვისა და განცხადებაში მითითებული სხვა ცილისმწამებლური ფაქტების შესა-

ხებ განგებ ისე გაავრცელა განცხადება, რომ ასეთი ინფორმაცია გამოკითხული პირებისაგან არ მიუღია და, შესაბამისად, არც განცხადება შეუტანია სამართალდამცავ ორგანოებში მოსარჩელის წინააღმდეგ.

95. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს სადავო განცხადებაში გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეეფასებინა სასამართლოში მტკიცებულებად წარდგენილი გამოკითხვის ოქმების შედარებითა და ანალიზით და არა მხოლოდ სადავო ინფორმაციის გავრცელებისას საზოგადოებაში არსებული აქტუალური საკითხებით.

96. კასატორმა მიუთითა ი. დ-თან დადებულ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაზე, რომელიც შეიცავდა ასევე შეთანხმებას მომსახურების საფასურის შესახებ და წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას დ-ის იურიდიული წარმომადგენლობის რეალურად განხორციელების ფაქტებზე, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ისინი დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მასალებით.

97. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს განდევნილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. შესაბამისად, კასატორის არგუმენტების შესაფასებლად საკასაციო სასამართლო სათითაოდ განიხილავს მოპასუხის განცხადებაში მოცემულ თითოეულ გამონათქვამს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ გამოკითხვის ოქმთან [პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმი, 2012 წლის 30 ოქტომბერი] მისი შედარებითი ანალიზით, რომელსაც აღნიშნული განცხადება უმთავრესად ეყრდნობოდა.

98. დადგენილია, რომ ზ. თ-ამ ბრიფინგის სადავო ნაწილი დაინყო ციტატი:

„მესამე მოწმე ასევე ძალიან მნიშვნელოვან ჩვენებას მაძლევს ი. დ-ის მიმართ კონკრეტული დაინტერესების ნაწილში. ეს გახლავთ ყოფილი პარლამენტარი პ. ჩ-ი, რომელსაც გამოსძალეს 10 000 დოლარი საადვოკატო კომპანია სპს „გ“-მ. არის ასეთი, რომელიც დაპირდა ი. დ-ის საქმის მოგვარებას ზ. ა-თან. პირდაპირ აცხადებს, რომ ამ კომპანიაში მიიყვანა ნაცნობმა და უთხრა, ამ საქმეს მოგიგვარებს ეს კომპანია, ოღონდ ადვოკატი ზ. თ-ა უნდა იქნას საქმიდან ჩახსნილი სასწრაფოდ. მას უნდა გადაუხადო პირველ ეტაპზე 10 000 დოლარი და მოაგვარებს საქმეს ძალიან მალე“.

99. აღნიშნულ საკითხზე მოწმე პ. ჩ-ის 2012 წლის 30 ოქტომბრის გამოკითხვის ოქმის თანახმად, მოწმე ასე აღწერს შესაბა-

მის ფაქტებს: „2011 წლის ოქტომბერში საერთო მეგობრის მეშვეობით მე დამიკავშირდა ჩემი ძველი ნაცნობი შ. ს-ე, რომელმაც აღმითქვა დახმარება ი. დ-ის პატიმრობიდან გამოსხნის საქმეში. ის მარწმუნებდა, რომ იცნობს ადვოკატ ვ. გ-ეს, რომელიც პროკურატურასთან და პირადად ზ. ა-თან დაახლოებული პირია და მისი მეშვეობით არაერთი საქმე „დაულაგებია“ პროკურატურაში. იმავე წლის ოქტომბერში შ. ს-ემ მიმიყვანა სპს „გ“-ს იურიდიული ფირმის დამფუძნებელ და დირექტორ ვ. გ-ის ოფისში. ვ. გ-ეს მოვუყვები ი. დ-ის დაკავების გარემოებების შესახებ. მან ითხოვა რამდენიმე დღე, რათა გაერკვია, რა პოზიცია ქონდა პროკურატურას ი. დ-ის საქმესთან დაკავშირებით... რამდენიმე დღეში კვლავ შევხვდით ოფისში ი. დ-ის საქმეზე, სადაც ვ. გ-ემ მითხრა, რომ რთული საქმეა, მაგრამ მე შევათანხმე და ამ საქმის „გაკეთება“ შეიძლებაო საპროცესო შეთანხმებით და ის შეეცდება, რომ თანხა არ იყოს გადასახდელად უსაშველოდ დიდი, რაზეც მე ვუთხარი, რომ ვიცი ოჯახის მდგომარეობა და ოჯახს არ აქვს ცოცხალი ფული გადასახდელი და ერთადერთი საპროცესო შეთანხმების საგანი, რაც შეიძლება იყოს, არის ბათუმიდან თბილისში ი. დ-ის ჩამოტანილი ნავთობ-პროდუქტი, რომლის ფასი გადამუშავების შემდეგ დაახლოებით მილიონ ნახევარი ლარია-მეთქი და თუ მაინცდამაინც ფულის სახით უნდა იქნას თანხა შეტანილი, იქნებ ფინანსურმა პოლიციამ და პროკურატურამ თავდებით გამოუშვას ი. დ., რომელიც ყველაზე კარგად შეძლებს ამ სითხის გადამუშავებას და რეალიზაციას, ან მოხსნან ყადაღა ნავთობ-პროდუქტზე და ი. დ-ის მეგობრები პროკურატურის ზედამხედველობით გადავამუშავებთ და რეალიზაციას გავუკეთებთ ამ პროდუქტს-მეთქი. ვ. გ-ემ კიდევ რამდენიმე დღე ითხოვა ამ საკითხების შესათანხმებლად და, ამასთან, ითხოვა 10 000 დოლარი (მხოლოდ პირველ ეტაპზე) საქმის „გასაკეთებლად“ და წამოაყენა მეორე პირობა, საქმეს ჩამოცილებოდა ი. დ-ის ადვოკატი ზ. თ-ა“.

100. ამრიგად, ბრიფინგის ამ ნაწილში მოწმის განცხადებაში მოცემული ფაქტები, გარდა გამოთქმისა „გამოსძალა“, იდენტურია მოწმის ჩვენებაში მითითებული ფაქტებისა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ გამოკითხვის ოქმში მსგავსი არაფერი არის მოცემული. რაც შეეხება, გამოთქმას „გამოსძალა“, აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლო იმსჯელებს ქვემოთ.

101. მოპასუხის ბრიფინგის სადავო ნაწილი შემდეგ გრძელდება განცხადებით:

„ამ ადამიანმა [იგულისხმება პ. ჩ-ი] თავისი ახლობლის მიწის

ნაკვეთი იპოთეკით დატვირთა, ისევე ამ კომპანიამ დაატვირთინა სხვათა შორის, გამოატანინა 10 000 დოლარი“.

102. აღნიშნულ საკითხზე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად, მონმე აღნიშნავს, რომ ი. დ-ის მამამ თ. დ-მა მას უთხრა: „ვინაიდან ოჯახს არ გააჩნია ფული, რომ გადაიხადოს საადვოკატო მომსახურებაზე, იქნებ მოხერხდეს დაყადაღებული მანქანებიდან ერთერთის მაინც დაბრუნება, რათა ოჯახმა შეძლოს საადვოკატო მომსახურების ფულის გადახდა. თ. დ-ის ამ თხოვნის შესახებ მე გადავეცი შ. ს-ეს და მან, თავის მხრივ, ამ თხოვნის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ვ. გ-ე. ორივესგან მივიღე წინასწარი თანხმობა, რომ არ იქნება პრობლემა მანქანებისთვის ყადაღის მოხსნა, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტა გაინელა... შ. ს. მუდმივად მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ ი. დ-ის საკითხი შეთანხმებულია ზ. ა-ის დონეზე, რომ ვ. გ-ე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ... ვ. გ-ს ფული აქვს მისატანი პროკურატურაში და სირცხვილით სხვა საქმეებზეც ვერ მისულა პროკურატურაში... მე პირველ რიგში ი. დ-თან მეგობრობის გამო, შექმნილი უხერხული სიტუაციის გამო... ვთხოვე ჩემს ნათესავს ა.ბ-ს, რომ გურჯაანის რაიონში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწა (80 ჰექტარი) გირაოს გარანტიით ჩავვედო. ამ საქმეშიც „დახმარება“ აღმიტევა შ. ს-ემ, რომელმაც ძალიან მალე მიმოვა თანხის გამსესხებელი და აღებული ათი ათასი დოლარის გადახდის საფუძველზე 2011 წლის 31 ოქტომბერს დავდე ხელშეკრულება სპს „გ“-ს იურიდიულ ფირმასთან“.

103. ამრიგად, მონმის გამოკითხვის ოქმის თანახმად, მონმე აცხადებს, რომ მან სესხის ასაღებად იპოთეკით დატვირთა ახლოობლის მიწის ნაკვეთი. სესხის აღებაში კი ეხმარებოდა შ. ს-ე, რომელმაც, მონმის განცხადებით, „იშოვა თანხის გამსესხებელი“. შესაბამისად, მოპასუხის მიერ ბრიფინგზე ნათქვამი „ისევე ამ კომპანიამ დაატვირთინა სხვათა შორის, გამოატანინა 10 000 დოლარი“, მართალია არა ზედმინევნით, მაგრამ შინაარსობრივად არსებითად იმეორებს მონმის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ 10 000 დოლარის გამსესხებელი „იშოვა“ შ. ს-ემ, რომელიც მონმის მთელი ახსნა-განმარტების მანძილზე არაერთხელ ფიგურირებს, როგორც მონმის აღქმით მოსარჩელე იურიდიულ კომპანიასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი, მათთან ასოცირებული პირი. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის პროცესში ამ გარემოებაზე ჩვენების მიცემისას მონმე პ. ჩ-მა განაცხადა, რომ გამსესხებელი მოუძებნეს ვ. გ-ემ და შ. ს-ემ (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა კოლეგიის 2013 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი CD დის-კზე 16:39:03 სთ.).

104. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ იპოთეკის გარემოების ნაწილში მოპასუხის განცხადებები მოწმის ახსნა-განმარტებასთან არსებით წინააღმდეგობაში მოდის.

105. მოპასუხის ბრიფინგის სადავო ნაწილი შემდეგ გრძელდება განცხადებით:

„ჩაიდეს ეს 10 000 დოლარი ჯიბეში, დაუნიშნეს თავისი ადვოკატი ვინმე გ. წ-ა და ამის შემდეგ ეს თანხაც გაქრა და ი. დ-იც უკვე წელიწადი და მეშვიდე თვეა პატიმრობაში იმყოფება. ხოლო ეს ადვოკატი, რომელიც მათ ჩემს ნაცვლად ჩაანაცვლეს, ამ ადვოკატისა და პროკურორის ხელმძღვანელობით ი. დ-ი გამოყვანილ იქნა გლდანის საპყრობილიდან 2011 წლის 8 ნოემბერს და ყავდათ ფინანსური პოლიციის შენობაში, სამმართველოს უფროსის, მ. ტ-ის კაბინეტში, სადაც ფსიქოლოგიური ზენოლით აიძულებდნენ, რომ ეთქვა შემდეგი შინაარსის ჩვენება, რომ მან თითქოს 250000 დოლარი ქრთამის სახით გადასცა აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს, თ. პ-ეს. ამ ადამიანის დასახელებას სთხოვდნენ კონკრეტულად. არ თქვა ადამიანმა არაფრით, მარტო გვარი გამიგია, არანაირი შეხება არ მქონიაო... ამ საუბარში განსაკუთრებით აქტიურობდა, როგორც ი. დ-ი მიცხადებს, მისი ადვოკატი გ. წ-ა, რომელიც ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი იყო სულ რამდენიმე თვის წინ მანამ, სანამ დაიწყებდა საადვოკატო საქმიანობას და გახდებოდა ამ სპს „გ“-ს ადვოკატი“.

106. განცხადების აღნიშნული ნაწილი, როგორც თავად განცხადებიდან ჩანს, მოწმე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმთან ერთად ეყრდნობა მოპასუხის დაცვის ქვეშ მყოფი პირის განმარტებასაც. აღნიშნული ეპიზოდის შესახებ ინფორმაცია დაცულია მოპასუხე ადვოკატის მიერ ბრიფინგამდე ერთი დღით ადრე, 2012 წლის 30 ოქტომბერს პროკურატურაში წარდგენილ განცხადებაშიც. სწორედ ამ ეპიზოდში აღწერილი ფაქტების მტკიცებულებად დაურთო მოპასუხემ პროკურატურისადმი მიმართულ განცხადებას მოწმე პ. ჩ-ის გამოკითხვის ოქმი.

107. განცხადების ამ ნაწილში მოცემული ინფორმაცია მოწმის გამოკითხვის ოქმში შემდეგნაირად არის ასახული: „... ამრიგად, სპს „გ“-მ ი. დ-ის საქმეში გაამწესა ადვოკატი გ. წ-ა, მაგრამ მიუხედავად ამისა ... მისივე მოთხოვნით, ყველა ძირითად საკითხზე ვურთიერთობდი ვ. გ-ესთან. რაც მთავარია, შეხვედრებისას, როგორც მ. ს-ე, ისე ვ. გ-ე მუდმივად მიმეორებდნენ, რომ

საქმე „დალაგებულია“ და რომ ი. დ-ს მაქსიმუმ 6 თვე, ერთი წელი მიესაჯოს... ერთ-ერთი შეხვედრისას შ. ს-ემ და ვ. გ-ემ განმაცხადეს, რომ თურმე ი. დ-ის ბათუმის ბიზნესს „კრიშავდნენ“ ლ. ვ-ე და აჭარის კუდის ხელმძღვანელი ვინმე თ. პ-ე ... ვ. გ-ემ მითხრა, რომ ზ. ა-ს უნდა პირველ რიგში თ. პ-ის დაჭერა და ამისათვის უნდა მოხერხდეს ჩემი შეხვედრა ი. დ-თან, რათა მე დამეყოლიებინა ის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. ამ თანამშრომლობის გარეშე ზ. ა-ი უარს იძახის დახმარებაზეო. როგორც განმიცხადეს, ასევე ზ. ა-თან შეთანხმებულია ჩემი გაცნობითი შეხვედრა ფინანსურ პოლიციაში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსთან, ვინმე ტ-თან... მართლაც შედგა ეს შეხვედრა ი. დ-ის იმჟამინდელ ადვოკატ გ. წ-ასთან ერთად ტ-თან... ტ-მა მითხრა, რომ ... ი. დ-ს, თუ ის თანამშრომლობაზე არ წამოვა, მინიმუმ ოც წელს მისცემენ და თუ თანამშრომლობაზე წამოვა, ერთ წელიწადში, მაქსიმუმ წელიწადნახევარში გამოვაო. მე დავთანხმდი ტ-ს, რომ შეხვედრის შემთხვევაში შევეცდებოდი ი. დ-ის დაყოლიებას გამოძიებასთან თანამშრომლობაზე... მართლაც რამდენიმე დღეში ადვოკატ გ. წ-ას თანხლებით მივედი ფინანსური პოლიციის შენობაში, სადაც საკმაოდ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, თუ არ ვცდები, 12 საათისათვის (შეხვედრის რიცხვი არ მახსოვს) ბადრაგმა მოიყვანა ი. დ-ი. მე და გ. წ-ა ტ-თან და ჩემთვის უცნობ ორ პიროვნებასთან ერთად ჩავედით შეხვედრის ოთახში, სადაც დაკითხვამდე ხუთი წუთი დამტოვეს მარტო ი. დ-თან... ი. დ. მითხრა, რომ მან არ იცის, ვინ არის თ. პ-ე და ასევე ნაკლებად სჯერა ზ. ა-ის კეთილგანწყობის მის მიმართ. რაც შეეხება თანამშრომლობას, ის მზად არის მაქსიმალურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან იმაზე, რაც იცის. ამ სიტყვების შემდეგ გ. წ-ა, ტ-ი და ორი თანმხლები პიროვნება შემოვიდნენ და მე დავტოვე ოთახი. ცოტა ხნის შემდეგ გ. წ-ა გამოვიდა და გამომაცილა შენობიდან.“

108. გამომდინარე იქიდან, რომ განცხადების ამ ნაწილში დაცული ინფორმაციის გადმოცემისას მოპასუხე ეყრდნობა დაცვის ქვეშ მყოფი პირის განმარტებასაც, მნიშვნელოვანია, როგორ აღწერს იმავე ეპიზოდს თავად დაცვის ქვეშ მყოფი პირი. ი. დ-ის გამოკითხვის ოქმში, რომელიც თან ერთვის მოპასუხის მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებულს, მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „დაკავებიდან დაახლოებით 1 თვეში ჩემი ოჯახისა და ახლობლების მიერ გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურებაზე საადვოკატო კომპანია „გ“-თან“. ჩემთან ამ დროიდან ამ კომპანიის ადვოკატები გ. წ-ა და თ. კ-ე შემოდიოდნენ ... ადვოკატი გ. წ-ა მარწმუნებდა, რომ ბრა-

ლის არალიარებას აზრი არ ჰქონდა, რომ მას, ფინანსური პოლიციის ყოფილ გამომძიებელს, შეთანხმებული ჰქონდა ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობასთან, ხოლო ადვოკატ ვ. გ-ეს საკითხი შეთანხმებული აქვსო მთავარ პროკურატურაში და რომ მაქსიმუმ 6 თვიდან 1,5 წელიწადში მე გამათავისუფლებდნენ... 2011 წლის 8 ნოემბერს მე გამომიყვანეს ვითომდა საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, ს.ა.დ №8 დაწესებულებიდან და მიმიყვანეს ფინანსური პოლიციის შენობაში, სადაც ერთ-ერთ ოთახში მე შემახვედრეს გ. ნ-ასა და პ. ჩ-თან, ასევე, ამ საუბარს ესწრებოდნენ გამომძიებელი დ. ჩ-ე, სამმართველოს უფროსი მ. ტ-ი და ჩემთვის უცნობი მაღალჩინოსნები. ისინი ჩემგან ითხოვდნენ ცრუ ჩვენების მიცემას აჭარის კულის უფროსის თ. პ-ის წინააღმდეგ, რომ თითქოს მე მისთვის მიცემული მქონდა ქრთამი 250 000 აშშ დოლარის ოდენობით. სანაცვლოდ მპირდებოდნენ გათავისუფლებას რამდენიმე დღეში. ჩემთვის ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე ეს მოთხოვნა სრულიად მიუღებელი იყო და არ დავთანხმდი. ამის შემდეგ, ჩემთან ასევე პირადი საუბარი ჰქონდა პ. ჩ-საც. მე მას ვუთხარი, ის რაც არ ყოფილა ვერაფრით სხვა პირს ვერ დავადანაშაულებ ჩემი თავისუფლების სანაცვლოდ-მეთქი. ამის შემდეგ, პ. ჩ-ს ჩემთვის არანაირი კითხვა არ დაუსვამს. ამის შემდეგ მე მოვითხოვე საკანში გადაყვანა, რამეთუ მე ამ შენობაში უკვე ვიმყოფებოდი დაახლოებით 12 საათის მანძილზე. ამ საუბრის დროს ვილაცამ დაურეკა გამომძიებელ დ. ჩ-ეს და ჩემზე ამის შემდეგ შეწყდა ფსიქოლოგიური ზეწოლა და გადამიყვანეს საკანში.“

109. ი. დ-მა წინამდებარე საქმის განხილვისას სასამართლოში მოწმედ დაკითხვის დროს იმავე საკითხზე შემდეგი განმარტება გააკეთა: „წინასწარი პატიმრობა შემთავრდეს ორ თვიანი ... 4 ნოემბერს, თუ არ ვცდები ... ჩემთან შემოდის ახალგაზრდა პიროვნება, ვინმე გ. ნ-ა – ასე გამეცნო და მითხრა, რომ ის გამოავზავენა ჩემთან ჩემმა მეგობარმა პ. ჩ-მა და ვინმე შ-ს . (მე იმ შ-ს არ ვიცნობდი). თუ ჩემი სურვილი იქნებოდა, ჩემი ადვოკატი გახდებოდა... ჩვენი ინტერესიაო, რომ შენ გაგიფორმონ საპროცესო შეთანხმებაო და გაგათავისუფლონო. ერთი მიმართულებით მე ვმუშაობ ფინანსურ პოლიციასთანო, გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი თანამშრომლები იყვნენო და მეორე მიმართულებით მუშაობს ჩემი ხელმძღვანელი ვ. გ-ეო – პროკურატურასთან მოლაპარაკებას აწარმოებსო. თუ შენი სურვილი იქნება, მე შემოვალ ორშაბათ დღესო და შენ უნდა ითანამშრომლოო, უნდა გავაფორმოთ საპროცესო შეთანხმებაო. ორშაბათს მოვალ და კონკრეტულ გეგმას გაგაცნობო. მართლაც მოვიდა ორშაბათს და

მითხრა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აქ ყველაფერი ისმინება და შენ შეიძლება საფრთხე დაგემუქროსო, ხვალ მოვლენ და გაგიყვანენ აქედან და მერე ჩვენ დაგხვდებით იქო. არ უთქვამს ან ვინ მოვიდოდა, ან სად წამიყვანდნენ...“ აღნიშნულის შემდეგ დაცვის ქვეშ მყოფი პირი აღწერს 2011 წლის 8 ნოემბერის ეპიზოდს ისე, როგორც ეს მოცემულია მისი განმარტების ოქმში (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი CD დისკზე 18:41:14-18:53:11სთ).

110. ამრიგად, მოზასუხის განცხადებაში გადმოცემული ფაქტები 2011 წლის 8 ნოემბრის ეპიზოდის აღწერის ნაწილშიც მთლიანად ემთხვევა მოწმის გამოკითხვის ოქმში, ასევე დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამოკითხვის ოქმსა და ჩვენებაში აღწერილ ფაქტებს. რაც შეეხება გამოთქმას „ფსიქოლოგიური ზენოლით აიძულებდნენ“, ისიც ემთხვევა დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამოკითხვის ოქმში ფრაზას „ჩემზე ამის შემდეგ შეწყდა ფსიქოლოგიური ზენოლა და გადამიყვანეს საკანში“, საიდანაც ჩანს, რომ იგი თავს ფსიქოლოგიური ზენოლის ობიექტად მიიჩნევდა.

111. გამოთქმების „ამ ადვოკატისა და პროკურორის ხელმძღვანელობით ი. დ-ი გამოყვანილ იქნა გლდანის საპრობილიდან“, „ფსიქოლოგიური ზენოლით აიძულებდნენ“, „ამ საუბარში განსაკუთრებით აქტიურობდა ... ადვოკატი გ. წ-ა“, შესაფასებლად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება მოწმის და დაცვის ქვეშ მყოფი პირის შემდეგ ფრაზებზე: „ვ. გ-ემ მითხრა, რომ ზ. ა-ს უნდა პირველ რიგში თ. პ-ის დაჭერა და ამისათვის უნდა მოხერხდეს ჩემი შეხვედრა ი. დ-თან, რათა მე დამეყოლიებინა ის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე“ [პ. ჩ-ი], „ადვოკატი გ. წ-ა მარწმუნებდა, რომ ბრალის არადიარებას აზრი არ ჰქონდა, რომ მას, ფინანსური პოლიციის ყოფილ გამომძიებელს, შეთანხმებული ჰქონდა ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობასთან, ხოლო ადვოკატ ვ. გ-ეს საკითხი შეთანხმებული აქვსო მთავარ პროკურატურაში“ [ი. დ-ი], „მოვიდა ორშაბათს და მითხრა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აქ ყველაფერი ისმინება და შენ შეიძლება საფრთხე დაგემუქროსო, ხვალ მოვლენ და გაგიყვანენ აქედან და მერე ჩვენ დაგხვდებით იქო. არ უთქვამს ან ვინ მოვიდოდა, ან სად წამიყვანდნენ...“ [ი. დ-ი].

112. მოცემულ საქმეში სასამართლოს კვლევის საგანს არ წარმოადგენს დაცვის ქვეშ მყოფ პირთან საპროცესო შეთანხმების პირობების წინასწარ ფორმირებაში და ამ პირობებზე მისი „დაყოლიების“ პროცესში ადვოკატ გ. წ-ას აქტიურობის ხარისხისა და როლის დადგენა, თუმცა მოწმისა და დაცვის ქვეშ

მყოფი პირის განმარტებებიდან ცალკეული გამოთქმების კვლევა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, შექმნეს თუ არა მათ სავსებით საფუძველი მოპასუხის განცხადებაში მოცემული გამოხატუებებისათვის და ხომ არ ჰქონდა ადგილი გადაჭარბებას ან მიღებული ინფორმაციის განზრახ დამახინჯებას. აღნიშნული ფრაზების ანალიზი კი ადასტურებს, რომ როგორც მონმეს, ისე დაცვის ქვეშ მყოფ პირს სასურველი ჩვენების მიცემაზე დაცვის ქვეშ მყოფი პირის „დაყოლიების“ პროცესში მოსარჩელე იურიდიული კომპანიის, და კონკრეტულად ადვოკატ გ. ნას როლი აქტიურად მიაჩნდათ. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ განცხადების ამ ნაწილში მოპასუხის მიერ გაყლერებული ინფორმაცია განზრახ დამახინჯებული ან გადაჭარბებულია.

113. დასასრულს, საკასაციო სასამართლო უბრუნდება ბრიფინგის სადავო ნაწილის შემადგენელ ფრაზას: „და ამის შემდეგ ეს თანხაც გაქრა და ი. დ-იც უკვე წელიწადი და მე-7 თვეა პატიმრობაში იმყოფება“, ასევე, ბრიფინგის სადავო მონაკვეთის დასაწყისში ნათქვამ ფრაზებს: „გამოსძალეს 10 000 დოლარი“ და „ჩაიდეს ეს 10 000 დოლარი ჯიბეში“, რომლებთან მიმართებაშიც დასადგენია, ისინი ფაქტის შემცველ ინფორმაციას წარმოადგენს თუ შეფასებით მსჯელობას.

114. ამ გამონათქვამების შეფასებისთვის აუცილებელია განალიზდეს როგორ აღწერს მონმე პ. ჩ-ი ფინანსურ პოლიციაში შეხვედრისა და თანამშრომლობაზე უარის თქმის შემდეგ ი. დ-ის საქმესთან დაკავშირებულ მდგომარეობას. მონმის გამოკითხვის ოქმში ნათქვამია: „ამის შემდეგ შ. ს-ისგან და ვ. გ-ისგან პერმანენტულად სახელდება თარიღები და მუდმივად ისმოდა დაპირებები საქმის „მოგვარების“ შესახებ... იანვრის ბოლოს მე მათ შევხვედრე ი. დ-ის მამა თ. დ-ი... ამის შემდეგ თითქმის ორი თვის განმავლობაში დისტანცირებული ვიყავი ამ საქმიდან და ი. დ-ის მამის თ. დ-ის მეშვეობით ვგებულობდი ამბებს. საქმის ასე გაჭიანურების შემდეგ მე და თ. დ-მა გადაწყვიტეთ შეხვედროდით და მკაცრად მოგვეთხოვა პასუხი თურას აკეთებდნენ ი. დ. საქმესთან დაკავშირებით შ. ს-ე და ვ. გ-ე. შეხვედრაზე... ვ. გ-ემ მოახერხა თ. დ-ის დარწმუნება, რომ ის ბოლომდე მიიყვანს ამ საქმეს... ამასობაში იმართებოდა სასამართლო პროცესები და მაისის ბოლოს ი. დ-ს სასამართლომ მიუსაჯა ოცდაათი წლით თავისუფლების აღკვეთა... რამდენიმე დღეში მე და ჩემი ძმა... შევხვდით შ. ს-ეს და ვ. გ-ეს მისსავე ოფისში და მე ვუთხარი არ მინდა კონფლიქტი და ვინაიდან საქმე არ გამოვიდა, ფული უნდა დააბრუნო მეთქი, რაზეც ვ. გ-ემ

გამომწვევ ფორმაში მითხრა, რომ ის არ დააბრუნებს ფულს... მე ავდექი და მას პირში თაღლითი და აფერისტი ვუნოდე და შევეპირდი, რომ მე მას აუცილებლად დავემტკიცებდი ამას. ამ დროს ჩვენს შორის ჩამდგრები იყვნენ ჩემი ძმა და მეორე ვითომ „გამშველებელი“ შ. ს-ე... ამასობაში ისე, რომ მე ვერ გავიგე, ინტერნეტ აუქციონზე გაიყიდა ჩემი ნათესავის ა. ბ-ის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაწილი (59 ჰა), რის შემდეგაც შ. ს-ე მემალემა. მისამართი შეიცვალა სპს „გ“ იურიდიულმა ფირმამ. ამ გარემოებების გამო მე უახლოეს დღეებში მივმართავ სათანადო განცხადებით სამართალდამცავ ორგანოებს თაღლითური ჯგუფის (ვ. გ-ე, შ. ს-ე და გ. ნ-ა) სათანადო რეაგირების მოთხოვნით“.

115. სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტი, რომ ი. დ-თან საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა. იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ და 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

116. „ეს თანხა გაქრა“, „გამოსძალეს“, „ჩაიდეს ჯიბეში“ – ამ გამოთქმების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მოპასუხე ადვოკატი არ არის ამ გამოთქმების პირველადი წყარო. ინფორმაცია მომდინარეობს მონმის განმარტებიდან, რომელიც წარმოადგენს სწორედ ინფორმაციის პირველად წყაროს. შესაბამისად, მოპასუხის გამონათქვამების შესაფასებლად უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, რამდენად ზუსტად იმეორებს იგი მონმის გამონათქვამებს.

117. მონმის განმარტების ოქმით დგინდება, რომ საპროცესო გარიგებაზე შეთანხმების ვერმიღწევის და ი. დ-ის მიმართ სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ იგი იურიდიული კომპანიისგან და მისი პარტნიორის ვ. გ-ესგან თავს მოტყუებულად, თაღლითობის მსხვეპლად თვლიდა. მოცემულ საქმეში სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენს იმის შეფასება, რამდენად ჰქონდა მონმე პ. ჩ-ს ობიექტური საფუძველი, რომ თავი მოტყუებულად, თაღლითობის მსხვერპლად ჩათვალა. მთავარია, იმის დადგენა, რომ მონმის აღქმით, მას ჰქონდა კომპანიისათვის გადაცემული 10 000 დოლარის უკან მოთხოვნის საფუძველი. ამაზე მიუთითებს ფრაზა: „მე ვუთხარი არ მინდა კონფლიქტი და ვინაიდან საქმე არ გამოვიდა, ფული უნდა დააბრუნო მეთქი“. შესაბამისად, როდესაც მას თანხის დაბრუნებაზე უარი უთხრეს, მან თავი თაღლითობის მსხვერპლად ჩათვალა. ამაზე მიუთითებს ფრაზები: „მას პირში თაღლითი და აფერისტი ვუნოდე“, „მე უახლოეს დღეებში მივმართავ სათანადო განცხადებით სამართალდამცავ ორგანოებს თაღლითური ჯგუფის (ვ.

გ-ე, შ. ს-ე და გ. ნ-ა) სათანადო რეაგირების მოთხოვნით“. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატის მიერ ბრიფინგის დროს გაჟღერებული ფრაზები „ეს თანხაც გაქრა“, „გამოსძალეს 10 000 დოლარი“ და „ჩაიდეს ეს 10 000 დოლარი ჯიბეში“, გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ინფორმაციის პირველად წყაროს, მონმე პ. ჩ-ს ჰქონდა იურიდიული კომპანიის ქმედებებთან მიმართებაში. იგი იმეორებს იმ პირის დამოკიდებულებას იურიდიული კომპანიის საქმიანობის მიმართ, რომელსაც თავი თაღლითობის მსხვერპლად მიაჩნია. ამ თვალსაზრისით, მონმის გამოკითხვის ოქმში მითითებული გამოთქმა „თაღლითი“, „თაღლითური ჯგუფი“ უფრო მიიმეა, ვიდრე მოპასუხე ადვოკატის მიერ ბრიფინგის დროს გაჟღერებული ფრაზები.

118. ამრიგად, დგინდება, რომ ფაქტობრივი თვალსაზრისით მოპასუხის ბრიფინგი შეიცავდა იდენტურ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატს მიღებული ჰქონდა ი. დ-ის საქმესთან დაკავშირებით მის მიერ გამოკითხული მონმისგან და დაცვის ქვეშ მყოფი პირისგან. ამასთან, მოპასუხე ადვოკატის მიერ ბრიფინგზე გამოთქმული შეფასებებიც თანხვედრაში იყო (თუ უფრო ნაკლებად მძაფრი არა) მონმის მიერ გამოკითხვის ოქმში მოცემულ სუბიექტურ მოსაზრებებთან და საბოლოოდ მსმენელებთან მიწოდებული იყო იმავე ტონით და კონტექსტით, როგორც თავად გამოკითხული პირი აღიქვამდა მის მიერ აღწერილ მოვლენებს.

119. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იურიდიულ კომპანიასთან დადებული შეთანხმებისადმი იგივე დამოკიდებულება ჰქონდა თავად დაცვის ქვეშ მყოფ პირს. გამოკითხვის ოქმში იგი მიუთითებს: „ჩემი გათავისუფლების შემდეგ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პ. ჩ-ი ეცადა თანხის დაბრუნებას, მაგრამ ვ. გ-ე მას ემალებოდა, ხოლო საბოლოოდ კი უარი განუცხადა თანხის დაბრუნებაზე. ეს თანხა მას მიაჩნდა საადვოკატო მომსახურების თანხად, არადა ეს თანხა მას გადაეცა საქმის საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ“.

120. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრიფინგზე გაკეთებულ სადავო განცხადების შემადგენელი გამონათქვამები წარმოადგენდა ფაქტებზე დაფუძნებულ და მათგან გამომდინარე შეფასებებს. ფაქტობრივი საფუძველი, რომელსაც ეს შეფასებები ეყრდნობოდა, შედგებოდა მონმისა და დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ გადმოცემული ფაქტებისაგან, რომლებიც ეხებოდა როგორც მოსარჩელე იურიდიულ კომპანიასთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას, ისე ამ გაფორმების მოტივს, ხელშეკრულების მხარის მიერ კომპანიისაგან მისაღები მომსახურების

შინაარსის აღქმას, მომსახურების პროცესში მომხდარ 2011 წლის 8 ნოემბრის ეპიზოდს, მომსახურების განხორციელებისას მოსარჩელის ადვოკატების ურთიერთობას პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებთან და დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, მომსახურების შედეგს, მომსახურების დასრულების შემდეგ ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობას.

121. შესაბამისად, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების მთლიანი შინაარსიდან, სადავო გამონათქვამების შინაარსიდან და იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რა კონტექსტშიც ისინი გაჟღერდა, ეს გამონათქვამები უფრო მეტად წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, თვალსაზრისს, შეხედულების გამოხატვას, ვიდრე დადასტურებადი ფაქტების შემცველ განცხადებას, რამდენადაც ისინი უმთავრესად გამოხატავდა მოპასუხის მიერ მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანობის ზოგად შეფასებას ი. დ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მისი დაცვის პროცესში, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი ფაქტობრივი საფუძველი. ამიტომ, ისინი ვერ იქნება მიჩნეული ცილისწამებად.

122. ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ:

122.1. სადავო განცხადება მოპასუხემ გააკეთა, როგორც ადვოკატმა, რომელიც წარმოადგენდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში;

122.2. განცხადება გაკეთდა მარწმუნებელთან შეთანხმებით და ეხებოდა გარემოებებს, რომლებიც უკავშირდებოდა ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებას;

122.3. განცხადება გაკეთდა ადვოკატის იმ საქმიანობის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო მიეღწია მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ცნობისათვის;

122.4. განცხადების სადავო ნაწილი ეხებოდა ი. დ-ის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში დადებული შეთანხმების შინაარსს ი. დ-ას დაცვის განხორციელების თაობაზე; ასევე ი. დ-ის წარმომადგენლად ყოფნისას მოსარჩელე იურიდიული კომპანიის პროფესიულ საქმიანობას. ეს გარემოებები კი პირის მიმართ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელ გარემოებებს (ეფექტიანი წარმომადგენლობა) წარმოადგენს;

122.5. განცხადება უშუალოდ ეყრდნობოდა მოპასუხე ადვოკატის მიერ მოწმის გამოკითხვის ოქმს. სადავო განცხადე-

ბით გავრცელებული ინფორმაციის ნაწილი განმცხადებელმა მიიღო, აგრეთვე, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისაგან;

122.6. განცხადების ზოგადი შინაარსიდან, სადავო გამონათქვამების ფორმიდან და იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რა კონტექსტშიც ისინი გაჟღერდა, ეს გამონათქვამები უფრო მეტად წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას, ვიდრე დადასტურებადი ფაქტების შემცველ განცხადებას, რადგან ისინი უმთავრესად გამოხატავდა მოპასუხის მიერ მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანობის შეფასებას ი. დ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას მისი დაცვის პროცესში;

122.7. გამონათქვამებს ჰქონდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, რომელიც მოცემულია მოწმის გამოკითხვის ოქმსა და დაცვის ქვეშ მყოფი პირის განმარტებაში. გამონათქვამები შეესაბამებოდა გამოკითხვის ოქმში და განმარტებებში მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას და შეფასებებს და არ იყო განზრახ დამახინჯებული ან გადაჭარბებული. ისინი არ ემსახურებოდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელეზე პიროვნულ თავდასხმას ან ანგარიშსწორებას;

122.8. გამონათქვამები იყო მძიმე და მოსარჩელე იურიდიული კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შემცველი, თუმცა ისინი აღწერდა სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სავარაუდო დარღვევებს, რაც ზოგადად წარმოადგენს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ეს ინტერესი უფრო მაღალი იყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოპასუხე ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობის საკითხის განხილვის გამო;

122.9. მსუბუქ სანქციასაც შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაზე, როცა ის ახორციელებს დაცვას,

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მოპასუხე ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა [„მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“] დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელე იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

123. საკასაციო სასამართლო აქვე აუცილებლად მიიჩნევს დამატებითი განმარტება გააკეთოს კასატორის მითითებაზე, რომ მოპასუხის მიერ ბრიფინგის დროს მოსარჩელის მიმართ გამოყენებული გამონათქვამი „გამოსძალა“ აუცილებლად უნდა შეფასდეს, როგორც ცილისწამება, რადგან ის დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვაა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარ-

ღვევას წარმოადგენს.

124. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8.1 მუხლის შესაბამისად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ეს პრინციპი ავალდებულებს საქმის განმხილველ სასამართლოს ან საჯარო თანამდებობის ნებისმიერ პირს არ გამოხატოს წინასწარი მოსაზრებები იმ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით, ვის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს მოსაზრებები სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოხატული. ამიტომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ავალდებულებს არა მხოლოდ იმას, რომ სასამართლომ ან საჯარო თანამდებობის პირმა ასეთი პირის მიმართ არ გამოიყენოს უშუალოდ დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვა (მაგ., სიტყვა „გამოსძალა“), არამედ იმასაც, რომ არც სხვა სიტყვებით გამოხატოს წინასწარი აზრი (მოსაზრება, თვალსაზრისი, შეფასება, კომენტარი) მის ბრალეულობასთან დაკავშირებით. მთავარია, რომ სასამართლოს გადანყვეტილება ან საჯარო თანამდებობის პირის მიერ გაკეთებული განცხადება ასეთ პირთან მიმართებაში არ გამოხატავდეს მოსაზრებას, რომ ის დამნაშავეა, იქამდე ვიდრე ამ პირის დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. უდანაშაულობის პრეზუმფციის ასეთი განმარტება მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში (იხ. მათ შორის, *Karaman v. Germany*, no. 17103/10, § 40, 27 February 2014). ამიტომ, არგუმენტი, რომ რომელიმე სიტყვა, რომელიც სხვა კონტექსტში შეიძლება დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს და პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენდეს, ყოველგვარი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ფაქტის შემცველ განცხადებად [და შესაბამისად, ცილისწამებად], და არა შეფასებით მსჯელობად, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

125. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: (ა) კანონის მითითებული დარღვევას არა აქვს ადგილი; (ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; (გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

126. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-

ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სპს-ის „გ-ა“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 აპრილის გადანყვეტილება;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის
შემლახავი ცნობების უარყოფა**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-103-98-2014

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. უ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი), გ-ა (შემდეგში: მოპასუხე) და ვ. შ-ს (შემდეგში: მესამე პირი, აღ-

რესატი) შორის, დაახლოებით 20 წლის ნაცნობობის განმავლობაში, ჩამოყალიბდა ახლო მეგობრული ურთიერთობა. მოსარჩელე და მოპასუხე, ბოლო პერიოდში, საქმიანი პარტნიორებიც იყვნენ, რა დროსაც მათ შორის წარმოიშვა უთანხმოება და დაეძაბათ ურთიერთობა. მოსარჩელე და მესამე პირი საქმიანი პარტნიორები არიან, კერძოდ, ორივე მათგანი შპს „ს-ს“ (შემდეგში: სანარმო) დამფუძნებელი და იმავდროულად დირექტორიცაა.

2. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 01 მაისის №01/05/05 განკარგულებით, სანარმოს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცა დაბამესტიაში მდებარე 8423 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასტუმროს მოწყობისა და არანაკლებ 1 200 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით (იხ. განკარგულება).

3. მოპასუხემ, 2013 წლის 12 თებერვალს, ელ-ფოსტით წერილი გაუგზავნა მოსარჩელეს და კიდევ ერთხელ მოსთხოვა ვალისა და სანარმოს ქონების დაბრუნება, ამასთან, ერთი დღე – 13 თებერვლამდე, მისცა ვადა, ვალის – 4200 ლარის დასაბრუნებლად, რომელიც ამ უკანასკნელს კრედიტორის ანგარიშზე უნდა შეეტანა ბანკში. წერილში ისიც იყო მითითებული, რომ ვალისა და ქონების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მოპასუხე ყველა საერთო ნაცნობს გააგებინებდა, თუ როგორი მატყუარა იყო მოსარჩელე სინამდვილეში.

4. მოპასუხემ, 2013 წლის 13 თებერვალს, სოციალურ ქსელში „Facebook“, პირად „ჩათში“ (რაც მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის იყო განკუთვნილი და ხელმისაწვდომი), მესამე პირს მისწერა, რომ მოსარჩელემ არ დაუბრუნა ვალი და, შეტყობინების ადრესატს, როგორც მოსარჩელის პარტნიორს, მოუწოდა სიფრთხილისკენ: „მოსარჩელე ქურდი და არამზადა“, ასეთ უპატიოსნო ადამიანს „შეუძლია 1 ვერცხლად გაყიდოს ნებისმიერი...“.

5. მოპასუხის წერილს გამოეხმაურა მესამე პირი და მიუთითა, რომ, თავის მხრივ, მოსარჩელეც გამოთქვამდა მისდამი (მოპასუხისადმი) პრეტენზიებს. მესამე პირი აღნიშნავდა, რომ მას არ სურდა მათ კონფლიქტში ჩაღრმავება, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე (მოსარჩელესთან ერთობლივი პროექტი), სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა და მოპასუხეს მოსთხოვა თანხმობა, რათა შეკითხვები დაესვა მოსარჩელისთვის, რასაც მოპასუხე დაეთანხმა.

6. მოსარჩელემ, 2013 წლის 25 მარტს, სასამართლოში წარდგენილი სარჩელით, მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემცველი ინფორმაციის უარყოფა და მი-

სი გავრცელებისათვის მოპასუხისათვის მორალური ზიანის 4000 ლარის დაკისრება (იხ. მოსარჩელის შუამდგომლობა და საოქმო განჩინება).

7. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი ნა-რადგინა და განმარტა, რომ მიმონერა პირად „ჩათში“ განხორ-ციელდა, სოციალურ ქსელში, რომელიც არ არის საინფორმა-ციო პორტალი და ამ ფორმით შეტყობინების მიწერა ვერ ჩაით-ვლებოდა პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავ-რცელებად.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ საადვოკატო მომსახურები-სათვის გაწეული 830 ლარის ანაზღაურება.

9. სასამართლომ იმსჯელა, რომ მოპასუხის მიერ მესამე პი-რისათვის პირად „ჩათში“ გაგზავნილ შეტყობინებაში გადმოცე-მული იყო მოპასუხის შეფასებითი მსჯელობა, მისი აზრი, რი-თაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება მოსარჩელისადმი. მო-პასუხის მიერ ადრესატისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში და-ფიქსირებული სადავო გამოხატუებები – სიტყვები და წინადა-დებები არ წარმოადგენდა დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამ გამოხატუებებით მოპასუხე, რომელიც განაწყენე-ბული და აღშფოთებული იყო მოსარჩელის ქმედებით – ვალის დაუბრუნებლობით თუ ბიზნეს-ურთიერთობებში უთანხმოებით, მათ საერთო მეგობართან გამოხატავდა თავის გულისტკივილს, განრისხებას, ემოციას.

10. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს, სადავო გამო-ხატუებების (სიტყვების, წინადადებების) მესამე პირისათვის მიწერით არ გაუვრცელებია მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები, არ დაურღვევია მისი რომელიმე პირადი არაქონებრივი უფლება, არ დასტურ-დებოდა მოპასუხის ქმედებით მოსარჩელისათვის მატერიალუ-რი და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი.

11. სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძ-ვლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-19 მუხ-ლებზე, 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე, საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) მე-2 მუხლის პირველი ნაწილზე, მე-4 მუხლზე, სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფ-ლებათა საყოველთაო დეკლარაციის (შემდეგში: დეკლარაცია) მე-10, 19.2.-ე-19.3.-ე მუხლებზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ

უფლებათა საერთაშორისო პაქტის (შემდეგში: პაქტი) მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონის) პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე, მე-4.1. და მე-7 მუხლებზე.

12. სასამართლომ განმარტა, რომ პატივისა და ღირსების კანონით დადგენილი წესით დასაცავად უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებანი: 1. სახეზე უნდა იყოს პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. გავრცელებული უნდა იყოს პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობები; 3. გავრცელებული ცნობები შეუსაბამო უნდა იყოს სინამდვილესთან. სასამართლოს განმარტებით, ამ უფლებათა შელახვა გულისხმობს პირის შესახებ სინამდვილესთან შეუსაბამო და თან ისეთი ცნობების გავრცელებას, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ; ჩამოთვლილ უფლებათა შემლახავი ცნობების გავრცელება გულისხმობს ასეთი ცნობების გამოქვეყნებას პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, სიტყვიერად თუ წერილობით მათ მიწოდებას დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, ერთი, რამდენიმე ან მრავალი პირისათვის.

13. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონით მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა.

14. სასამართლომ დეკლარაციის მე-19 მუხლზე მიუთითა: „ყოველ ადამიანს აქვს აზრისა და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა“. ამასთან, კონვენციის მე-10 მუხლით: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად“. პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებები ზეპირად, წერილობით ან პრესის მეშვეობით, ხელოვნების სახით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანისამებრ. პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ ვალდე-

ბულებებსა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია: ა. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის...“.

15. ზემოთ დასახელებული პუნქტი მიუთითებს „სხვათა რეპუტაციაზე“, რასაც ამკარად იცავს პაქტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ვითარება წარმოშობს კლასიკურ კონფლიქტს ადამიანის უფლებებსა (გამოხატვის თავისუფლებას) და პიროვნების დაცვას შორის. მითითებულ ნორმათა შედარებიდან იკვეთება საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ საკანონმდებლო დაცვა არასწორი მტკიცებებით პატივისა და რეპუტაციის ხელყოფის წინააღმდეგ.

16. სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას თითოეული ადამიანისათვის. ხოლო ძირითადი კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველ პუნქტში „ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს პირობებით, რომლებიც აუცილებელია ... სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად...“.

17. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება არის – ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო; ის განცხადება, რომელიც არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, მოხმობილი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის ცილისწამება. ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

18. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ხოლო პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აზრი არის შეფასებითი

მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს; ხოლო ამავე მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, აბსოლუტური პრივილეგია ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას.

19. სასამართლომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლის დეფინიციაზეც მიუთითა, რომლის საფუძველზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების (თავისუფლებების) შეზღუდვის საწინააღმდეგოდ (მე-2 პუნქტი). აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (მე-5 პუნქტი).

20. სასამართლოს შეფასებით, სოციალურ ქსელში, პირადი „ჩათის“ მეშვეობით მესამე პირისათვის (მხარეთა საერთო მეგობრისათვის) გაგზავნილ წერილში, მოცემული სადავო ინფორმაცია (გამონათქვამები) არ შეიცავდა უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს, ამასთან, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი არ მიდგომია. სადავო ინფორმაციაში, გამოხატული იყო მოპასუხის აზრი, შეხედულება, მისი დამოკიდებულების შესატყობინებლად მესამე პირისათვის მოსარჩელის შესახებ.

21. სასამართლომ, სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა თავისი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა მოპასუხის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა სარჩელის უარყოფა.

22. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

23. აპელანტმა შემდეგ პრეტენზიებზე მიუთითა:

23.1. მოსარჩელე და მოპასუხე არასოდეს ყოფილან საქმიანი პარტნიორები;

23.2. სასამართლომ არასწორად დააკისრა მას მტკიცების ვალდებულება, რომ არ ჰქონდა მოპასუხის ვალი;

23.3. მოპასუხის მიერ სოციალური ქსელით 13.02.2013 წ. გავრცელებული ინფორმაცია (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3

პუნქტი) წარმოადგენს მოსარჩელის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ქურდობა არის დანაშაულებრივი ქმედება და ამდენად, აღნიშნული სახის ინფორმაციის გავრცელებით უდავოდ ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რამდენადაც ამგვარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელებით, პირი საზოგადოებაში შეიძლება აღქმულ იქნეს დამნაშავედ, რაც ინვეს პირის დისკრედიტაციას.

23.4. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს მოსაზრებას/შეფასებით მსჯელობას და არა განცხადებას/ფაქტს, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე არის ქურდი, არამზადა, არასანდო ადამიანი, მითითება, მოპასუხის კუთვნილი ფულის მოპარვასა და დახარჯვაზე, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც კერძო პირის ცილისწამება. მოპასუხეს ინფორმაციის გავრცელებით უნდოდა, ხელი შეეშალა მოსარჩელის ურთიერთობებისათვის მის საქმიან პარტნიორებთან.

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით (სსსკ-ის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

25. სასამართლომ იმსჯელა დავის საგანზე – სოციალურ ქსელში, პირად „ჩათში“, მოპასუხის მიერ ადრესატისათვის გაგზავნილი წერილით, მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფაზე და აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ეყრდნობოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხემ სოციალური ქსელის მეშვეობით გააფრთხილა მოსარჩელის საქმიანი პარტნიორი, როგორც დიდი ხნის მეგობარი, რომ არ შეიძლებოდა მოსარჩელის ნდობა (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი).

26. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფის მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტი (ამ განჩინების მე-4 პუნქტი) საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომლის უსწორობის დადასტურების მტკიცების ტვირთი, სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-13 მუხლის შინაარსი-

დან გამომდინარე, ეკისრებოდა თავად მოსარჩელეს, იმ პირს, რომელიც თავს რეპუტაცია შელახულად მიიჩნევდა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დადგენილიყო, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის შემცველი წერილი/გაფრთხილება გაუგზავნა მოპასუხემ ადრესატს. გაგზავნილი წერილი წარმოადგენდა ინფორმაციას ფაქტის შესახებ“/განცხადებას თუ კონკრეტული ინდივიდის შესახებ გამოთქმულ „შეფასებით მსჯელობას“/მოსაზრებას. მათ შორის განსხვავების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ „აზრის თავისუფლება“ მიჩნეულია კერძო საკითხად, რომელიც გონების სფეროს მიეკუთვნება და ამდენად, იგი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის. აზრის საწინააღმდეგოდ კი, „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას და იგი მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა კატეგორიას.

27. სასამართლომ იმსჯელა, რომ აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, უპირველესად, უნდა შემოწმებულიყო, თუ რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგებოდა გამონათქვამი, კერძოდ, მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული სიტყვებით, რომელიც მესამე პირს პირად „ჩათში“ გაუგზავნა მოპასუხემ, არ არის გავრცელებული უშუალოდ მოსარჩელის კონკრეტული ქმედების ამსახველი ფაქტები, როგორცაა „მოიპარა“ ან სხვა, რომელთან ერთობლიობაში შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა, როგორც მომხდარის შესახებ განხორციელებულ ქმედებაზე, ფაქტის შემცველი ინფორმაციის მიწოდებაზე.

28. სასამართლომ განმარტა, რომ წერილის ტექსტი შესაძლებელია ატარებდეს შეურაცხყოფელ ხასიათს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს რაიმე სახის ინფორმაციის შემცველს განცხადებას, იგი არ შეიცავს ფაქტის შემცველ ცნობებს პირის შესახებ. სადავოდ ქცეული წერილის შინაარსი მისი ავტორის მოსაზრება/„შეფასებითი მსჯელობა“, რომელიც სპეციალური კანონით დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (იხ.მე-4 მუხლის

პირველი პუნქტი), რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აზრი“ არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. „აზრში“ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან, რომლის სისწორე თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული და მისი, როგორც შეხედულების, თავისუფლება არ ექვემდებარება რაიმე სახით შეზღუდვას.

29. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერი საფუძველი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა და განმარტა: მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ქურდობა წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, უპირობოდ არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მისამართით გამოთქმული მოსაზრება „ქურდია“, ავტომატურად იწვევს მისი პიროვნების გაიგივებას ქურდობის ბრალდებით დამნაშავედ ცნობილ პირთან, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ 177-ე მუხლით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის, კანონით დადგენილი წესით, დადასტურებისა და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიიჩნევს პირს დამნაშავედ. ამდენად, მოსარჩელის მიმართ გამოთქმული მოსაზრება „ქურდია“, ყოველგვარი სხვა მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, არ იწვევს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას, რომლის გამოც შესაძლებელია დადგეს მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი.

30. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

31. საკასაციო საჩივარი შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება:

31.1. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

31.2. სოციალურ ქსელში მოპასუხის მიერ გავრცელებული

ინფორმაცია წარმოადგენს მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავ ქმედებას;

31.3. გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას (საქმე №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.) და განსხვავებულად ადგენს სპეციალური კანონით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, არასწორად აფასებს გავრცელებულ განცხადებას აზრად;

31.4. კასატორის მტკიცებით, მოპასუხემ, ორაზროვნების გარეშე განაცხადა, რომ მოსარჩელემ მას მოჰპარა თანხა, რომ იგი ქურდია. საკასაციო სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებით, პირის ქურდად მოხსენიება არ არის შეფასება, არამედ, არის განცხადება მომხდარ ფაქტზე, რომელიც შეიძლება დადასტურდეს ან ვერ დადასტურდეს. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, მსგავსი ინფორმაციის გავრცელება კვალიფიცირდება კერძო პირის ცილისწამებად.

31.5. კასატორი აკრიტიკებს სასამართლოს შეფასებას, რომ მოპასუხეს არ გაუფრცვლებია უშუალოდ მოსარჩელის კონკრეტული ქმედების ამსახველი ფაქტები, რომლებთან ერთობლიობაში შესაძლებელი იქნებოდა გავრცელებულ ინფორმაციაზე, როგორც მომხდარ ფაქტზე მსჯელობა;

31.6. სასამართლომ უსამართლოდ დაუჭირა მხარი მოპასუხეს, რითაც ნაახალისა იგი მომავალში მსგავსი ქმედებისათვის;

31.7. მოპასუხემ ინფორმაციის გასავრცელებლად აიჩიოა მოსარჩელის ბიზნესპარტნიორი. საქმეში წარდგენილია მტკიცებულებები, რომ მოსარჩელე და მესამე პირი საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივად ახორციელებენ მრავალმილიონიან პროექტს, რომელსაც უძღვება მოსარჩელე და ნდობა პარტნიორულ ურთიერთობებში გადამწყვეტია, რადგან პროექტი ფინანსდება მესამე პირის მიერ, რომელიც ცხოვრობს რუსეთში, ხოლო მშენებლობას უძღვება მოსარჩელე. სასამართლომ არ გაანალიზა მოპასუხის სუბიექტური დამოკიდებულება, ანუ რა განზრახვით მოქმედებდა იგი, როდესაც კონკრეტული ადრესატი აიჩიოა შეტყობინების გასაგზავნად. მოპასუხე ერთმნიშვნელოვნად მიზნად ისახავდა კონკრეტულ ვინრო საზოგადოებაში-მოსარჩელის საქმიანი პარტნიორების წრეში, მის დისკრედიტაციას. მოპასუხე წინასწარ საზღვრავს თავისი ქმედების შედეგს: „შენ შეგიძლია იყვირო, რომ ჩემთვის არაფერი მოგიპარავს და არაფერი გმართებს – მაგრამ ეს კიდევ სასაცილო იქნება, სიამოვნებით დაგაკვირდები“, როდესაც პირად მიმონერაში მოპასუხე წერს მოსარჩელეს, რითაც ღიად განმარტავს, თუ რა

მიზანი აქვს ამ ცილისნამებით;

31.8. მოპასუხის მიერ ადრესატისათვის ინფორმაციის მიწოდებას მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა, დაეჭვებინა ეს უკანასკნელი მოსარჩელის პიროვნებაში, მიეყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეენწყვიტა მასთან საერთო ბიზნესი. „მინდა გაგაფრთხილო, ვიცი რომ მასთან ერთად წამოიწყე სასტუმროს მშენებლობა სვანეთში, ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებს, რომ შენთან ერთად აშენებს სასტუმროს, შენ მასთან საქმე სულ სხვა თანხებზე გაქვს. და ისეთ უპატიოსნო ადამიანს, როგორცაა მოსარჩელე შეუძლია 1 ვერცხლად გაყიდოს ნებისმიერი ფრთხილად იყავი. მე გირჩევდი, ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა გაგენწყვიტა მასთან“ – აღნიშნული სიტყვები ასახავს მოპასუხის ქმედების მოტივაციას – პირდაპირ განზრახვას, ცილისნამების ობიექტს მიაყენოს არა მხოლოდ მორალური, არამედ მატერიალური ზიანი; მოპასუხის ქმედება გამოხატვის უფლების ბოროტად გამოყენების მცდელობაა. სსკ-ის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. შესაბამისად, გამოხატვის უფლება, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ წინასწარ გამიზნულად ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას, ექვემდებარება რეგულირებას;

31.9. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მორალური ტკივილიც, რომელიც მიადგა მოსარჩელეს, რომელიც იძულებული გახდა, თავი იმართლოს, რომ არაფერი მოუპარავს და ბუნებრივია, განიცადა ყველა ის უარყოფითი ემოცია, რაც უსამართლო შეურაცხყოფასა და ცილისნამებას მოსდევს. კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხეში აღმოჩნდა პროექტიც, ვინაიდან დაიჯერა თუ არ დაიჯერა მომხდარის შესახებ მესამე პირმა, ეს ფაქტი მაინც აისახება მის შემეცნებაში, როგორც მისი პარტნიორის უარყოფითი დახასიათება, რამაც შესაძლოა განაპირობოს ეჭვი და უნდობლობა ურთიერთობებში;

31.10. სასამართლომ არ იმსჯელა სააპელაციო მოთხოვნაზე ადვოკატისათვის გადახდილ თანხებთან დაკავშირებით. განჩინებაში არ ჩანს, რატომ არ გაიზიარა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არასასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ადვოკატისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითრებისა და ხელშეკრულების წარდგენის თაობაზე, თუმცა ადვოკატს ხელშეკრულება არ წარუდგენია, რასაც არ მოჰყოლია სასამართლოს ადეკვატური მოქმედება; სასარჩელო

მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში შეადგენდა 4000 ლარს, სსსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი წესით, სასამართლო ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა ადვოკატის ხარჯი მხოლოდ 4%-ის ანუ 160 ლარის ოდენობით, თუმცა, სასამართლომ მოპასუხეს 800 ლარი დააკისრა, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად სააპელაციო მოთხოვნისა, არ იმსჯელა რამდენად სამართლიანად მიაჩნდა თანხის ოდენობა.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი 2014 წლის 18 ივლისის განჩინებით დასაშვებად ცნო, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი არგუმენტაციით:

33. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დაეკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და/ან სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

34. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

35. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

36. საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება.

37. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია მე-4 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომლის სამართლებრივი შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერი საფუძველი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა, ვინაიდან წერილში მითითებული ინფორმაცია არ წარმოადგენს იმგვარ განცხადებას, რომელიც შეიცავს ფაქტის შემცველ ცნობებს პირის შესახებ. სადავოდ ქცეული წერილის შინაარსი წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებას/„შეფასებით მსჯელობას“, რომელიც კანონით დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (იხ. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი), რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

38. სპეციალური კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა“ (პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა (იხ. მე-13 მუხლი).

39. ზემოაღნიშნული სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისწამებლურ განცხადებას, რაც სსკ-ის მე-18.2. მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ

გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

40. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. „შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებული იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე

არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე“ (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 08.08.1986). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. „სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს“ (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“, 2002წ., ასევე, სუსგ №ას-1052-1007-2014, 30.09.2015 წ.)

41. მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. წინამდებარე განჩინების 19-21 პუნქტები), რომ მოპასუხის მიერ სოციალურ ქსელში, პირად „ჩათში“, მესამე პირისათვის გაგზავნილი წერილით (იხ. მე-4 პუნქტი) არ არის გავრცელებული უშუალოდ მოსარჩელის კონკრეტული ქმედების ამსახველი ფაქტები, როგორცაა „მოიპარა“ ან სხვა, რომელთან ერთობლიობაში შესაძლებელი იქნებოდა გავრცელებულ ინფორმაციაზე, როგორც მომხდარის შესახებ განხორციელებულ ქმედებაზე – ფაქტის შემცველი ინფორმაციის მიწოდებაზე მსჯელობა.

42. სასამართლოს შეფასებით, განაწყენებულმა და შურაცხყოფილმა მოპასუხემ მესამე პირთან, პირად წერილში გამოხატა თავისი გულისწყრომა, უარყოფითი დამოკიდებულება მოსარჩელის პიროვნებისადმი იმით, რომ შეაფასა იგი კონკრეტული გამონათქვამით. მოპასუხის მიზანი წერილშივეა დაფიქსირებული, რაც გულისხმობს მოწოდებას წერილის ადრესატისადმი, ყურადღებით მოეკიდოს მოსარჩელესთან ურთიერთობას, აფრთხილებს, რომ დიდი ალბათობით თვითონაც არ აღმოჩნდეს მოსარჩელესთან ურთიერთობით განზილებული.

43. სპეციალური კანონის მე-7.1 „ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს“, მე-7.5 – „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გო-

ნივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“ და მე-7.6 – „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საინააღმდეგოდ“ მუხლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოთქმის კონტექსტის, ცალკეული ნაწილების იზოლირებულად შეფასების, შინაარსისა და ნამდვილი აზრის გათვალისწინებით, მოპასუხის გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად.

44. სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის სუბიექტური შეფასების გამომხატველი სადავო გამონათქვამი, შეურაცხმყოფელი, მტკივნეული, უარყოფითი ემოციისა და გარკვეული დისკომფორტის შემქმნელია მოსარჩელისათვის, წინამდებარე განჩინების 25-ე-29-ე პუნქტებში მითითებული მოტივაციით, გამორიცხავს, ცილისწამების გამო, საოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ შესაძლებლობას.

45. საკასაციო სასამართლო ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიებს (იხ. 31-ე პუნქტი) იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 13 თებერვალს, სოციალური ქსელით მესამე პირისათვის პირად „ჩათში“ მოპასუხის მიერ გაგზავნილი შეტყობინება წერილი მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებაა.

46. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორის მიერ მითითებულ სუსგ-ში განვითარებული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება და შესაბამისად, ვერ აბათილებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს (25-ე-29-ე პუნქტები), რასაც ეთანხმება და იზიარებს საკასაციო სასამართლო.

47. იმის გათვალისწინებით, რომ არ დადასტურდა სსკ-ის მე-18.2. მუხლით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ფაქტი, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

48. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებელი განჩინების უკანონოობაზე, დაკისრებუ-

ლი ბაჟის ნაწილში (იხ. ამ განჩინების 31.10 ქვეპუნქტი) და კანონიერად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

49. საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადისა და საქმეში განთავსებულ მტკიცებულებათა გაანალიზებით დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონშესაბამისია, საკასაციო საჩივარი კი ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. უ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განჩინება;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სასაქონლო ნიშნები

სასაქონლო ნიშნის გამოყენება

განმარტება

№ას-119-111-2015

21 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა,
ტვირთის განადგურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს-გ ე-ს კო.ლტდ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „H-P“-ისა და შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა შპს „H-P“-ს აეკრძალოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის SAMSUNG-ის გამოყენება, მათ შორის ამ სასაქონლო ნიშნით მარკირებული მობილური ტელეფონების იმპორტი და ექსპორტი, იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოსარჩელეს 1998 წლის 10 სექტემბერს დარეგისტრირებული აქვს №10663 სასაქონლო ნიშანი. ასევე მოითხოვა შემოსავლების სამსახურის მხრიდან 2013 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით შეჩერებული კონტრაფაქციული ტვირთის განადგურება.

2. მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლის 10 სექტემბერს დარეგისტრირდა №10663 სასაქონლო ნიშნის SAMSUNG-ის მფლობელად. აღნიშნული სასაქონლო ნიშნის მიმართ საქპატენტის თავმჯდომარის 2012 წლის 25 ოქტომბრის №1418/03 ბრძანებით მოსარჩელის მოთხოვნით დარეგისტრირდა სასაზღვრო ლონისძიებების განხორციელების მოთხოვნა. შპს „H-P“-ის მხრიდან 2013 წლის 29 სექტემბერს ადგილი ჰქონდა მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშნებით SAMSUNG მარკირებული კონტრაფაქციული მობილური ტელეფონების რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მცდელობას საქართველოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ეს ტვირთი შეჩერებული იქნა შემოსავლების სამსახურის მიერ.

3. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

4. შპს „H-P“-ის განმარტებით, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქო-

ნია რაიმე კონტრაფაქციული საქონლის დამზადებას და შექმნას. მათ დუბაიში შეიძინეს თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული პროდუქცია, რომელიც ჩვეულებრივად იყიდებოდა. მათი კომპანია არ არის რაიმე ტექნიკის მწარმოებელი. აღნიშნული სადავო პროდუქცია არ იყო განკუთვნილი საქართველოს ბაზარზე შემოსატანად. საქართველოს საბაჟო სივრცეში ტვირთი მოხვდა მხოლოდ ტრანზიტული დანიშნულებით. იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია სამსუნგს ჰქონდა რაიმე პრეტენზია ტექნოლოგიების გამოყენებაზე ან სავაჭრო ნიშანზე მას უნდა ედავა მწარმოებელთან. მოსარჩელეს არ ჩაუტარებია რაიმე სახის ექსპერტიზა რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა საქონლის ფალსიფიცირების ფაქტს.

5. მოსარჩელის წარმომადგენელმა გ-ი თ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე იშუამდგომლა შემოსავლების სამსახურის მიმართ სარჩელის გამოსზიარების თაობაზე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის გ-ი თ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმე №2/15758-13 მოპასუხე შემოსავლების სამსახურის მიმართ დარჩა განუხილველი.

7. ამავე სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ს-გ ე-ს კო. ლტდ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; აეკრძალა შპს „H-P“-ს საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის SAMSUNG გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოსარჩელეს 1998 წლის 10 სექტემბერს საქპატენტში რეგისტრირებული ჰქონდა №10663 სასაქონლო ნიშანი SAMSUNG; დადგინდა 2013 წლის 4 ოქტომბერს №49333 ბრძანებით შემოსავლების სამსახურის მიერ შეჩერებული შპს „H-P“-ის კუთვნილი კონტრაფაქციული ტვირთის მარკირებული სასაქონლო ნიშნით SAMSUNG №3250 ცალი მობილური ტელეფონის განადგურება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „H-P“-მა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შპს „H-P“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11. 1998 წლის 9 ოქტომბერს საქპატენტში ს-გ ე-ს კო. ლტდ-

ს სახელზე დარეგისტრირდა უფლება სასაქონლო ნიშანზე „SAMSUNG“.

12. საბაჟო დეპარტამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის №49333 ბრძანებით, შპს H-p-ის მიერ 2013 წლის 29 სექტემბერს რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევად მოთხოვნილ, შპს „ლ-ს“ საბაჟო სანყოფიში განთავსებულ საქონელზე, კერძოდ 3250 ცალ მობილურ ტელეფონზე, ნიშნით SAMSUNG ნიშანდებული პროდუქციის გაფორმების პროცედურები შეჩერდა 10 სამუშაო დღით.

13. სადავო მობილური ტელეფონებიდან ნიშნის სახით აღებული ორი ტელეფონის იმეი კოდის შედარებით კომპანია ს-გ ე-ს კო. ლტდ-ს მიერ წარმოებულ ტელეფონებთან დადგინდა, რომ აღნიშნული ტელეფონები არ იყო ს-გ ე-ს კო. ლტდ-ს მიერ წარმოებული.

14. აღნიშნული ტელეფონებიდან მასზე დატანილი ნიშნის (SAMSUNG) გამოცალკეება შეუძლებელია.

15. სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე უფლებამოსილია, როგორც სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირი, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აუკრძალოს მოპასუხეს სამოქალაქო ბრუნვაში მისი გამოყენება, ხოლო ამავე კანონის 45-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს საქონლის განადგურება.

16. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ მოპასუხე კომპანიის მხრიდან არ მომხდარა სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება, რაც იმით დასტურდება, რომ ტვირთი, ნიშანდებული ზემოაღნიშნული ნიშნით მოქცეული იყო რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში, რაც ტვირთის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანას გულისხმობს. აღნიშნული ვითარება არ უნდა შეფასდეს საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლების დარღვევად.

17. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაზე, რომლის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი, რომელიც საქართველოში დაცულია უპირატესად სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით.

18. საქართველოს კონსტიტუციით ასევე დაცულია პირის საკუთრების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი). თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი საჭიროების არსებობისას. კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტმა მოითხოვა საკუთრების უფლების დაცვა კონტრაფაქციულ საქონელზე, რომლის შემდგომი გავრცელება გამოიწვევს როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელის, ასევე მომხმარებლის უფლებების დარღვევას. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს ჩარევას საკუთრების უფლებაში იმ შემთხვევაში, როდესაც თავად საკუთრების ობიექტია მართლწესრიგისთვის საფრთხის მატარებელი.

19. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა. თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა ბ. მიყენებული ზიანის ანაზღაურება; გ. ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას; დ. სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი. რაც თავის მხრივ, გულისხმობს დაცვის რამდენიმე მექანიზმის გამოყენებას, მათ შორის, საქონლის რეალიზაციის აკრძალვას, ასევე საქონლის განადგურებასაც კი, თუ შეუძლებელია მისგან სასაქონლო ნიშნის გამოცალკევება.

20. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეწყვიტოს უფლების დამრღვევა უფლების დამრღვევი ქმედება – საფუძვლიანია.

21. ამასთან, პალატამ მიუთითა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრაფაქციული პროდუქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სა-

საქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს და დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შეჩერებული შპს „H-P“-ის კუთვნილი საქონელი იყო კონტრაფაქციული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები ამ ტვირთის გასანადგურებლად.

22. სასამართლოს აზრით, სარჩელზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს აპელანტის მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ საქონელი მოქცეულია რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და მისი გავრცელება არ ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა (და არა აუცილებლობას ქმნის) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ (საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნული ნორმის მიხედვით, საქონელი ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ოპერაციაში მოქცევა იძლევა საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანის საშუალებას. აქედან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანით უკვე დარღვეულია მოსარჩელის უფლებები. გარდა ამისა, პალატამ ნორმის განმარტების მიზნებიდან გამომდინარე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი კონტრაფაქციული საქონლის გატანის დაშვებით, დგება შედეგი, რომლის მიხედვითაც საქართველოდან კონტრაფაქციული საქონლის გატანა ლეგიტიმური ხდება, რაც ეწინააღმდეგება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თაობაზე, ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „H-P“-მა შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

24. კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კა-

ნონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლით, „სამრეწველო საკუთრების დაცვის“ პარიზის კონვენციის მე-3 მუხლით, ასევე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45.1 მუხლით, რაც არასწორია, რადგან, შპს „H-P“-ს არ დაურღვევია სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება, კერძოდ არ განუხორციელებია სხვისი სასაქონლო ნიშნის საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენება, აღნიშნული სასაქონლო ნიშნით რაიმე სახის პროდუქციის რეალიზაცია თუ სხვაგვარი გამოყენება. სადავო ტვირთი შემოტანილი იქნა რეექსპორტის მიზნით და განკუთვნილი იყო თურქეთის რესპუბლიკაში გადასატანად, შპს „H-P“-ის მიზანს არ წარმოადგენდა საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა მისი შემდგომი რეალიზაციის ან/და სხვაგვარი გამოყენების მიზნით, არამედ, მხოლოდ რეექსპორტი. საქონელი პრაქტიკულად ტრანზიტული იყო. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „H-P“-ს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის გამოყენება“, დაუსაბუთებელია იმდენად, რამდენადაც, მას აღნიშნული სასაქონლო ნიშანი ფიზიკურად არ გამოუყენებია საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დადგენა იმისა, რომ განადგურდეს შემოსავლების სამსახურის 04.10.2013 № 49333 ბრძანებით შეჩერებული და შპს „H-P“-ის კუთვნილი ტვირთი, სხვა არაფერია, თუ არა საკუთრების საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილი და გარანტირებული უფლების პირდაპირი დარღვევა.

25. კასატორის მითითებით, მისი მხრიდან ადგილიც რომ ჰქონოდა შესაბამის სამართალდარღვევას, სასამართლო ვალდებული იყო, შეემონებინა არსებული 3250 ცალი ტელეფონიდან ყველას ჰქონდა თუ არა დართული ნიშანი SAMSUNG, ვინაიდან არაერთხელ განაცხადეს, რომ დაახლოებით 800-დან 900 ცალ ტელეფონამდე საქონელს საერთოდ არ გააჩნდა რაიმე სახის ნიშანი და მათი მიკუთვნება კონტრაფაქციული საქონლისადმი, დაუშვებელია, ვინაიდან, მათი განადგურების დადგენით ირღვევა საკუთრების უფლება, რაც აბსოლუტური და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით შპს „H-P“-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასამ-

ვებობის შესამონმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

27. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, სასამართლოს სხდომაზე მხარეთა პოზიციების მოსმენისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „H-P“-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

28. საკასაციო საჩივრის ავტორი სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს იმ მთავარი საფუძვლით, რომ სადავო საქონელი განკუთვნილი იყო რეექსპორტისათვის და არა საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად, შესაბამისად, მასზე არ უნდა გავრცელდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. აღნიშნული მითითება ეწინააღმდეგება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის დანაწესს, რომლის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული სასაზღვრო ღონისძიებები (რომელთა მიზანია სასაქონლო ნიშნის მფლობელთა უფლებების დაცვა) ვრცელდება ისეთ კონტრაფაქციულ პროდუქციაზე, რომელიც მოქცეულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტში, განთავსებულია შესანახად საბაჟო სანყოფიში/საბაჟო ტერმინალში/შენახვის სხვა ადგილში ან ექსპორტირებულია საქართველოდან.

29. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კასაციორიც არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ სადავო ტვირთი (მობილური ტელეფონები) შესანახად განთავსებული იყო შპს „ლ-ს“ საბაჟო სანყოფიში.

30. ამავ დროს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასაციორის ახსნა-განმარტების შესაბამისად, ტვირთი თავდაპირველად შემოტანილი იყო იმპორტის სასაქონლო ოპერაციით, რის შემდეგაც მოთხოვნილ იქნა მისი რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომის ოქმი 12:12:37-12:13:20 სთ.).

31. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 228-ე მუხლის შესაბამისად, იმპორტისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, ხოლო 233-ე მუხლის შესაბამისად, რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი

გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ამავე დროს, საგადასახადო კოდექსის 231-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო სანყოფიში შესაძლებელია ნებისმიერი პირის იმ საქონლის დროებით შენახვა, რომლის მიმართაც განსაზღვრულია ან არ არის განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია.

32. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შპს „ლ-ს“ საბაჟო სანყოფიში განთავსებული სადავო ტვირთი ექვემდებარებოდა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონის მოქმედებას იმ შემთხვევაშიც, თუ ის იმპორტის სასაქონლო ოპერაციით იყო შემოტანილი და იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სანყოფიში განთავსებული იყო სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის გარეშე (რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მოლოდინში).

33. კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოება ჰქონდა თუ არა 3250 ცალი ტელეფონიდან დაახლოებით 800-900 ტელეფონს რაიმე სახის აღნიშვნა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული გარემოების შესახებ მოპასუხემ პირველად საკასაციო საჩივარში მიუთითა. ამავე დროს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა განაცხადა, რომ ასეთი ტელეფონების არსებობის შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცის და არ ფლობს დაზუსტებულ ინფორმაციას.

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ ამ კოდექსის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

35. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ახალ გარემოებებზე მითითება საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია, მით უფრო, თუ კასატორი თავადაც არ არის დარწმუნებული ასეთი გარემოების ნამდვილობაში.

36. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

37. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

38. სააპელაციო სასამართლო მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

39. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. მაგ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 1 დეკემბერი, 2015წ., სადაც განმარტებულია სასაქონლო ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებულ დავაში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების წარმოშობასა და საქონლის კონტრაფაქციულობის დასადასტურებლად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების, ასევე საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები).

40. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

41. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას სს „გ-ს“ საკასაციო

საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

42. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „H-P“-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ შპს „H-P“-ს (ს/კ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2015 წლის 28 იანვარს №114 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის გამოყენება

განჩინება

№სს-1285-1223-2014

1 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, ტვირთის განადგურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ-ი გ-ფ ფ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „დ.დ.ჯ“ მიმართ სასაქონლო ნიშნის NIKAI გამოყენების აკრძალვისა და შპს „დ.დ.ჯ“ კუთვნილი, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წლის 24 ივნისს შეჩერებული კონტრაფაქციული ტვირთის განადგურების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მხრიდან 2013 წლის ივნისის თვეში ადგილი ჰქონდა მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით – NIKAI მარკირებული, კონტრაფაქციული ელექტროტექნიკის იმპორტის მცდელობას საქართველოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ამ ტვირთის შეჩერება განახორციელა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. შეჩერებული ტვირთის შესაფუთ მასალაზე დატანილი იყო სასაქონლო ნიშანი NIKAI. ტვირთში შედის: ბლენდერის, თმის ფენის, უთოს, ელექტრო ჩაიდნის და ტოსტერის გარკვეული რაოდენობა. მოსარჩელის გარდა, არც ერთ სხვა პირს არა აქვს უფლება, საქართველოს ტერიტორიაზე მოახდინოს სასაქონლო ნიშნით NIKAI მარკირებული ელექტროტექნიკის იმპორტი და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა (რეალიზაცია).

3. მოპასუხე შპს „დ.დ.ჯ“ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, მოსარჩელე კომპანიამ ვერ დაამტკიცა, რომ სადავო საქონელი კონტრაფაქციულია. არაოფიციალურ დოკუმენტებზე ასახული სხვადასხვა საქონლის ვიზუალური შედარებით საქონლის კონტრაფაქციულობა ვერ დგინდება. გარდა ამისა, მოპასუხემ აღნიშნა, რომ ორ, თუნდაც ერთი და იგივე სახეობის საქონელს შორის ვიზუალური განსხვავება არ ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად კონტრაფაქციულია. მოპასუხის მი-

თითებით, მას არ გააჩნდა რაიმე განსაკუთრებული ინტერესი შეეძინა და საქართველოში შემოეტანა, სახელდობრ, „ნიკაის“ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია, მოპასუხის მიერ მოხდა ბაზარზე არსებული პროდუქტის შესყიდვა. მას არ გააჩნდა საფუძველი ევარაუდა, რომ პროდუქციის მწარმოებელმა დაარღვია ვინმეს უფლებები. მან საყურადღებოდ მიიჩნია ფაქტი, რომ საქონელი წარმოებულია არა უფლების მფლობელის, არამედ სხვა პირის მიერ. მოპასუხის განმარტებით, ტვირთის განადგურებით შეილახება მისი საკუთრების უფლება, ასევე გასათვალისწინებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადავო საქონელი სამოქალაქო ბრუნვაში არ ჩაურთავს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ-ი გ-ფ ფ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „დ.დ.ჯ“ ტვირთს, ხოლო შპს „დ.დ.ჯ“-ს საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე აეკრძალა სასაქონლო ნიშნით NIKAI მარკირებული ელექტროტექნიკის შემდგომში იმპორტი საქართველოში.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ-ი გ-ფ ფ-მ.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ-ი გ-ფ ფ-ოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

7. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. ნ-ი გ-ფ ფ-ო წარმოადგენს უცხოურ კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში.

9. 2011 წლის 23 აგვისტოს, მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ომ, საქპატენტში დარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი NIKAI საქონლის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ. კერძოდ, სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა:

ა) მე-7 კლასში შემავალი ისეთი საქონლის მიმართ, როგორცაა – მიქსერები, ბლენდერები, წვესანურები, მტვერსასრუტები, სამზარეულოს კომბაინები (სამზარეულოს ჩამონათვალი პროცესორები), სარეცხი მანქანები, ელექტროხორცსაკეპები, აპარატები ნაყინის დასამზადებლად, ყავის საფქვავეები,

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის ნაწილები შემავალი ამ კლასში.

ბ) მე-9 კლასში შემავალი ისეთი საქონლის მიმართ, როგორიცაა – ტელევიზორები, VCD, DVD, MP3 პლეიერები და ჩამწერი მონწყობილობები, CD პლეიერები და ჩამწერი მონწყობილობები, ავტომაგნიტოლები, აუდიოაკუსტიკური სისტემები, კასეტური პლეიერები და მაგნიტოფონები, რადიომიმღებები, რადიომიმღებები ავტომობილებისათვის, კომპლექტები თმის დასაწყობად, მონწყობილობები ტანსაცმლის დასაუთოვებლად, ელექტროუთოები, სააბაზანო იატაკის სასწორები, მონწყობილობები მწერების გასანადგურებლად, ტელეფონები, ტელეფონები ნომრის ამომცნობით, ვიდეო თამაშები, ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლის ნაწილები, შემავალი ამ კლასში.

გ) მე-11 კლასში შემავალი ისეთი საქონლის მიმართ, როგორიცაა – აპარატები ჰაერის კონდიციონებისათვის, კონდიციონერები, ფილტრები ჰაერის კონდიციონებისათვის, გასაცივებელი აპარატები, სამაცივრო აპარატები, მაცივრები, წყალგამანაწილებლები, გაზქურები, ელექტროქურები, ტოსტერები, ელექტროჩაიდნები, კომპაქტური ქურები, ღუმელები (გამათბობლები), ღუმელები; ფურნაკები, მიკროტალღური ღუმელები; აპარატები შეწვისათვის, ყავის მოსახალი აპარატები, ყავა-დანები, პოპკორნის დასამზადებელი აპარატები, გრილზე პროდუქტების დასამზადებელი ელექტროაპარატები, ელექტროქვაბები და ელექტროტაფები; ბრინჯსახარშები, სახის მოსაველები მშრალი ორთქლის ხელსაწყოები, თმის საშრობები, ფენები, ფარნები, მცირე ზომის ფარნები, ზეთის რადიატორები, ელექტრული კვარცის გამათბობლები, ვენტილიატორები, ნათურები განათებისათვის, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქონელი, შემავალი ამ კლასში.

10. მოსარჩელის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერი სასაქონლო ნიშანია, რომელზეც დიდი (ბექდუერი) ასონიშნებით არის გამოსახული – NIKAI.

11. ნ-ი გ-ფ ფ-ოს განცხადების საფუძველზე, საქპატენტის თავმჯდომარემ 2012 წლის 18 მაისს გამოსცა №605/03 ბრძანება „სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე“, რომლითაც განისაზღვრა სასაქონლო ნიშანზე – NIKAI – სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის დარეგისტრირება ორი წლის ვადით, სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში.

12. სსიპ შემოსავლების სამსახურმა, შპს „დ.დ.ჯ.“-ს მიერ 2013

ნლის 21 ივნისს C32794 (11111) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის ნაწილი, სახელდობრ, საყოფაცხოვრებო ტექნიკა (შესაფუთ მასალაზე ნიშნით – NIKAI), კერძოდ, ბლენდერი – 40 ც., თმის ფენი – 40 ც., უთო – 100 ც., ელ.ჩაიდანნი – 72 ც. და ტოსტერი – 40 ც. მიიჩნია სავარაუდოდ, შესაბამის რეესტრში შეტანილი სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევით წარმოებულად, რის გამოც, 2013 წლის 24 ივნისის №28354 ბრძანებით 10 სამუშაო დღით შეაჩერა შპს „დ.დ.ჯ“-ს მიერ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული, ზემოთ აღნიშნული საქონლის გაფორმების პროცედურები.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ-ი გ-ფ ფ-ოს განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო შპს „დ.დ.ჯ“-ს კუთვნილ სასაქონლო ნიშნით NIKAI ნიშანდებულ, სავარაუდოდ, კონტრაფაქციულ ზემოაღნიშნულ ტვირთს (საქონელს). ამასთან, აეკრძალა შპს „დ.დ.ჯ“-ს, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, სასაქონლო ნიშნით NIKAI მარკირებული ელექტროტექნიკის შემდგომი იმპორტი საქართველოში.

14. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შპს „დ.დ.ჯ“ არ წარმოადგენს კომპანია ნიკაი გალფ ფზკოს, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელის, განსაკუთრებული უფლებების დამრღვევ მხარეს.

15. პალატის განმარტებით, ზემოთ მითითებულ დასკვნას თბილისის საქალაქო სასამართლომ საფუძვლად დაუდო მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მართალია, მოპასუხის მიერ გამოყენებული სასაქონლო ნიშანი მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი იყო, მაგრამ საქონელი, რომელიც ნიშანდებული იყო მოპასუხის სასაქონლო ნიშნით, მოსარჩელის სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის არც იდენტური და არც მსგავსი არ იყო.

16. შესაბამისად, პალატის მითითებით, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – მოპასუხის სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული და საქართველოს საბაჟო საზღვარზე შეჩერებული საქონელი იდენტური ან მსგავსია თუ არა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის.

17. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ნ-ი გ-ფ ფ-ო წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების მქონე პირს სასაქონლო ნიშანზე „NIKAI“ საქონლის მე-7, მე-9 და მე-

11 კლასების მიმართ.

18. პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს „დ.დ.ჯ.“-ს კუთვნილ სადავო საქონელზე და მის შეფუთვაზე დატანილი სასაქონლო ნიშანი – nIKAI მსგავსია მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ოს კუთვნილი სასაქონლო ნიშნის – NIKAI.

19. რაც შეეხება სადავო საქონლის იდენტიზაციას ან მსგავსებას მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ოს საქონელთან, პალატამ აღნიშნა, რომ ამ გარემოების დადგენისათვის უნდა შედარდეს ის საქონელი, რომლის იმპორტსაც აპირებდა მოპასუხე და იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც მოსარჩელეს 2011 წლის 23 აგვისტოს საქპატენტში დარეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი NIKAI (მე-7, მე-9 და მე-11 კლასები).

20. ასეთი შედარების შედეგად, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქონლის თითოეული სახეობა, რომელის იმპორტსაც აპირებდა მოპასუხე, შედის იმ საქონლის ჩამონათვალში, რომლის მიმართაც მოსარჩელეს დარეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი NIKAI. კერძოდ, ბლენდერი შედის მე-7 კლასის ჩამონათვალში, თმის ფენი – მე-11 კლასის ჩამონათვალში, უთო – მე-9 კლასის ჩამონათვალში, ელ. ჩაიდანს – მე-11 კლასის ჩამონათვალში, ტოსტერი – მე-11 კლასის ჩამონათვალში. სასამართლოს აზრით, საქონლის მსგავსება ასევე დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი ფოტოსურათებით. კერძოდ, მსგავსება ვლინდება კოლოფების ფერებში (დომინირებს წითელი ფერი, გაფორმებულია შავი და თეთრი ფერებით), საქონელის ზომასა და ფორმაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ის საქონელი, რომელიც იმპორტირებული უნდა ყოფილიყო საქართველოში, იმდენად მსგავსია ნ-ი გ-ფ ფ-ოს მიერ საქპატენტში დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნით NIKAI ნიშანდებული პროდუქციისა, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აღრევას და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

22. ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი, რომელიც საქართველოში დაცულია უპირატესად სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით.

23. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერ-

თობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან.

24. სასაქონლო ნიშანი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ნაირსახეობას და წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებას, რომელიც იძლევა იურიდიული ან ფიზიკური პირების საქონლის განსხვავების საშუალებას სხვა პირების იგივე სახის საქონლისაგან. ამდენად, სააპელაციო პალატის აზრით, სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მომხმარებლის მიერ განსხვავებული იქნეს ერთი საწარმოს პროდუქცია სხვა საწარმოს მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქციისაგან. მოცემულ შემთხვევაში, განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, კერძოდ, უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ საწარმოს.

25. სასამართლომ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: ა) იდენტურია და საქონელიც იდენტურია; ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას. მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება: ა) სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე; ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან სანყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს

ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებული საქონლით; გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან განევა; დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქდებზე. მე-4 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირს ეკრძალება: ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის დატანა შესაფუთ საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ.; ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის ან შეფუთვის შეთავაზება, მიმოქცევაში შეტანა, გასაღება ან გასაღებისათვის მომზადება, მათი იმპორტი ან ექსპორტი.

26. მოცემულ შემთხვევაში პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „დ.დ.ჯ“-ს კუთვნილ სადავო საქონელზე და მის შესაფუთვაზე დატანილი სასაქონლო ნიშანი – NIKAI მსგავსია მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ოს კუთვნილი სასაქონლო ნიშნის – NIKAI. ხოლო, საქონელი, რომლის იმპორტსაც აპირებდა შპს „დ.დ.ჯ“ იმდენად მსგავსია იმ საქონლის, რომლის მიმართაც ნ-ი გ-ფ ფ-ოს დარეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი NIKAI, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

27. სასამართლომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ უფლების დამრღვევს ევალება შეწყვიტოს უფლების დამრღვევი ქმედება. მოცემულ შემთხვევაში, უფლების დამრღვევ ქმედებას, პალატის აზრით, წარმოადგენს შპს „დ.დ.ჯ“-ს მხრიდან სასაქონლო ნიშნის NIKAI-ს გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომელზეც მოსარჩელეს 2011 წლის 23 აგვისტოს საქპატენტში რეგისტრირებული აქვს №21722 სასაქონლო ნიშანი NIKAI.

28. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „დ.დ.ჯ“-ს უნდა აეკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის NIKAI-ს გამოყენება ზემოთ მითითებული საქონლის მიმართ.

29. პალატამ მიუთითა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრაფაქციული პროდუქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნუ-

ლი სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

30. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წლის 24 ივნისს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შეჩერებული შპს „დ.დ.ჯ“-ს კუთვნილი საქონელი არის კონტრაფაქციული. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები ამ ტვირთის გასანადგურებლად.

31. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ.დ.ჯ“-მ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

32. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ იცოდა იმ ცნებების შინაარსი, რომლებიც გამოყენებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. მაგალითად სიტყვები – „იგივე“ და „მსგავსი“. ცნებათა ზუსტი მნიშვნელობის გაგების გარეშე კი მართებული გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

33. დასახელებული მიზეზით, სასამართლომ დაუშვა მთელი რიგი უხეში შეცდომები. მაგალითად, საქონლის მსგავსების დასადგენად სასამართლომ ერთმანეთს შეადარა პროდუქტის სახეობა და ამ სახეობის კონკრეტული პროდუქტი. კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ საქონელი მსგავსია, რადგან საქონელი, რომლის იმპორტსაც აპირებდა მოპასუხე შედის იმ საქონლის ჩამონათვალში, რომლის მიმართაც მოსარჩელეს რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი „ნიკაი“. ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ დაფუძვთ „ბმვ“-ს მარკის ნებისმიერ ავტომანქანა „მერსედეს-ბენცის“-ს მარკის ავტომანქანის მსგავსია, რადგან ორივე ავტომანქანაა, სინამდვილეში, ეს იგივე სახეობის ნივთებია და არა მსგავსი ნივთები. ნივთი შეიძლება შედარდეს ნივთთან და არ შეიძლება სახეობა შედარდეს ნივთთან.

34. სხვა საკითხია, რომ შპს „დ.დ.ჯ“ არც ცდილობდა ნივთებს შორის მსგავსების უარყოფას.

35. კასატორის განცხადებით, პალატამ მიიჩნია, რომ იმპორტირებულ საქონელზე დატანილი და „ნი გ-ფ ფ-ოს“ საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშანი მსგავსია. სინამდვილეში სასაქონლო ნიშანი იგივეა. თუკი სასაქონლო ნიშანი იქნებოდა

მსგავსი და არა იგივე, მაშინ უნდა ეარსება მათ შორის განმასხვავებელ ნიშნებს. ასეთი განმასხვავებელი ნიშნები კი არ არსებობს. მაშასადამე, სასაქონლო ნიშანი იგივეა. არასწორია, თუნდაც ორ სხვადასხვა საქონელზე დატანილ იგივე სასაქონლო ნიშანს უწოდო მსგავსი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა ნივთებზეა დატანილი. ეს იგივე ხარისხის ლოგიკური შეცდომაა, როგორც ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ორ სხვადასხვა ეგზემპლარზე მითითებული ავტორის სახელი – შოთა რუსთაველი მსგავსად მიიჩნიო. სინამდვილეში – ავტორი იგივეა.

36. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი მსჯელობა უნდა იყოს თავისი თავის იგივეობრივი. იგი არ უნდა იცვლებოდეს მსჯელობის განმავლობაში. იგივეობის კანონის დარღვევა იწვევს მსჯელობის შინაარსის დამახინჯებას. იგივეობის კანონი მოითხოვს ბუნებრივი ენის ორაზროვნების დაძლევას.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თუკი კანონში მითითებული ცნება სასამართლომ სხვა შინაარსით გამოიყენა, მაშინ იგივეობის კანონი დაირღვევა. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს არასწორი გადანყვეტილების გამოტანას, რასაც აქვს კიდევ ადგილი განსახილველ შემთხვევაში.

38. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ პალატამ ვერ გაიგო დავის არსი. კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენდა საქონლის კონტრაფაქციულობა. მხარეები კი დავობენ შემდეგ საკითხზე – უფლებამოსილი პირის მიერ იქნა თუ არა შპს „დ.დ.ჯ“-ს საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშანი „ნიკაი“. ეს პალატამ ვერ გაიგო, რაზეც მეტყველებს გასაჩივრებული გადანყვეტილების შემდეგი წინადადება: „პალატა მიიჩნევს, რომ ის საქონელი, რომელიც იმპორტირებული უნდა ყოფილიყო საქართველოში, იმდენად მსგავსია „ნი-ი გ-ფ ფ-ოს“ მიერ საქპატენტში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნით „ნიკაი“ ნიშანდებული პროდუქციის, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აღრევას და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას“. ეს იგივეა, რომ შესადარებლად ავიღოთ, მაგალითად ორი „სონი“-ს სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული ტელევიზორი (ორივე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოებული) და ერთ-ერთზე განვაცხადოთ, რომ ის კონტრაფაქციული საქონელია, რადგან მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში იქნეს შეყვანილი სასაქონლო ნიშნის ტელევიზორების მსგავსების გამო.

39. იბადება კითხვა – რაში გამოიხატება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, როდესაც საქონელი უფლებამოსილი პირის მიერაა წარმოებული და სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული?

40. შპს „დ.დ.ჯ“ უთითებდა სასაქონლო ნიშნის იგივეობაზე,

სასამართლოს კი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს თურმე მისთვის სანინალმდეგო გარემოება ეგონა.

41. კასატორის განმარტებით, „ნი-ი გ-ფ ფ-ო“ წარმოადგენს საწარმოების ჯგუფს, რომლებსაც გააჩნიათ უფლება გამოიყენონ სასაქონლო ნიშანი „ნიკაი“. საწარმოები სხვადასხვა სახელმწიფოებში ფუნქციონირებენ და ზოგიერთი მათგანის სახელწოდებას თავად მონინალმდეგე მხარეც ვერ უთითებს. მაგალითად, ვერ უთითებს მის მიერვე ლეგალური საქონლის ნიმუშად წარმოდგენილი იაპონიაში წარმოებული პროდუქციის მწარმოებელ საწარმოზე, თუმცა აღიარებულია, რომ ეს საქონელი სასაქონლო ნიშნით „ნიკაი“ მართლზომიერად არის ნიშანდებული. კასატორის აზრით, შპს „დ.დ.ჯ“-ს მიერ შესყიდული, იგივე სასაქონლო ნიშნით – „ნიკაი“ – ნიშანდებული პროდუქცია არ არის კონტრაფაქციული და მასზე სასაქონლო ნიშანი, ასევე, უფლებამოსილი პირის მიერაა დატანილი.

42. საკასაციო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია, რომ საქონელი კონტრაფაქციულია და სასაქონლო ნიშანი არაუფლებამოსილი პირის მიერ არის დატანილი. სასამართლომ არ მოიყვანა კონტრაფაქციულობის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება (ასეთი მტკიცებულება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს), რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი. საქონელს შორის მსგავსება კონტრაფაქციულობის დასადგენად არასაკმარისი პირობაა. მაგალითად, კონტრაფაქციას ექნება ადგილი, თუკი რომელიმე არაუფლებამოსილი საწარმო აწარმოებს ჩაიდანს, რომელიც თუმცა საქპატენტში დაცული ობიექტის მსგავსი არ იქნება, მაგრამ უნებართვოდ დაადებს სასაქონლო ნიშანს „ნიკაი“. აქედან გამომდინარე, განსახილველი საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა – არსებობს თუ არა სასაქონლო ნიშნით ნიშნების ნებართვა და არა ის, მსგავსია თუ არა საქონელი. თუ სასაქონლო ნიშანს გამოიყენებს უფლებამოსილი პირი, მაშინ – საქონელი კონტრაფაქციული არ არის (მიუხედავად საქონელთა შორის მსგავსების ან განსხვავებისა).

43. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, მართალია, სასამართლომ გადამწყვეტილებაში მიუთითა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტზე, თუმცა არასწორად განმარტა იგი. აღნიშნული ნორმის თანახმად, კონტრაფაქციული პროდუქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული

იმ სასაქონლო ნიშნის იდენტიური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისგან და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

44. დასახელებულ ნორმაში საქონლის კონტრაფიქციულად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა საქონელზე სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ დატანა და არა ორ სხვადასხვა საქონელს შორის მსგავსება. სასამართლომ აღნიშნული საკითხი არ გამოიკვლია და იმსჯელა მხოლოდ საქონლისა და სასაქონლო ნიშნის მსგავსებაზე. ცხადია, საქონლის კონტრაფიქციულობა უნდა დაემტკიცებინა მოსარჩელეს, „ნ-ი გ-ფ ფ-ო“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა.

45. „ნ-ი გ-ფ ფ-ომ“ საქონლის კონტრაფიქციულობის დამტკიცება სცადა შემდეგით: „ნ-ი გ-ფ ფ-ომ“ სასამართლოს წარუდგინა საქონლის ნიმუშები, რომლებიც მისი მტკიცებით წარმოებული და ნიშანდებულია სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ (მისივე განმარტებით საქონელი ეკუთვნის ადგილობრივ საწარმოს). სასამართლოსთვის წარდგენილი იქნა იმ საქონლის ნიმუშებიც, რომლებიც შეჩერებული იქნა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ. აღმოჩნდა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საქონელი და საბაჟო დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ნიმუშები განსხვავებულია. „ნ-ი გ-ფ ფ-ო“ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ნიმუშები ერთმანეთისგან განსხვავდება.

46. კასატორის აზრით, ის გარემოება, რომ საქონელი განსხვავებულია, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანი ან ორივე მათგანი კონტრაფიქციულია. კერძოდ, სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე საწარმო აწარმოებდეს გარკვეული სახეობის განსხვავებულ პროდუქციას. მაგალითად, შესაძლებელია და ასეც არის, რომ „ნ-ი გ-ფ ფ-ო“ ან მის მიერ უფლებამოსილი საწარმო აწარმოებდეს ორ ჩაიდანს, რომლებიც განსხვავდება ფორმით, ზომითა და ფერით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ თვით პროცესუალური მონინალმდეგის მიერ წარმოდგენილი საქონლის მწარმოებლები სხვადასხვა პირები არიან (ამაზე მეტყველებს, რომ ერთ-ერთი საქონელი ნაწარმოებია იაპონიაში. ამასთან, მოსარჩელემ მწარმოებელი ფირმა ვერ დაასახელა). თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქონელი კონტრაფიქციულია, რადგან საქონელს შორის არსებობს მსგავსება.

47. „ნ-ი გ-ფ ფ-ო“ უთითებდა, რომ საქონელი, რომელიც მან წარადგინა მითითებულია „ნ-ი გ-ფ ფ-ოს“ ოფიციალურ კატალოგში, ხოლო საქონელი, რომლის ნიმუშებიც წარდგენილ იქნა საბაჟო დეპარტამენტიდან, მითითებული არ არის.

48. კასატორის განმარტებით, ეს გარემოება არ მტკიცდება იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ოფიციალური კატალოგი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. ის მტკიცებულების სახით საქმეში არ დევს.

49. „ნ-ი გ-ფ ფ-ომ“ წარმოადგინა ამონაბეჭდი შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან, საქპატენტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

50. საჩივრის ავტორის მითითებით, ცალსახად არ დგინდება, თუ საიდანაა გაკეთებული ამონაბეჭდები, მაგრამ რომ დავრწმუნდეთ კიდევ, რომ ამონაბეჭდები გაკეთებულია ოფიციალური ვებ-გვერდებიდან, ესეც არაფერს ცვლის, რადგან ვებ-გვერდებიდან ამოღებულია ის ფრაგმენტები, რაც „ნ-ი გ-ფ ფ-ოსთვისაა“ ხელსაყრელი.

51. მნიშვნელოვანია, რომ კითხვაზე, თუ ვინაა იაპონიაში დამზადებული საქონლის მწარმოებელი, მოწინააღმდეგე მხარემ პასუხი ვერ გასცა. „ნ-ი გ-ფ ფ-ო“ ვერ აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ სასაქონლო ნიშანი „ნიკაი“.

52. მოწინააღმდეგე მხარე ვერ ასახელებს ვერც ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დამტკიცდება, რომ სადავო საქონელი არალეგალურია.

53. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, ნებისმიერი კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, „ნ-ი გ-ფ ფ-ოს“ მიერ ლეგალური საქონლის ნიმუშებად წარდგენილ საქონელს ვერ მიენიჭებოდა უპირატესობა იმ საქონელთან შედარებით, რომლებიც შეჩერებული იქნა საბაჟო დეპარტამენტის მიერ. არ არსებობდა საფუძველი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ თავად „ნ-ი გ-ფ ფ-ოს“ მიერ წარმოდგენილი საქონელი ლეგალურია. განსახილველ შემთხვევაში, საქონლის კონტრაფაქციულობის ფაქტი შეიძლებოდა დამტკიცებულიყო მხოლოდ ექსპერტის მიერ.

54. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ შპს „დ.დ.ჯ“ მოითხოვდა აღნიშნული მიზნით ექსპერტიზის ჩატარებას, რაზედაც უარი ეთქვა. სასამართლოს არც თავად განუხორციელებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ქმედება.

55. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომლითაც შპს „დ.დ.ჯ“-ს მიერ შესყი-

დული საქონლის კონტრაფაქციულობა დადგინდებოდა. არც ერთი მტკიცებულება მიუთითებს, რომ შპს „დ.დ.ჯ.“-ს საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშანი უნებართვოდაა ნიშანდებული.

56. კასატორის აზრით, სასარჩელო მოთხოვნა არასწორადაა ჩამოყალიბებული და მისი დაკმაყოფილება არასწორია, ვინაიდან სარჩელით არ არის გამოკვეთილი კონკრეტულად რა ქმედება იკრძალება და კონკრეტულად რომელი და როგორი საქონლის მიმართ. კერძოდ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, შეიძლება აიკრძალოს სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე, სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან განევა, სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისთვის ან საქმიან ქალაქებზე და სხვა ქმედებები. ამიტომაც აუცილებელია, შპს „დ.დ.ჯ.“-მ იცოდეს, თუ კონკრეტულად რა ქმედება ეკრძალება. არ შეიძლება სუბექტს აეკრძალოს ნებისმიერი ქმედების განხორციელება, მათ შორის მართლზომიერი ქმედებისა.

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინებით შპს „დ.დ.ჯ.“-ს საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განჩინებით შპს „დ.დ.ჯ.“-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

59. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „დ.დ.ჯ.“-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

60. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2011 წლის 23 აგვისტოს, მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ომ საქპატენტში დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი NIKAI საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით მე-7, მე-9 და მე-11 კლასებში შემავალი საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

61. ნ-ი გ-ფ ფ-ოს განცხადების საფუძველზე, საქპატენტის თავჯდომარემ 2012 წლის 18 მაისს გამოსცა №605/03 ბრძანება „სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე“, რომლი-

თაც განისაზღვრა სასაქონლო ნიშანზე – NIKAI – სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის დარეგისტრირება ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში.

62. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „დ.დ.ჯ“-ს კუთვნილ, სადავო საქონელზე და მის შეფუთვაზე დატანილი სასაქონლო ნიშანი – NIKAI მსგავსია მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ოს კუთვნილი სასაქონლო ნიშნის – NIKAI, ხოლო საქონლის თითოეული სახეობა, რომელის იმპორტსაც აპირებდა მოპასუხე, შედის იმ საქონლის ჩამონათვალში, რომლის მიმართაც მოსარჩელეს დარეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი NIKAI. ამავე დროს, იმპორტირებული საქონელი იმდენად მსგავსია იმ საქონლის, რომლის მიმართაც მოსარჩელეს დარეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

63. განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მითითებული ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის.

64. საკასაციო საჩივრის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია:

(ა) არის თუ არა მოსარჩელე მის მიერ მითითებულ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

(ბ) გააჩნია თუ არა მოპასუხეს/კასატორს მსგავსი საქონლის მიმართ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება (და, შესაბამისად, კონტრაფაქციულია თუ არა კასატორის საქონელი);

(გ) ვის ეკისრება საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთი;

(დ) გამოკვლეულია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის/კასატორის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

არის თუ არა მოსარჩელე მის მიერ მითითებულ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი

65. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოკვლეულ უნდა იქნას, მიუთითებს თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სადავო სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების არსებობაზე და პროცესუალურად რამდენად სწორად აქვს დადგენილი ეს ფაქტები სასამართლოს.

66. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო საჩივრიდან მკაფი-

ოდ არ იკვეთება სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებულ უფლებასთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია, იგი საკასაციო საჩივარში, გარკვეულწილად, მაინც ეხება ამ საკითხს. კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ წარმოდგენილი საქონელი მოცემულია ოფიციალურ კატალოგში, თუმცა ეს კატალოგი საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი არ არის; კასატორი სადავოდ ხდის საქმეში წარმოდგენილ ამონაბეჭდებს შემოსავლების სამსახურისა და საქპატენტის ოფიციალური ვებ-გვერდებიდან (მათ ნამდვილობას); კასატორი, ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ვერ აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან გამოიყენონ სადავო სასაქონლო ნიშანი; შესაბამისად, არ დასტურდება კასატორის მიერ საქონლის არალეგალურად შემოტანის ფაქტი.

67. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კასატორმა სადავოდ გახადა მოსარჩელის განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე NIKAI.

68. „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების“ (TRIPS) მე-15 მუხლის შესაბამისად, „სასაქონლო ნიშანს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი შესწევს ერთი საწარმოს საქონელი და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან განასხვავოს“.¹ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთი სიმბოლო შეიძლება იყოს „სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით“.

69. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის² შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ენიჭება ერ-

¹ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება (TRIPS) საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2000 წლის 14 ივნისს, იხ. http://www.wipo.int/wipolex/en/other_treaties/parties.jsp?treaty_id=231&group_id=22

² სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის საქართველო მიუერთდა სსრ კავშირის დროს (1965 წ.) აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე, 1994 წლის 18 იანვარს, იხ. http://www.wipo.int/treaties/en/notifications/paris/treaty_paris_147.html

თგვაროვან ან მსგავს საქონელზე ამ ნიშნის ან მისი ვარიანტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად კი, სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისა და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნების წესებს არეგულირებს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა.

70. სასაქონლო ნიშნების დაცვის პრაქტიკით მსოფლიოში ჩამოყალიბდა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების ორი მეთოდი. პირველის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მოპოვება რაიმე სპეციალურ პროცედურას არ საჭიროებს და მიიღწევა სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენებით, ხოლო მეორის მიხედვით, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია შესაბამის დანესებულებაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია³.

71. საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს.

72. შესაბამისად, საქართველოში სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვება იწყება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის სასურველი სიმბოლოს შერჩევით, მასზე საგანაცხადო მასალების მომზადებითა და „საქპატენტში“ წარდგენით⁴.

73. რეგისტრაციით ხდება დაცვის ობიექტის ნამდვილი არსობრივი ფარგლების დაფიქსირება; ამასთან ერთად, რეგისტრაციით აღინუსხება საქონლის ის წრე, რომელთა მიმართ გამოსაყენებლადაც არის განკუთვნილი სასაქონლო ნიშანი. რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა „საქპატენტის“ მიერ ყველა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც წარმოადგენს ნიშნის მფლობელის კონკურენტებისათვის გაფრთხილებას⁵.

74. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო

³ დავით ძამუკაშვილი, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 385-386

⁴ სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაცია წესრიგდება „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმით“ (საქართველოსთვის ძალაშია 1998 წლის 20 აგვისტოდან)

⁵ დავით ძამუკაშვილი, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 393-394

შეთანხმების საფუძველზე.

75. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან (შესაბამისად, რეგისტრაციის ფაქტი საქართველოში არა დეკლარაციულია, როგორც ინგლისურ-ამერიკულ სისტემაში, რომელიც არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციას, არამედ – კონსტიტუციური).

76. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას რეესტრში შეიტანება სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, ცნობები მისი მფლობელის შესახებ, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია⁶. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება მოქმედებს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯგუფებული იმ საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც რეგისტრირებულია აღნიშნული სასაქონლო ნიშანი⁷.

77. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს⁸. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის გა-

⁶ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი გამოიყენეს წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებული ნიშნები. ამ ნიშნების თაობაზე იხ. პარიზის კონვენციის 6-ბის მუხლი, ასევე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.3. მუხლი

⁸ Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 66-72, ECHR 2007 I, ix. [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"docnumber":\["812726"\], "itemid":\["001-78981"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{"docnumber":["812726"], "itemid":["001-78981"]}) Sead. Guide Sur Kes Marques De Fabrique, De Commerce ou De Service, pp.19-20, ix. http://www.cabinetbassamat.com/fileadmin/Codes%20et%20lois/Proprié%20%20intellectuelle%20et%20industrielle/GUIDE_FR.pdf

ნაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში⁹.

78. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების წარმოშობა სასაქონლო ნიშანზე NIKAI მართებულად დაუკავშირა საქპატენტში აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციის ფაქტს.

79. საკასაციო სასამართლოს შემდგომი შეფასების საგანია რამდენად მართებულად დაადგინა სააპელაციო სასამართლომ თავად სადავო სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციის ფაქტი. როგორც უკვე აღინიშნა, კასატორი უთითებს საქონლის ოფიციალური კატალოგის არარსებობაზე და სადავოდ ხდის შემოსავლების სამსახურისა და საქპატენტის ვებ-გვერდებიდან საქმეში წარმოდგენილი ამონაბეჭდების ნამდვილობას.

80. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის (ნ-ი გ-ფ ფ-ოს) განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე NIKAI წარმოიშვა საქონლის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ საქპატენტის მიერ 2011 წლის 23 აგვისტოს გაცემული სარეგისტრაციო მოწმობით; ასევე, „სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე“ საქპატენტის თავჯდომარის 2012 წლის 18 მაისს №605/03 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა სასაქონლო ნიშანზე – NIKAI – სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის დარეგისტრირება ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში.

81. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ გასცემს მოწმობას სასაქონლო ნიშანზე, რომლითაც დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მფლობელის განსაკუთრებული უფლება აღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქ-

⁹ Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 73-78, ECHR 2007 I, ix. <http://hudoc.echr.coe.int/eng#{«dmdocnumber»:«812726»}, »itemid»:«001-78981»}>

მედების ვადა.

82. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – მოსარჩელე ნ-ი გ-ფ ფ-ოს სახელზე საქონლის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ სასაქონლო ნიშნის NIKAI 2011 წლის 23 აგვისტოს სარეგისტრაციო მოწმობა და საქპატენტის თავმჯდომარის 2012 წლის 18 მაისის №605/03 ბრძანება საკმარისია მოსარჩელის მიერ სასაქონლო ნიშანზე NIKAI განსაკუთრებული უფლების მოპოვების დასადასტურებლად.

83. გასათვალისწინებელია, რომ თავად ამ მტკიცებულებებთან მიმართებაში საკასაციო პრეტენზია არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მათი კანონიერების საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით.

84. შესაბამისად, კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი, საკასაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებების არარსებობა (ან არასათანადოდ შეფასება) არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ნიშანზე – NIKAI მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების დაუდასტურებლობის საფუძვლად. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ ნ-ი გ-ფ ფ-ო სასაქონლო ნიშანზე NIKAI განსაკუთრებული უფლების მფლობელს წარმოადგენს.

გააჩნია თუ არა კასატორს მსგავსი საქონელის მიმართ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე ნებართვა და, შესაბამისად, კონტრაფაქციულია თუ არა კასატორის საქონელი

85. ინტელექტუალური საკუთრების სამართალში კონტრაფაქცია გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების უფლების უნებართვო გამოყენებას¹⁰.

86. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონტრაფაქციული პროდუქცია არის ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით

¹⁰ Combattre la contrefaçon, Un guide pratique à l'usage des sociétés industrielles européennes, Avec le soutien de la Commission Européenne, Octobre 2001, p. 9-10, ib. http://www.orgalime.org/sites/default/files/counterfeiting_guide_fr.pdf, შეად., დავით ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, გვ.239

ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს.

87. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქონლის კონტრაფაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: (1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი; (2) საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; (3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ.

88. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქონლის კონტრაფაქციულად ცნობისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა სასაქონლო ნიშნით ნიშანდება შესაბამისი ნებართვით განხორციელდა თუ არა, თუმცა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ კონტრაფაქციულობის დასადგენად მხოლოდ ეს გარემოებაა საკმარისი.

89. ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული ყველა ელემენტი კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ კონტრაფაქციულობის ფაქტი დადგინდეს.

90. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს არ უნდა მოეხდინა სხვადასხვა (მოსარჩელისა და მოპასუხის) საქონლის შედარება, აგრეთვე, მოპასუხის საქონლის შედარება საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით მოცემული საქონლის ჩამონათ-

¹¹ სასაქონლო ნიშნების შედარება, დაპირისპირებული გარემოების გამოვლენის მიზნით ხორციელდება ფარდობითი ხასიათის კრიტერიუმების მეშვეობით. ინტელექტუალურ საკუთრების სამართალში დამკვიდრებულმა ტერმინებმა „აბსოლუტური“ და „ფარდობითი“ (შედარებითი) ასახვა ჰპოვა პოზიტიურ სამართალში. აბსოლუტური კრიტერიუმით შემონგებისას მნიშვნელობა არ აქვს სხვა სასაქონლო ნიშნებთან კავშირებს, მნიშვნელოვანია მხოლოდ ამ ნიშნის არსობრივი მხარე. ფარდობითი (შედარებითი) კრიტერიუმით შემონგების დროს კი დგინდება მოცემული ნიშნის სამართლებრივი დამოკიდებულება სხვა რეგისტრირებულ ნიშნებთან. მითითებული კრიტერიუმებით სასაქონლო ნიშნის შემონგება ხდება არსობრივი ექსპერტიზის დროს და წარმოადგენს მის ორ სახეს (იხ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი), რაც ქმნის სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციის სამართლებრივ წინაპირობას.

ვალთან. სწორედ საქონელთა შედარების გზით არის შესაძლებელი, დადგინდეს რამდენად იდენტური ან მსგავსია საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშნები¹¹ და დატანილია თუ არა ისინი იმ საქონლის იდენტურ ან მსგავს საქონელზე, რომლის მიმართაც მფლობელს რეგისტრირებული აქვს საკუთარი სასაქონლო ნიშანი¹².

91. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი თავადვე ადასტურებს, რომ მის მიერ შესყიდულ საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშანი მოსარჩელის სასაქონლო ნიშნის არათუ მსგავსი, არამედ იდენტურია, ხოლო შესყიდული საქონელი იმ საქონლის მსგავსია, რომლის მიმართაც „საქპატენტში“ რეგისტრირებულია სადავო სასაქონლო ნიშანი (იხ. საკასაციო საჩივარი). თუმცა კასატორი უთითებს, რომ მსგავს საქონელზე იდენტური სასაქონლო ნიშანი მას გამოყენებული აქვს შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

92. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს ნიშანდებაზე შესაბამისი ნებართვის არსებობა-არარსებობის ფაქტი. აღნიშნული კი უკავშირდება მტკიცების ტვირთის გადანაწილებას, კერძოდ, საკითხს ვის ეკისრება საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთი.

საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთი

93. საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთის გადანაწილება უკავშირდება წინა პარაგრაფებში უკვე განხილულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ინსტიტუტს. როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებული უფლების მქონე პირი თავისი უფლებებს სასაქონლო ნიშანზე ადასტურებს რეგისტრაციის მოწმობით¹³, ხოლო სანინაალმდეგოს მტკიცების ტვირთი (მაგ., რომ ეს უფლება მოსარჩელეს არ წარმოეშვა) ეკისრება მოპასუხეს¹⁴. აღნიშნულზე მიუთითებს ისიც, რომ რეესტრში რეგისტრირებული უფლება დაცულია როგორც საერთაშორისო

¹² Фальсификация и контрафакция: экспертный аспект, Нестеров А. В., 2001, იხ. http://www.labrate.ru/articles/nesterov_article_2001_contrafactio.htm, Sead. Opposition/Contrefaçon: la marque et les produits/services qu'elle désigne, იხ. <http://www.chaillet.fr/marque/procedure-marque-inpi/oppositioncontrefacon-la-marque-et-les-produitsservices-quelle-designe.html>

¹³ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი

¹⁴ ძამუკაშვილი დავითი. ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2012, გვ. 393-394

კონვენციებით (პარიზის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი), ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობით („ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი).

94. შესაბამისად, რეგისტრაციის ფაქტი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ რეგისტრირებული უფლების მქონე პირს წარმოემვას საკუთარი „ქონების“ დაცვის უფლება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 45-ე მუხლებითა და „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე.

95. კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მოსარჩელე წარმოადგენს სასაქონლო ნიშანზე (NIKAI) განსაკუთრებული უფლების მფლობელს, მხოლოდ მას შეეძლო მოპასუხისათვის მიეცა ამ ნიშნის გამოყენების უფლება. შესაბამისად, არ შეიძლება მოსარჩელეს დაეკისროს არარსებული ფაქტის მტკიცების ტვირთი. ის ფაქტი, რომ მოპასუხეს გააჩნდა ამ ნიშნის გამოყენების უფლება, უნდა ამტკიცოს მოპასუხემ.

96. საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებისათვის მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების სამართალში არსებული პრეზუმფციების განხილვა.

97. მოსარჩელის მიერ (1) სადავო სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობისა და (2) მოწინააღმდეგე მხარის მიერ იდენტიურ ან მსგავს საქონელზე იდენტიური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების ფაქტების დადასტურება იწვევს მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენების (მოპასუხის საქონლის კონტრაფაქციულობის) პრეზუმფციის ამოქმედებას. ამ პრეზუმფციის გაქარწყლება ეკისრება იმ მხარეს, ვის სანინააღმდეგოდაც ის მოქმედებს, ე.ი. მოპასუხეს.

98. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ დაადასტურა ორივე ფაქტი, რაც საკმარისი იყო პრეზუმფციის ასამოქმედებლად. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებაზე¹⁵.

99. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ იზიარებს ასევე კასატორის/მოპასუხის მოსაზრებას, რომ საქონლის კონტრაფაქციულობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ

¹⁵ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი

ექსპერტის დასკვნით¹⁶. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ საქონელი კონტრაფაქციულია (ხოლო პრეზუმფცია, ისევე როგორც პრეიუდიცია, არ შედის მტკიცების საგანში. შესაბამისად, მისი დადასტურება, მათ შორის, ექსპერტის დასკვნით არ ხდება). შესაძლებელია, მხოლოდ აღნიშნული პრეზუმფციის გაქარწყლება, რაც მოპასუხის მტკიცების ტვირთია.

100. რაც შეეხება თავად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზას, გასათვალისწინებელია, რომ „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციას წინ უსწრებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და არსობრივი ექსპერტიზა¹⁷. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ადგენს, არის თუ არა განაცხადი გაფორმებული კანონის შესაბამისად¹⁸, ხოლო არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური და შედარებითი საფუძვლები¹⁹. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის მონიშნა მიუთითებს იმაზე, რომ მითითებულ სასაქონლო ნიშანს უკვე გავლილი აქვს შესაბამისი ექსპერტიზა, ხოლო მოპასუხე არ ხდის სადავოდ ამ მონიშნის კანონიერებას კანონმდებლობით დადგენილ წესთა.

101. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მას გააჩნია ნებართვა სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე მსგავსი საქონლის მიმართ და, შესაბამისად, მისი საქონელი არ წარმოადგენს კონტრაფაქციულს. კანონის თანახმად, მოპასუხეს ეკისრებოდა მის საქონელზე იდენტური სასაქონლო ნიშ-

¹⁶ აღნიშნული მოსაზრებით კასატორი გარკვეულ ნიშნულში მოადის საკუთარ თავთან. თუ მივიჩნევთ, რომ საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, მაშინ სამართლებრივი შედეგისათვის მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობის არდაკმაყოფილების კანონიერების შემოწმებას; ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ კასატორს უნდა დაედასტურებინა სადავო გარემოებები, მაშინ, ნინამდებარე დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას ექსპერტის დასკვნა რამდენად წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი) იმის დასადაგენად, კონტრაფაქციულია თუ არა კასატორის საქონელი.

¹⁷ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი

¹⁸ იქვე, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი

¹⁹ იქვე, მე-14 მუხლი

ნის სათანადო ნებართვის საფუძველზე გამოყენების მტკიცების ტვირთი, რაც მოპასუხემ ვერ გასწია.

გამოკვლეულია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა

102. კასატორის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა არასწორადაა ჩამოყალიბებული, რადგან არ არის გამოკვეთილი კონკრეტულად რა ქმედება იკრძალება და კონკრეტულად რომელი ან როგორი საქონლის მიმართ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

103. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა; ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება; გ) ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას; დ) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

104. ამდენად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს კანონი აძლევს ფართო უფლებების გამოყენების შესაძლებლობას, რომლითაც ისარგებლა მოსარჩელემ და ამ მხრივ კასატორის მოსაზრება დაუსაბუთებელია.

105. თუმცა, საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საკითხს რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის (სასაქონლო ნიშნის მფლობელის) მოთხოვნა საქონლის განადგურების თაობაზე, ანუ გამოკვლეულია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

106. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, თუმცა არასწორად განმარტა „დ“ ქვეპუნქტი. გასათვალისწინებელია, რომ მითითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფ-

ლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

107. ამდენად, ამ უკიდურესი ზომის გამოყენებისათვის აუცილებელია არსებობდეს ისეთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ითხოვდა საქონლის განადგურებას, სასამართლოს იურიდიულად სწორად უნდა განესაზღვრა მტკიცების საგანი, რომელიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობის ფაქტს, რაც უნდა გამხდარიყო მტკიცებითი პროცესის ობიექტი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი წინაპირობების კვლევის გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნების გაკეთება ამ საქონლის განადგურების თაობაზე.

108. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა, რადგან არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი.

109. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლითაც ის ითხოვს სადავო საქონლის განადგურებას. ამისათვის სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა კასატორის (მოპასუხის) სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება. მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კასატორის (მოპასუხის) სასაქონლო ნიშნის

საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

111. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადანაწილოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „დ.დ.ჯ“-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის გამოყენება

განჩინება

№ას-140-136-2016

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ს-გ ე-ს კო. ლტდ-მ“ (შემდეგში: „მოსარჩელე“ ან „აპელანტი“) სარჩელი აღძრა შპს „ტ-ო ბ-ის“ (შემდეგში: „მოპასუხე“ ან „მონინალმდებელე მხარე“) მიმართ და მოითხოვა კუთვნილი სასაქონლო ნიშნის სარეკლამო ვიდეორგოლებსა და სხვა სარეკლამო მასალებში გამოყენების აკრძალვა.

II. მოპასუხის პოზიცია:

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება:

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხეს აეკრძალა მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის SAMSUNG სარეკლამო ვიდეორგოლებსა და სხვა სარეკლამო მასალებში გამოყენება.

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს საქართველოში დარეგისტრირებული აქვს რამდენიმე სა-

საქონლო ნიშანი, რომელთაგან ზოგი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს – SAMSUNG ან შეიცავს მას სიტყვიერი კომპონენტის სახით, სახელდობრ:

– 1998 წლის 07 ივლისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა № M 1998 9930 R1 სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი – სამსუნგ, SAMSUNG, გამოსახულებითი კომპონენტების ნიშნის კლასიფიკაციით მე-2, მე-4, მე-5, მე-10, მე-17, მე-18, 28-ე, 36-ე, 39-ე და 41-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ, ხოლო №M 1998 9929 R1 ნომრით – იგივე სასაქონლო ნიშანი 38-ე კლასის მიმართ.

– 1998 წლის 10 სექტემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 1998 10663 R1) იგივე სასაქონლო ნიშანი – მე-7, მე-9, მე-5, მე-11, მე-14, 37-ე და 42-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ.

– 1999 წლის 09 ნოემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 1999 12970 R1) იგივე სასაქონლო ნიშანი – პირველ, მე-12, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე და 35-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ.

– 2012 წლის 16 მაისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M2012 22596 R1) სასაქონლო ნიშანი – Samsug GALAXY Ace მე-9 კლასში შემავალი საქონლის, მათ შორის – ტელევიზორების და მობილური ტელეფონების მიმართ.

– 2012 წლის 09 ოქტომბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2012 23015 R1) სასაქონლო ნიშანი – Samsug GALAXY S მე-9 კლასში შემავალი საქონლის მიმართ.

– 2013 წლის 20 სექტემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2013 24063 R1) მოცულობითი სასაქონლო ნიშანი სიტყვიერი ელემენტით – SAMSUNG მე-9 კლასში შემავალი საქონლის მიმართ, სახელდობრ, სატელეფონო აპარატურის, მათ შორის – ტელეფონების მიმართ.

– 2014 წლის 09 ივნისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2014 24876 R1) სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი – SAMSUNG გამოსახულებითი ელემენტებით 35-ე კლასში შემავალი საქონლის მიმართ, მათ შორის – ელექტრული მტვერსასრუტების მიმართ.

7. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ტელევიზორების, აუდიო და ვიდეო ტექნიკის, საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და მობილური ტელეფონების საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

8. დადგენილია, რომ 2014 წლის ივლისის თვეში, მოპასუხემ სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე გამოიყენა

მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი რეკლამისათვის. კერძოდ, დაამზადა ორი ვიდეორგოლი, სადაც რეკლამირებას უწევდა SAMSUNG-ის ბრენდის ტელევიზორსა და მტვერსასრუტს. გავრცელებულ სარეკლამო რგოლებში ვიზუალურად გამოსახულია მოსარჩელის კუთვნილი რეგისტრირებული ნიშნების (№10663; №24876) იდენტური, დიდი ზომის ნიშანი, ამავდროულად – აუდიო ჩანაწერში, მკაფიოდ ისმის სიტყვა – „სამსუნგი“. აღნიშნული სარეკლამო რგოლები გადაიცემოდა სატელევიზიო არხების მეშვეობით.

9. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი. სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ (შემდგომში „სპეციალური კანონი“). აღნიშნული ობიექტების სამართლებრივი დაცვის საფუძველს წარმოადგენს „სამრწმუნო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“ (შემდგომში: კონვენცია), რომელიც საქართველოში ძალაშია 1993 წლის 14 ივნისიდან.

10. კონვენციის მე-6^{bis} მუხლის თანახმად, (1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ex officio, თუ ეს ნებადართულია მათი კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უარი თქვან რეგისტრაციაზე ან გააუქმონ იგი და აკრძალონ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც შეადგენს სხვა ნიშნის რეპროდუქციას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ნიშანთან აღრევა, თუ ეს ნიშანი უკვე მიჩნეულია ამ კონვენციის სარგებლობით უფლებამოსილი პირის საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია ან სადაც მოხდა გამოყენება, და როგორც საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი გამოიყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშნის არსებითი ნაწილი შეადგენს ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუქციას ან იმიტაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასთან აღრევა. (2) ასეთი ნიშნის გაუქმების მოთხოვნისათვის ნებადართულია არანაკლებ ხუთწლიანი პერიოდი რეგისტრაციის თარიღიდან. კავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოყენების აკრძალვა უნდა იქნეს მოთხოვნილი. (3) არანაირი დროითი შეზღუდვა არ წესდება ისეთი ნიშნების გაუქმებისა და გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნისათვის, რომლებიც რეგის-

ტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

11. სპეციალური კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომ – საქონელი). ამავე მუხლის მესამე პუნქტით, სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრაციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

12. სპეციალური კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქებზე.

13. სპეციალური კანონის მე-7 მუხლი ადგენს სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლების ფარგლებს. კანონის თანახმად, მითითებულ პირებს აქვთ უფლება აუკრძალონ მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს (1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი. ამ შემთხვევაში დაცული სასაქონლო ნიშანი მესამე პირმა უნდა გამოიყენოს სამენარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. ამავე კანონის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს ნესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი. აღნიშნულ ნორმის გამოყენების დროს სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ამავე კანონის მე-6 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის „დ“ „ქვეპუნქტით“. აღნიშნული ნორმის თანახმად, განსაკუთრებული უფლება გულისხმობს გამოიყენებლი-

სათვის სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვას რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქზე. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენების სხვადასხვა ფორმებიდან შეზღუდულია სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვა.

14. მონინალმდევე მხარის პოზიცია, რომ მათ მიერ გაშვებული რგოლები იყო საინფორმაციო და არა სარეკლამო დანიშნულების, არ იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ, იმ საფუძველზე, რომ პროდუქციის დასახელებათა მითითებით თავისთავად მოხდა მყიდველთა მიზიდვა, რაც რეკლამირების არსიდან გამომდინარეობს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. მონინალმდევე მხარემ არამართლზომიერად გამოიყენა მოსარჩელის სამართლებრივად დაცული სიკეთე – სასაქონლო ნიშანი, რომლის არამართლზომიერად გამოყენებიდან პირდაპირ გამომდინარეობს ამ ქმედების კომერციული მიზნები და შესაბამისად, მისი განხორციელებით შემოსავლის მიღების ფაქტი. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლები, წარმოადგენს რეკლამას. ვიდეორგოლის მეშვეობით, პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გავრცელდა ინფორმაცია მოპასუხე სავაჭრო კომპანიის მომსახურების შესახებ, შეთავაზებულ კონკრეტულ საქონელზე კონკრეტული ფასის, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მითითებით, რაც ემსახურებოდა საქონლისადმი ინტერესის ფორმირებას და მოპასუხე საზოგადოების რეკლამირებას.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ სადავო ვიდეორგოლების დამზადებით და გავრცელებით დაირღვა მოსარჩელის, როგორც სასაქონლო ნიშნების მფლობელის, განსაკუთრებული უფლებები.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მონინალმდევე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

16. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სასაქონლო ნიშნის რეკლამისა და საქმიან ქალაქზე გამოყენების უფლებასთან მიმართებაში სპეციალური კანონი არ უწესებს სასაქონლო ნიშნის მფლობელს რაიმე შეზღუდვას, არ შეიცავს მითითებას რაიმე სახის დათქმას და ა.შ. და არ იზიარებს სპეციალური კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული უფლების ფარგლებს. შესაბამის-

სად, მოსარჩელეს არ აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილ იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე (გარდა კონტრაფაქციული საქონლისა).

მოპასუხე არ არის მოსარჩელე კომპანიის ოფიციალური დილერი, მაგრამ ის ამ მიზნის ნიშანდებულ პროდუქციას იძენს მართლზომიერად და ახდენს მის რეალიზაციას.

17. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა სასაქონლო ნიშნის უნებართვო რეკლამირების ფაქტი. კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილებაში სწორად მიუთითა, რომ მოპასუხემ ვიდეორგოლის მემვობით პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გაავრცელა ინფორმაცია, მისი როგორც სავაჭრო კომპანიის მომსახურების შესახებ, შეთავაზებულ კონკრეტულ საქონელზე კონკრეტული ფასის, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მითითებით, რაც მის რეალიზაციას ემსახურებოდა.

18. კასატორის მოსაზრებით, მსოფლიოს ნებისმიერი მწარმოებელი უშვებს, რომ მისი პროდუქციის რეალიზაციის პროცესში მისი სასაქონლო ნიშანი იქნება გასაჯაროებული, როგორც უფლებამოსილი დილერების, ისე სხვა კეთილსინდისიერი რეალიზატორების მხრიდან კანონით დადგენილ ფარგლებში. ამდენად, ვიდეორგოლებით მომხმარებელთა ყურადღების მიპყრობა მისი ხელახლა გაყიდვის მიზნით, წარმოაჩენს კომპანიას და მისი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. ამ პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეალიზატორის სამრეწველო და კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ პრაქტიკას, რისი გათვალისწინებითაც მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო რეგულაციების სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიმართ, ვრცლად იხ., საკასაციო საჩივრის საფუძველები.

19. კასატორი მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, კონვენციის მე-6^{bis} მუხლის გამოყენება არ გამომდინარეობდა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, კერძოდ, ნორმის თანახმად, კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას *ex officio*, თუ ეს ნებადართულია მათი კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით უარი თქვან რეგისტრაციაზე ან გააუქმონ იგი და აკრძალონ სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელიც შეადგენს სხვა ნიშნის რეპროდუქციას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ნიშანთან აღრევა, თუ ეს ნიშანი უკვე მიჩნეულია ამ კონვენციის სარგებლობით უფლებამოსილი პირის საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად იმ ქვეყ-

ნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა რეგისტრაცია ან სადაც მოხდა გამოყენება, და როგორც საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი გამოიყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშნის არსებითი ნაწილი შეადგენს ნებისმიერი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუქციას ან იმიტაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასთან აღრევა. არანაირი დროითი შეზღუდვა არ წესდება ისეთი ნიშნების გაუქმებისა და გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნისათვის, რომლებიც რეგისტრირებულია ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად. მოცემულ საქმეზე ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილი არ ყოფილა.

20. კასატორის მითითებით, მოპასუხის ქმედება არ სცილდება სამრეწველო და კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ პრაქტიკას და აქედან გამომდინარე, შედეგებით არც სასაქონლო ნიშნის მფლობელის – ნამდვილი მწარმოებლის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება რაიმე კუთხით.

ასევე, კასატორი მიუთითებს საერთაშორისო რეგულაციებზე სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიმართ – (EC) №207/2009 ევროსაბჭოს სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის და ევროსაბჭოს (EC) №40/94 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის გამოყენების შესახებ ევროკომისიის (EC) №2868/95 დანაწესის შემცვლელი და (EC) №2869/95 ევროკომისიის შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის სამსახურისათვის (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) გადასახდელი საფასურების შესახებ დანაწესის გამაუქმებელი 2015 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EU) 2015/2424 დანაწესებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

22. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

23. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის სარეკლამო ვიდეორგოლებსა და ასახ-

ვა სარეკლამო მასალებში გამოყენების აკრძალვა. საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელეს საქართველოში დაარეგისტრირებული აქვს რამდენიმე სასაქონლო ნიშანი, სახელდობრ:

– 1998 წლის 07 ივლისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა № M 1998 9930 R1 სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი – სამსუნგ, SAMSUNG, გამოსახულებითი კომპონენტების ნიშნის კლასიფიკაციით მე-2, მე-4, მე-5, მე-10, მე-17, მე-18, 28-ე, 36-ე, 39-ე და 41-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ, ხოლო № M 1998 9929 R1 ნომრით – იგივე სასაქონლო ნიშანი 38-ე კლასის მიმართ;

– 1998 წლის 10 სექტემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 1998 10663 R1) იგივე სასაქონლო ნიშანი – მე-7, მე-9, მე-5, მე-11, მე-14, 37-ე და 42-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ;

– 1999 წლის 09 ნოემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 1999 12970 R1) იგივე სასაქონლო ნიშანი – პირველ, მე-12, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე და 35-ე კლასებში შემავალი საქონლის მიმართ;

– 2012 წლის 16 მაისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M2012 22596 R1) სასაქონლო ნიშანი – Samsug GALAXY Ace მე-9 კლასში შემავალი საქონლის, მათ შორის – ტელევიზორების და მობილური ტელეფონების მიმართ;

– 2012 წლის 09 ოქტომბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2012 23015 R1) სასაქონლო ნიშანი – Samsug GALAXY S მე-9 კლასში შემავალი საქონლის მიმართ;

– 2013 წლის 20 სექტემბერს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2013 24063 R1) მოცულობითი სასაქონლო ნიშანი სიტყვიერი ელემენტით – SAMSUNG მე-9 კლასში შემავალი საქონლის მიმართ, სახელდობრ, სატელეფონო აპარატურის, მათ შორის – ტელეფონების მიმართ;

– 2014 წლის 09 ივნისს, აპელანტმა სსიპ „საქპატენტში“ დაარეგისტრირა (№ M 2014 24876 R1) სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი – SAMSUNG გამოსახულებითი ელემენტებით 35-ე კლასში შემავალი საქონლის მიმართ, მათ შორის, ელექტრული მტვერსასრუტების მიმართ.

24. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა 2014 წლის ივლისის თვეში, მოპასუხის მიერ სასაქონლო ნიშნის რეკლამისათვის გამოყენების ფაქტობრივი გარემოება. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხემ ვიდეორგოლის მეშვეობით პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გაავრცელა ინფორმაცია, მისი როგორც სავაჭრო კომპანიის მომსახურების შესახებ, შეთავაზებულ კონ-

კრეტულ საქონელზე კონკრეტული ფასის, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მითითებით, რაც მის რეალიზაციას ემსახურებოდა, რაც არ შეიძლება შეფასდეს მისი რეკლამირებად გამოყენებად (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

კასატორის პოზიციის სანინალმდევოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება (იხ., პპ: 2.7; 2.8. 2.13):

– მოპასუხე შპს-მ, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით, დაამზადა ორი ვიდეორგოლი, რომლითაც მომხმარებელს მიაწოდა ინფორმაცია მის მაღაზიათა ქსელში არსებული SAMSUNG-ის ბრენდის ტელევიზორისა და მტკვერსასრუტის ფასის (როგორც დაბალი ფასის) შესახებ. ვიდეორგოლები, 2014 წლის ივლისის თვეში გადაიციმოდა სატელევიზიო არხებით, სახელდობრ, ტელეკომპანიების – მაესტროსა და კავკასიის საშუალებით.

– სადავო ვიდეორგოლებში დაბალი ფასით აღნიშნული SAMSUNG-ის პროდუქციის დასახელებისას, როგორც სასაქონლო ნიშანი, ისე პროდუქციის გამოსახულება ვიზუალურად რაიმე სახის დამახინჯების გარეშეა მოცემული, აუდიო ტექსტშიც, სიტყვა „სამსუნგი“ სწორად და მკაფიოდ ისმის.

– სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლები, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძვლზე, წარმოადგენს რეკლამას, სახელდობრ, ვიდეორგოლის მეშვეობით, პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გავრცელდა ინფორმაცია მოპასუხე სავაჭრო კომპანიის მომსახურების შესახებ, შეთავაზებულ კონკრეტულ საქონელზე კონკრეტული ფასის, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მითითებით, რაც ემსახურებოდა ამ ფასის გამო საქონლისადმი ინტერესის ფორმირებას და შენარჩუნებას. ამავდროულად, ამ საქონლის რეალიზაციისათვის ხელშეწყობას.

ნიშანდობლივია, რომ მოპასუხეს სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში სადავოდ არ გაუხდია ვიდეორგოლებით რეკლამირების ფაქტი. იგი სადავოდ ხდიდა მხოლოდ ვიდეორგოლების დამზადებითა და გავრცელებით მოსარჩელის, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევის ფაქტზე მოსარჩელის მითითებას. ასეც რომ არ იყოს, რეკლამირების არარსებობასთან მიმართებით, საკასაციო საჩივრის პრეტენზია გაზიარებული ვერ იქნება გამომდინარე იქიდან, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკლამა არის საქონელზე, მომ-

სახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, იძლევა იმგვარი დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხის მიერ გაშვებული რგოლებით თავისთავად მოხდა მყიდველთა მიზიდვა, რაც რეკლამირების არსიდან გამომდინარეობს. სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერად გამოყენებიდან პირდაპირ გამომდინარეობს ამ ქმედების კომერციული მიზნები და შესაბამისად, მისი განხორციელებით შემოსავლის მიღების ფაქტი.

25. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხის ქმედება არ სცილდება სამრეწველო და კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ პრაქტიკას და აქედან გამომდინარე, შედეგებით არც სასაქონლო ნიშნის მფლობელის – ნამდვილი მწარმოებლის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება რაიმე კუთხით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის ზემოთმითითებულ პოზიციას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, გამომდინარე იქიდან, სპეციალური კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქებზე.

ზემოთ მითითებული ნორმების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ეწინააღმდეგება საქმიან ურთიერთობებში კეთილსინდისიერების კანონით დადგენილ სტანდარტებს და მისი აკრძალვა ლოგიკურ კავშირშია ამ უფლების რეგისტრაციის მიზნებთანაც. შესაბამისად, მესამე პირებს უფლება არა აქვთ თავისი საწარმოს ან ბიზნესის რეკლამაში გამოიყენოს სხვისი სასაქონლო ნიშანი მესამე პირის მხრიდან სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ საერთაშორისო რეგულაციებს სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიმართ: (EC) №207/2009 ევროსაბჭოს სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის და

ევროსაბჭოს (EC) №40/94 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებზე დანაწესის გამოყენების შესახებ ევროკომისიის (EC) №2868/95 დანაწესის შემცვლელი და (EC) №2869/95 ევროკომისიის შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის სამსახურისათვის (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) გადასახდელი საფასურების შესახებ დანაწესის გამაუქმებელი 2015 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EU) 2015/2424 დანაწესებს (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტის მითითებული რეგულაციები განამტკიცებს სასაქონლო ნიშნის კეთილსინდისიერ გამოყენებას და მისი იმგვარად აღქმა, რომ მესამე პირებს აქვს უფლება თავიანთი ბიზნეს საქმიანობის სფეროში თვითნებურად, უნებართვოდ გამოიყენონ სხვისი სასაქონლო ნიშანი და ამ გზით, მიიღონ მოგება, არ გამომდინარეობს რეგულაციების შინაარსიდან.

26. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინე-

ბა არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

42. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სხვისი სასაქონლო უნებართვო გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა.

43. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუმუშავოს წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ტ-ო ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორს – შპს „ტ-ო ბ-ს“ დაუბრუნდეს (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) სახელმწიფო ბაჟის სახით 2016 წლის 04 თებერვალს №332 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

ბანჩინება

№ას-970-919-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

კომპანია „კ-ნ კ-კ ს-ი ვე თ-თ ეი-ეს-მა“ („K-n K-k S-i ve T-t A.S.“ შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ (უფლებამონაცვლე – შპს
„კ-ი“, იხ: სააპელაციო სასამართლოს 20.02.2015წ. საოქმო განჩი-
ნება, შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ
„საქპატენტში“ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის
(№66828/03; M 201222502 R) რეგისტრაციის ბათილად ცნობისა
და 111 067 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელის
თანახმად, ზემოხსენებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი, ადრე
რეგისტრირებული და ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშნე-
ბის მფლობელი და ამავე სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული
კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელია მოსარჩელე. მოპა-
სუხე მისი ყოფილი დისტრიბუტორია, რომელმაც არაკეთილსინ-
დისიერი განზრახვით, მოსარჩელის სამეწარმეო საქმიანობის
ხელშეშლის მიზნით, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის
გარეშე განახორციელა სადავო ნიშნის რეგისტრაცია. ამასთანა-
ვე, მოითხოვა სასაზღვრო ღონისძიების გამოყენებაც, რაც ხელს
უშლის მოსარჩელესა და მის ამჟამინდელ ექსკლუზიურ დისტრი-
ბუტორს კოსმეტიკური ნაწარმის საქართველოს ბაზარზე რეა-
ლიზაციაში. ამასთანავე, ხანგრძლივი ურთიერთობიდან გამომ-
დინარე, მოპასუხეს გააჩნდა დავალიანება მოსარჩელის მიმართ.
მისი მხრიდან გაცემულია ვალის აღიარების ხელწერილი და შე-
უსრულებელმა ვალდებულებამ შეადგინა 111 067 აშშ დოლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით მოპასუხე არ დაეთან-

ხმა სარჩელს და განმარტა, რომ სადავო ნიშნის რეგისტრაციით არ დარღვეულა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი საქართველოში არ არის რეგისტრირებული და ის არც არანაირ პრიორიტეტს არ ფლობს. მოპასუხის განმარტებით, მისი მიზანი არ ყოფილა სადავო სასაქონლო ნიშნით გაყიდვაში მყოფი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეშლა, არამედ, სურდა ჩინეთიდან და დუბაიდან შემოსული, გაყიდვაში მყოფი გაყალბებული სასაქონლო ნიშნებიანი კონტრაფაქციული პროდუქციის მიმოქცევის აღკვეთა და საკუთარი უფლების დაცვა, რადგანაც ჩინეთიდან შემოსული პროდუქცია მარკირებულია მოსარჩელის თითქმის იდენტური ნიშნით – ლათინური „f“ წრეში და სიტყვა „Flormac“, ხოლო დუბაიდან შემოსული პროდუქციის მარკირება სრულად იდენტურია. ეს პრობლემა არსებობდა ჯერ კიდევ 2009 წელს, რის თაობაზეც ეცნობა მოსარჩელეს. რადგანაც ეს უკანასკნელი არ იყო დაინტერესებული საქართველოს ბაზრით, არავითარი რეაგირება არ განუხორციელებია, ხოლო მოპასუხე არ იყო მისი დისტრიბუტორი/აგენტი და არ იყო უფლებამოსილი, ზიანის აღსაკვეთად ემოქმედა ნიშნის მფლობელის სახელით, შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისერად მითვისებაზე საუბარი არასწორია. რაც შეეხება ვალის აღიარებას, მოპასუხის განმარტებით, იგი იძულებისა და მუქარის, ასევე, მის მიმართ განხორციელებული არაკანონიერი ქმედების შედეგადაა შესრულებული (მოსარჩელემ მიანოდა ქარხნული წუნის მქონე პროდუქტი, რომლის თაობაზე არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს მოპასუხესთან).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის მფლობელობაში არსებული სასაქონლო ნიშნის (რეგისტრაციის ნომერი – AM 066828; M 2012 22502 R) რეგისტრაცია, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 111 067 აშშ დოლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. აპელანტის განცხადება მოთხოვნის შემცირების შესახებ).

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე თურქეთში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებაა, რომელიც ძირითადად აწარმოებს კოსმეტიკურ და პირადი ჰიგიენის საშუალებებს და ფლობს ბრენდ „ფლორმარს“ (Flormar). 2000 წლიდან ხდება „ფლორმარის“ პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში. მოსარჩელე ყოველთვიურად აწარმოებს დაახლოებით 7 მილიონ ცალ პროდუქციას

5.1.2. მოსარჩელე კომპანია ფლობს რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს, სახელდობრ: ა) საერთაშორისო №792685, სასაქონლო ნიშანი – FlorMar TURK MALI რეგისტრაციის თარიღი – 30.09.2002წ, დაცულია 50-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ვენის კლასიფიკაციით (VCL) 4 კლასში შემავალი საქონლის მიმართ (უპირატესად, კოსმეტიკური და პირადი ჰიგიენის საშუალებები); ბ) საერთაშორისო №1095046, სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Therapy, რეგისტრაციის თარიღია – 26.08.2011წ, დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, ძირითადად იმავე საქონლის მიმართ. სასაქონლო ნიშანი არ არის დაცული საქართველოში. ნიშნის გამოსახულება შედგება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს, „f“ ასო-ნიშნისა და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით სიტყვა – „flormar“, ხოლო ამ სიტყვის ქვემოთ მოცემულია სიტყვები – Nail Therapy. მთლიანად სასაქონლო ნიშანი შესრულებულია თეთრ ფონზე შავი ფერით; გ) საერთაშორისო №1105310, სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Art, რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ, დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, ვენის კლასიფიკაციით (VCL) 6 კლასში შემავალი საქონლის მიმართ; სასაქონლო ნიშანი არ არის დაცული საქართველოში. ნიშნის გამოსახულება შედგება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს, „f“ ასო-ნიშნის და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური

ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა – „flormar“, მათ ქვემოთ კი სიტყვები – Nail Art. ზედა გამოსახულება და სიტყვა შესრულებულია თეთრ ფონზე შავი ფერით, ხოლო ქვემოთ განთავსებული სიტყვები – Nail Art შესრულებულია თეთრი ფერით ყვითელ, მწვანე, ლურჯ, ვარდისფერ და შავ ფონზე; დ) საერთაშორისო №1105310, სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Art, რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ, დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, ვენის კლასიფიკაციით (VCL) 6 კლასში შემავალი საქონლის მიმართ; სასაქონლო ნიშანი არ არის დაცული საქართველოში. ნიშნის გამოსახულება შედგება წრეწირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრეწირს, „f“ ასო-ნიშნის და წრეწირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრეწირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა – „flormar“, მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა – SUPERSHINE. სიტყვები – flormar supershine შესრულებულია მუქი ოქროსფერით თეთრ ფონზე; ე) საერთაშორისო №1097806, სასაქონლო ნიშანი – flormar SUPERMATTE; რეგისტრაციის თარიღია – 26.08.2011წ, დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, ვენის კლასიფიკაციით (VCL) 6 კლასში შემავალი საქონლის მიმართ; სასაქონლო ნიშანი არ არის დაცული საქართველოში. სასაქონლო ნიშნის გამოსახულება შედგება წრეწირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრეწირს. „f“ ასო-ნიშნის და წრეწირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრეწირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა – flormar, მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა – SUPERMATTE. სიტყვები – flormar supermatte შესრულებულია მუქი ოქროსფერით თეთრ ფონზე.

5.1.3. მოპასუხე დარეგისტრირებულია თბილისში 2008 წლის 26 ივნისს, მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან: დირექტორი – ბ-ი ი-ი; გენერალური დირექტორი – ნ-რ ი-ი.

5.1.4. მოსარჩელემ 2008 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა მოპასუხესთან: იგი პერიოდულად აწოდებდა მის მიერ წარმოებულ კოსმეტიკურ (ფრჩხილის ლაქი და სხვ.) პროდუქციას საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციის მიზნით. მოპასუხე მონოდებული პროდუქციის ღირებულების თანხას წინასწარ უხდიდა მოსარჩელეს, მაგრამ, ასევე, ხდებოდა პროდუქციის მიწოდება მისი რეალიზაციის შემდეგ თანხის გადახდის პირობით.

მოსარჩელე თავის პროდუქციას აწვდიდა 4 წლის განმავლობაში – 2008 წლის აგვისტოდან 2012 წლის ივნისამდე, 2012 წელს პროდუქციის მიწოდება ხდებოდა შედარებით იშვიათად და მცირე ოდენობით. 2008-2012 წლებში მოპასუხე მისი დისტრიბუტორი იყო საქართველოში (2008-2011 წლებში კი ერთადერთი დისტრიბუტორი): თავად შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“, სხვადასხვა დროს შედგენილ ამა თუ იმ დოკუმენტში განმარტავს, რომ ის არის მომწოდებლის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოებს თურქული კომპანიის – სს „კ-ნ კ-ის“ კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუციას. ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ივნისს „საქპატენტისადმი“ მიწერილ წერილში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი ყოფილი დისტრიბუტორია შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“, რომელსაც მის მიმართ, დარჩენილი ვალი არ აქვს გადახდილი.

5.1.5. 2012 წლის 1 იანვარს მოსარჩელე კომპანია ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმება გააფორმა საქართველოში რეგისტრირებულ შპს „V-P C-s-თან“, როგორც მის საბითუმო აგენტთან საქართველოში, 12 თვის ვადით, „Flormar-ის“ საქონლის მიწოდებიდან.

5.1.6. 2012 წლის 3 აპრილს მოპასუხემ მიმართა „საქპატენტს“, სასაქონლო ნიშნის „NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE ფლორას“ დაჩქარებული ნესით რეგისტრაციის მოთხოვნით. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2012 წლის 20 აპრილის №464/03 ბრძანების საფუძველზე. მოპასუხემ სადავო სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა ნიციის კლასიფიკაციის 3 კლასში შემავალი საქონლის – კოსმეტიკური საშუალებების მიმართ. სასაქონლო ნიშანი არის შავ-თეთრი და იგი დაცულია მთლიანობაში. სიტყვიერი აღნიშვნები: „NAIL“, „ART“, „THERAPY“, „SUPERSHINE“ დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია („NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE ფლორა“) და ასევე მოიცავს გამოსახულებით ელემენტებსაც: ნიშნის ცენტრალურ გამოსახულებით ფიგურას წარმოადგენს წრეწირი, რომელშიც განთავსებულია შავი ფერით შესრულებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“, რომელიც ქვედა მხარეს ოდნავ ცდება წრეწირს; ასო-ნიშანი „f-ისა“ და წრეწირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრეწირში „f-ის“ შუახაზის ქვემოთ, განთავსებულია ერთი წერტილი; წრეწირის ირგვლივ, მის გარეთა მხარეს, განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული, სასაქონლო ნიშანში შემავალი, ლათინური ასო-ნიშ-

ნებით შესრულებული სიტყვები, წრენიში განთავსებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“ წერტილით არის მოსარჩელის კუთვნილი ბრენდის – „flormar-ის“ გამოსახულება, სიმბოლო და იგი აღბეჭდილია მის მიერ გამოშვებულ თითოეულ პროდუქტზე (საქონელზე), ამასთან, აღნიშნული გამოსახულება არის სხვადასხვა ქვეყანაში (საქართველოში დაცულია უშუალოდ სასაქონლო ნიშანი – FlorMar) დაცული, მოსარჩელის რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შემადგენელი გამოსახულებითი ელემენტი. სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილის შემადგენელი სიტყვები: „NAIL ART“, „NAIL THERAPY“, „SUPERSHINE“, „SUPERMATTE“ აღბეჭდილია სხვადასხვა პროდუქტზე და ამავე დროს, დაცულია მოსარჩელის კუთვნილი, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ცალკეული სასაქონლო ნიშნით. სადავო სასაქონლო ნიშანი მსგავსია მოსარჩელის კუთვნილი და საქართველოში გამოყენებული სასაქონლო ნიშნებისა: იგი შედგება წლების განმავლობაში საქართველოში შემოტანილ და საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებულ მოსარჩელის პროდუქციაზე აღბეჭდილი გამოსახულებისგან, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელის ბრენდის – „Flormar-ის“ სიმბოლოს, რომელიც ამავე დროს, მისი რამდენიმე სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ელემენტია; სიტყვები – „NAIL ART“, „NAIL THERAPY“, „SUPERSHINE“, „SUPERMATTE“ კარგად არის ცნობილი ქართველი მომხმარებლისათვის, ვინაიდან ისინი აღბეჭდილია მოსარჩელის წარმოებულ ამა თუ იმ პროდუქტზე ზემოაღნიშნულ გამოსახულებასთან ერთად; ამავე დროს, ისინი დაცულია მოსარჩელის რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნით.

5.1.7. 2012 წლის მაისში მოპასუხემ წერილები გაუგზავნა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელებს, სადაც განმარტა, რომ აწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თურქული კომპანიის (მოსარჩელის) კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუციას. მოპასუხე კომპანიისათვის ცნობილი გახდა, რომ წერილის ადრესატ სავაჭრო ობიექტებში სხვა პირების მიერ რეალიზაციისათვის წარმოდგენილია საქონელი (კოსმეტიკური საშუალებები), რომელიც მათი საქონლის იდენტურია. მოპასუხე წერილში მიუთითებს, რომ აღნიშნულ საქონელზე დატანილია სასაქონლო ნიშნის „flormar-ის“ არსებითი შემადგენელი ნაწილი (ლათინური ასო f ჩასმული წრენიში და ასევე, შემდეგი სიტყვებით მონიშნული საქონელი: NAIL ART, NAIL THERAPY, SUPERSHINE, SUPERMATTE) იდენტურია სასაქონლო ნიშნისა, რომელიც მოპასუხის საკუთრებაა. იგი წერილის ადრესატ სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელებს აცნობებს, რომ

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევაზე პასუხისმგებლობა განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შე-სახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით, საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე და სა-ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლებით. შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ამ“ მოითხოვა სავაჭრო ობიექტების ხელმძღვა-ნელებისგან, რომ არ შეიტანონ და შეწყვიტონ სხვა სამეწარ-მეო სუბიექტების ან ფიზიკური პირების მიერ ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებუ-ლი საქონლის გასაღება.

5.1.8. 2012 წლის დეკემბერში მოპასუხემ წერილობითი პრე-ტენზიით მიმართა მოსარჩელე მხარეს და ნივთობრივი ნაკლის გამო სადავო გახადა 2008 წელს მიწოდებული პროდუქციის ხა-რისხი, მან მოითხოვა ამ პროდუქციის უკან დაბრუნება. შპს „გ-ნ ჯ-ს“ პრეტენზია ეფუძნებოდა ქიმიური ექსპერტიზის დას-კვნას. მოსარჩელე არ დაეთანხმა ამ პრეტენზიას, ამასთან, მი-იჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია შეცილების ვადა. თავის მხრივ, მოსარჩელემ მოითხოვა პრეტენზიის წარმომდგენისაგან ვალის გადახდა, არაკეთილსინდისიერად რეგისტრირებული სასაქონ-ლო ნიშნის ნებაცხოვლობითი გაუქმება, რეპუტაციის შემლახ-ველი და ზიანის მიმყენებელი ქმედებების შეწყვეტა, ამასთან, არ გამორიცხა საკითხის მორიგებით დასრულება, მოპასუხის-გან კონსტრუქციული შეთავაზების შემთხვევაში.

5.1.9. 2013 წლის 23 სექტემბერს, მოპასუხემ „საქპატენტს“ მიმართა განცხადებით და მოითხოვა სასაქონლო ნიშნის – „NAIL ART, NAIL THERAPY, SUPERSHINE, SUPERMATTE ფლორას“ სა-საზღვრო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე მოთხოვ-ნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციე-ლების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია.

5.1.10. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასება იმის თაობაზე, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის და-რეგისტრირებისას მოპასუხემ დაარღვია მოქმედი კანონმდებ-ლობის მოთხოვნები, მან სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა არაკეთილსინდისიერად: შპს „კ. ვ. ჯ.“ სადავო ნიშნის რეგის-ტრაციისას (არც მანამდე და არც შემდეგ) არ აწარმოებდა პრო-დუქციას, იგი ახორციელებდა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნე-ბით ნიშანდებული კოსმეტიკური პროდუქციის მხოლოდ დის-ტრიბუციას. სადავო ნიშანზე უფლების მოპოვებით მოსარჩე-ლეს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის მის-თვის მისაღები დისტრიბუტორის (აგენტის) მეშვეობით შემო-ტანა და რეალიზაცია. ასეთი ვითარების შექმნით მოპასუხე მიზ-

ნად ისახავდა მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (ვალისა და დისტრიბუციის საკითხი) მოსარჩელესთან ურთიერთობაში ხელსაყრელი შედეგების მიღწევას. სასამართლომ ვერ დაადგინა სადავო სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებისა და უფლების მოპოვებისას მოპასუხის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნებოდა უპირატესი, ვიდრე მოსარჩელის უფლება. ამავ დროს, სასაქონლო ნიშანი, რომელიც შედგება მოსარჩელე კომპანიის რამდენიმე, სხვადასხვა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის ძირითადი ელემენტისგან, (წარმოადგენს მათ კომბინაციას) მოპასუხემ სასაქონლო ნიშნად დაარეგისტრირა როგორც მოსარჩელის – ამ სასაქონლო ნიშნების მფლობელის აგენტმა (დისტრიბუტორმა).

5.1.11. დადგენილი გარემოებების შეფასებისას პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით და განმარტა, რომ ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი, რომელთან დაკავშირებულ ურთიერთობებსაც არეგულირებს საქართველ კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, ასევე, „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“, რომელიც საქართველოში ძალაშია 1993 წლის 14 ივნისიდან. პალატამ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ, მე-2, მე-3 პუნქტებზე, მე-6 მუხლის პირველ, მე-2 პუნქტებზე, „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-6^{septies} მუხლის (1), (2) პუნქტებზე, მე-10^{bis} მუხლზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არის ის ბერკეტი, რომლითაც უნდა დაბალანსდეს მხარეთა ინტერესები. ეს პრინციპი გამოიყენება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა წინააღმდეგ, რომლებისთვისაც ნების ავტონომია ბაზარზე დაუსაბუთებელი (უსაფუძვლო) უპირატესობის მიღების საშუალებად იქცა. კეთილსინდისიერების ერთიანი ცნების შემუშავება შეუძლებელია. სუბიექტის თითოეული ქმედების კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობაში ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული ურთიერთობის სპეციფიკა ამ ურთიერთობის ჩამოყალიბება-განვითარების თავისებურებები. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას არაკეთილსინდისიერი განზრახვის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონკრეტული განაცხადის შეტანის მომენტისათ-

ვის. ასეთ გარემოებებზე პალატამ მიიჩნია შემდეგი:

- განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ მესამე პირი „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ წევრ ერთ ქვეყანაში მაინც იყენებს სასაქონლო ნიშნის იდენტურ ან მსგავს ნიშანს იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის;

- განმცხადებლის განზრახვა, აუკრძალოს მესამე პირს თავისი ნიშნის გამოყენება;

- განცხადებული და მესამე პირის სასაქონლო ნიშნის დაცვის ხარისხი.

5.1.12. საქმის მასალებით პალატამ დადგენილად მიიჩნია მოპასუხის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით დარეგისტრირების ფაქტი (მოსარჩელე კომპანიისათვის, მის მიერ წარმოებული პროდუქციის საქართველ ტერიტორიაზე შემოტანისა და მისი ამჟამინდელი დისტრიბუტორის მეშვეობით რეალიზაციის განხორციელებაში ხელშეშლის მიზნით); წლების განმავლობაში (2008 წლიდან), უშუალოდ მოპასუხის მონაწილეობითაც, სადავო სასაქონლო ნიშნის აღრევამდე მსგავსი, მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნების საქართველოში გამოყენება; პროდუქციას, რომლის მოსაწოდებელიც გამოიყენება სადავო სასაქონლო ნიშანი, აწარმოებს მოსარჩელე; ქართველ მომხმარებელს „Flormar-ის“ პროდუქციასთან მიმართებით შექმნილი აქვს წარმოდგენა მისი ხარისხის, თვისობრიობისა და გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. პროდუქციის წარმოების წესი და ძირითადი მახასიათებლები უკავშირდება მხოლოდ მოსარჩელეს, შესაბამისად, სხვა პირის მიერ განსაკუთრებული უფლების მოპოვება მრავალ ქვეყანაში (ამავე დროს, პარიზის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებში) დაცულ ნიშნებზე ზიანს აყენებს არა მხოლოდ ნიშნის მფლობელს, არამედ – მომხმარებელსაც; მოსარჩელის სასაქონლო ნიშნები სამართლებრივად დაცულია მრავალ სახელმწიფოში, როგორც წესი, პარიზის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებში. ერთ-ერთი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი – Flor+Mar კი, დაცულია საქართველოშიც; მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელე კომპანიის დისტრიბუტორს, აგენტს, რომელსაც ადასტურებს ისიც, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, წლების განმავლობაში მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ შორის ხელშეკრულება დადებული იყო ზეპირად. პირის აგენტად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი წერილობითი შეთანხმება, დავალების ხელშეკრულება, არამედ, საკმარისია

გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა. ამ ფაქტების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისათვის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. მოპასუხე არ არის მოსარჩელის არც აგენტი, არც წარმომადგენელი სავაჭრო ურთიერთობებში და არც დისტრიბუტორი. იგი, როგორც ჩვეულებრივი კლიენტი, მხოლოდ ზეპირი გარიგების საფუძველზე იძენდა საქონელს მოსარჩელისაგან და ასაღებდა ქართულ ბაზარზე.

6.1.2. მხარეთა შორის სასაქონლო ნიშნიდან ნაწარმოები ურთიერთობის არარსებობის გამო, მოპასუხე ვერ შეიძენდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებელ ცოდნას ამ სასაქონლო ნიშნისადმი. მხარეთა შორის არც პარტნიორული ურთიერთობა არ ჩამოყალიბებულა და არც კომერციული, მით უმეტეს, სასაქონლო ნიშნისადმი მოპყრობის კუთხით. მოპასუხეს, როგორც ჩვეულებრივ შემქმნს, არასოდეს უკისრია მოსარჩელის წინაშე პროდუქციის უპირობოდ შექმნის ვალდებულება, საქონელს იგი თურქეთში ხშირად საბითუმო ქსელიდანაც ყიდულობდა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოპასუხე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოსარჩელის აგენტად/წარმომადგენლად. კასატორმა მიუთითა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების ჰარმონიზაციის დირექტივაზე (Directive 2008/95/EE of European Parliament and of the Council of 22 October to Approximate the laws of Member States relating to Trade Marks), ერთიანი სასაქონლო ნიშნების შესახებ დანაწესზე (Council Regulation (Ec) #207/2009 of February 2009 on the Community trade mark) და განმარტა, რომ საკანონმდებლო ნორმების მნიშვნელობა განმარტებულია ევროკავშირის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის სამსახურის (OHIM) მიერ დავების განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შემუშავებით, რაც, სამწუხაროდ, საქმის განხილვისას არ იქნა გაზიარებული ქვემდგომი სასამართლების მიერ. ევროკავშირის კანონმდებლობაში წარმომადგენლობა/აგენტობა განმარტებულია „საქონლის საერთაშორისო გაყიდვებში აგენტობის შესახებ“ კონვენციის (Convention of Agency in the International Sales of

Goods, Geneva, 17 February, 1983) შესაბამისად. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებაში პალატამ მიუთითა ტერმინ „პრინციპალზე“, რომლის გამოყენების წინაპირობები არ დასტურდება.

6.1.3. კასატორს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი არ დაურღვევია, მონინალმდევე მხარემ კი, თავად ისურვა მოპასუხის მიერ საქართველოში წარმოებული ბიზნესისაგან კასატორის ჩამოშორება. შპს „V-P C-s-თან“ დადებული ხელშეკრულება იმის დასტურია, რომ სასამართლოს წინამდებარე ურთიერთობის მიმართ არ უნდა გამოყენებინა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, ვინაიდან, სადისტრიბუციო ხელშეკრულების მე-10 პუნქტის თანახმად, მის მიმართ ვრცელდება თურქეთის იურისდიქცია. თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ამგვარი ურთიერთობისათვის წერილობითი ფორმაა გათვალისწინებული, ხოლო ამ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება მიიჩნევა ბათილად.

6.1.4. ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე კასატორმა მიუთითა გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილზე, სადაც აღწერილია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა შემდეგი: (2.2; 2.2.3; 2.2.4; 2.2.5 პუნქტი) ცნება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი“ არ არსებობს, მფლობელის მოთხოვნით ნიშნის რეგისტრაცია ხდება საერთაშორისო რეესტრში და რეგისტრაციისას კონვენციის წევრი ქვეყნები დამოუკიდებლად წყვეტენ ამ ნიშნის გავრცელების საკითხს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ნიშანი „Flormar“ რეგისტრირებულია არა ვენის კლასიფიკაციის მე-4 კლასის, არამედ, ნიცის კლასიფიკაციის მე-3 კლასის სასაქონლო ნიშნის მიმართ. სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაცია №1105310 ორჯერ არის გამეორებული და 2.2.4. პუნქტში აღწერილი გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება, ხოლო №1095046 და №1105310 ნიშანზე რეგისტრაცია მხოლოდ 4 ქვეყანაშია დაცული და იგი მსოფლიო ბრენდს არ წარმოადგენს. სასამართლო აღნიშნავს, რომ (2.4. პუნქტი) მოსარჩელე კასატორს მის მიერ ნაწარმოებ პროდუქციას აწვდიდა, რაც არასწორია, რადგანაც მოპასუხე თავად არჩევდა, უკვეთავდა და ყიდულობდა პროდუქციას. მათ შორის პარტნიორული ურთიერთობა არ არსებობს, ხოლო სასამართლო მოსარჩელეს არასწორად მიიჩნევს პრინციპალად, გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კასატორი პროდუქციას საკუთარი რისკითა და ხარჯით ყიდულობდა (2.5. პუნქტი), ქირობდა სატრანსპორტო საშუალებ-

ბას და ჩამოჰქონდა საქართველოში.

6.1.5. სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქონლის მიწოდებისას იძულება არ დადგენილა, პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით დადგინდა მოსარჩელის მიერ მოტყუების ფაქტი, რაც არ შეფასებულა (2.7. პუნქტი), მოპასუხემ მხოლოდ ერთ წერილში გამოიყენა სიტყვა „დისტრიბუტორი“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება (2.10 პუნქტი), შესაბამისად, სასამართლოს ამ საკითხზე არ უნდა ემსჯელა. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ, თურქეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, უარი განეცხადებინა საქონლის მოპასუხისათვის მიყიდვაზე (2.12. პუნქტი). არასწორია ასევე სასამართლოს მსჯელობა, რომელიც განჩინების 2.15 პუნქტშია გადმოცემული, რადგანაც ლათინური ასო-ბგერა „f“ არ არის სიტყვა „Flormar-ის“ გამოსახულება, ამ ერთი სიმბოლოთი შეიძლება არაერთი რამ აღინიშნოს. სიტყვები: Nail Art, Nail Therapy, Supershine, Supermatte მხოლოდ ოთხ ქვეყანაში მოთხოვნილი საერთაშორისო რეგისტრაციის მიხედვით, კომბინირებული ნიშნების ნაწილია, რომელსაც საქართველოში არ გააჩნიათ დაცვა, შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეეძლო ამ ნიშნების საქართველოში გამოყენება. მოსარჩელეს პროდუქტი საქართველოში 2012 წლამდე არ შემოუტანია, ის ქართულ ბაზარზე მხოლოდ კასატორის მეშვეობით ხვდებოდა (2.16. პუნქტი). მოპასუხის წერილი წარმოადგენდა არა დისტრიბუტორად ყოფნის ფაქტის აღიარებას, არამედ, გაფრთხილებას სხვა პირებისათვის კონტრაფაქციული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვის თაობაზე, ამ წერილში არ არის მოხსენიებული მოსარჩელის ამჟამინდელი დისტრიბუტორი (2.18. პუნქტი). განჩინების 2.19 პუნქტში სასამართლომ თავი აარიდა პროდუქტის უვნებლობისა და, აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადებზე მსჯელობას, ხოლო 2.20 პუნქტში ასახული მსჯელობა წარმოადგენს ჩვეულებრივ პროცედურას, იგი კრძალავდა კონტრაფაქციული პროდუქციის შემოტანას ბაზარზე. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით ზოგადადაა აღიარებული ინტელექტუალური საკუთრების უფლება. მოსარჩელეს საქართველოში არ მოუპოვებია ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლება ამ უფლების რეგისტრაციის გზით, შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე უფლება კასატორს ეკუთვნის (2.23 პუნქტი). რაც შეეხება პარიზის კონვენციაზე მსჯელობას, მისი რატიფიკაცია არ არის განხორციელებული, იგი სავალდებულო ძალის არ არის და ამ კონვენციის კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობა-

ზე გავრცელება არასწორია (იხ. საკასაციო საჩივარი).

6.1.6. მოგვიანებით კასატორმა კვლავ მომართა სასამართლოს განცხადებით და დამატებით განმარტა შემდეგი: პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეს მოსარჩელისა და მისი ამჟამინდელი დისტრიბუტორისათვის წერილობითი გაფრთხილება არ წარუდგენია, რადგანაც ამ გაფრთხილების მიზანი მხოლოდ კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოში შემოტანის აკრძალვა იყო. რაც შეეხება სასაზღვრო ღინისძიების საკითხს, იგი იყო ზოგადი, არ იყო მითითებული არც პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა და არც მისი მესაკუთრე, ამგვარ განცხადებას კი, შესაბამისი უწყებები არ არეგისტრირებენ. გარდა აღნიშნულისა, არც კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ განხორციელებულა სასაზღვრო ღინისძიების შესახებ განცხადების დაზუსტება. საქმის განხილვით დადასტურდა, რომ მოსარჩელეს სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, ზიანი არ მიდგომია, მოპასუხე სთავაზობდა მას, სიმბოლურ თანხად გადაეფორმებინა სადავო ნიშნის რეგისტრაცია, თუმცა, პროდუქციის შესაძლო მავნებლობის გამო, მწარმოებელს არ გააჩნდა ინტერესი საკუთარი ან ავტორიზებული წარმომადგენლობის მეშვეობით განხორციელებინა იმპორტი. პროდუქციის უსაფრთხოების თაობაზე მსჯელობას სასამართლომ, ვენის კონვენციაზე მითითებით, თავი აარიდა, რომელიც არ არეგულირებს ნივთობრივი ნაკლის საკითხს და აქედან გამომდინარე საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებს. თუკი სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოპასუხე იყო მოსარჩელის წარმომადგენელი, გაურკვეველია რატომ დააკისრა თანხა კასატორს. ვალის აღიარების ხელწერილში მოპასუხე საკუთარ თავს მოიხსენიებს დისტრიბუტორად, თუმცა ეს დოკუმენტი არ არის მიმართული მესამე პირების მიმართ. კომპანიის დირექტორი აღიარებდა, რომ სურდა ამ სტატუსის მოპოვება, თუმცა, ვერ მოახერხა. რაც შეეხება წერილობით გაფრთხილებას, მასში არ არის მოხსენიებული, რომ კასატორი მოსარჩელის დავალებითა და ინტერესებისათვის მოქმედებდა. მას სურდა იმის განმარტება, რომ პროდუქციას ავრცელებდა საკუთარი სახელით. სიტყვა „დისტრიბუტორი“ მოპასუხის მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ „გამავრცელებლის“ მნიშვნელობით და ამგვარი განმარტება მისცა მოპასუხემ სასამართლოსაც. ის ფაქტი, რომ კონტრაფაქციული პროდუქციის აკრძალვა იკისრა მოპასუხემ განპირობებული იყო იმით, რომ მოსარჩელე თავად არ ახორციელებდა ამგვარ ქმედებებს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი არ უნ-

და გამოეყენებინა. თავის მხრივ, სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა წერილობითი ანგარიში შესრულებული საქმის შესახებ, ანაზღაურების (პროვიზიის) ანგარიშის საბუთი და სხვა, ამ შემთხვევაში, სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა განმარტებითი ლექსიკონით და არასწორად მიუსადაგა ტერმინი „დისტრიბუტორი“ სადავო ურთიერთობას. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ მცდარად ჩათვალა მოპასუხის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის საქართველოში რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრახვით. არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კასატორი საქმიან ურთიერთობაში საკუთარი სახელით გამოდიოდა, ხოლო მოსარჩელეს არავითარი ინტერესი ქართული ბაზრის მიმართ არ გასჩენია (იხ. 15.02.2016წ. განცხადება).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ მიერ „საქპატენტში“ განხორციელებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერება. ამ თვალსაზრისით კი, სააპელაციო პალატამ დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. მოსარჩელე თურქეთში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებაა, რომელიც ძირითადად აწარმოებს კოსმეტიკურ და პირადი ჰიგიენის საშუალებებს და ფლობს ბრენდ „ფლორმარს“ (Flormar). 2000 წლიდან ხდება „ფლორმარის“ პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში.

1.1.2. მოსარჩელე კომპანია ფლობს რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს, სახელდობრ:

ა) სასაქონლო ნიშანი – FlorMar TURK MALI (რეგისტრაციის თარიღი – 30.09.2002წ) დაცულია 50-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში;

ბ) სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Therapy (რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ) დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, ნიშანი არ არის დაცული საქართველოში. ნიშნის გამოსახულება შედ-

გება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს, „f“ ასო-ნიშნისა და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით სიტყვა – „flormar“, ხოლო ამ სიტყვის ქვემოთ მოცემულია სიტყვები – Nail Therapy. მთლიანად სასაქონლო ნიშანი შესრულებულია თეთრ ფონზე შავი ფერით;

გ) სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Art (რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ) დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა არა საქართველოში. ნიშნის გამოსახულება შედგება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს, „f“ ასო-ნიშნის და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა – „flormar“, მათ ქვემოთ კი სიტყვები – Nail Art. ზედა გამოსახულება და სიტყვა შესრულებულია თეთრ ფონზე შავი ფერით, ხოლო ქვემოთ განთავსებული სიტყვები – Nail Art შესრულებულია თეთრი ფერით ყვითელ, მწვანე, ლურჯ, ვარდისფერ და შავ ფონზე;

დ) სასაქონლო ნიშანი – Flormar Nail Art (რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ) დაცულია რამდენიმე ქვეყანაში (არა საქართველოში). ნიშნის გამოსახულება შედგება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს, „f“ ასო-ნიშნისა და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა – flormar, მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა – SUPERSHINE. სიტყვები – flormar supershine შესრულებულია მუქი ოქროსფერით თეთრ ფონზე;

ე) სასაქონლო ნიშანი – flormar SUPERMATTE (რეგისტრაციის თარიღი – 26.08.2011წ) დაცულია რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა იგი რეგისტრირებული არ არის საქართველოში. სასაქონლო ნიშნის გამოსახულება შედგება წრენირში ჩასმული პატარა ლათინური ასო-ნიშნისგან – „f“, რომლის ქვედა ნაწილი ოდნავ ცდება წრენირს. „f“ ასო-ნიშნის და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში, „f“ ასო-ნიშნის შუახაზის ქვემოთ, გამოსახულია ერთი წერტილი. ამ გამოსახულების გვერდით განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული სიტყვა –

flormar, მათ ქვემოთ მოცემულია სიტყვა – SUPERMATTE. სიტყვები – flormar supermatte შესრულებულია მუქი ოქროსფრით თეთრ ფონზე.

1.1.3. შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ 2008 წლის 26 ივნისს დარეგისტრირებულია თბილისში. სწორედ 2008 წლიდან დაიწყო მოსარჩელემ თანამშრომლობა მოპასუხესთან: იგი პერიოდულად აწოდებდა მის მიერ წარმოებულ კოსმეტიკურ (ფრჩხილის ლაქი და სხვ.) პროდუქციას საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციის მიზნით. მოპასუხე მონოდებული პროდუქციის ღირებულების თანხას წინასწარ უხდოდა მოსარჩელეს, მაგრამ, ასევე, ხდებოდა პროდუქციის მიწოდება მისი რეალიზაციის შემდეგ თანხის გადახდის პირობით. მოსარჩელე საკუთარ პროდუქციას აწვდიდა 4 წლის განმავლობაში – 2008 წლის აგვისტოდან 2012 წლის ივნისამდე, 2012 წელს მიწოდება ხდებოდა შედარებით იშვიათად და მცირე ოდენობით. 2008-2012 წლებში მოპასუხე მისი დისტრიბუტორი იყო საქართველოში (2008-2011 წლებში კი ერთადერთი დისტრიბუტორი).

1.1.4. 2012 წლის 1 იანვარს „Flormar-ის“ საქონლის მისაწოდებლად, 12 თვის ვადით, მოსარჩელემ ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმება გააფორმა საქართველოში რეგისტრირებულ შპს „V-P C-s-თან“, როგორც მის საბითუმო აგენტთან საქართველოში.

1.1.5. 2012 წლის 3 აპრილს მოპასუხემ მიმართა „საქპატენტს“, სასაქონლო ნიშნის „NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE ფლორას“ დაჩქარებული წესით რეგისტრაციის მოთხოვნით. სასაქონლო ნიშანი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2012 წლის 20 აპრილის №464/03 ბრძანების საფუძველზე დარეგისტრირდა. მოპასუხემ სადავო სასაქონლო ნიშანი დაარეგისტრირა ნიციის კლასიფიკაციის 3 კლასში შემავალი საქონლის – კოსმეტიკური საშუალებების მიმართ. სასაქონლო ნიშანი არის შავ-თეთრი და იგი დაცულია მთლიანობაში. სიტყვიერი აღნიშვნები: „NAIL“, „ART“, „THERAPY“, „SUPERSHINE“ დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია („NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE ფლორა“) და ასევე მოიცავს გამოსახულებით ელემენტებსაც: ნიშნის ცენტრალურ გამოსახულებით ფიგურას წარმოადგენს წრეწირი, რომელშიც განთავსებულია შავი ფერით შესრულებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“, რომელიც ქვედა მხარეს ოდნავ ცდება წრეწირს; ასო-ნიშანი „f-ისა“ და წრეწირის გადაკვეთის ადგილის სი-ახლოვეს, წრეწირში „f-ის“ შუახაზის ქვემოთ, განთავსებულია

ერთი წერტილი; წრეწირის ირგვლივ, მის გარეთა მხარეს, განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული, სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვები.

1.1.6. წრეწირში განთავსებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“ წერტილით არის მოსარჩელის კუთვნილი ბრენდის – „flormar-ის“ გამოსახულება, სიმბოლო და იგი აღბეჭდილია მის მიერ გამოშვებულ თითოეულ პროდუქტზე (საქონელზე), გამოსახულება მოსარჩელის რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შემადგენელი გამოსახულებითი ელემენტისგან შედგება, რამდენადაც სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილის შემადგენელი სიტყვები: „NAIL ART“, „NAIL THERAPY“, „SUPERSHINE“, „SUPERMATTE“ აღბეჭდილია სხვადასხვა პროდუქტზე და ამავდროს, დაცულია მოსარჩელის კუთვნილი, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ცალკეული სასაქონლო ნიშნით. სადავო სასაქონლო ნიშანი მსგავსია მოსარჩელის კუთვნილი და საქართველოში გამოყენებული სასაქონლო ნიშნებისა, იგი შედგება მოსარჩელის პროდუქციაზე აღბეჭდილი გამოსახულებისგან, წარმოადგენს მისი ბრენდის სიმბოლოს და არის მისი რამდენიმე სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ელემენტი.

1.1.7. 2013 წლის 23 სექტემბერს, მოპასუხემ „საქპატენტს“ მიმართა განცხადებით და მოითხოვა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლით სასაზღვრო ღონისძიების განხორციელების რეგისტრაცია სასაქონლო ნიშანზე – „NAIL ART, NAIL THERAPY, SUPERSHINE, SUPERMATTE ფლორა“.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. კასატორი ძირითადად სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ წარმოადგენდა მოსარჩელის დისტრიბუტორს, რომელმაც სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე საკუთარი სახელით დაარეგისტრირა სადავო ნიშანი საქართველოში, რითაც

შექმნა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები, ამასთან, მხარე მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ (შემდგომში – პარიზის კონვენცია) შესაბამისი დებულებებით.

1.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ არ იყო მოსარჩელის დისტრიბუტორი, რადგან ის საკუთარი რისკითა და ხარჯით ყიდულობდა პროდუქციას მოსარჩელისაგან, ასევე სხვა პირებისაგან და ამ პროდუქციას ყიდდა საქართველოს ბაზარზე. ამ მხრივ კასატორი აღნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის წერილობითი ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა, ხოლო ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით მოსარჩელეს ეკისრებოდა სათანადო მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ სადავო ფაქტის სამტკიცებლად წარადგინა 2011 წლის 15 იანვრით დათარიღებული ვალის აღიარების ხელწერილი, სადაც შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, როგორც „კ-ნ კ-ის“ ოფიციალური დისტრიბუტორი, აღიარებს ფულადი ვალდებულების არსებობას მოსარჩელის წინაშე; შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ სხვადასხვა დროს შედგენილ ამა თუ იმ დოკუმენტში განმარტავს, რომ ის არის მომწოდებლის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში და ის აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოებს თურქული კომპანიის – სს „კ-ნ კ-ის“ კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუციას (2012 წლის მაისში მოპასუხემ წერილები გაუგზავნა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელებს სადაც განმარტა, რომ აწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თურქული კომპანიის (მოსარჩელის) კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუციას). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, თანახმად საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებისა, ემყარება შეჯიბრებითობის პრინციპს და კანონმდებელი მხარეებს სრულად მიანდობს საკითხს იმის თაობაზე, თუ რა მტკიცებულებით დაადასტურონ ესა თუ ის გარემოება, ამ წესისაგან გამონაკლისს წარმოადგენს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები (სსკ-ის 102.3 მუხლი), რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს. თავის მხრივ, დადგენილია ასევე მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტიც: სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, არამედ, მათი განხილვა-შეფასება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში, სწორედ ამგვარი ყოველ-

მხრივი, სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად უნდა გამოიტანოს სასამართლო მოტივირებული და განჭვრეტადი დასკვნა სადავო გარემოების არსებობა-არარსებობის თაობაზე. სასამართლოს უპირველესი ვალი მტკიცებულებათა იურიდიული სანდოობის, მათი სათანადო ძალის დადგენაში ვლინდება (სსსკ-ის 105-ე მუხლი). მხარეთა საქმიანი ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის მიზნით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეფასება უნდა მიეცეს თავად სავაჭრო წარმომადგენლის/აგენტისა და დისტრიბუტორის ცნებას. წერილობითი მტკიცებულების არარსებობის პირობებში მითითებული საკითხი უნდა გადაწყდეს ამ პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობის ანალიზით. სავაჭრო წარმომადგენელი/აგენტი ერთმანეთთან აკავშირებს სავაჭრო ურთიერთობის სუბიექტებს იმგვარად, რომ მას საქონელზე საკუთრების უფლება არ გააჩნია, შესაბამისად, კასატორის ის არგუმენტი, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, დასაბუთებულია, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმგვარი მტკიცებულება, რომლის ანალიზიც ერთმნიშვნელოვნად მიგვიყვანდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ სავაჭრო ურთიერთობებში გამოდიოდა მოსარჩელის სახელითა და ხარჯზე. რაც შეეხება დისტრიბუტორის ცნებას, სასამართლო მითითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსზე (2012 წლის 8 მაისის კანონი), რომელიც რეგულირების ფართო სპექტრით ხასიათდება და მათ შორისაა: უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა; პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა (პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). განსახილველი სამართლებრივი აქტი საბაზრო ურთიერთობის მიზნებისათვის გთავაზობს დისტრიბუტორის დეფინიციას და ადგენს, რომ დისტრიბუტორი არის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომელიც პროდუქტის მიმართ სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში გავლენას არ ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე (კანონის 4.5 მუხლი). მითითებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, დისტრიბუტორად შეიძლება მივიჩნიოთ სავაჭრო ურთიერთობის ის მხარე, რომელიც საქონელს მასზე საკუთრების უფლების გადაცემით ყიდულობს. იგი აგენტთან შედარებით, მართალია, მეტი რისკის ქვეშაა მოქცეული, მაგრამ მეტ კონტროლს ინარჩუნებს ვაჭრობის ოპერაციაზე. მოცემულ შემთხვევაში, მხადველობაშია მისაღები კა-

სატორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე კომპანია საკუთარი რისკითა და ხარჯით იძენდა პროდუქციას, როგორც მოსარჩელის, ისე სხვა პირებისაგან, ის ქირობდა სატრანსპორტო საშუალებას და პროდუქცია რეალიზაციის მიზნით ჩამოჭონდა საქართველოში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაძლია მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დადასტურების ტვირთი ზემოხსენებული მტკიცებულებების წარდგენით, რამეთუ მოდავე მხარეთა განმარტებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმის მასალებთან ერთობლიობაში შეფასება იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ა“ მოსარჩელის დისტრიბუტორს წარმოადგენდა სადავო ურთიერთობებში.

1.5. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის პოზიციას განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისა და მის მიერ სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშანზე უფლება, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის დღიდან წარმოიშობა, თუმცა ეს უფლება შეიძლება რეგისტრაციის გარეშეც არსებობდეს. ამ შემთხვევაში ნიშნის მფლობელის უფლების ნამდვილობას ადგენს საერთაშორისო შეთანხმება, როგორცაა, მაგალითად, 1889 წლის 20 მარტის „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“, რომლის ობიექტსაც სამრეწველო საკუთრება, მათ შორის, სასაქონლო ნიშნები, ასევე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა წარმოადგენს (მუხლი 1 (2)). მითითებული სამართლებრივი აქტების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვაზე ლეგიტიმაცია გააჩნია სასაქონლო ნიშნის მფლობელს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ძალით სასაქონლო ნიშანზე უფლების შექენისას ნიშნის მფლობელი იძენს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი დაცული პროდუქტების/მომსახურებისათვის. ეს დაცვა მოქმედებს პრიორიტეტის პრინციპის მიხედვით უფრო ახალ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით და დროის პრიორიტეტის მიუხედავად დაცულ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით. კანონი განსაზღვრავს უფლების დარღვევის შემადგენლობას და ადგენს განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც მისი დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო სა-

ქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა (6.2. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

1.6. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ მის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი არ არის სიტყვა „Flormar-ის“ გამოსახულება. კასატორის განმარტებით, სიმბოლოთი „f“ შეიძლება არაერთი რამ აღინიშნოს. სიტყვები: Nail Art, Nail Therapy, Supershine, Supermatte მხოლოდ ოთხ ქვეყანაში მოთხოვნილი საერთაშორისო რეგისტრაციის მიხედვით კომბინირებული ნიშნების ნაწილია, რომელსაც საქართველოში არ გააჩნიათ დაცვა და, შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეეძლო ამ ნიშნების საქართველოში გამოყენება. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სომბოლური გამოსახულება აღრევამდე მსგავსია მოსარჩელის მიერ „პარიზის კონვენციის“ ნევრ სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ძირითადი სიმბოლოსი (წრენირი, რომელშიც განთავსებულია შავი ფერით შესრულებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“, რომელიც ქვედა მხარეს ოდნავ ცდება წრენირს. ასო-ნიშანი „f-ისა“ და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში „f-ის“ შუახაზის ქვემოთ, განთავსებულია ერთი წერტილი. რაც შეეხება წრენირის ირგვლივ, მის გარეთა მხარეს განთავსებულ ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებულ სიტყვებს: „NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE“, ეს სიტყვები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასო-ნიშანი „f-თან“ ერთად ექვემდებარება დამოუკიდებელ დაცვას) და შეეხება იმავე პროდუქციას (კოსმეტიკური საშუალებები), რომელსაც აწარმოებს მოსარჩელე. რაც შეეხება თავად რეგისტრაციის მართლზომიერების ფაქტს, კერძოდ იმას, შეეძლო თუ არა კასატორს ამ ნიშნის რეგისტრაცია, რადგანაც მოსარჩელის სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია შესაბამისი დაცვა საქართველოში, ამ თვალსაზრისით პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად შეამოწმეს მოპასუხის კეთილსინდისიერების ფაქტი.

1.7. „პარიზის კონვენციის“ მე-6^{septies} მუხლის (1) პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელი პირის რწმუნებული ან წარმომადგენელი, კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში მფლობელის ნებართვის გარეშე შეიტანს განაცხადს თავის სახელზე ნიშნის რეგისტრაციაზე, მფლობელს უფლება აქვს, წინააღმდეგობა გაუწიოს მოთხოვნილ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმე-

ბა, ან თუ ქვეყნის კანონი ამის ნებას იძლევა, აღნიშნული რეგისტრაციის გადაფორმება მის სასარგებლოდ, გარდა შემთხვევისა, როდესაც ასეთი რწმუნებული ან წარმომადგენელი დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას. კონვენციის მითითებული დებულების ადრესატები არიან სასაქონლო ნიშნის მფლობელი და მისი რწმუნებული/წარმომადგენელი. თეორიაში დამკვიდრებული მოსაზრებიდან, ასევე, განსახილველი ნორმის რეგულაციის მასშტაბიდან გამომდინარე, რწმუნებულის/წარმომადგენლის ცნების ქვეშ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ დავალების ფარგლებში მოქმედი სუბიექტი, არამედ ის პირიც, ვინც მოქმედება როგორც სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის დისტრიბუტორი და უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე მიმართა კავშირის წევრ ქვეყანას ნიშნის რეგისტრაციის თხოვნით. ზემოხსენებული დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც დისტრიბუტორის მიერ რეგისტრირებული ნიშანი არ არის იდენტური სასაქონლო ნიშნის მფლობელი დაინტერესებული პირის ნიშნისა. ნორმის აღწერილობითი ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელი პირის უფლების რეალიზაციისათვის საკმარისია იმ გარემოებების დამტკიცება, რომ მოსარჩელეს კავშირის წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული აქვს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი; მოპასუხე არის/იყო მისი წარმომადგენელი ან დისტრიბუტორი; მან მოსარჩელის ნებართვის გარეშე მიმართა კავშირის წევრ ქვეყანას რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე. მოთხოვნის გამომრიცხავ შესაგებელს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს მოპასუხის ქმედების მართლზომიერება. მითითებული გარემოება სრულ ასახვას ჰპოვებს მტკიცების საპროცესო ტვირთზე: მოსარჩელეს ეკისრება მოპასუხის მიერ უფლების არამართლზომიერად განხორციელების, ხოლო მოპასუხეს – საკუთარი კეთილსინდისიერების დადასტურების ვალდებულება. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს და განმარტავს, რომ ეროვნული კანონმდებლობის ეს დანაწესები შეიძლება განიმარტოს „პარიზის კონვენციის“ ზემოხსენებულ რეგულაციასთან მიმართებით იმგვარად, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ბათილობის უპირობო საფუძველია, როგორც მოქმედების არაკეთილსინდისიერად განხორციელება, ისე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის აგენტის ან წარმომადგენლის (დისტრიბუტორის) მიერ უფლებამოსილი პირის ნებართვის გა-

რეშე რეგისტრირებული ნიშნის „პარიზის კონვენციის“ ნევრ ქვეყანაში რეგისტრაცია.

1.8. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშანზე უფლება საკუთრებით სარგებლობის უფლების ფარგლებში ექცევა და მისი მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ ლახავს კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებებს. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც აპლიკანტის საავტორო უფლების დარღვევას შეეხებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმი (საკუთრების უფლება) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით გამოყენებადი იყო (იხ: Eur. Court H.R.: *Melnychuk v. Ukraine*, Judgment of 7 July, 2005). ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ ინტელექტუალური საკუთრება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშაა. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნაც ამავე ნორმის მოქმედების ქვეშ არის, რადგანაც ის ქონებრივი ხასიათის ინტერესებს წარმოშობს. ამასთან, ისიც უდავოა, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ნამდვილი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არღვევს მესამე პირთა კანონიერ უფლებებს. აქედან გამომდინარე, რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული უფლებები პირობითია. მხარე, რომელიც მიმართავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, უნდა ელოდოს, რომ მის მოთხოვნას შეისწავლიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ეს მოთხოვნა მატერიალურ და პროცედურულ პირობებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგისტრირებული უფლების გაუქმების შედეგად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელ კომპანიას ჰქონდა ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ქონებრივი უფლებები, რომლებიც შეიძლება გაუქმებულიყო გარკვეული პირობების არსებობისას (იხ. Eur. Court H.R. Grand Chamber: *Anheuser-Busch Inc. v. Portugal*, Judgment of 11 January, 2007).

1.9. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ „საქპატენტში“ რეგისტრაცია მართლზომიერი მიზნით განხორციელდა. ამ მხრივ კასატორი პრეტენზიას გამოთქვამს იმაზე, რომ მისი მიზანი მხოლოდ კონტრაფაქციული პროდუქციის გავრცელების თავიდან არიდება იყო. მოსარჩელე არ ყოფილა დაინტერესებული ქართული ბაზრით და მიუხედავად შეტყობინებისა, მას ამ მხრივ ქმედითი ლო-

ნისძიება არ გაუტარებია. რაც შეეხება კონკურენციას, შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ მოსარჩელისა და მისი ამჟამინდელი დისტრიბუტორისათვის სამენარმეო საქმიანობაში ხელი არ შეუშლია. საკასაციო პალატა მითითებული არგუმენტის ანალიზისას მხარის პოზიციას არადამაჯერებლად მიიჩნევს, რადგანაც იგი სათანადო მტკიცებულებებით არ არის გამყარებული. აღნიშნულის საპირისპიროდ პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მხარეთა სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტას ემთხვევა, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია მთელი რიგი მტკიცებულებები, კერძოდ: შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ მიერ სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები, რომელთა თანახმად, ის წარმოადგენს თურქული კომპანიის (მოსარჩელის) კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუტორს. მოპასუხე კომპანიისათვის ცნობილი გახდა, რომ წერილის ადრესატ სავაჭრო ობიექტებში სხვა პირების მიერ რეალიზაციისათვის წარმოდგენილია საქონელი (კოსმეტიკური საშუალებები), რომელიც მათი საქონლის იდენტურია. მოპასუხე წერილში მიუთითებს, რომ აღნიშნულ საქონელზე დატანილია სასაქონლო ნიშნის „ფლორმარ-ის“ არსებითი შემადგენელი ნაწილი (ლათინური ასო „f“ ჩასმული წრეწირში და ასევე, შემდეგი სიტყვებით მონიშნული საქონელი: NAIL ART, NAIL THERAPY, SUPERSHINE, SUPERMATTE) იდენტურია სასაქონლო ნიშნისა, რომელიც შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ას“ საკუთრებაა. იგი წერილის ადრესატ სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელებს აცნობებს, რომ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევაზე პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. შპს „კ-ა ვ-ნ ჯ-ამ“ მოითხოვა სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელებისგან, რომ არ შეიტანონ და შეწყვიტონ სხვა სამენარმეო სუბიექტების ან ფიზიკური პირების მიერ ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული საქონლის გასაღება. მითითებული შეტყობინებების შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის ქმედებას კეთილსინდისიერად ვერ აქცევს ის ფაქტი, რომ მას ანალოგიური შინაარსის შეტყობინება მოსარჩელისა და მისი ამჟამინდელი დისტრიბუტორისათვის არ გაუგზავნია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, შეფასდეს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი და საკასაციო საჩივრით შეუდავებელი გარემოება იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის შემდეგ, 2013 წლის 23 სექტემბერს, მოპასუხემ მოითხოვა სასაზღვრო ღონისძიების გამოყენების რეგისტრაცია მის მიერ

რეგისტრირებულ ნიშანზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაზღვრო ღონისძიების გამოყენების მიზანი უფლების მქონე პირის (მათ შორის, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირი) ინტერესების იმგვარი დაცვაა, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ შესაბამის ღონისძიებებს (მუხლი 3); საქონლის შეჩერება (მუხლი 5); შემონების ჩატარება (მუხლი 6); საქონლის ჩამორთმევა და განადგურება (მუხლი 8). მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს შპს „კ-ია ვ-ნ ჯ-ას“ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ არც სასაზღვრო ღონისძიების რეგისტრაციის და არც კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდგომ არ დაზუსტებულა პირი, ვის მიმართაც გამოიყენებოდა აღნიშნული კანონისმიერი შეზღუდვა. პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლების დასკვნას იმის თაობაზე, რომ შპს „კ-ია ვ-ნ ჯ-ა“ სადავო ნიშნის რეგისტრაციისას (არც მანამდე და არც შემდეგ) არ აწარმოებდა პროდუქციას, იგი ახორციელებდა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული კოსმეტიკური პროდუქციის მხოლოდ დისტრიბუციას. სადავო ნიშანზე უფლების მოპოვებით მოსარჩელეს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის მისთვის მისაღები დისტრიბუტორის (აგენტის) მეშვეობით შემოტანა და რეალიზაცია. ასეთი ვითარების შექმნით მოპასუხე მიზნად ისახავდა მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (ვალისა და დისტრიბუციის საკითხი) მოსარჩელესთან ურთიერთობაში ხელსაყრელი შედეგების მიღწევას. სასამართლომ ვერ დაადგინა სადავო სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებისა და უფლების მოპოვებისას მოპასუხის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნებოდა უპირატესი, ვიდრე მოსარჩელის უფლების დაცვა.

1.10. რაც შეეხება კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა თავი აარიდეს მოსარჩელის მიერ წარმოებული პროდუქტის მავნებლობის შეფასებას, ასევე, ვალის არსებობის აღიარების წინაპირობად მოპასუხის მოტყუების თაობაზე მსჯელობას, პალატა მას ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ განსახილველი დავა სასაქონლო ნიშნის უფლების მქონე პირის ინტერესების დაცვაა. ის საკითხი, ხარისხიანი იყო თუ არა მოსარჩელის მიერ წარმოები პროდუქტი, განსახილველი დავის საგანს ცდება, შესაბამისად, ფაქტის გაზიარე-

ბის შემთხვევაშიც კი, ეს რაიმე გავლენას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ნამდვილობაზე ვერ იქონიებს, რაც შეეხება მხარეთა ფულად ვალდებულებებს, ამ ნაწილში საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოპასუხემ შეამცირა მოთხოვნა იმგვარად, რომ ვალის არსებობის აღიარების ხელწერილიდან გამომდინარე ურთიერთობის ნაწილში მას სააპელაციო პრეტენზია არ გამოუთქვამს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანხის დაკისრების თაობაზე გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ამ ნაწილში მხარე აღარ არის უფლებამოსილი სადავო გახადოს დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობები (სსსკ-ის 266-ე მუხლი). რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის საკითხზე, პალატა აღნიშნავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს უფლების იძულებითი დაცვის წესს, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების გზით. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით „საქპატენტის“ სააპელაციო პალატისათვის მიმართვა რეგულირებულია კონკრეტული ვადებით (151.7 მუხლი, მე-16 მუხლი), რაც განსახილველი დავის საგანი არაა, რაც შეეხება სასაქონლო ნიშანზე უფლებამოსილი პირის უფლების სასამართლო წესით დაცვას, დროის თვალსაზრისით კანონი რაიმე შეზღუდვას არ ადგენს.

1.11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მითითებული ნორმისა და წინამდებარე განჩინების დასაბუთების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია იმგვარი დასაბუთებული შედავება რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. 2015 წლის 12 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებებით მომართა კასატორმა და წარმოადგინა ამავე სასა-

მართლოს განჩინებათა ასლები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილი გადაწყვეტილებების საქმისათვის დართვის წინაპირობა, შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს №ა-4311-15, №ა-4312-15, №ა-4313-15 და №ზ-256-15 განცხადებებზე დართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 19.07.2011წ. №ას-227-212-2011 და 12.10.2011წ. №ას-977-1011-2011 განჩინებების ასლები 68 (სამოცდარვა) ფურცლად.

3. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით შპს „კ-ია ვ-ნ ჯ-ას“ უფლებამონაცვლე შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, ამავე საფუძვლიდან გამომდინარე, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი წესით სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წინაპირობებიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 284-ე, 407-ე, 410-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კასატორს დაუბრუნდეს 12.11.2015წ. №ა-4311-15, №ა-4312-15, №ა-4313-15 და №ზ-256-15 განცხადებებზე დართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 19.07.2011წ. №ას-227-212-2011 და 12.10.2011წ. №ას-977-1011-2011 განჩინებების ასლები 68 (სამოცდარვა) ფურცლად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

განჩინება

№ას-62-56-2015

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ფ-ა დ-ა“-მ (შემდეგში: მოპასუხე, მყიდველი, აპელანტი, კასატორი) საქპატენტში დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშნები: 1) M 2013 23262R, 2) M 2013 23469 R, 3) M 2013 24195 R, 4) M 2013 24193 R, 5) M 2013 24196 R, 6) M 2013 24194 R, 7) M 2013 24011 R, 8) M 2013 24197 R. სასაქონლო ნიშნები შეიცავს მზის გამოსახულებას, ასევე ქართული ძეგლების შავ-თეთრ გამოსახულებებს („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი, შემდეგში სპეციალური კანონი, მე-17 მუხლი);

2. შპს „ტ-ი ვ-ი პ-ი“ (შემდეგში: მოსარჩელე, მიმწოდებელი, გამყიდველი) ფლობს განსაკუთრებულ უფლებას სიტყვიერ სასაქონლო ნიშანზე – „ქართული ვაზი“, სამ – ქართულ, რუსულ

და ინგლისურ ენაზე. აღნიშნული ნიშანი მოსარჩელეს გადაეცა შპს „ლ-ს ქ-ა ა-ის“ (შემდეგში: ღვინის ქარხანა) მიერ;

3. მხარეთა შორის არსებობდა რამდენიმენიშლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა. მიმწოდებელი აწვდიდა მყიდველს ალკოჰოლურ სასმელებს, მათ შორის, ქართულ ღვინოს დასახელებით: „ქართული ვაზი“. ხელშეკრულებების თანახმად, მიმწოდებელი (მოსარჩელე) მყიდველს (მოპასუხეს) აძლევდა ექსკლუზიურ უფლებას, უზრუნველყო პროდუქციის რეალიზება უკრაინის ტერიტორიაზე. ექსკლუზიურ უფლებიდან გამომდინარე, მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, არ გადაეცა მესამე პირისათვის თავისი ალკოჰოლური პროდუქციით ვაჭრობის, სასაქონლო ნიშნით სარგებლობის უფლება, რაც, თავის მხრივ, ენიჭებოდა მყიდველს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სსკ-ის 477-ე მუხლი, იხ. 15.05.2007წ. ხელშეკრულება);

4. მხარეთა შორის, 2012 წლის 1 იანვარს, დაიდო ხელშეკრულება რეკლამირების თაობაზე, რომლის თანახმაც მყიდველს ევალებოდა უკრაინის ტერიტორიაზე პრომო აქციების ჩატარებით, მიმწოდებლის მიერ წარმოებული და მიწოდებული პროდუქციის რეკლამირება. რეკლამა უნდა გაკეთებულიყო „ქართული ვაზი“, „ჭაჭა“, „ვარდიანი“ სავაჭრო ნიშნის პროდუქციისათვის (სსკ-ის 629-ე მუხლი; იხ. 01.01.2012წ. ხელშეკრულება);

5. „ტ-ი ტ-ე გ-ს“-მა (შემდეგში: იტალიური კომპანია, კომპანია, მესამე პირი) 2011 წლის 21 მარტის წერილით შეატყობინა მიმწოდებელს, რომ აპირებდა მყიდველთან ხელშეკრულების გაფორმებას. იტალიურ კომპანიას უნდა ეკისრა ვალდებულება, მიეწოდებინა მიმწოდებლის პროდუქციის, კერძოდ, „ქართული ვაზისა“ და „ვარდიანის“ მოსანიშნად გამოსაყენებელი ეტიკეტები მყიდველისათვის. წერილით დასტურდება, რომ საჭირო იყო მიმწოდებლის (მოსარჩელის) თანხმობა ხელშეკრულების დასადებად. 20.03.2012წ. აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო, მომსახურების თანხას იხდიდა მიმწოდებელი (იხ. იტალიური კომპანიის წერილი და ხელშეკრულება სადიზაინერო მომსახურების განვივის შესახებ).

6. მიმწოდებელმა 2013 წლის 23 აგვისტოს სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ბათილად ცნობა (სპეციალური კანონის 28-ე მუხლი).

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით მიმწოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები (იხ. ამ

განჩინების პირველი პუნქტი).

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და მიმწოდებლის სარჩელის უარყოფა, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

8.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში არასწორადაა მითითებული, რომ მოპასუხე სარეკლამო მომსახურებას უწევდა მოსარჩელეს;

8.2. მოპასუხე ადასტურებს მხარეთა შორის მრავალწლიან სახელშეკრულებო ურთიერთობას უკრაინის ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით, თუმცა, მიაჩნია, რომ ეს ურთიერთობები არ ატარებდა „მომსახურების განევის“ სახეს. მხარეთა შორის არსებობდა პროდუქციის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხე წარმოადგენდა მყიდველს/დამკვეთს, ხოლო მოსარჩელე ღვინის მიმწოდებელს/შემსრულებელს. დაკვეთის არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის უნდა მიეწოდებინა არა მისი სურვილით წარმოებული ნებისმიერი პროდუქცია, არამედ, მხოლოდ ის პროდუქცია და იმ სპეციფიკაციით, რასაც დაუკვეთავდა მოპასუხე და რომლის თვისებებიც შეთანხმებული იქნებოდა მხარეთა ტექნოლოგიების მიერ სპეციალური წესით. ხოლო, რაც შეეხება თითქოსდა სარეკლამო მომსახურების განეგვას მიმწოდებლისათვის და ამ უკანასკნელის მიერ სარეკლამო მომსახურებაში თანხის გადახდას, მიმწოდებელს მყიდველისათვის სარეკლამო მომსახურება, კონკრეტული სახით, არასდროს დაუკვეთავს და არასდროს გადაუხდია რაიმე თანხა ამ ე.წ. „მომსახურებაში“, ასეთი მტკიცებულება არაა წარდგენილი. პროდუქციის რეკლამირება იმთავითვე წარმოადგენდა ორმხრივ ინტერესს, რადგან, პროდუქციის ცნობადობისა და რეალიზაციის გაზრდით, ორივე მხარე იყო დაინტერესებული. რაც შეეხება სარეკლამო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, ამ თანხას ყოველთვის იხდიდა მხოლოდ მყიდველი (მოპასუხე), რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც საქმეშია წარდგენილი;

8.3. სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011 წლის 21 მარტის წერილით იტალიურმა კომპანიამ სადავო ეტიკეტების დამზადება განახორციელა მოსარჩელის დაკვეთით და მისივე ხარჯით, ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. საქმის მასალებში წარდგენილია 20.03.2012 წლის ხელშეკრულება მოპასუხესა (მყიდველი) და იტალიურ კომპანიას შორის, რომელშიც ეტიკეტის დიზაინის დამკვეთად, თანხის გადამხდელად და დიზაინზე საავტორო უფ-

ლებების მესაკუთრედ მითითებულია მყიდველი. ამ უკანასკნელის ხარჯებით დაკვეთის შესრულებას ადასტურებს სასამართლოს მიერ მითითებული კომპანიის წერილიც. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ იტალიური კომპანია წერილობით მიმართავს მიმწოდებელს (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი), ეს განპირობებული იყო იმით, რომ მხარეთა შეთანხმებით, მოპასუხის მიერ შეკვეთილი ეტიკეტები, რომელსაც დაამზადებდა კომპანია, პირდაპირ უნდა მიეწოდებინათ მოსარჩელისათვის. შესაბამისად, ზემოხსენებული წერილი შეეხება მხოლოდ მიწოდების ტექნიკური დეტალების დაზუსტებას მოსარჩელესთან დაკავშირებით. რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს, წერილში სრულიად ცალსახადაა მითითებული, რომ დაკვეთას ახორციელებს მოპასუხე (მყიდველი) და თანხასაც ის გადაიხდის; სასამართლომ მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთობა არასწორად შეაფასა დისტრიბუციის ხელშეკრულებად.

8.4. სამართლებრივად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პროდუქციის მწარმოებელს და შესაბამისად, რადგან მოპასუხე არ არის ღვინის მწარმოებელი, მას ვერ ექნება ლეგიტიმური ინტერესი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიმართ. სასამართლოს ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს არც ადგილობრივი და არც საერთაშორისო კანონმდებლობიდან;

8.5. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, თითქოს მოსარჩელეს გადაეცა უფლებები სადავო სასაქონლო ნიშნებზე ღვინის ქარხნისაგან (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი). მიმწოდებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მას ღვინის ქარხნისგან გადაეცა უფლებები მხოლოდ სიტყვიერ ნიშანზე „ქართული ვაზი“, რაც არ წარმოადგენს კონკრეტული დავის საგანს;

8.6. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, თითქოს მიმწოდებელი დამოუკიდებლად იყენებდა სადავო სასაქონლო ნიშანს, რის გამოც იგივე სასაქონლო ნიშნის გამოყენება მყიდველის მიერ მომხმარებელს შეიყვანს შეცდომაში, რაც დაუშვებელია; საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის დამოუკიდებლად გამოყენების არცერთი შემთხვევა არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტულ შემთხვევაში, დავა ეხება საქართველოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს და ამ თვალსაზრისით, თავად მოსარჩელე აღიარებს, რომ მას პროდუქცია სადავო სასაქონლო ნიშნებით საქართველოში საერთოდ არ უწარმოებია და მისი პროდუქცია ამ ნიშნით უცნობია მომხმარებლის ფართო წრი-

სათვის. აქედან გამომდინარე, ცხადია, გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საფრთხე, რადგან, სადავო სასაქონლო ნიშნით მარკირებულ პროდუქციას, საქართველოს ბაზრის მომხმარებელი საერთოდ არ იცნობს;

8.7. მცდარია სასამართლოს მსჯელობა სასაქონლო ნიშნების არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციის თაობაზე.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაზე, რომლის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი, რომელიც საქართველოში დაცულია უპირატესად სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით (შემდეგში: პარიზის კონვენცია) და ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონით.

12. სპეციალური კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ნაირსახეობას და წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებას, რომელიც იძლევა იურიდიული ან ფიზიკური პირების საქონლის განსხვავების საშუალებას სხვა პირების იგივე სახის საქონლისაგან. ამდენად, სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მომხმარებლის მიერ განსხვავებული იქნეს ერთი საწარმოს პროდუქცია სხვა საწარმოს მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქციისაგან. მოცემულ შემთხვევაში, განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, კერძოდ, უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ საწარმოს.

13. სპეციალური კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: „ა) იდენტურია და საქონელიც იდენტურია; ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას“.

14. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ 2003 წელს გამოცემულ ნიგში „ქართული ღვინო“, აგრეთვე – სარეკლამო მასალებში გამოსახულ ეტიკეტებს, რომელთა ავთენტურობა მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია და რომლებსაც ღვინის ქარხანა და შემდგომში მოსარჩელე იყენებდა წარმოებული პროდუქციის მოსანიშნად, გააჩნიათ არსებითი მსგავსება მოპასუხის მიერ რეგისტრირებულ სადავო სასაქონლო ნიშნებთან. თავად მხარეთა ახსნა-განმარტებიდან დგინდება, რომ მოპასუხის მიერ რეგისტრირებულ ნიშნებზე, შეცვლილია მხოლოდ მცირედი ელემენტები, ძირითადი მაიდენტიფიცირებელი ნიშნები – მზის გამოსახულება და ქართული ძეგლების გრაფიკული გამოსახულებები მეორდება რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებში; ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოპასუხე თავად არ აწარმოებს და არასდროს უწარმოებია ალკოჰოლური პროდუქცია. ნიგნი „ქართული ღვინო“ გამოიცა 2003 წელს, მოდავე მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის ღვინის ქარხანა აწარმოებდა ღვინოებს დასახელებით „ქართული ვაზი“ და ქართული ვაზის ღვინოები უკვე ცნობილი იყო მომხმარებლისათვის მისი ნიშან-თვისებებით. ამჟამად, აღნიშნული სასაქონლო ნიშნით მარკირებული ღვინის დისტრიბუციას ეწევა მოპასუხე (მყიდველი), თუმცა, მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვე-

ტის შემთხვევაში, სადავო რეგისტრაციის არსებობის პირობებში, მოსარჩელეს (მიმწოდებელს) უსაფუძვლოდ, არაკეთილსინდისიერად აეკრძალება უფლება, გაასაღოს თავისი ღვინო სწორედ იმ შეფუთვით, რომლის რეკლამირებაში მას გადახდილი აქვს თანხა (რეკლამის თაობაზე შეთანხმება) და რომელსაც საკმაოდ სტაბილური გაყიდვებით იცნობს მომხმარებელთა ფართო წრე. ამდენად, სადავო რეგისტრაციით, მოპასუხე იძენს უფლებას, აუკრძალოს მოსარჩელეს იმ სასაქონლო ნიშნებით სარგებლობა, რომლის ქვეშ ყოველთვის მოიაზრებოდა მოსარჩელის მიერ წარმოებული ღვინო, მისი უნიკალურობით, გემური თვისებებით, ტექნოლოგიით, ქიმიური შემადგენლობით.

15. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება გარკვეულ საქონელზე, თუნდაც მისი რეგისტრაციის გარეშე, ქმნის საფუძველს, რომ აღნიშნულ პროდუქციას დაუკავშირდეს მოცემული ნიშანი. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს გამოცემულ რუსულენოვან ლიტერატურაში „ქართული ღვინო“, დახასიათებულია ღვინის ქარხნის მიერ წარმოებული ღვინოები, კერძოდ, ელიტარული ღვინოების ხაზი – „ქართული ვაზი“, რომელიც 2003 წლიდან უშვებს აღნიშნულ ღვინოებს. უდავოა, რომ აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს ფლობდა ღვინის ქარხანა, რომლისაგან გადაეცა მოსარჩელეს (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი). სადავო სასაქონლო ნიშნით შეფუთული ღვინოები მჭიდროდ უკავშირდება მიმწოდებელს (მოსარჩელეს), მის მიერ არის დამზადებული, შესაბამისი უნიკალური ტექნოლოგიით და ამ სასაქონლო ნიშნის ქვეშ მომხმარებლისათვის ნაგულვებია სწორედ მოსარჩელის მიერ დამზადებული ღვინოები.

16. სასამართლომ დაასკვნა, რომ თუ მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდება და მოსარჩელე აღარ მიაწვდის ღვინოს მოპასუხეს, ამ უკანასკნელის ხელში აღმოჩნდება მხოლოდ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, თუმცა, მისი მონიშვნით გამოცემული სხვა ღვინო მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას გამოიწვევს.

17. სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის მე-4 მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: „თ“ შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“. მოპასუხემ, მწარმოებლის ნებართვის გარეშე, დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მწარმოე-

ბელს, ხოლო მისი პროდუქციის გარეშე ნიშნის გამოყენება შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქვემდგომმა სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მოპასუხის ქმედება (სადავო ნიშნების რეგისტრაცია), როგორც არაკეთილსინდისიერი. კერძოდ, მითითებული მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით. საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ განსაკუთრებული უფლება მოპოვებული იყო სასაქონლო ნიშნებზე, რომლებიც დაუცველი ეტიკეტის სახით მანამდე გამოიყენებოდა და ახლაც გამოიყენება სხვა პირის, მოცემული საქონლის მწარმოებლის მიერ, რომელთანაც უფლების მოპოვებელი იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. აღნიშნულ ეტიკეტებს გააჩნდა გარკვეული სახის დაცვა, ვინაიდან, მოსარჩელეს რეგისტრირებული ჰქონდა სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „ქართული ვაზი“ და სადავო ეტიკეტებიც და ეტიკეტებით მონიშნული პროდუქციაც სწორედ აღნიშნულ საფირმო სახელწოდებასთან ასოცირდებოდა. ამასთან, მართალია, სასაქონლო ნიშნის გამოყენება არ წარმოადგენდა მასზე განსაკუთრებული უფლების მოპოვების ნინაპირობას, თუმცა, როდესაც უფლების მოპოვება ხდებოდა ისეთ სასაქონლო ნიშანზე, რომელზეც მესამე პირს გააჩნდა უპირატესი ლეგიტიმური ინტერესი, რეგისტრაცია ხორციელდებოდა იმ შეგნებით, რომ პირმა მიითვისოს სხვის მიერ რეგისტრაციამდე შექმნილი და ბაზარზე დამკვიდრებული, მაგრამ დაუცველი ნიშანი და მისგან მომდინარე სიკეთე, რაც უდავოდ მოჰყვება მომხმარებელში კარგად ნაცნობ, დადებით რეპუტაციის მქონე ნიშნით შეფუთული ღვინის რეალიზებას. ამასთან, მოპოვებული უფლება არ ეფუძნება უპირატესი დაცვის ღირს ინტერესს. მოპასუხისთვის განსაკუთრებული უფლების მოპოვება წარმოადგენს კონტრაჰენტთან მიმართებაში უპირატესობის მოპოვების საშუალებას. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, სხვისი შექმნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მითვისება და ამ გზით ბაზარზე უპირატესობის მოპოვება, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძველს.

19. პარიზის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. კონვენციის მე-10^{bis} მუხლის პირ-

ველი ნაწილის თანახმად, კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამენარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, აკრძალულია ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დანესებულების, საქონლის, სამენარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ;

20. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი წარმოადგენდა, პარიზის კონვენციის ზემოხსენებული ნორმებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების რეალიზების ერთადერთ საშუალებას, რომელიც უნდა განხილულიყო სხვა სამართლებრივ საშუალებებთან ურთიერთკავშირში (კანონის 28-ე მუხლის სხვა ქვეპუნქტები). კანონმდებელი კანონის აღნიშნული მუხლით განსაზღვრავს მენარმე სუბიექტის უფლების დაცვის მექანიზმს, როდესაც სახეზეა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განევის მიზნით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ფაქტი.

21. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე არის არა კონკურენტი, არამედ მოსარჩელის კონტრაქტორი, თუმცა, მოპასუხე სხვა მწარმოებელთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თავად დაიწყებს ღვინის წარმოებას, მოპოვებული განსაკუთრებული უფლებით შეძლებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განევას, რაც გამოიწვევს სხვა პროდუქციის მოსარჩელის მიერ წარმოებულ პროდუქტთან აღრევას და ამ უკანასკნელს აუკრძალავს სამომავლოდ საკუთარ პროდუქციაზე სადავოდ ქცეული ნიშნების დატანას. სასაქონლო ნიშანი შესაძლებელია, ასევე, გამოყენებული იქნეს სახელშეკრულებო უპირატესობის მოსაპოვებლად, რაც გამოიხატება მოთხოვნილი პირობების შესაბამისად საქონლის მიწოდებაში.

22. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები ატარებდა მომსახურების განევის სახეს. ნასყიდობის ხელშეკრულება, თავისი იურიდიული ბუნებით, მოიცავს მხოლოდ პროდუქციის მიწოდებისა და საფასურის ანაზღაურების ვალდებულებას. რაც შეეხება მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, საქმის მა-

სალებში განთავსებული საქონლის მიწოდების ხელშეკრულები-
ბისა და მომსახურების ხელშეკრულების თანახმად დასტურ-
დება, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა,
ასევე, ითვალისწინებდა ექსკლუზიური მიწოდების პირობას,
მარკეტინგული აქტივობების განხორციელების ვალდებულე-
ბას, მესამე პირებთან ურთიერთობას, რაც მოიცავდა ეტიკე-
ტების დამამზადებელთან ხელშეკრულების გაფორმებას, უკ-
რაინის ტერიტორიაზე მომწოდებლის ინტერესების დაცვას და
ა.შ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმის
მასალებში წარდგენილ პროდუქციაზე დატანილ ეტიკეტებზე
მოპასუხე მითითებულია მოსარჩელის ოფიციალურ წარმომად-
გენლად უკრაინაში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ
გასათვალისწინებელი იყო, მომსახურებისათვის და იმისათვის,
რომ მოპასუხე (მყიდველი) იყო მიმწოდებლის ექსკლუზიური
წარმომადგენელი, იგი იღებდა შესაბამის საზღაურს, რაც ასა-
ხულია მესამე პირთან რეკლამირების თაობაზე გაფორმებულ
01.01.2012 წ. ხელშეკრულებაში.

23. საქმის მასალებში წარდგენილი 21.03.2011 წ. მესამე პი-
რის წერილით, 2012 წლის სადიზაინერო მომსახურების განვეის
შესახებ ხელშეკრულებით (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) დგინ-
დება, რომ იტალიური კომპანია ამზადებდა მოსარჩელის (გამ-
ყიდველის) კუთვნილ ეტიკეტებს. ქვემოთაღნიშნულ სასამართლომ
მართებულად განმარტა დასახელებული წერილი და ხელშეკ-
რულება, ვინაიდან, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთო-
ბიდან ეკონომიკური ტვირთი სწორედ მოსარჩელეს ეკისრებო-
და, იქიდან გამომდინარე, რომ მზადდებოდა მისი კუთვნილი
ეტიკეტები, მის მიერვე წარმოებული პროდუქციის მოსანიშნად.

24. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სა-
სამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტი-
ლებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა, შემდეგ საკასაციო პრე-
ტენზიებზე დაყრდნობით:

24.1. გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევითაა მი-
ღებული, შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანო-
ბის შემონახვა (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტები).
იურიდიულად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა იმის
შესახებ, თითქოს საქართველოს მომხმარებელი იცნობდა სა-
დავო სასაქონლო ნიშანს, აიგივებდა მას მოსარჩელის მიერ წარ-
მოებულ პროდუქციასთან და ამის გამო, მოპასუხის სახელზე
სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციით არსებობს მომხმარებლის
შეცდომაში შეყვანის საფრთხე;

24.2. სადავო ნიშანი სრულიად უცნობია საქართველოს ბა-

ზარზე, მას არავითარი რეპუტაცია არ გააჩნია და, შესაბამისად, მოპასუხეს არ ჰქონია და ვერც ექნებოდა სადავო რეგისტრაციით სხვისი სასაქონლო ნიშნის ცნობადობის მითვისებისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის განზრახვა. სასამართლომ გამოიყენა კანონის მე-4 მუხლის „თ“ პუნქტი (იხ. ამ განჩინების მე-17 პუნქტი), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია; სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საფრთხის გამო, სახეზეა სპეციალური კანონის მე-4 მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, სადავოდ ქცეული ნიშნის – მზის გამოსახულების რეგისტრაციის ბათილობის საფუძველი. სპეციალური კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია რეგისტრაციაზე უარის თქმის „აბსოლუტური“ საფუძვლები, რომელსაც „საქპატენტი“ იყენებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცესში. კანონის მე-4 (1) მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლის შესახებ“. დასახელებულ ნორმაში საუბარია არა იმაზე, როდესაც ერთი ნიშანი ემთხვევა სხვა ნიშანს და არსებობს აღრევის საფრთხე, არამედ – ისეთ შემთხვევაზე, როდესაც თავისთავად ნიშანზე დატანილი გამოსახულება შეიცავს მომხმარებლისათვის არასწორი ასოციაციის შექმნის შესაძლებლობას;

24.3. სპეციალური კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები შეეხება შემთხვევას, როდესაც თავად სასაქონლო ნიშანი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის კრიტერიუმებს. განსახილველ შემთხვევაში, სადა „მზის გამოსახულება“ რეგისტრაციის კრიტერიუმებს ცხადია აკმაყოფილებს (რაც დადგენილია „საქპატენტის“ მიერ და ამას თავად მონინალმდეგეც არ ხდის სადაოდ). გარდა ამისა, ამ სამართლებრივი საფუძვლით დავა, როგორც წესი, წარიმართება „საქპატენტის“ წინააღმდეგ, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი მსჯელობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის აბსოლუტურ საფუძვლებზე;

24.4. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ არაკეთილსინდისიერი განზრახვით დაარეგისტრირა სადავო სასაქონლო ნიშნები, მათზე განსაკუთრებული უფლებებისა და, ბაზარზე დამკვიდრებული, ამ ნიშანთან დაკავშირებული დადებითი რეპუტაციის მოპოვების მიზნით. არ შეიძლება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერად შე-

ფასდეს მხოლოდ იმის გამო, რომ პირმა მოიპოვა ან სურდა მოეპოვებინა ნიშანზე განსაკუთრებული უფლება. განსაკუთრებული უფლების მოპოვება არის ნებისმიერი რეგისტრაციის შედეგი, რაც არ წარმოადგენს არც არაკეთილსინდისიერ განზრახვას და არც არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. რეგისტრაციის არაკეთილსინდისიერად კვალიფიკაცია შეფასებითი კატეგორიაა და იგი დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის შეფასებას, თუ როგორ აღიქვამდა რეგისტრაციის ფაქტს თავად დაინტერესებული პირი;

24.5. კასატორის მტკიცებით იმისათვის, რომ სახეზე იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევა ანუ სხვისი რეპუტაციის მითვისება და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, აუცილებელი პირობაა, რომ მოწინააღმდეგემ გამოიყენოს სადავო სასაქონლო ნიშანი, მოახდინოს ამ ნიშანთან გაიგივებული პროდუქციის რეალიზაცია, ამ ნიშნით შექმნას რეპუტაცია ან არსებობდეს უკვე ამ ნიშნით შექმნილი რეპუტაცია, როგორც ფაქტი. ამგვარი ფაქტების არარსებობა, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ არ არსებობს არც რეპუტაცია და არც ცნობადობა და შესაბამისად, მისათვისებელიც არაფერია;

24.6. კასატორის მტკიცებით, პარიზის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატოსან ჩვევებს. კერძოდ აკრძალულია ისეთი ხასიათის მქონე ყველა ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დაწესებულების, საქონლის, სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ. საქართველოში მოსარჩელეს სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია დამოუკიდებლად არ უნარმოებია და არც გაუყიდა. ასეთი ნიშანდებით საქართველოს მომხმარებელი პროდუქციას არ იცნობს, შესაბამისად, საქართველოში სადავო სასაქონლო ნიშანი არ ასოცირდება არც მოსარჩელესთან და არც მის მიერ წარმოებულ პროდუქციასთან, ანუ საქართველოში სადავო სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია არც რეპუტაცია და არც საყოველთაო ცნობადობა, რაც გამორიცხავს რეპუტაციის მითვისების მიზანს და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოპასუხის საკასაციო საჩივარი 2015 წლის 28 იანვრის განჩინებით წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის

29 იანვრის განჩინებით დასაშვებად ცნო დასახელებული მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის (კასატორის) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ბათილად ცნობა. სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში გამყიდველმა წარადგინა განკუთვნილი და დასაშვები მტკიცებულებები, რაც მხარის საპროცესო უფლებების რეალიზებას წარმოადგენს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრონციპების (სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები) საფუძველზე, ამასთან, მოდავე მხარეები თანასწორი არიან კანონის წინაშე და ევალუბათ, მტკიცების კუთვნილი ტვირთის ფარგლებში, მოახდინონ ვალდებულების შესრულება. სსსკ-ის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლო მსჯელობს და ანალიზებს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე. მოპასუხის შესაგებელი კი ძირითადად ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი სადავო გამოსახულებაზე საავტორო უფლების დასადასტურებლად (იხ. მოპასუხის შესაგებელი). განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები მართებულად არის გამოყენებული, რაც

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობაზე მიუთითებს.

28. საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების 12-23 პუნქტები) და აღნიშნავს, რომ მოპასუხის საკასაციო პრეტენზიების არსებითი განხილვის შედეგად გადამონშებით, არ დადგინდა საკასაციო განაცხადის საფუძვლიანობა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

29. საკასაციო პრეტენზიების (იხ. ამ განჩინების 24.1-24.3 ქვეპუნქტები) საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის გამოყენება დასაბუთებულია, რადგან მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები სწორედ მოსარჩელის (გამყიდველის) პროდუქციაზე დატანილი განმასხვავებელი ნიშნებია, ასოცირდება ამ უკანასკნელის პროდუქციასთან და შეესაბამება გამოყენებულ ნორმას, რომელიც ანესრიგებს რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს, (იხ. ამ განჩინების 14-17 პუნქტები). ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად აღნიშნეს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენებისას, განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, ანუ უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ სანარმოს. მომხმარებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სასურველი პროდუქცია, რომელსაც იცნობს და ენდობა, ამდენად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიზანი სწორედ ისაა, რომ მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია, კონკრეტული პროდუქციის წარმოშობის, მისი მწარმოებლისა და სხვა სპეციფიკური ნიშან-თვისებების შესახებ, რის გამოც ირჩევს პროდუქტს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი არა მხოლოდ კერძო პირთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფაში გამოიხატება, არამედ საჯარო ინტერესშიც, რომ მომხმარებელთა არა მხოლოდ კონკრეტული წრე, არამედ პოტენციური მომხმარებელიც დაცული იყოს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ შეცდომაში შემყვანი, არასწორი ინფორმაციისაგან.

30. კასატორის პრეტენზიების (იხ. ამ განჩინების 24.4-24.6 ქვეპუნქტები) საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე განჩინების 19-23 პუნქტებშია ასახული და აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო

ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს /Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 66-72, ECHR 2007-I/. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მაძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში / Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 73-78, ECHR 2007-I/“ (იხ. სუსგ №ას-1285-1223-2014, 01.12.2015წ.), შესაბამისად, მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით, ფაქტობრივად მოხდა მოსარჩელის საკუთრების ხელყოფა (იხ. ამ განჩინების 21-ე პუნქტი), რადგან კანონიერ მესაკუთრეს აეკრძალა კუთვნილი სასაქონლო ნიშნების გამოყენება.

31. ზემოხსენებული დასაბუთებით, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული შედეგების წარმოდგენა, რის გამოც, საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება.

32. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ფ-ა დ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ნოემბრის განჩინება;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

ბანჩინება

№ას-58-54-2017

31 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობა; კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერი ჩანაწერების დისკლამაციის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ტ-ი ვ-ი პ-ბ“ (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) რეგისტრირებულია საქართველოში და მისი იურიდიული მისამართია: თ-ი, ი-ს ქ. №-; შპს „ქ-ი ღ-ა და ა-ი ს-ს კ-ა“ (შემდეგში: მოპასუხე ან აპელანტი) რეგისტრირებულია საქართველოში და მისი იურიდიული მისამართია: თ-ი, ა-ი; მისი შემოკლებული აბრევიატურაა G-S (ჯ-ს).

2. მოპასუხეს სხვადასხვა დროს (მათ შორის, 2001 წლიდან) „საქპატენტში“ დარეგისტრირებული აქვს რამდენიმე სიტყვიერი და კომბინირებული სასაქონლო ნიშანი, რომლებიც შეიცავენ სიტყვიერ აღნიშვნებს (სიტყვებს) – „ძველი თბილისი“; „СТАРЫЙ ТБИЛИСИ“; „OLD TBILISI“. ეს სასაქონლო ნიშნები დარეგისტრირებულია საქონლის და/ან მომსახურების (ნიცის კლასიფიკაციის) სხვადასხვა, ზოგჯერ რამდენიმე კლასისათვის.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ და მოითხოვა: მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული (13789; 13791; 14423; 22753) სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების ძველი თბილისი; „СТАРЫЙ ТБИЛИСИ“; „OLD TBILISI“ ბათილად ცნობა; აგრეთვე, მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული (16320; 16321; 16322; 16323) კომბინირებული სასაქონლო ნიშნების შემადგენელი სიტყვიერი ჩანაწერის (ძველი თბილისი; „СТАРЫЙ ТБИЛИСИ“; „OLD TBILISI“) დისკლამაცია (დაუცველ ნაწილად აღიარება).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი

დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი, მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული (რეგისტრაციის ნომერი – 13789; 13791; 14423; 22753) სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები – ძველი თბილისი СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI. მოხდა დისკლამაცია (დაუცველ ნაწილად აღიარება) მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნების (რეგისტრაციის ნომერი – 16320; 16321; 16322; 16323) შემადგენელი სიტყვიერი ჩანაწერისა – ძველი თბილისი СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI.

5. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ და თავისი სააპელაციო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 4.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე (ნორმის დანაწესი: „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას ან ემბლემას, სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო ან სასინჯო დამლას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენს ან მედალს; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას ან ფულის ნიშანს, ან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე სიმბოლოს იმიტაციაა. აღნიშნული სიმბოლო სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ან მფლობელის თანხმობა ამ სიმბოლოს გამოყენებაზე).

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

7. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. მოპასუხის კუთვნილ შემდეგ კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებს: ნიშანი – ეტიკეტი, რომელიც შეიცავს ქართული ასო-ნიშნებით შესრულებულ სიტყვებს – ძველი თბილისი; მისი რეგისტრაციის ნომერია – 16320, რეგისტრირებულია 32 (ლუდი; მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; სიროფები და სასმე-

ლების დასამზადებელი სხვა შემადგენლობები) კლასისათვის, 33 (ალკოჰოლიანი სასმელები, ლუდის გარდა) და 43 (საკვები პროდუქტებით და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა) კლასებისათვის; ნიშანი – ეტიკეტი, რომელიც შეიცავს ქართული ასონიშნებით შესრულებულ სიტყვებს – ძველი თბილისი; მისი რეგისტრაციის ნომერია – 16321, ასევე, რეგისტრირებულია 32, 33 და 43 კლასებისათვის; ნიშანი – ეტიკეტი, რომელიც შეიცავს რუსული ასონიშნებით შესრულებულ სიტყვებს – Старый Тбилиси; მისი რეგისტრაციის ნომერია – 16322, რეგისტრირებულია იმავე – 32, 33, 43 კლასებისათვის ნიშანი – ეტიკეტი, რომელიც შეიცავს რუსული ასონიშნებით შესრულებულ სიტყვებს – Старый Тбилиси; მისი რეგისტრაციის ნომერია – 16323, რეგისტრირებულია, ასევე, იმავე (32, 33, 43) კლასებისათვის; სადავო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია ძალაშია.

9. მოპასუხე კომპანიის კუთვნილი, ზემოაღნიშნული სადავო სასაქონლო ნიშნები დაცულია მთლიანობაში, მასში არსებული სიტყვიერი ჩანაწერი – „თბილისი“, „თბილისი“, „ТБИЛИСИ“ დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება;

10. მოსარჩელე კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების ქართულ ღვინოს, რა დროსაც, იყენებს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს – ეტიკეტს, რომელიც შეიცავს სიტყვიერ აღნიშვნას, სახელდობრ, ერთდროულად, ქართული და რუსული ასონიშნებით შესრულებულ სიტყვებს – ТИФЛИССКОЕ СТАРОЕ ტიფლისური ძველებური;

11. მოსარჩელემ 2004 წელს მიმართა „საქპატენტს“ სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის სტარი თიფლის Старый Тифлис სტარი თიფლის რეგისტრაციის მოთხოვნით 33 (ალკოჰოლიანი სასმელები) კლასისათვის, რაზეც ეთქვა უარი.

12. მოსარჩელე ახდენს მის მიერ წარმოებული პროდუქციის (ღვინის) ექსპორტს, ის არ ახდენს ღვინის რეალიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე; მოპასუხე კომპანია ახორციელებს თავისი პროდუქციის (მათ შორის, ღვინის) როგორც საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციას, ისე მის ექსპორტს; მოპასუხის ღვინის ბრენდი „ძველი თბილისი“ მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტია. იგი ცალკე ბრენდად შეიქმნა 1999 წელს.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ „ძველი თბილისი“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ და ამჟამინდელ დასახელებას და მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირვე-

ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თვითმმართველი ერთეული ეს არის, დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასახლებათა კატეგორიებია: დ.ა) სოფელი; დ.ბ) დაბა; დ.გ) ქალაქი; ხოლო, „ზ“ დასახლების ნაწილი (უბანი).

14. ქ. თბილისში არსებული ტერიტორიული ერთეულების დასახელებები განსაზღვრულია: ა) ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილებით „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ“ და ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-5 გადაწყვეტილებით „თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“.

15. „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის ტერიტორია დაყოფილია 10 რაიონად, ხოლო, „თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-5 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით, ქ. თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონები დაყოფილია ტერიტორიულ უბნებად.

16. არცერთ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში, „ძველი თბილისი“ არ არის მოხსენიებული, როგორც ტერიტორიული ერთეული.

17. იმისათვის, რომ „ძველი თბილისი“ ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ამჟამინდელ დასახელებად, იგი ასეთად მიჩნეული უნდა იქნეს იმ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ არცერთი ოფიციალური დოკუმენტით „ძველი თბილისი“ არ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ამჟამინდელ დასახელებას [საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 102.3 მუხლი]. ამასთან, სადავო გარემოება, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით. ყოველივე აღნიშნული კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად მოხდა იმის დადგენა. რომ „ძველი თბილისი“ წარმოადგენს არსებული ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას.

18. მოსარჩელის აპელირებასთან მიმართებით, რომ აღნიშნული წარმოადგენს ისტორიულ დასახელებას, პალატამ განმარტა, რომ ტერიტორიული ერთეულის ისტორიული დასახელება წარმოადგენს ისეთ სახელს, რომელიც ამა თუ იმ ისტორიულ წყაროში გამოყენებულია კონკრეტული ტერიტორიის სახელწოდებად.

19. გარდა იმისა, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, ისტორიულად რომელ ტერიტორიას ერქვა „ძველი თბილისი“, ამასთან, საქმის მასალებში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშვნის „ძველი თბილისის“ გამოყენებას რომელიმე, შემოსაზღვრული ტერიტორიის იდენტიფიცირებისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ ძველი თბილისი ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილად მიიჩნია იმ დასაბუთებით, რომ იგი დაახლოებით მოიცავდა იმ უბნებსა და დასახლებებს, რასაც 1936 წლამდე „ტფილისი“ ეწოდებოდა, რაც პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ „ძველი თბილისი“ წარმოადგენს „ტფილისი“-ს ანალოგს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ „ტფილისი“ წარმოადგენს ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ სახელწოდებას და არა „ძველი თბილისი“. პალატის მოსაზრებით, „ძველი თბილისი“ თბილისის ძველი უბნების გამაერთიანებელ სიმბოლურ დასახელებას წარმოადგენს და არა ნორმატიულ საზღვრებში მოქცეული რომელიმე ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ სახელს.

20. სააპელაციო პალატამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველ პუნქტი.

21. იმავდროულად, მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან

ისტორიულ დასახელებას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა მათი გამოყენების თაობაზე.

22. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული. ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქონლის მთელი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.

23. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დადგენილი იქნა ის გარემოება, რომ სადავო სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები (ძველი თბილისი СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI) არ ექცეოდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ პუნქტის მოქმედების სფეროში, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს შპს „ტიფლის-სკი ვინი ჰოგრებ“-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

24. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ.

25. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს პალატამ გამოიყენა, მაგრამ არასწორად განმარტა სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

26. კასატორი აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

27. კასატორი მიუთითებს, რომ კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ შეიცავს ამკრძალავ ნორმას სასაქონლო ნიშნად საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დასახელების გამოყენებაზე. საქართველოში წარმოებული საქონელი თუ შემოთავაზებული მომსახურებები უმეტესად კვლავ ასეთი ტიპის სასაქონლო ნიშნებითაა წარმოდგენილი. მაგალითისთვის საკმარისია ავღნიშნოთ რესტორნების დასახელებები – „მთანმინდა“, „მირზაანი“, „კახეთი“, „ძველი თბილისი“, „ძველი ერევანი“, „ვა-

კე“, „სანაპირო“, „ოდიში“, „მუხრანთუბანი“ და სხვა. სამწუხაროდ „საქპატენტის“ მიერ რეგისტრირებული ასეთი ტიპის არა ერთი სასაქონლო ნიშანი ინვესტს ექვს ამ რეგისტრაციების კანონთან შესაბამისობასთან მიმართებით.

28. მეტად პოპულარული გახდა საქართველოში არსებულ ტერიტორიულ დასახელებაზე სიტყვა „ძველის“ დამატება. გასაკვირია ის ფაქტიც, რომ „საქპატენტი“ რატომღაც ატარებს რეგისტრაციაში ასეთ სიმბოლოებს, საკმარისად თვლის რა იმას, რომ განმცხადებელი ნიშნისა არის საქართველოს რეზიდენციის მქონე პირი. ამის ნათელი მაგალითია სადაო სასაქონლო ნიშნები „ძველი თბილისი“. სხვა მაგალითებია რესტორანი თბილისში „ძველი ერევანი“, სასმელი ბრენდი „ძველი კახეთი“, ლუდი, ლიმონათი „ყაზბეგი“ თუ „ზედაზენი“. კასატორი ინტერესდება თუ რა შემოქმედებითი შრომა ჩადო განმცხადებელმა სასაქონლო ნიშნისა სიმბოლოდ „ძველი თბილისი“-ს შერჩევაში, რომლის საფუძველზეც მოიპოვა განსაკუთრებული უფლება, ანუ უფლება აუკრძალოს მესამე პირებს გამოიყენოს კომერციულ საქმიანობაში სიმბოლო „ძველი თბილისი“; რატომ მიანიჭა საქპატენტმა განსაკუთრებული უფლება გამოყენებაზე მხოლოდ ერთ კომპანიას სიმბოლოსი „ძველი თბილისი“ და დაუკარგა ამის უფლება სხვა პირებს.

29. კასატორის მოსაზრებით, სასურველია რომ მენარმეებმა საერთოდ უარი თქვან კომერციულ საქმიანობაში ისეთი სიმბოლოების გამოყენებაზე, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ან კულტურის და რელიგიური ძეგლების დასახელებებს, რადგან ასეთი სიმბოლოები არ ემსახურებიან საქონლისა და მომსახურებების მწარმოებელ/მიმწოდებელის იდენტიფიკაციას. მენარმეებში ასეთი მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე უნდა ზრუნავდეს, როგორც საქპატენტი, ასევე, სასამართლო.

30. იმავდროულად, კასატორი აღნიშნავს, რომ მაინც არსებობენ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, რომლებიც წარმოადგენენ მთლიანობაში ან ძირითადად წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის დასახელებას. მაგრამ ასეთ რეგისტრაციებს სხვა სამართლებრივი საფუძველი გააჩნიათ. სახელდობრ, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ასეთმა სიმბოლომ პრაქტიკაში ხანგრძლივი გამოყენების შედეგად შეიძინა განმასხვავებლობა, ანუ მომხმარებელი ამ სიმბოლოთი ახდენს იდენტიფიცირებას საქონლისა მწარმოებელთან. ამის ნათელი მაგალითია რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად სიმბოლსი „ლონდონ მალლ“ ჩანერილი ლათი-

ნურ ანბანზე.

31. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნებზე იმდენად მკაცრად წყვეტს ასეთ საკითხს (სასაქონლო ნიშნად ტერიტორიის დასახელების რეგისტრაცია), რომ ასეთი, სხვა ქვეყნებში ნებადართული გამონაკლისიც კი არ დაუშვა. რაც შეეხება ნიშნის რეგისტრაციაზე უარის სხვა აბსოლუტურ საფუძვლებს, კანონმდებელმა დაუშვა გამონაკლისები სხვა საფუძვლებისათვის, გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის ჩათვლით, იმ მოტივით, რომ თუ სიმბოლომ განაცხადის შეტანისათვის შეიძინა განსხვავებადობა ხანგრძლივი გამოყენების შედეგად (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მუხლი 4. პუნქტი 3) მაშინ შესაძლებელია მისი რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად. მაგრამ არ დაუშვა ასეთი გამონაკლისი ისეთი სიმბოლოებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ან შეიცავენ საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას.

32. საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის დამატებით საფუძვლად კასატორი მიიჩნევს იმას, რომ არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აკონკრეტებს და განმარტავს უფრო დეტალურად იმას, თუ რა იგულისხმება სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში მოხსენიებულ „საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებაში“. საკანონმდებლო აქტში მოცემულ ამ დეფინიციას სხვადასხვანაირი, ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტება მისცა „საქპატენტმა“, თბილისის სამოქალაქო სასამართლომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ.

33. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ „ძველი თბილისი“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ და ამჟამინდელ დასახელებას, მიუხედავად იმისა, რომ „თბილისი“ უდავოდ საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დასახელებაა.

34. სააპელაციო პალატა აღიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ განმარტებას ტერიტორიისა, როგორც მინის ზედაპირის ნაწილს, რომელსაც აქვს გარკვეული საზღვრები. ეთანხმება იმასაც, რომ „ტერიტორიული ერთეულს, რომელიც არ არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, მიეკუთვნება: დასახლებული პუნქტი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოების გარეშე, ბუნების ძეგლების ტერიტორია, ..., ისტორიული დასახელება ქალაქის ისტორიული ნაწილისა, რომლის ტერიტორიაზეც განვითარ-

რებულია ურბნისტული ძეგლები – ანსაბლები, მოედნები, ქუჩები, ძველი დაგეგმარებისა და განაშენების ნაშთები და ა.შ.“ (გასაჩივრებული გადაწყვეტილების გვ. 12, აბზაცი 3).

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კი, დამაჯერებლად აღწერა თავის გადაწყვეტილებაში ის, თუ რატომ არის სიმბოლო „ძველი თბილისი“ საქართველოს დედაქალაქის ისტორიული უბნების დასახელება. მოსამართლე დაეყრდნო თავის შინაგან რწმენას, ქალაქ თბილისის ტერიტორიული დაგეგმარებისა თუ ისტორიის ცოდნას და წარდგენილ მტკიცებულებას მასზედ, რომ უახლოეს წარსულში არსებობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველი თბილისი მკაცრად განსაზღვრული საზღვრებით.

36. პალატა მიუთითებს, რომ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ქ. თბილისის 10 რაიონი და ამ ჩამონათვალში არ არის „ძველი თბილისი“. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ის, რომ „ძველი თბილისი“ არ არის მოხსენიებული ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ჩამონათვალში არ ნიშნავს იმას, რომ ბუნებაში არ არსებობს ტერიტორია სახელით „ძველი თბილისი“.

37. რაც შეეხება სააპელაციო პალატის დასკვნას იმაზე, რომ „ძველი თბილისი“ არ შეიძლება ჩაითვალოს ტერიტორიული ერთეულად, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია, რომ 2006 წლის 12 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 იანვრამდე ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონი იყო ძველი თბილისი. ტერიტორია „ძველი თბილისი“ ოფიციალური დოკუმენტი-თაა დადგენილი თავისი საზღვრებითა და გეოგრაფიული კოორდინატებით. არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის „ძველი თბილისი“ საზღვრებს, როგორც თბილისის ერთერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონისა. კასატორს არასწორად მიაჩნია, ასევე სააპელაციო პალატის მითითება ტერიტორიული ერთეულის ზუსტი საზღვრების დამამტკიცებელი დოკუმენტის წარდგენაზე. კანონმდებელი ამას არ ითხოვს და აღნიშნული ადასტურებს, რომ სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი არასწორადაა გამოყენებული.

38. კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია სააპელაციო პალატის მითითება მასზე, რომ თურმე 1936 წლამდე არსებული ქალაქის დასახელება იყო არა „ძველი თბილისი“, არამედ „ტიფლისი“. კასატორის აზრით არსებითი ის კი არაა თუ რა სახელი ერქვა ამა თუ იმ ტერიტორიას ოფიციალურ თუ ლიტერატურულ-ისტორი-

ულ წყაროებში; არსებითია ის, რომ სასაქონლო ნიშნად არ უნდა დარეგისტრირდეს ისეთი სიტყვა ან სიტყვათა კრებული, რომელიც ცალსახად, აშკარად მიაწინებს მომხმარებელს საქართველოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე. თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორედ ასე შეაფასა მოსარჩელის მოთხოვნა, რომ ტერმინში „ძველი თბილისი“ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ გარკვეულად და ცალსახად იგულისხმება ქ. თბილისის ტერიტორიის გარკვეული უბნების ერთობლიობა.

სამოტივაციო ნაწილი:

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

40. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამართლებრივ საფუძვლად კასატორი მოთხოვნის უარსაყოფად გამოყენებული სპეციალური კანონის – სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის არასწორ გამოყენებას მიიჩნევს. იმავდროულად, კასატორს მიაჩნია, რომ სპეციალური კანონის მითითებულ ნორმაში მოხსენიებული „საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებული ან ისტორიული დასახელება“ მოითხოვს ერთგვაროვან განმარტებას.

41. სსსკ-ის 396 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს კი, ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

42. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს (1) მოპასუხის კუთვნილი შემდეგი სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები: ნიშანი – ძველი თბილისის СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI [რეგ. № 13789], რეგისტრირებულია 33 (ალკოჰოლური სასმელები) კლასისათვის; ნიშანი – ძველი თბილისი СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI [რეგ. № 13791], რეგისტრირებულია 32 (უალკოჰოლო სასმელები) კლასისათვის; ნიშანი – ძველი თბილისი OLD TBILISI СТАРЫЙ ТБИЛИСИ [რეგ. № 14423], რეგისტრირებულია 42 (კვების პროდუქტებით და სასმელებით უზრუნველყოფა) კლასის-

სათვის; ნიშანი – ძველი თბილისი OLD TBILISI СТАРЫЙ ТБИЛИСИ [რეგ. №22753], რეგისტრირებულია 33 (ალკოჰოლიანი სასმელები, ლუდის გარდა) კლასისათვის, ბათილად ცნობა და (2) კომბინირებული სასაქონლო ნიშნების [თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს ეტიკეტს, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ქართული სუფრა; მის თავზე მოთავსებულია, სხვადასხვა შემთხვევაში, ქართული, რუსული, ან ინგლისური ასო-ნიშნებით შესრულებული წარწერა – „ძველი თბილისი“, მარცხენა ზედა კუთხეში მოთავსებულია ფირმის ლოგო მისი აბრევიატურით. ეტიკეტის ქვედა ნაწილში სწორკუთხა ფიგურაში (რომლის ფერიც, სხვადასხვა დროს, არის შინდისფერი ან მუქი მწვანე) გამოსახულია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ორნამენტი], დისკლამაცია.

43. განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი სწორად იქნა გამოყენებული. მოსარჩელემ კი, ვერ დაადასტურა ამ ნორმის ყველა წინამძღვარის განხორციელების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რაც გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობაზე მიუთითებს. მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები სწორედ მოსარჩელის (გამყიდველის) პროდუქციაზე დატანილი განმასხვავებელი ნიშნებია და შეესაბამება გამოყენებულ ნორმას, რომელიც ანესრიგებს რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.

44. საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების 13-24 პუნქტები) იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში არსებული ტერიტორიული ერთეულების დასახელებები განსაზღვრულია: ა) ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილებით „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ“ და ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-5 გადაწყვეტილებით „თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“. „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის ტერიტორია დაყოფილია 10 რაიონად, ხოლო, „თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“ ქ. თბილისის

საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-5 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით, ქ. თბილისის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული რაიონები დაყოფილია ტერიტორიულ უბნებად. არცერთ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში, „ძველი თბილისი“ არ არის მოხსენიებული, როგორც ტერიტორიული ერთეული. იმისათვის, რომ „ძველი თბილისი“ ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ამჟამინდელ დასახელებად, იგი ასეთად მიჩნეული უნდა იქნეს იმ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ არცერთი ოფიციალური დოკუმენტით „ძველი თბილისი“ არ წარმოდგენს საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ამჟამინდელ დასახელებას.

45. საკასაციო პალატა კასატორის არც იმ პოზიციას იზიარებს, რომ საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დასახელების დამადასტურებელი დოკუმენტის (ინდივიდუალური ანდა ნორმატიული აქტის) წარმოდგენა მხარისათვის გადაულახავი მტკიცების სტანდარტი იყო (იხ., წინამდებარე განჩინების პ: 38) და მიაჩნია, რომ კასატორმა ვერ დაძლია კუთვნილი მტკიცების ტვირთი და ვერ შეძლო სსსკ-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპის იმგვარი რეალიზაცია, რაც მისთვის ხელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა.

46. მაშასადამე, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები (ძველი თბილისი СТАРЫЙ ТБИЛИСИ OLD TBILISI) არ ექცევა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების ვარგისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობას.

47. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებ-

რივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

48. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ., ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ №7932/03 Van de hurk v. Netherlands. par.61. Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v. France (dec.) Perez v. France [GC]. par.81.)

49. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მართლზომიერებისა და რეგისტრაციის აკრძალვის სამართლებრივი საკითხები განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

51. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ტ-ი ვ-ი პ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ შპს „ტ-ი ვ-ი პ-ს“ უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 09 იანვარს ლ-ი ს-ის მიერ საგადახადო დავალება №5 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი) – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. პატენტი

პატენტის ბათილად ცნობა

ბანჩინება

№ას-626-598-2016

15 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: პატენტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ (შემდეგში: „საქპატენტი“) სასარგებლო მოდელზე – „მონყობილობა ყავის მოსადულებლად“, 2006 წლის 10 მაისს, თ. ზ-ის სახელზე (შემდეგში: მოპასუხე, პატენტმფლობელი ან ლიცენზიის გამცემი) გასცა პატენტი. სასარგებლო მოდელის ტექნიკურ შედეგს წარმოადგენს – მონყობილობის მობილურობა, გამოყენების სფეროს – მოსახლეობის მომსახურება (საქართველოს საპატენტო კანონი, შემდეგში: საპატენტო კანონი, 41-ე მუხლი).

2. ნ. ლ-ის სახელზე (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კა-სატორი), „საქპატენტის“ 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ასევე გაიცა პატენტი ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული მოდელის მსგავს მონყობილობაზე.

3. „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის 2012 წლის 10 იანვრის №96-02/11 გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მოსარჩელის სახელზე გაცემული პატენტი ბათილად იქნა ცნობილი.

4. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება №96-02/11 გასაჩივრდა სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა.

5. მოპასუხესა და შპს „რ-ს“ (შემდეგში: ლიცენზიის მიმღები საწარმო, ლიცენზიანტი) შორის, 2007 წლის 23 მარტს, დადებული განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულების თანახმად,

ლიცენზიის გამცემმა, აილო ვალდებულება, საზღაურის სანაცვლოდ, ხელშეკრულებაში მითითებული ვადით, მხოლოდ ლიცენზიანტს გადასცეს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს და რეალიზაცია მოახდინოს ლიცენზიის გამცემის სასარგებლო მოდელის – „მონოპოლიზაცია ყავის მოსადუღებლად“ პატენტი №1251; აღნიშნული ხელშეკრულებით ლიცენზიის გამცემი ლიცენზიანტს ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ზემოაღნიშნული დანადგარების დამზადება და რეალიზაცია სხვა პირთა (მათ შორის ლიცენზიის გამცემის) მიერ. მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკით, 5 წლის განმავლობაში, ლიცენზიანტი ლიცენზიის ღირებულებად იხდის 20 000 (ოცი ათასი) ლარს (იხ. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულება).

6. სარჩელის საფუძვლები

6.1 მოსარჩელემ, 2014 წლის 29 აპრილს, სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელის ინტელექტუალური საკუთრების – სასარგებლო მოდელის პატენტის №GE U 2006 1251Y ბათილად ცნობა.

6.2. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხის მიერ წარდგენილი განაცხადი არ პასუხობდა საპატენტო კანონით დადგენილ არსებულ მოთხოვნებს (კრიტერიუმებს), რომლის დაცვაც საავალდებულოა განაცხადის წარდგენისას და რომელიც უნდა შეაფასოს სასამართლომ მესამე პირის მიერ დავის აღძვრის შემთხვევაში. ამასთან, სასარგებლო მოდელი არ პასუხობს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს და არ აკმაყოფილებს სამრეწველო გამოყენებადობის პირობას (იხ. სარჩელი თანდართული მასალით).

7. მოპასუხის შესაგებელი

7.1. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგან არ იკვეთებოდა მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არსებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისადმი, რაც კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 180-ე მუხლი; იხ. შესაგებელი თანდართული მასალით).

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა (იხ. გადაწყვეტილება).

8.2. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საპატენტო კანონი პატენტით დაცვას ითვალისწინებ-

და ისეთ სასარგებლო მოდელზე, რომელიც აკმაყოფილებდა სი-
ახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. მო-
სარჩელემ წარადგინა პატენტისა და სავაჭრო ნიშნების შესა-
ხებ რუსეთის სააგენტოს მიერ გამოგონებაზე 1997 წელს გაცე-
მული პატენტი სამეცნიერო-კვლევითი გაერთიანების „კომპო-
ზიტის“ სახელზე – „სავაჭრო ურიკა ცხელი საჭმელისათვის“,
რომლის ანალოგსაც, მოსარჩელის მტკიცებით, წარმოადგენს
მოპასუხის სასარგებლო მოდელი, თუმცა, სასამართლოს შეფა-
სებით, აღნიშნული ვერ იქნებოდა განხილული სათანადო წე-
სით წარდგენილ მტკიცებულებად, რადგან იგი არასახელმწი-
ფო ენაზე იყო წარდგენილი (სსკ-ის 102-ე და მე-99.4 მუხლები),
ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა,
რომ მოპასუხის სასარგებლო მოდელი არ იყო ახალი იმ დროს
არსებული საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით აღწერილ სა-
სარგებლო მოდელზე, არ წარუდგენია მხარეს.

8.3. სასამართლომ იმსჯელა პატენტის გაცემის მეორე წინა-
პირობაზე-სამრეწველო გამოყენებადობაზე და მიუთითა საქ-
მის მასალებში წარდგენილ 23.03.2007 წლის განსაკუთრებული
ლიცენზიის ხელშეკრულებაზე (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი),
რომლითაც დასტურდებოდა, რომ ლიცენზიის მიმღები 5 წელი-
ნადში ლიცენზიის ღირებულებად იხდიდა 20 000 ლარს. სასა-
მართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ლიცენზიანტი
საწარმოს ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად მოსარჩელეც იყო.
მხარეები არ დავობდნენ, რომ სადავო პატენტით დაცული მოწ-
ყობილობები საქმის განხილვის დროისათვის გამოიყენებოდა
და უზრუნველყოფდა საზოგადოებისათვის ყავის მოთხოვნი-
ლების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, სასამართლომ დაას-
კვნა, რომ პატენტის გაცემის დროს სასარგებლო მოდელის გან-
ხორციელებადობა ცხადი იყო სპეციალური კანონის მოთხოვ-
ნების შესაბამისად.

8.4. სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების მე-3
და მე-4 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე და ყურადღება
გამახვილა, რომ საქმის მასალებში წარდგენილი მტკიცებულე-
ბების მიხედვით, საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტან-
ციის სასამართლოებმა იმსჯელეს განსახილველი დავის საგნის
პატენტუნარიანობაზე და დაადგინეს, რომ მოსარჩელის მიერ
შექმნილ სასარგებლო მოდელზე პატენტის გაუქმება გამოინ-
ვია მისმა იდენტიურობამ ადრეული პრიორიტეტის მქონე სასარ-
გებლო მოდელთან და არა ისეთმა გარემოებებმა, რაც განსა-
ხილველ სარჩელში მიუთითა მოსარჩელემ (პატენტის საგნის
არაპატენტუნარიანობა ან გამოგონების არასრულად აღწერა).

საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სასამართლო აქტების პატივისცემის პრინციპი მოიაზრებდა სხვა სასამართლოების მსჯელობისა და დასკვნების გაზიარების პრეზუმფციას, როდესაც დავა იხილება იმავე საგანთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მოეთხოვებოდა სასამართლოსათვის მყარი არგუმენტები წარედგინა სასარჩელო მოთხოვნაზე წარმატებული იურიდიული შედეგის მისაღწევად.

8.5 მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე მსჯელობისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ „საქპატენტის“ მიერ 2011 წლის 20 ოქტომბერს გაცემული პატენტის არსებობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაუქმებულია, თუკი სასამართლო ბათილად ცნობდა ადრეული პრიორიტეტის მქონე, მოპასუხის სახელზე რეგისტრირებულ პატენტს, მაშინ მოსარჩელეს მიეცემოდა სამართლებრივი საფუძველი, კვლავ მიემართა „საქპატენტისათვის“ პატენტის გაცემის მოთხოვნით.

8.6. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლზე: „1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. 2. შემოქმედებით პროცესში ჩაირევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. 3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს“ და განმარტა, რომ სახელმწიფომ ინტელექტუალური შემოქმედება, მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, კონსტიტუციური ნორმის სახით ასახა. მოქალაქე თავისუფალია შემოქმედებით ძიებაში და ამ შრომით მიღებული ინტელექტუალური საკუთრება დაცულია სახელმწიფოს მიერ. ქვეყნის უზენაესი კანონის 30-ე მუხლი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას ადგენს, ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, რაც მას ავალებს, შექმნას მოქნილი მექანიზმები და რეგულაციები აღნიშნული კონსტიტუციური უფლებების შეუფერხებლად განსახორციელებლად.

8.7. სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება საპატენტო კანონის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, კერძოდ: „1. პატენტს ბათილად ცნობს სასამართლო, თუ დადგინდა, რომ: ა) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი; ბ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება“. რადგან ზემოხსენებული კონსტიტუციური ნორმა საპატენტო კანონითაა დაზუსტებუ-

ლი, სასამართლომ უნდა იმსჯელოს საკანონმდებლო დანაწესზე. სადავო სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობაზე ზემოთ უკვე იმსჯელა სასამართლომ (იხ. 8.4 ქვეპუნქტი), ხოლო 57.1-ე მუხლი „ბ“ პუნქტის მოთხოვნის შესახებ მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილი სასარგებლო მოდელის ფორმულა მოკლედ ახასიათებდა სასარგებლო მოდელს, აღწერდა მისი დაცვის ფარგლებს და პატენტის აღწერილობასთან ერთად გასაგებს ხდიდა სასარგებლო მოდელის შესახებ ინფორმაციას. პატენტის აღწერილობას ერთვოდა სასარგებლო მოდელის ნახაზები, რაც დამატებით ავსებდა გამოგონების აღწერილობას. სასამართლომ განმარტა, რომ გამოგონების ფორმულა უნდა აკმაყოფილებდეს მის ძირითად თვისებებს – იგი უნდა იყოს ერთიანი, სრული, ლაკონური და ზოგადი. სასამართლოს დასკვნით, სადავო სასარგებლო მოდელის ფორმულა შეესაბამება დასახელებულ კრიტერიუმებს.

8.8. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება სასარგებლო მოდელის აღწერილობის ნაკლოვანებების შესახებ და მიუთითა საქმის განხილვისას მონვეული სპეციალისტების განმარტებებზე, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სასარგებლო მოდელის აღწერილობა, ფორმულა და ნახაზი იძლეოდა იმის საფუძველს, რომ „მცირე გამოგონება“ დაპატენტებულიყო, რადგან წარმოდგენილი იყო მისი აღწერა კანონით დადგენილი კრიტერიუმებით.

8.9. საქალაქო სასამართლოს დასკვნით, სასარგებლო მოდელის ფორმულამ ასახა გამოგონების იდეა, რაც ყავის მოსაღებელი მონყობილობის მობილურობაში გამოიხატა. გამოგონების ობიექტი არის სტაციონარული მონყობილობების იმგვარად გარდაქმნა, რომ მან შეიძინა მოძრაობის თვისება, კომპაქტურ კორპუსს მიემაგრა ენერჯის წყარო, ლითონის ქვეში, რაც უზრუნველყოფდა ყავის შესაბამის ტემპერატურამდე მიყვანას. საყოველთაოდ ცნობილ ნიშნებთან (კორპუსის თვლებზე შეყენება, სახელურისა და სამუხრუჭე საშუალებით აღჭურვა) დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ნიშნებში არ გამოიხატებოდა სიახლე, ისინი ყველასათვის გასაგები იყო, როგორც აღწერილობაში, ასევე ფორმულასა და ნახაზში საკმარისად გასაგებად იყო დახასიათებული და აღნიშნული ნიშნების შედარებით ნაკლებად დეტალურად აღწერა არ შეიძლებოდა გამხდარიყო პატენტის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

9. სააპელაციო საჩივრის საფუძველი

9.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით

სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

9.1.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ მცხეთის რაიონული და საქართველოს უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მოსარჩელის სასარგებლო მოდელზე პატენტის გაცემის საკითხებს. ამ გადაწყვეტილებებს მოცემულ დავასთან კავშირი არ ჰქონია და ისინი მტკიცებულებად არ უნდა დართოდა საქმეს. დასახელებული გადაწყვეტილებების მიღების დროს, მსჯელობა იყო მოსარჩელის სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობაზე, რომელსაც მოპასუხემ დაუპირისპირა ამჟამად გასაჩივრებული სასარგებლო მოდელი. სადავო ობიექტი იყო სხვა პატენტი. შესაბამისად, ამ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად შეაფასა და არასწორად მიიჩნია დადგენილად ფაქტი, რომელიც არ იყო კავშირში არათუ კონკრეტულ გარემოებასთან, არამედ ამ საქმესთან;

9.1.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ არასათანადო წესით იყო წარდგენილი მტკიცებულება, რადგან იგი არასახელმწიფო ენაზე იყო შედგენილი. მტკიცებულება წარდგენილი იყო სახელმწიფო ენაზე, თარგმანის სახით, თუმცა, მოსამართლემ თავი აარიდა შედარებით ანალიზს, რადგან დასახელებული მტკიცებულება აბათილებდა გასაჩივრებული სასარგებლო მოდელის ყველა იმ არსებითი ნიშნების ერთობლიობის სიახლეს, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ტექნიკური მიზნის მისაღწევად და შეადგენს მცირე გამოგონებას (სასარგებლო მოდელს);

9.1.3. მოსარჩელემ სასამართლო დავების გზით ვერ მიაღწია „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას; უკანონო მოქმედებისაგან თავის არიდების მიზნით, მხარემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი განსახილველ დავაზე, რათა მცირე მენარმოებას ხელი არ შეეშალოს არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული პატენტის გამოყენებით; აღწერილობაში არ არის მოცემული სასარგებლო მოდელის დამზადების დაწვრილებითი ერთი მაგალითიც კი, რაც ინსტრუქციითაა გათვალისწინებული. ნიშნების ეს ერთობლიობა არც ახალია და არც სრულად არ არის აღწერილი ისე, რომ სპეციალისტმა დაამზადოს პატენტის შესაბამისი მოწყობილობა.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

10.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წი-

ნამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო განჩინების სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე, 30-ე მუხლები, საპატენტო კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-12, მე-13, 57-ე მუხლები.

10.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოთხოვნის ძირითად არგუმენტებად მიუთითებდა იმაზე, რომ სასარგებლო მოდელი არ პასუხობდა პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს და არ აკმაყოფილებდა სამრეწველო გამოყენებადობის პირობას.

10.4. სასამართლომ ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნა, რომ მოსარჩელის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სასარგებლო მოდელი არ აკმაყოფილებს სამრეწველო გამოყენებადობის პირობას, დაუსაბუთებელია; გარდა ამისა, მხარეებს შორის არ გამხდარა სადავო, რომ პატენტით დაცული მონოპოლიობები ამჟამად გამოიყენება და ხმარებაშია საზოგადოებისათვის ყავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ უშუალოდ პატენტის გაცემის დროისათვის სასარგებლო მოდელი განხორციელებადი იყო.

10.5. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ „საქპატენტის“ 2012 წლის 10 იანვრის №96-02-11 გადაწყვეტილებაში (იხ. ამ განჩინების 3-4 პუნქტები) აღნიშნულია, რომ დაპირისპირებულ ფორმულებში იდენტური იყო შემდეგი ნიშნები: 1. კორპუსი, 2. მუხრუჭი, 3. სახელური, 4. საყრდენი თვლები ან თხილამური, 5. ლითონის ქვეში, 6. ინერტული ქვიშა ლითონის ქვეში, 7. გაზქურა ქვიშის ქვემოთ, 8. ტევადობა წყლისათვის, 9. კარადა ჭურჭლისათვის, 10. კარადა პროდუქტებისა და გაზის ბალონისათვის; ფორმულებს შორის განმასხვავებელი ნიშნები იყო 1. ქვეში მოთავსებული მაგნიტური ქვიშა მთლიანად ან დანამატის სახით, 2. დოზატორი (მოსარჩელის შემთხვევაში), 3. ინჟექტორი სანთურა დიფუზიური სანთურის ნაცვლად.

10.6. სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პრეტენზია იმის შესახებ, რომ მას არ უნდა შეეფასებინა საქმეში წარდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებები (იხ. 9.1 ქვეპუნქტი). სწორედ ამ გადაწყვეტილებებით ირკვეოდა, რომ მოსარჩელის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომით შექმნილ მონოპოლიობაზე თავდაპირველად გაცემული იყო პატენტი, თუმცა, „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, პატენტი ბათილად იქნა ცნობილი, იმ საფუძველით, რომ უკვე არსებობდა აღნიშნულის ანალოგი მოპასუხის მიერ

შექმნილი, სადავო სასარგებლო მოდელის სახით.

10.7. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველი სარჩელის აღძვრამდე, მოსარჩელის მიერ წარდგენილ სხვა სარჩელებზე იმსჯელებს სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებმა და მიიღეს გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდა მოცემული დავისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული გადაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში.

10.8. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების იურიდიულ შედეგებზე და აღნიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა „საქპატენტის“ წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის სააპელაციო პალატის 2012 წლის 10 იანვრის №9602/02 გადაწყვეტილების და იმავე პალატის თავმჯდომარის 2012 წლის 18 იანვრის №411 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, დავაში მესამე პირად იყო ჩართული მოპასუხე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვდა პატენტის მიღებას სასარგებლო მოდელზე – „ყავის მოსადულებელი მონყობილობა“, „საქპატენტის“ 2011 წლის 20 ოქტომბრის №848/02 ბრძანებით, დაკმაყოფილდა და მის სახელზე გაიცა პატენტი სასარგებლო მოდელზე – „მონყობილობა ყავის მოსადულებლად“; მოგვიანებით, „საქპატენტის“ 2012 წლის 10 იანვრის №96-02/11 გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მითითებული №848/02 ბრძანება.

10.9. ადმინისტრაციულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლო მოდელის №12034/02 განაცხადი არ აკმაყოფილებდა პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, სიახლესა და საგამომგონებლო დონეს; ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის სახელზე გაცემულ პატენტსა („მონყობილობა ყავის მოსადულებლად“ რეგ. №1251, თარიღი 24.04.06) და მოსარჩელის სასარგებლო მოდელის („მონყობილობა ყავის მოსადულებლად“ საიდ. №12034/02) ფორმულებს შორის არსებობს საერთო ნიშნები; მათი ერთობლიობა აშკარად გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან გაცემული პატენტის ნიშნთა ერთობლიობიდან და არ აკმაყოფილებს სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, სიახლესა და საგამომგონებლო დონეს. ორივე სასარგებლო მოდელის არსებითი ნიშნები წარმოადგენენ იდენტურ ნიშნებს, ხოლო განსხვავებული ნიშნები ვერ უზრუნველყოფენ საპატენტო კანონის 71¹ მუხლით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას.

10.10. პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 სექტემბრის განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 27 თებერვლის განჩინება); შესაბამისად, 10.8 ქვეუნიქტში დასახელებული საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

10.11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებში წარდგენილი მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (რომელიც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით), მოსარჩელე მოითხოვდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 5 აგვისტოს №339 ბრძანების, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 31 ივლისის №86-02-13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და „საქპატენტის“ გამოგონების, დიზაინის და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ნოემბრის №1000/02 ბრძანების ძალაში დატოვებას; მოსარჩელე განმარტავდა, რომ მას ნაერთვა უფლება, საკუთარ მცირე გამოგონებაზე მიეღო პატენტი. სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მართებული იყო და სრულად იზიარებდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ იმ მოსაზრებას, რომ სასარგებლო მოდელის განაცხადში მოყვანილ ობიექტს არ გააჩნია საგამომგონებლო დონე; ამასთან, სასამართლო დაეთანხმა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის იმ მოსაზრებასაც, რომ მოპასუხის კუთვნილ პატენტში აღწერილი ობიექტის დამახასიათებელი კონსტრუქციული არსებითი ნიშნები, მათი კომბინაცია და ტექნიკის დარგში არსებული ზოგადი ცოდნა მთლიანობაში ცხადს ხდიდა სასარგებლო მოდელის განხორციელებას;

10.12. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს ადრეც ჰქონდათ დავა პატენტის შესახებ; შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ იცოდა მოპასუხის პატენტის შესახებ და ამ ცოდნის გამოყენებით უმნიშვნელო დეტალების შეცვლით ცდილობდა, შეექმნა „ახალი“ გამოგონება, რომელზეც მოითხოვდა პატენტის გაცემას (ამ დასკვნისათვის სასამართლომ გაითვალისწინა ის გარე-

მოებაც, რომ ლიცენზიანტი სანარმოს, რომელსაც ხელშეკრულებით /იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი/ გადაეცა ექსკლუზიური უფლება, დაემზადებინა და მოეხდინა სასარგებლო მოდელის „მონყობილობა ყავის მოსადუღებლად“ რეალიზაცია, 25% ნილის მესაკუთრე იყო მოსარჩელე).

10.13. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა, რაც სასამართლოს მისცემდა ქვემდგომი სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების საკმარის საფუძველს, კერძოდ, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, მოპასუხის ინტელექტუალური საკუთრების – სასარგებლო მოდელის პატენტის №GE U 2006 1251 Y ბათილად ცნობის შესახებ გარემოებების არსებობა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა სადავო სასარგებლო მოდელის ფორმულის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც აღწერს სასარგებლო მოდელის დაცვის ფარგლებს და, პატენტის აღწერილობასთან ერთად, გასაგებს ხდის სასარგებლო მოდელის შესახებ ინფორმაციას. პატენტის აღწერილობას ასევე ერთვის სასარგებლო მოდელის ნახაზები, რაც დამატებით ავსებს გამოგონების აღწერილობას.

10.14. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლოში მოსარჩელეს წარდგენილი აქვს აღიარებითი სარჩელი, ხოლო სსსკ-ის 180-ე მუხლისა და 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტის საფუძველზე, აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს; სახელდობრ, გადაწყვეტილების შედეგად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო

ირღვევა. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განხორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დასადგენად, უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

10.15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ მიუთითებს დასახელებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს მისთვის; შესაბამისად, სრულიად გაურკვეველია მის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტას როგორ შეუძლია სამართლებრივი თვალსაზრისით გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, არ დგინდება, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი ემსახურება მატერიალურსამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას.

10.16. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, დასახელებულ საკითხზე მოსარჩელის დასაბუთებული არგუმენტაციის მითითების საჭიროება და მნიშვნელობა, გარდა ზემოაღნიშნული მსჯელობისა, განპირობებულია საქმის მასალებში წარდგენილი, მოსარჩელის წინააღმდეგ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული დასკვნებითა და შეფასებებით; მოსარჩელეს, აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათლად და მკაფიოდ უნდა დაედასტურებინა, თუ რა შედეგის მომტანი იყო მისთვის სარჩელის დაკმაყოფილება, რაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

11. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

11.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე მითითებით:

11.1.1. სასამართლომ არ იმსჯელა მსგავსი ტიპის სარჩელებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულო ობიექტურ, არსებით გარემოებებზე და მათ დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებებზე. არ შეაფასა სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა, სიახლისა და გაუმჯობესებადობის კრიტერიუმი;

11.1.2. სასამართლომ არასწორად დაუკავშირა განსახილველ

საქმეს სხვა საქმე, რომლის დავის საგანს მოსარჩელის მიერ სასარგებლო მოდელის პატენტის მიღებაზე „საქპატენტის“ უარის კანონიერება წარმოადგენდა. მითითებულ დავაში სასარგებლო მოდელის არსებითი ნიშნები და ობიექტი რადიკალურად განსხვავდება ამ კასაციასთან დაკავშირებული სარჩელით მოთხოვნილი სასარგებლო მოდელის ბათილობის არსებითი ნიშნებისა და ობიექტისაგან;

11.1.3. სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, დაყრდნობოდა სხვა სასარგებლო მოდელის ობიექტზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, ემსჯელა და შეეფასებინა იგი, ვინაიდან კანონის თანახმად, ისინი გავლენას ვერ იქონიებენ განსახილველ საქმეზე;

11.1.4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმზე მსჯელობისას უნდა გამოეყენებინა საპატენტო კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ეხება აღწერის სისრულეს. ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის პირველ და მეორე წინადადებაში: „სასარგებლო მოდელი, რომელიც შეიძლება დაპატენტდეს მოცემული ნორმის მოთხოვნით აუცილებლად უნდა იყოს არსებულის გაუმჯობესება“ – საგანგებოდაა გამოყოფილი შემოქმედებითი დონის კრიტერიუმი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, სიახლესა და სამრეწველო გამოყენებადობასთან ერთად. აღნიშნულ კრიტერიუმზე არც მითითებია და არც უმსჯელია სასამართლოს. სარჩელში დასაბუთებული იყო, რომ გასაჩივრებული სასარგებლო მოდელის აღწერილობიდან ვერ ირკვევა, არ არის აღწერილი და არც მითითებულია გასაუმჯობესებელი ობიექტის საინფორმაციო რეკვიზიტები, თუ კონკრეტულად რომელ ობიექტს აუმჯობესებს და რაში გამოიხატება ეს გაუმჯობესება;

11.1.5. სასამართლომ, მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე მსჯელობისას, არ გამოიყენა საპატენტო კანონის 57-ე მუხლი, რომელიც ნებისმიერ მესამე პირს აძლევს უფლებას, მოითხოვოს პატენტის გაუქმება-ბათილობა, ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლით, საგამომგონებლო დონე უნდა შეფასდეს და დადგინდეს სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობა;

11.1.6. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებს (მცირე გამოგონება) საერთოდ არ ეხება. დავის საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ამომწურავად აწესრიგებს მხოლოდ საპატენტო კანონი, ხოლო კონკრეტულ შემ-

თხვევაში არ იყო ანალოგიის საჭიროება;

11.1.7. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, საპატენტო კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმი კმაყოფილდება მხოლოდ საპატენტო აღწერილობითა და სხვა მასალებით, აღწერილობის განხორციელების შესაძლებლობით და არა სალიცენზიო ხელშეკრულებით, რომელიც ამ საქმეში მტკიცებულებად არ უნდა ყოფილიყო მიღებული. სასამართლომ არასწორად მიუთითა დასახელებული ნორმის ტექსტი, რადგან სასარგებლო მოდელის განმარტებისას, უგულებელყო და არ მოიხსენია აბსოლუტური კრიტერიუმი „გაუმჯობესება“;

11.1.8. არასწორია სასამართლოს მითითება, რომ მტკიცებულების თარგმანი არ იყო წარდგენილი. ასეც რომ იყოს, მტკიცებულებაზე თანდართული ნახაზები ცხადყოფდა, რომ გასაჩივრებული სასარგებლო მოდელის არსებითი განმასხვავებელი ნიშნები ცნობილია. სასამართლო სხდომებზე აღინიშნა, რომ ნახაზების ენა საერთაშორისოა და მას თარგმანი არ სჭირდება, გასაჩივრებული სასარგებლო მოდელის განმასხვავებელი არსებითი ნიშნების ცნობადობის დასადასტურებლად, მითითებული მტკიცებულებები საყოველთაოა, ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით (კასატორი უთითებს სულხან-საბას ლექსიკონსა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, გვ.4. აბზ.2).

11.1.9. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესა და ლიცენზიანტს (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად მოსარჩელე იყო) შორის არსებული სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) ჩათვალა, რომ მოპასუხის სასარგებლო მოდელი პასუხობს სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმს. აღნიშნულის საფუძველად კი მიუთითა, თითქოს მხარეები არ დავობენ იმ ფაქტზე, რომ მოპასუხის პატენტით დაცული მონეობილობები ამჟამად გამოიყენება და ხმარებაშია. პროცესზე მოსარჩელემ გარკვევით აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია, ამჟამად ხმარებაში მყოფი მოპასუხის მონეობილობა, სადავო სასარგებლო მოდელის მიხედვით არის დამზადებული, თუ მისგან განსხვავდება. სალიცენზიო ხელშეკრულება სულ სხვა სუბიექტმა დადო მოპასუხესთან, გარდა ამისა, ეს ხელშეკრულება პატენტით დაცული ობიექტის არსის გამომხატველ არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს და, მოცემულ შემთხვევაში, მტკიცებულებად ვერ გამოდგება. სწორედ ამას ემყარება მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და პატენტის შეფასება სამრეწველო გამოყენებადობასთან დაკავ-

შირებით. ამით ცალსახად დასტურდება, რომ სადავო სასარგებლო მოდელი სავალდებულო კრიტერიუმს არ პასუხობს;

11.1.10. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარგებლო მოდელის ფორმულამ ასახა არსი, გამოგონების იდეა, რაც ყავის მოსადულებელი მოწყობილობის მობილურობაში გამოიხატა. გამოგონების ობიექტი არის სტაციონარული მოწყობილობების იმგვარი გარდაქმნა, რომ მან შეიძინა მოძრაობის თვისება, კომპაქტურ კორპუსს მიემაგრა ენერჯის წყარო ლითონის ქვეშ, რაც უზრუნველყოფს ყავის შესაბამის ტემპერატურამდე მიყვანას. სასამართლომ არ მიუთითა, რომ გამოგონების შექმნა განპირობებული იყო მობილურობის ტექნიკური შედეგის მიღწევით, რაც თავად სასარგებლო მოდელის მფლობელმა მიუთითა აღწერილობაში. როგორც სასამართლო აღნიშნავს, სწორედ ეს არის გამოგონების იდეა, ამ მიზნიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს სასარგებლო მოდელის ფორმულაში მოყვანილი ნიშნების არსებითობა და ის ნიშნები, რომლებიც არ არის მიმართული მის მიღწევაზე, არ უნდა იყოს განხილული და უნდა შეფასდეს სიახლე და სხვა კრიტერიუმები. შესაბამისად, მობილურობის უზრუნველმყოფი ნიშნები, რომლებიც მოწყობილობას სძენს მოძრაობის თვისებას, როგორც ეს სასამართლომ სწორად აღნიშნა, შეიძლება იყოს მხოლოდ კორპუსის თვლებზე შეყენება და სახელურით აღჭურვა, ხოლო სამუხრუჭე სამუალება, უზრუნველყოფს გაჩერებას და არა მოძრაობის თვისების შექმნას, ამდენად, ამ სასარგებლო მოდელისათვის მუხრუჭი სავალდებულო ნიშანი არ არის. რადგან სასამართლომ თვლებზე შეყენება, სახელურითა და სამუხრუჭე სამუალებით აღჭურვა მიიჩნია ცნობილად უკვე საბუთის ამ ნაწილშივე უნდა მიეთითებინა, რომ გამოგონების იდეის განსახორციელებელი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, სიახლეს არ პასუხობს. აღნიშნულს ადასტურებს, სასამართლოს განმარტება, რომ „საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები-კორპუსის თვლებზე შეყენება, სახელურისა და სამუხრუჭე სამუალებით აღჭურვა, არ არის სიახლე, ეს არის ყველასთვის გასაგები ნიშნები“. აღნიშნული მსჯელობის მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ეს ნიშნებია ფორმულაში მოყვანილი, როგორც განმასხვავებელი, სასამართლოს არ უნდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება;

11.1.11. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაამახვილა ყურადღება სხვა ნიშნებზე, კერძოდ, კომპაქტური კორპუსის ენერჯის წყაროთი და ლითონის ქვეშით აღჭურვაზე, ამ ნიშნების სიახლის გამოკვლევა საჭირო არ იყო, რადგან ფორმულაში ნათქვამია, რომ ისინი ახალი არ არის.

11.1.12. სასამართლომ, ტენდენციურად, გარკვეული სიახლე დაინახა გასაჩივრებულ სასარგებლო მოდელში, მაგრამ, ასეც რომ იყოს, ეს ნიშნები გამოგონების იდეას არ ემსახურება და არსებით ნიშნებად არ უნდა ყოფილიყო განხილული, რადგან მობილურობას ვერ უზრუნველყოფს;

11.1.13. სასამართლოს საპატენტო კანონის მე-12 მუხლის გათვალისწინებით, უნდა შეეფასებინა საგამომგონებლო დონე, რაც ცხადყოფს, რომ სასარგებლო მოდელი პატენტუუნაროა;

11.1.14. მცდარია სასამართლოს მითითება, თითქოს ვერ დასაბუთდა პატენტის ბათილობის გარემოებები. აღწერილობის სირთულე და გამოყენებადობა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისთვის საკმარისად მიიჩნია და არ იმსჯელა პატენტუნარიანობის დასადგენად მნიშვნელოვან კრიტერიუმებზე, როგორცაა შემოქმედებითი დონის კრიტერიუმები – სიახლე და გაუმჯობესება;

11.1.15. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, თუ რა შედეგის მომტანი იქნება სარჩელის დაკმაყოფილება სარჩელის ავტორისა და სხვა მენარმეებისათვის, რომელთაც წნებად აწვებოდათ პატენტი, რომლითაც სასარგებლო მოდელის მფლობელი არაკეთილსინდისიერად სარგებლობდა და ცდილობდა მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას;

11.1.16. კასატორის პრეტენზია ეხება, ასევე, გასაჩივრებული განჩინების 4.3, 4.4, 4.5-4.9 ქვეპუნქტებში ასახულ მსჯელობასა და დასკვნებს;

11.1.17. კასატორი შუამდგომლობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობას სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის. ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განეკუთვნება განსახილველი დავა და ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მონაწილეობა მსგავსი კატეგორიის საქმეების გახილვისას, ქვემდგომი სასამართლოების არასწორი პრაქტიკის გასასწორებლად. კასატორი, ასევე, შუამდგომლობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებ-

ლად, ხოლო იმავე წლის 23 სექტემბრის განჩინებით დასაშვებად ცნო მოხმობილი ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

12.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 იანვრის განჩინებით განისაზღვრა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა იმავე წლის 3 თებერვლის სხდომაზე (სსსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

12.3. საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 3 თებერვლის სხდომაზე მხარეებმა საკუთარი პოზიციები წარმოადგინეს, კერძოდ, საკასაციო საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პრეტენზიას და სასამართლოს ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

12.3.1. სპეციალურ კანონშია მითითებული იურიდიულ ინტერესზე, რომელიც ყველა მესამე პირს აძლევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს კერძო სამართლებრივი დავის ფარგლებში პატენტის თუ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ბათილობის მოთხოვნით. დავის საგანია კონკრეტული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის პატენტუნარიანობა. საქმის მასალებშია სპეციალისტთა მოსაზრებები და დასკვნები;

12.3.2. მოსარჩელისა და მოპასუხის პატენტები, მათი ფორმულებების შედარებით, განსხვავებულია. მოსარჩელის მიერ პატენტის მისაღებად წარდგენილი ობიექტი მოპასუხის ობიექტისაგან არსებითად განსხვავებულ ნიშნებს შეიცავდა. მოპასუხეზე გაცემული პატენტი არავითარ გავლენას არ ახდენს დავის საგანზე, ამ უკანასკნელს უკავშირდება კანონით დადგენილი კრიტერიუმები;

12.3.3. მოპასუხის პატენტის გაუქმების შემთხვევაში აღდგება საჯარო წესრიგი, მოსარჩელე შეძლებს, მშვიდად გააგრძელოს თავისი სამეწარმეო საქმიანობა;

12.3.4. ქვემდგომმა სასამართლოებმა უგულებელყვეს საპატენტო კანონით დადგენილი ფუძემდებლური არსებითი კრიტერიუმები – სიახლე და საგამომგონებლო დონე. მოსარჩელემ ამომწურავად დაასაბუთა, რომ მოპასუხის მიერ შექმნილ ობიექტს სიახლე საერთოდ არ გააჩნია, ამას ადასტურებს სასარგებლო მოდელის ფორმულა, ხოლო მასში მითითებული განმასხვავებელი ნიშნები არ წარმოადგენს სიახლეს, ამას პატენტმფლობელიც ადასტურებდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას. რეალურად მოპასუხის მხრიდან არანაირი ინტელექტუალური გარჯა არ მომხდარა და ე.წ. სასარგებლო მოდელს არ აქვს არსებითი ნიშნები, რომელიც პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს შეესაბამება, ობიექტი ყო-

ველგვარ სიახლესაა მოკლებული, იგი შექმნილია უხსოვარი დროიდან არსებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი.

12.4. მოპასუხემ საკასაციო პრეტენზიების პასუხად განმარტა:

12.4.1. სარჩელი უსაფუძვლოა, მოსარჩელესთან 12 დავა აქვს მოგებული მოპასუხეს. მოსარჩელეს რეალურად სხვა მიზნები ამოძრავებს, რადგან მას არ სურს თანხის გადახდა მოპასუხესა და ლიცენზიის მიმღებ სანარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ფარგლებში, მოსარჩელე ლიცენზიანტი სანარმოს პარტნიორია (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი და 10.12 ქვეპუნქტი);

12.4.2. მოპასუხემ განმარტა, რომ მის პატენტს უკვე 2 წელია, რაც გაუვიდა ვადა და ეხლა უკვე ნებისმიერ პირს შეუძლია გააკეთოს მსგავსი მოწყობილობა. მოსარჩელის ერთადერთი მიზანია, რომ ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხის პატენტი, რათა თავი აარიდოს ფულადი ვალდებულების შესრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის.

14. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის სახელზე რე-

გისტორიებული პატენტის ბათილად ცნობა (იხ. ამ განჩინების მეექვსე პუნქტი). სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში მოსარჩელემ ვერ შეძლო განკუთვნილი და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენა, რაც მხარის საპროცესო უფლებების რეალიზების შესაძლებლობაა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპების (სსსკ-ის 3-5 მუხლები) საფუძველზე.

15. სსსკ-ის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო მსჯელობს და აანალიზებს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადად ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოპასუხის სასარგებლო მოდელზე რეგისტრირებული პატენტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს სპეციალური კანონით დადგენილ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღდგება საჯარო წესრიგი, მოსარჩელე გააგრძელებს თავის სამენარმეო საქმიანობას.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ არის წარდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის პოზიციას, რომ მოპასუხის სასარგებლო მოდელი არ იყო ახალი იმ დროს არსებული საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით, ასევე, არ დასტურდება, თუ რატომ ეშლება ხელი მოსარჩელეს თავის სამენარმეო საქმიანობაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინების 10.3.-10.13 ქვეპუნქტებში და კასატორის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ყურადღებას გაამახვილებს, რომ აპელანტის ძირითად პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სასარგებლო მოდელი არ პასუხობდა პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს და არ აკმაყოფილებდა სამრეწველო გამოყენებადობის პირობას, სასამართლომ დასაბუთებულად უპასუხა, როდესაც მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომელთა საფუძველზე დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის სასარგებლო მოდელის №12034/02 განაცხადი არ აკმაყოფილებდა პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, სიახლესა და საგამომგონებლო დონეს.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის

ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსსკ-ის 106-ე მუხლის განმარტების თაობაზე იხ. სასამართლო პრაქტიკა: სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015 წ.) – იხ. სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი“ (სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.).

18. განსახილველ შემთხვევაში კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ეხება იმას, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი გარემოებები, სადაც დავის საგანი იყო მოსარჩელის მიერ სასარგებლო მოდელის პატენტის მიღებაზე „საქპატენტის“ უარის კანონიერება (იხ. 11.1.2-11.1.3 ქვეპუნქტებში მითითებული საკასაციო პრეტენზიები). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ამ არგუმენტს და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომლებიც წინამდებარე განჩინების 10.6-10.12 პუნქტებშია ასახული დასაბუთებულია, რადგან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ამავე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარსულში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილული დავის შედეგად, სასამართლომ დადასტურებულად

მიიჩნია, რომ მოსარჩელემ (რომელიც ამ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორია) იცოდა მოპასუხის პატენტის შესახებ და ამ ცოდნის გამოყენებით, უმნიშვნელო დეტალების შეცვლით ცდილობდა, შეექმნა „ახალი“ გამოგონება, რომელზეც მოითხოვდა პატენტის გაცემას, ამასთან, ამ დასკვნისათვის სასამართლოს ის გარემოებაც ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა იმ ლიცენზიანტი საწარმოს 25%-იანი წილის მესაკუთრეს, რომელსაც მიეცა ლიცენზია – ექსკლუზიური უფლება, დაემზადებინა და მოეხდინა სასარგებლო მოდელის „მონყობილობა ყავის მოსადუღებლად“ რელიზაცია (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი).

19. განსახილველი დავისადმი მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დაუსაბუთებლობას უკავშირდება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. ამ განჩინების 10.14-10.16 ქვეპუნქტები), რაზედაც საკასაციო პრეტენზია აქვს წარმოდგენილი მოსარჩელეს (იხ. 11.1.5 და 12.3.1, 12.3.3 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპატენტო კანონის 57-ე მუხლი ადგენს პატენტის ბათილად ცნობის წინაპირობებს, კერძოდ: „1. პატენტს ბათილად ცნობს სასამართლო, თუ დადგინდა, რომ:

- ა) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;
- ბ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;
- გ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელზედაც ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად პატენტი არ გაცემა;
- დ) პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელიც ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად გამოგონებად არ მიიჩნევა;
- ე) პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომელსაც დაუდგინდა პრიორიტეტი, ან პატენტი გაცემულია გამოცალკევებული განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცილდება პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;
- ვ) პატენტის მფლობელს უფლება არ ჰქონდა პატენტზე ამ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა პატენტის ბათილად ცნობის ნაცვლად შეიძლება მოითხოვოს მისთვის პატენტის გადაცემა.

3. ინფორმაცია პატენტის ბათილად ცნობის შესახებ შეიტა-

ნება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში“.

20. მოხმობილი ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საჯარო წესრიგის აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე, აქვს უფლება აღძრას სარჩელი პატენტის ბათილად ცნობის მოთხოვნით (იხ. 11.1.5 ქვეპუნქტში მითითებული საკასაციო პრეტენზია). სპეციალური კანონის 57-ე მუხლი კონკრეტულ წინაპირობებს ადგენს, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პატენტის ბათილად ცნობას, ხოლო რაც შეეხება ამავე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ წესს, იგი არა ნებისმიერ, არამედ დაინტერესებულ პირს აძლევს უფლებას, პატენტის ბათილად ცნობის ნაცვლად მოითხოვოს მისთვის პატენტის გადაცემა და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესატყვისი მტკიცებულებების წარდგენით დაადასტურებს, რომ პატენტის მფლობელს უფლება არ ჰქონდა პატენტზე სპეციალური კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, რომელიც პატენტის მიღების უფლებას ადგენს. კასატორმა ვერ დაასაბუთა პატენტის ბათილად ცნობის მის მიერ მითითებული საფუძვლის არსებობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ მოპასუხეზე გაცემული პატენტი არ იყო პატენტუნარიანი, ვერ დაამტკიცა, თუ როგორ დაირღვა მოსარჩელის უფლება და განსახილველი დავისადმი რამდენად დასაბუთებული იურიდიული ინტერესი ჰქონდა.

21. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი აღიარებითი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი იურიდიული ინტერესი განსახილველი დავისადმი, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-121-117-2016, 55-56-ე პუნქტები) აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობისას განმარტავს, რომ „მოსარჩელის მოთხოვნათა მიხედვით შესაძლებელია სარჩელის შემდეგი კლასიფიკაცია: 1. მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი – მოთხოვნა გულისხმობს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების დაკისრებას მოსარჩელის სასარგებლოდ. მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრება; ზიანის ანაზღაურება, სარჩოს დაკისრება. 2. აღიარებითი სარჩელი – რომელიც აღძრულია უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული

ინტერესი. მაგალითად, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა; 3. გარდაქმნითი სარჩელი – მოთხოვნა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა-შენწყვეტისაკენ, მაგალითად, განქორწინება. დიდი პალატა განმარტავს, რომ იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემომწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას. დიდი პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. დიდი პალატა სსსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნ-

და გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში“.

22. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებას, ასევე, დასკვნას, რომ დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს მოსარჩელისათვის, მის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტას როგორ შეუძლია სამართლებრივი თვალსაზრისით გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა. ამდენად, მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

23. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინება;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საავტორო უფლებები

საავტორო უფლების დაცვა

ბანჩინება

№ას-924-874-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ზ. ც-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღ-ძრა სასამართლოში ი. კ-ისა და შპს „კ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობის გარეფასადის მოსარჩელის მიერ შექმნილი დიზაინის შესაბამისად აღდგენის მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, შენობის გარე ფასადის დიზაინზე საავტორო უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს, მოპასუხეებმა დაიქირავეს მესამე პირი და ავტორის ნებართვის გარეშე შეცვალეს შენობის დიზაინი, რითაც დაირღვა მოსარჩელის უფლება.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს, კერძოდ, ი. კ-ის განმარტებით, იგი არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, რადგან მის მიმართ დავის საგანი არ არსებობს. რაც შეეხება მეორე მოპასუხეს, მან აღნიშნა, რომ განხორციელებული რეკონსტრუქცია ადმინისტრაციული ორგანოს აქტს ემყარებოდა, რომლის მიმართაც მას კანონიერ ნდობა გააჩნდა. იგი ამ ურთიერთობაში კეთილსინდისიერი მხარეა და არ შეიძლება სცოდნოდა მოსარჩელის საავტორო უფლების თაობაზე, რადგანაც მან ეს უფლება რეკონსტრუქციის შემდეგ დაარეგისტრირა „საქპატენტში“.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს დაევალიათ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობის გარეფასადის მოსარჩელის მიერ შექმნილი დიზაინის შესაბამისად აღდგენა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ი.კ-ე ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობის მესაკუთრედ დარეგისტრირდა 2009 წლის 24 აპრილს. ამ უძრავ ქონებაზე კი, საკუთრების უფლება შეიძინა 2007 წლის 16 მარტს.

5.1.2. მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრედ შპს „კ-ი“ აღირიცხა 2010 წლის 24 მარტს.

5.1.3. ი. კ-ეს შპს „კ-ის“ დირექტორის თანამდებობა ეკავა 2010 წლის 22 მარტიდან 2010 წლის 12 ნოემბრამდე.

5.1.4. მოსარჩელემ 1989 წელს დააპროექტა და დიზაინით გააფორმა ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობა, ხოლო საკუთარი საავტორო უფლების დეპონირება „საქპატენტში“ 2012 წლის 5 აპრილს განახორციელა.

5.1.5. შპს „ი-ის“ მიერ 2013 წლის 18 აპრილს გაცემულ ცნობაზე მითითებით, პალატამ დადგენილად ცნო, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1989 წლის 28 სექტემბრის №... ბრძანების საფუძველზე, შპს „ი-ის“ მიერ დამუშავებულ იქნა არქიტექტურული პროექტი, თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე ობიექტზე. პროექტის ავტორი იყო მოსარჩელე. ამ პროექტის საფუძველზე 1995 წლის 11 აპრილს, თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციამ გაცაა №... მშენებლობის ნებართვა.

5.1.6. საპროექტო ორგანიზაცია შპს „ტ-იამ“ მოპასუხე შპს-ის დაკვეთით, პროექტის მომზადებაზე თანხმობის გასაცემად,

თბილისის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით მიმართა 2010 წლის 1 აპრილს.

5.1.7. „საქპატენტის“ დეპონირების დამადასტურებელი №... მოწმობის თანახმად, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე სახლის გარეფასადის დიზაინი, განმცხადებელ ნ. ღ-ის მიერ დეპონირებულია 2015 წლის 3 თებერვალს.

5.1.8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხეებისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის საავტორო უფლების შესახებ. აღნიშნული პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ჩათვალა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ი. კ-ის მიერ, შენობის შექმნისას, 2007 წლის 16 მარტს, სადავო ობიექტი დატვირთული იყო იპოთეკით ზ. ც-ის სახელზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ვერც აღნიშნული და ვერც 2007 წლის ჟურნალ „ს-ის“ ...-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია შენობის ამსახველ ფოტომასალებით, ვერ გახდებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხემ იცოდა მის მიერ შექმნილი უძრავი ნივთის გარე ფასადის დიზაინზე მოსარჩელის არქიტექტურული საავტორო უფლების არსებობის შესახებ.

5.1.9. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-16 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხეებისათვის ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობის გარეფასადზე მოსარჩელის მიერ შექმნილი დიზაინის აღდგენის ვალდებულების დაკისრების საფუძვლები. ამ თვალსაზრისით, პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ი.კ-ემ შენობაზე საკუთრების უფლება 2007 წლის 16 მარტს შეიძინა, ხოლო საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღირიცხა 2009 წლის 24 აპრილს. რაც შეეხება მოპასუხე შპს-ს, იგი უძრავი ქონების მესაკუთრეს 2010 წლის 24 მარტიდან წარმოადგენდა და მისი დაკვეთით საპროექტო ორგანიზაცია შპს „ტი-იამ“, პროექტის მომზადებაზე თანხმობის გასაცემად, თბილისის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით 2010 წლის 1 აპრილს მიმართა. მართალია, მოსარჩელემ სადავო შენობა დააპროექტა და დიზაინით გააფორმა 1989 წელს, თუმცა, მან საკუთარი საავტორო უფლების დეპონირება 2012 წლის 5 აპრილს განახორციელა. მითითებული გარემოებების გათვა-

ლისწინებით მოპასუხე შპს-ს მიერ შენობაზე საკუთრების უფლების შექმნისა და პროექტის მომზადებაზე თანხმობის გასაცემად, თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის განცხადებით მიმართვის დროისათვის მოსარჩელის საავტორო უფლება შენობის დიზაინზე დეპონირებული არ იყო. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის საავტორო უფლების არცოდნა არ ათავისუფლებდა მოპასუხეს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რადგან, პალატის დასკვნით, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა წინასწარ განჭვრეტადი უნდა იყოს. იგი, როგორც წესი, ბრალულ ქმედებას უკავშირდება. ობიექტის გარე ფასადის შეცვლის დროისათვის მოსარჩელეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დეპონირებული საავტორო უფლება და იგი, ცხადია, არც საჯარო რეესტრის მონაცემებში იყო ასახული (არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც იპოთეკა სხვა სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება), 2007 წლის ჟურნალ „ს-ის“ ...-ე ნომრის გაცნობის სამართლებრივი ვალდებულებაც, ბუნებრივია, უძრავი ნივთის მყიდველს არ გააჩნდა. გარდა ამისა, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა მოინონა სახლის გარეფასადის ცვლილება და თანხმობა გასცა მასზე. სასამართლოს მოსაზრებით, თუკი მოპასუხეებს დაეკისრებათ გარეფასადის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, ამით შეილახებოდა სხვა ავტორის, კერძოდ, ნ. ლ-ის უფლება, რომელიც 2010 წელს განხორციელებული გარეფასადის ახალი დიზაინის ავტორს წარმოადგენდა, სასარჩელო მოთხოვნა კი, მხოლოდ ბ-ის ქ. №...-ში მდებარე სახლის ფასადის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა იყო.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაითვალისწინა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-18, 59-ე მუხლების მოთხოვნები, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და მე-16 მუხლების მოთხოვნები იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ შენობის დიზაინზე საავტორო უფლება ეკუთვნის კასატორს და ნაგებობის გარეფასადის გადაკეთება ავტორის თანხმობის გარეშე განხორციელდა.

6.1.2. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯე-

ლობა იმის შესახებ, თითქოს სარჩელის დაკმაყოფილებით შეიძლება სხვა ავტორის უფლება შეილახოს. ამგვარი მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო სააპელაციო პალატა გადაწყვეტილების კანონიერებას ამომწებს იმ მტკიცებულებებისა და ფაქტების ერთობლიობით, რომლებიც წარდგენილი და გამოკვლეული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

6.1.3. არასწორია სასამართლოს მსჯელობა, თითქოს აპელანტებისთვის ცნობილი არ იყო მოსარჩელის საავტორო უფლების თაობაზე. ამ გარემოებას ადასტურებს არქიტექტურულ ჟურნალ „ს-ში“ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, რომელშიც ასახული იყო შენობის ფასადი, იგი გამოფენილია თვალსაჩინო ადგილას, ამასთანავე, ი. კ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენისას იგი დატვირთული იყო იპოთეკით მოსარჩელის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობის გარე ფასადის რეკონსტრუქციის შედეგად დაირღვა თუ არა მოსარჩელის საავტორო უფლება არქიტექტურულ ნაწარმოებზე და ექვემდებარება თუ არა ეს უფლება დაცვას.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ მიუხედავად ნაწარმოების ავტორის თანხმობის არარსებობისა, მოპასუხეებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა საავტორო უფლების დარღვევაში მათი ბრალეულობის დაუდგენლობის გამო, ამასთანავე, საკუთარი შეფასება სასამართლომ იმითაც გაამყარა, რომ ნაწარმოების თავდაპირველი ავტორის უფლების დაცვის თვალსაზრისით, ნივთისათვის პირვანდელი იერსახის აღდგენა გამოიწვევს შენობის გარე ფასადის ახალი დიზაინის ავტორის უფლების დარღვევას.

1.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრი-

ვი გარემოებები:

1.3.1. 1989 წელს მოსარჩელემ დააპროექტა და დიზაინით გააფორმა ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობა, ხოლო საკუთარი საავტორო უფლების დეკლარაცია „საქპატენტში“ 2012 წლის 5 აპრილს განახორციელა.

1.3.2. შპს „ი-ის“ მიერ 2013 წლის 18 აპრილს გაცემული ცნობის თანახმად, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1989 წლის 28 სექტემბრის №... ბრძანების საფუძველზე, შპს „ი-ის“ მიერ დამუშავებულ იქნა ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე ობიექტზე არქიტექტურული პროექტი. პროექტის ავტორი იყო კასატორი. ამ პროექტის საფუძველზე 1995 წლის 11 აპრილს, თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციამ გასცა №... მშენებლობის ნებართვა.

1.3.3. შპს „ტ-იამ“, პროექტის მომზადებაზე თანხმობის მისაღებად, თბილისის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით მიმართა 2010 წლის 1 აპრილს.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.5. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებსა და დასკვნებს სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე და პრეტენზიას გამოთქვამს, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების კუთხით. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საავტორო უფლების წარმოშობა; ამ უფლების დაცვაუნარიანობა და მათი მომწესრიგებელი, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული საკანონმდებლო დანაწესები.

1.6. „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ავტორის საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურ-

რისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისას (პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). კანონის რეგულირების ქვეშ კი, ექცევა არქიტექტურული ნაწარმოები, რომელიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე (მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) და კანონის 6.1. მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ ხელოვნების ნაწარმოების ერთ-ერთი სახე სწორედ არქიტექტურული ნაწარმოებია. არქიტექტურული ნაწარმოების აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, შეფასდეს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლები. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის“ თანახმად (შემდგომში – „ბერნის კონვენცია“, საქართველოში ძალაშია 16.05.1995 წლიდან და 18(1) მუხლის შესაბამისად, გამოიყენება წინამდებარე ურთიერთობის რეგულირებისათვის), ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები მოიცავს არქიტექტურულ ნაწარმოებსაც და იგი სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში (მე-2 მუხლის (1) და (6) პუნქტები). საკითხს, კონკრეტულად თუ რა წარმოადგენს არქიტექტურულ ნაწარმოებს, განმარტავს „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული ნაწარმოებია არქიტექტურული პროექტის და არქიტექტურული ობიექტის სახით არსებული არქიტექტურული საქმიანობის შედეგი, რომელიც წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს. ის უდავო გარემოება, რომ მოსარჩელემ დააპროექტა და დიზაინით გააფორმა ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობა, წარმოშობს მოსარჩელის მტკიცების გაზიარების შესაძლებლობას, რომ ზ. ც-ი არქიტექტურული ნაწარმოების ავტორია. საავტორო უფლების ნამდვილობაზე მსჯელობისას პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხე სანარმოს შესაგებებლზეც, რომლითაც მან სადავო გახადა უფლების მოსარჩელისადმი კუთვნილება და აღნიშნა, რომ ამ საკითხის გარკვევისათვის სავალდებულოა შეფასება მიეცეს იმას, მოსარჩელემ რა სტატუსით შექმნა დიზაინი, რადგანაც ნაწარმოების დამკვეთი იქნებოდა სახელმწიფო. ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს ზ. ც-ის უფლებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემული დავის საგანი ავტორის არაქონებრივი უფლების დაცვაა და თუკი მოსარჩელის შემოქმედებას თუნდაც სამსახურებრივ ნაწარმოებად მივიჩნევდით, ეს გარემოება, სხვა წინაპირობების არსებობისას, ხელისშემშლელი ვერ იქნებოდა სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, რადგანაც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი აქცენტს საავტორო ქო-

ნებრივ უფლებებზე აკეთებს და არ ადგენს რაიმე შეზღუდვას ავტორის არაქონებრივი უფლებების მიმართ.

1.7. „ბერნის კონვენციის“ 5.(2) მუხლის თანახმად, საავტორო უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულებაზე; ასეთი სარგებლობა და გამოყენება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორის უფლებების დასაცავად მინიჭებული ზიანის ანაზღაურების საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. საავტორო უფლების წარმოშობის თვალსაზრისით ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დანაწესებიც, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ავტორის უფლება ნაწარმოების შექმნის მომენტიდან წარმოიშობა. ნაწარმოები კი, ობიექტური ფორმით გამოხატვიდან ითვლება შექმნილად (რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა) და უფლების განხორციელებისათვის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობების დაცვა არ არის სავალდებულო (9.1 და 9.2 მუხლები), ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებლობა საავტორო უფლებათა დაცვას ნაწარმოების შექმნას უკავშირებს და მისი ნამდვილობა ავტორის მხრიდან სხვა დამატებითი მოქმედების განხორციელებაზე არ არის დამოკიდებული.

1.8. იმისათვის, რათა სწორად განისაზღვროს საავტორო უფლების დაცვის ობიექტი, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, უალტერნატივოდ უნდა გაიმიჯნოს საავტორო უფლების მქონე პირის კანონით დაცული ინტერესები. განსახილველი სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს ავტორის ნებართვის გარეშე არქიტექტურულ ნაწარმოებზე განხორციელებული ცვლილების შედეგად ამ ნაწარმოების ავტორის უფლების დარღვევა წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლოს შემონმების საგანიც მითითებული ქმედების მართლზომიერებაა. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს არქიტექტურული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლებების ჩამონათვალს და ადგენს, რომ მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ავტორს აქვს თავისი პროექტის გადაკეთების უფლება (მუხლი 13.2). ცვლილების შეტანის საკითხის დეტალურ რეგულაციას ითვალისწინებს ამავე კანონის მე-16 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმადაც, არქიტექტუ-

რული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მიიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად. ამ თვალსაზრისით დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №24-ში მდებარე შენობაზე რეკონსტრუქციის განხორციელების ფაქტი, რომლის თაობაზეც მოსარჩელეს, როგორც ნაწარმოების ავტორს, თანხმობა არ მიუცია. მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ავტორის უფლებათა დაცვის ქმედით მექანიზმებს და ადგენს გონივრულ ბალანსს ავტორის საავტორო უფლებათა და ქონების მესაკუთრის ინტერესებს შორის. „ბერნის კონვენციის“ მე-6^{bis} მუხლის (1) პუნქტის თანახმად, ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას. ანალოგიურ დათქმას შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეპუტაციის პატივისცემის უფლება ავტორის კანონით აღიარებული ის განსაკუთრებული უფლებაა, რომელიც უპირობო დაცვას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ადგენს უფლების დაცვის წესსაც, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს (59.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), თუმცა, ნორმით განსაზღვრული შედეგის მიღწევისათვის შესამონმებელ გარემოებათა წრეს წარმოადგენს: რეკონსტრუქციის შედეგად შეილახა თუ არა ნაწარმოების იერსახე, განხორციელდა თუ არა არქიტექტურულ ობიექტში ცვლილება და ამით ილახება თუ არა ავტორის უფლებები, კერძოდ, ადგება თუ არა ზიანი ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების კვლევითი ნაწილი ამ კუთხით არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას ავტორის უფლების

რეალური დარღვევის თვალსაზრისით.

1.9. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხე საზოგადოების შედავებას იმის თაობაზე, რომ მისთვის არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მოსარჩელის საავტორო უფლების თაობაზე, რადგანაც ზ. ც-მა ეს უფლება „საქპატენტში“ ნივთის რეკონსტრუქციის შემდეგ დაარეგისტრირა, ხოლო მისი ქმედება საჯარო მმართველობისადმი კანონიერი ნდობის პრინციპს ემყარება. მართალია, ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საგაზეთო სტატია (არქიტექტურული ჟურნალი „ს-ის“ ...-ე ნომერი), ასევე, იპოთეკის სანივთო უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, თუმცა პალატამ, მოცემულ შემთხვევაში, არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უმთავრესი საფუძველი პირის არაბრალეულობა იყო, სამოქალაქო კოდექსი კი, ამკვიდრებს მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე დელიქტური ვალდებულება არ გვაქვს, შესაბამისად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის თაობაზე მსჯელობაც გაუმართლებელია. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძველებს, რომელთაგან ერთ-ერთი „კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველია“, სწორედ ამგვარ კანონისმიერი ურთიერთობის ერთ-ერთ სპეციალურ სახესა და წინაპირობებს ამკვიდრებს საავტორო უფლებათა დამცავი საკანონმდებლო დანაწესები. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს მოპასუხე საწარმოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სარჩელის დაკმაყოფილებით ილახება მისი, როგორც მესაკუთრის კონსტიტუციური უფლება, თავისუფლად ისარგებლოს საკუთრებით. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვის ლეგალურ ფარგლებს და კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა პროპორციულია თუ ეს ჩარევა განპირობებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით; შეზღუდვა კანონით პირდაპირაა განსაზღვრული და არ ირღვევა საკუთრების უფლების არსი. ამგვარი შემთხვევის კერძო გამოხატულებას სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გამონაკლისი წარმოადგენს, კერძოდ, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივ-

თით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. კანონში მითითებულ მესამე პირად შეიძლება სწორედ საავტორო უფლების მქონე პირი მივიჩნიოთ, რომლის უფლებებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონითაა დაცული. პალატა სრულად იზიარებს ზ. ც-ის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი არასწორად დაასაბუთა ახალი ავტორის უფლების დაცვით. ასეთ შემთხვევაში, გაურკვეველია, რა პრიორიტეტით ისარგებლა სააპელაციო პალატამ და როგორ განსაზღვრა იმ ავტორის საავტორო უფლების უპირატესობა, რომლის ნაწარმოებიც შესაძლოა არღვევდეს უკვე არსებულ საავტორო უფლებას.

1.10. მხედველობაშია მისაღები მოპასუხე იურიდიული პირის შედაგება, რომლის თანახმადაც, მან ნივთი შეიძინა სასტუმროს სტატუსით და ამ ნივთის დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული რეკონსტრუქციის განხორციელება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული შედაგება იმდენად არსებითია, რომ მისი რეალურად დადასტურება შესაძლოა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გახდეს, რადგანაც „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრის ინტერესებს, განახორციელოს ნივთზე ამა თუ იმ სახის ცვლილებები, თუმცა მესაკუთრის ეს უფლება გარკვეული წინაპირობებით არის შეზღუდული. მოხმობილი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ არქიტექტურული ობიექტის ავტორი არ არის თანახმა აუცილებლობით განპირობებული ან დასაბუთებული ცვლილებების შეტანაზე, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. ამ თვალსაზრისით გასაჩივრებული გადანყვეტილება არ შეიცავს რაიმე კვლევას.

1.11. საკასაციო სასამართლო შეჩერდება მოპასუხე ფიზიკური პირის – ი. კ-ის პასუხისმგებლობის საკითხზეც. მოსარჩელე მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ შენობის ყოფილმა მესაკუთრემ, ავტორთან შეუთანხმებლად დაიქირავა შპს „ტი-ია“ შენობის იერსახის შესაცვლელად. ამ თვალსაზრისით საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის არქიტექტურული სამსახურისადმი შპს „ტი-ის“ მიმართვა რეკონსტრუქციაზე თანხმობის გაცემის შესახებ, სადაც განმცხადებელი განმარტავს, რომ მას შენობის რეკონსტრუქცია მოქალაქე ი. კ-ის მიმართვის საფუძ-

ველზე აქვს განზრახული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულების შეფასების გარეშე დაადგინა, რომ შპს „ტ-იას“ მიმართა შპს „კ-მა“. მართალია, სასამართლო ადგენს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობაზე ჯერ ი. კ-ის, ხოლო შემდგომ – შპს „კ-ის“ საკუთრების უფლების წარმოშობის თარიღებს, თუმცა ამ მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მოპასუხე ფიზიკური პირის შესაგებლის არსებითობაზე ვიდრე არ დადგინდება ი. კ-ე შპს „ტ-იისადმი“ მიმართვისას მოქმედებდა როგორც ფიზიკური პირი თუ როგორც იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლების მქონე პირი. ანუ ი. კ-ის პასუხისმგებლობის და გამოსაყენებელი სასამართლის ნორმის განსაზღვრისათვის დასადგენია ფაქტობრივ გარემოებათა წრე.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთანავე, ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დასრულებულა საქმის წარმოება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

53-ე და 55-ე მუხლებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ც-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეხელი

1. პირადი არაქონებრივი უფლებები

პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა	3; 18
პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა	36; 75

2. სასაქონლო ნიშნები

სასაქონლო ნიშნის გამოყენება	92; 102; 128
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა	140; 167; 182

3. პატენტი

პატენტის ბათილად ცნობა	196
------------------------------	-----

4. საავტორო უფლებები

საავტორო უფლების დაცვა	219
------------------------------	-----